

10 ოქტომბერი

I დარბაზი, I სექცია, I სხდომა

ბეჟა კვაჭაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შაჰაბედინ-ფაშა, ქართული წარმომავლობის სამხედრო და პოლიტიკური
მოღვაწე მეჰმედ II-ის გარემოცვაში

XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე, არაერთი ქართული წარმომავლობის სამხედრო და პოლიტიკური ფიგურაა ცნობილი მახლობელი ისლამური სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისტორიული ტრადიციით, ქართული წარმომავლობის სამხედროებს, დიდი როლი ჰქონდათ ეგვიპტესა და ირანში. გამონაკლისი არ ყოფილა არც ოსმალთა სასულტნო, რომელსაც ქართულ სივრცესთან ხანგრძლივი გადაკვეთა ჰქონდა. არაერთი ქართული წარმომავლობის პოლიტიკური მოღვაწეა ცნობილი ოსმალთა სულტნების კარზე, უმეტესად XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე. თუმცა ქართული სამეცნიერო წრეებისათვის, აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი, XV საუკუნეში მოღვაწე ქართული წარმომავლობის ფაშას - შაჰაბედინის შესახებ. აღნიშნული ეპოქის ევროპული (უნგრული, ბურგუნდიული, გერმანული) და ოსმალური წყაროებით ირკვევა, რომ იგი სულტან მეჰმედ II-ის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო და ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სასულტნოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში.

აღნიშნული ფაშა, მისი პიროვნება და მოღვაწეობის აღწერა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რამდენიმე მიზეზისა და ფაქტორის. პირველ რიგში უნდა ითქვას, მის ქართულ წარმომავლობას ასახელებს ერთი ოსმალური წყარო და ასევე, ქართველთადაა ის მოხსენიებული, არაერთი ავტორიტეტული სამეცნიერო ნაშრომის ფურცლებზეც. ნაშრომის ინტერესს ზრდის ის ფაქტიც, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მსოფლიო ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებში, როგორებიც იყო, 1440-44 წლების ვარნის კამპანია და 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაპყრობა. ასევე ეკავა არაერთი მნიშვნელოვანი პოსტი სულტნის კარზე, მათ შორის იმპერიის ბალკანური ნაწილის, რუმელიის, ბეგლარბეგის თანამდებობა. თუ ამ საკითხზე მომუშავე ისტორიკოსებს დავეყრდნობით, შაჰაბედინ-ფაშას შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე აქცენტი არ გაკეთებულა. რაც ბუნებრივია, მის შესახებ სამეცნიერო კვლევის ჩატარებას მეტ აქტუალობას სძენს.

შაჰაბედინ-ფაშას მოღვაწეობის პერიპეტიების შესწავლისას, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, ის ფაქტი, რომ მის შესახებ ინფორმაციები გაფანტულია, უნგრულ, ფრანგულ, ოსმალურ და ბიზანტიურ წყაროებში. ასევე ამ ეპოქაზე შექმნილ, სხვადასხვა ნაშრომებსა და სამეცნიერო სტატიებში. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ამ მონაცემების შეკრება და მისი მოღვაწეობის ქრონოლოგიისა თუ სხვა ასპექტების ზუსტი რეკონსტრუქცია. აღნიშნული კვლევის უმთავრესი მიზანი იქნება, მისი მოღვაწეობის ქრონოლოგიის აღწერა და მისი როლის განსაზღვრა, უნგრეთ-ოსმალეთის ომებში, ასევე ვარნის საომარი კამპანიისა და კონსტანტინოპოლზე შეტევის მომზადების პროცესში. აღნიშნული მიზნის შესასრულებლად,

მნიშვნელოვანი იქნება, აღნიშნული ეპოქის, ასევე ზემოთ დასახელებულ მოვლენათა აღმნიშვნელი წყაროების შესწავლა და მათში შაკაბედინ-ფაშას შესახებ არსებული მონაცემების შეკრება.

აღნიშნული მოხსენება, მნიშვნელოვანი იქნება იმით, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება, ოსმალთა სასულტნოს კარზე მოღვაწე, ქართული წარმომავლობის, კიდევ ერთი გავლენიანი სამხედრო ფიგურის შესახებ. ასევე აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში, XV საუკუნის 40-50-იანი წლებში, ოსმალეთის ისტორიაში ფაქტობრივად არ გვხვდებიან სხვა ქართული წარმომავლობის ისტორიული პირები. აღნიშნული კვლევის რეზულტატი, მნიშვნელოვანი იქნება, შუა საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს შორის ურთიერთობების შემდგომი კვლევებისათვის. ასევე ქართული სამეცნიერო სივრცე გაიცნობს კიდევ ერთ ქართველ მოღვაწეს, ძლიერი ისლამური იმპერიის მმართველის გარემოცვაში.

**აპოლონ თაბუაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი**

ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის (1787-1791) პირველ წლებში

რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დაწყებისთანავე პეტერბურგის საიმპერატორო კარმა საქართველოდან თავისი სამხედრო შენაერთი გაიყვანა. როგორც ცნობილია, დამხმარე ჯარის გაწვევის პარალელურად, გენერალ-ანშეფმა გრიგოლ პოტიომკინმა ერეკლე მეორეს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა, რაზეც ქართველმა მეფემ უარი განაცხადა. ისტორიოგრაფიაში ის ფაქტიც ცნობილია, რომ იმხანად ერეკლე მეორემ რუსეთისაგან დამოუკიდებლად ოსმალეთთან „სამეგობრო-საზავო“ ხელშეკრულება გააფორმა.

აღნიშნული ხელშეკრულების მომზადებისა და გაფორმების შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა ცნობილი. რუსეთისა და თურქეთის არქივებში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით კი შესაძლებელი ხდება ჩვენთვის საინტერესო საკითხის დეტალების გარკვევა. 1788 წლის ქართულ-ოსმალურ შეთანხმებას ეხება რუსეთის სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში დაცული გენერალ ტეკელის 1789 წლის 29 მარტის პატაკი (ЦГВИА, ф. 52, Оп. 1/194, д. 516, л. 79-83). ამავე საკითხთან დაკავშირებით, ასევე, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოსმალურ სახელმწიფო არქივში თავმოყრილი დოკუმენტები/Presidency of the Republic of Turkey Directorate of State Archives Ottoman Archives.

დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ ერეკლე მეორე ოსმალეთთან მოლაპარაკებებს რუსული მხარისაგან ფარულად მართავდა. ის ოსმალეთის წარმომადგენლებს საზღვართან ახლოს 1788 წლის 2 სექტემბერს შეხვედრია. 20 დეკემბერს კი კონსტანტინოპოლიდან თბილისში პორტას წარმომადგენელი ჩამოსულა, რის შემდეგაც ქართულ-ოსმალური შეთანხმება ძალაში შესულა.

დასახელებულ ისტორიულ დოკუმენტებში საგულისხმო ინფორმაციას ვხვდებით როგორც მოლაპარაკებებში ჩართული პირებისა და მხარეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების, ისე მიღწეული შეთანხმების დეტალების შესახებ.

(კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [# FR-23-11173]).

ნოდარ გრძელიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი
საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა კათოლიკე მისიონერების ჩანაწერების მიხედვით (XVII-XVIII) მიხედვით

წინამდებარე სტატიის მიზანია, გაირკვეს საქართველოში კათოლიკური მისიონერების ჩანაწერების მიხედვით პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVII-XVIII სს.

კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას საქართველოში დაახლოებით ექვსსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ პერიოდის მანძილზე მისიონერთა ნაყოფიერმა და მრავალმხრივმა მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

სტატიაში განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება იმის დადგენაზე, თუ როგორი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო იმ პერიოდის საქართველოს რეგიონებში (მხარეში).

მურმან პაპაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და კათოლიციზმი

ნაშრომში ვატიკანის ახალი საარქივო მასალების საფუძველზე დგება საკითხები: რა ფაქტორებმა და მიზანმა განსაზღვრა ანტონ I-ის მიერ კათოლიკობის მიღება; რა ხერხით შეეცადა პატრიარქი კათოლიკობის ჭეშმარიტების დემონსტრირებას; რა ღონისძიებები გაატარა ანტიკათოლიკურმა საეკლესიო დასმა და სამეფო ხელისუფლებამ ანტონისა და კათოლიკეების მიმართ; დარჩა თუ არა ანტონ I ბოლომდე კათოლიკობისადმი ერთგული.

წარმოდგენილი თემა ქართულ-ევროპული იდენტობის ძიებისა და კონფესიათა შორის დიალოგის გააქტიურების პროცესში განსაკუთრებულ სოციალურ აქტუალობას იძენს.

ნაშრომში დასმულია კონფესიათაშორისი ურთიერთობის პრობლემის შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ისტორიზმის პირციპებს, წყაროების კრიტიკული ანალიზის, კონტენტ-ანალიზისა და სისტემური ანალიზის მეთოდებს.

კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნა:

1. XVIII ს-ის 30-50-იან წლებში საქართველოში კათოლიკობამ არნახულ წარმატებებს მიაღწია. თბილისში, გორში, ქუთაისსა და ონში მოღვაწე კაპუცინთა მისიონმა ქართველი საერო და სასულიერო ელიტისაგან განსაკუთრებული მხარდაჭერა პოვა. კათოლიკობისაკენ მიდრკნენ იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752), დასავლეთ

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბესარიონი (1742-1769); 1737-1741 წწ. უნიატი ქრისტიანული ორბელიანი იყო თბილისის ეპარქიის ეპისკოპოსი და ერთგვარად ანტონ I-ის წინამორბედს წარმოადგენდა; 1749 წელს თბილისში ქვისაგან აშენდა იტალიური არქიტექტურის მშვენიერი ეკლესია და მონასტერი. 1725-1748 წწ. პროპაგანდის კოლეჯში განათლება მიიღო ექვსმა ქართველმა, რომელთაგან სამმა დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში. 1755 წლამდე კათოლიკობა მიიღო 60-მა ქართველმა თავადმა და ათი მაღალი რანგის მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა. საქართველოში სულ 15 ათასი კათოლიკე იყო. აქედან 3 ათასი - თბილისში. ყოველივე ეს დაგვირგვინდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I დიდის (1744-1756; 1764-1788) მიერ 1754 წელს კათოლიკობაზე გადასვლით, რაც უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენდა. ეს ფაქტობრივად ეკლესიათა გაერთიანების წინა დღე იყო.

2. ანტონ I-ს ღია კავშირები ჰქონდა კათოლიკე მისიონერებთან. მან გორში კაპუცინთა მისიონის პრეფექტ ჯიროლამო და ნორჩას წინაშე ფარულად აღიარა კათოლიკური სარწმუნოება, რაც გვაფიქრებინებს, ის ბასილიანთა ორდენის მოწესე იყო. ანტონ I-ის კათოლიკობაზე გადასვლა მოხდა მისი შინაგანი რწმენით და არა ოდენ კათოლიკობის უპირატესობის აღიარებით. მისთვის კათოლიკობა ნიშნავდა ქრისტიანობის სისავსეში დაბრუნებას, ანუ ანტონის სიტყვებით „ვისაც უნდა ცხონება, მან კათოლიკური სარწმუნოება სრულად უნდა მიიღოს და დაიცვას“. აქედან გამომდინარე, მისთვის კათოლიკობაზე გადასვლა არ ნიშნავდა მართლმადიდებლობისაგან მოწყვეტას, არამედ ეს პატრიარქისათვის იყო პირველი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დროის ქრისტესა და ქრისტიანობაში თავის თავის აღმოჩენა, რათა მონაწილეობა მიეღო ახალი რელიგიური და კულტურული ტრადიციის შექმნაში, ანუ უნიის განხორციელებაში. ამ მიზნით, ის შეეცადა კონსერვატორ სასულიერო დასსა და კათოლიკე მისიონერთა შორის გაემართა დისკუსია კათოლიკური თეოლოგიის უპირატესობის საჩვენებლად, თავისი გადაწყვეტილების გასამართლებლად და მისი გავლენისათვის ხელშესაწყობად.

3. ანტონ I-ის მიერ მიღებულმა კათოლიკობამ მთელი შიდა და გარე ანტიკათოლიკური ძალები აამოქმედა. ქართველ სასულიერო დასს პირველ რიგში პატრიარქის მიერ უქორწინლობის სწავლებისადმი მხარდაჭერა აშფოთებდათ. თავიდანვე კათოლიკებისადმი ნეიტრალურად განწყობილმა თეიმურაზ II-მ ანტონის აქტში პაპის მოკავშირეობით მისი საეკლესიო ავტოკრატიისაკენ სწრაფვა დაინახა. შესაძლებელია, მეფეს ჰქონდა შიში ამ ძალას მისთვის ტახტი არ წაერთმია, რისი ლეგიტიმური საფუძველი ანტონ I-ს ჰქონდა. ყოველივე ამის შედეგად ანტონ I გადაყენებული იქნა ტახტიდან (1755 წ.), თბილისსა და გორში კათოლიკეებს ჩამოართვეს ეკლესია და მისიონერთა მოღვაწეობა აიკრძალა. ეს წარუმატებლობა დიდწილად კონსერვატორთა წინააღმდეგობამ განაპირობა.

4. მეფე ერეკლე II-ის მიერ ანტონის რუსეთიდან დაბრუნება (1763 წ.) მისი ევროპული პოლიტიკის რთული დიპლომატიის მდგენელიც იყო. ანტონმა პატრიარქობის მეორე პერიოდში (1764-1788), მიუხედავად მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებისა, ბოლომდე შეინარჩუნა პროკათოლიკური განწყობა და ერთგული დარჩა თავისი აღთქმისა. ჩვენი ვერსიით, ანტონის მონანიება ნაკარნახევი იყო არა იმით, რომ მან უღალატა

მართლმადიდებლობას, არამედ იმის სურვილით, რომ დაბრუნებულიყო სამშობლოში და დაწყებული რეფორმები გაეგრძელებინა. საგულისხმოა, ანტონმა სული დალია კათოლიკე მამების, ვითარცა ექიმების ხელში.

მიღებული შედეგები წმინდა ტახტთან საქართველოს კონფესიური ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში საკვანძო მნიშვნელობას შეიძენს.

ჯონდი ხუბია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ესპანური ინკვიზიციის დაბადება რეკონკისტას ფენომენის კონტექსტში

ორ საუკუნეზე მეტია, რაც ინკვიზიციის ტრიბუნალების, მსხვერპლთა რაოდენობის, დასჯის მეთოდების, წამების, სისასტიკის, გამამტყუნებელ განაჩენთა, ასევე სხვა საკითხთა შესახებ იწერება, მაგრამ არ არსებობს ერთიანი, მითებით გაუჯერებელი პოზიცია, რას წარმოადგენდა სინამდვილეში ინკვიზიცია. ისტორიულ მეცნიერებაში დღესდღეობით სიტყვა ინკვიზიცია მხოლოდით რიცხვში აღარ გამოიყენება, არამედ სხვადასხვა ფაზას გამოყოფენ, ესენია: ეპისკოპალური (XII ს.), ლეგატური (XII-XIII სს.), საბერმონაზვნო (ორდენების) (XIII-XV სს.), საფრანგეთის ხელმწიფეთა (1251-1314), ვენეციელი დოჟების (1249-1289), ესპანური (1478-1834), რომაული (1542; რომაული ინკვიზიცია 1588 წელს წმინდა პალატის კონგრეგაციად გარდაიქმნა). ჩვენი კვლევის მიზანია ესპანური ინკვიზიციის თავისებურებების შესწავლა, რომელიც ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსლიმთა თანაცხოვრების პირობებში წარმოქმნილი სირთულეების მოსაგვარებლად შეიქმნა.

ისტორიოგრაფიაში ესპანური ინკვიზიციის კვლევა-შესწავლა ესპანელი და უცხოელი ისტორიკოსების მიერ მასშტაბურად ამ საუკუნის პირველ ათწლეულში გაიშალა. ამ პრობლემაზე სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე მიმდინარეობს დისკუსია და მსჯელობა. ეს იმიტაცაა განპირობებული, რომ თითოეულ ადამიანში ესპანეთი, სხვა ცნობილ სახელებთან ერთად, ინკვიზიტორებთან ასოცირდება. ეს თავისთავად მიუთითებს განსახილველი თემის აქტუალობაზე. აქტუალობას ამ თემას არ აკლებს ისიც, რომ ამ 25 წლის წინ წარმოშობილი პოლემიკა, როცა ახლადმოქცეული ებრაელების წინააღმდეგ ინკვიზიციის სასამართლოს დაარსება ესპანელთა მხრიდან ანტისემიტიზმის სათავის საწყისად იქნა მიჩნეული, დღემდე დავის საგანია. ნაშრომს აქტუალობას სძენს ისიც, რომ ქართულ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პრობლემა არასოდეს გაშუქებულა.

XIV საუკუნის II ნახევრიდან პირენეს ნახევარკუნძულზე სამი სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის სიტუაცია იმაზე მეტად დაიძაბა, ვიდრე ოდესმე. კასტილია, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აქ ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებდა ინკვიზიციის ტრიბუნალი, სხვა სამეფოებზე ნაკლებად არ გამოირჩეოდა საერთო ქრისტიანული სულისკვეთებითა და აღტყინებით. XIV ს-ის მიწურულს ებრაელების მიმართ უკმაყოფილებამ ესპანეთის ქალაქებში საყოველთაო ხასიათი მიიღო. ანტიებრაული მოქმედების წაქეზება არქიდიაკონ ფერნან მარტინესს უკავშირდება. 1391 წლის ზაფხულში, ეკონომიკური სიდუხჭირით შეწუხებული მოსახლეობა სევილიაში, კორდობაში, ვალენსიაში, ბარსელონასა და სხვა ქალაქებში აჯანყდა და თავს დაესხა გაბატონებულ კლასებს, მათ შორის იყვნენ

ებრაელები. ნაწილი დახოცეს, ზოგიერთიც – ძალით მოაქციეს ქრისტიანობაზე. მოქცეულთაგან ბევრმა გადაწყვიტა კათოლიკედ დარჩენილიყო, ამის ძირითადი მიზეზი სოციალური სარგებლის მიღება იყო, კერძოდ, ქრისტიანულ სამეფოებში უცხოელებისთვის (ებრაელებისა და მუსლიმებისთვის) გადასახადები გაცილებით დიდი იყო. ესპანურ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი მოქცეულთა „საიდუმლო იუდეველობის“ შესახებ, რამაც რეკონკისტას პარალელურად საინკვიზიციო საქმიანობასაც ჩაუყარა საფუძველი.

კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა მეცნიერული ობიექტურობისა და ისტორიზმის პრინციპებს. გასაანალიზებელი მოვლენების დროის ქრონოლოგიური პრინციპით განხილვამ, შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეთვალისწინებინა, თუ როგორ იცვლებოდა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ინკვიზიციის გამოყენების პრაქტიკა. შესასწავლი მოვლენები განიხილება სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის მეთოდით. ასევე, მივმართავთ სინურგეტიკულ მეთოდს, ცალკეული პიროვნებების როლის უკეთ წარმოსაჩენად. ფსიქოისტორიული ანალიზის მეთოდი დაგვეხმარა რეკონკისტას ფენომენის ესპანური ინკვიზიციის დაბადების კონტექსტში გასააზრებლად.

საწყის ეტაპზე (ოფიციალურ დაფუძნებამდე), ევროპის სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ესპანურ ინკვიზიციას მძიმე ფორმები არ მიუღია. სხვა მიზეზებთან ერთად, ამას ისიც განაპირობებდა, რომ ევროპაში გავრცელებული მწვალებლობები ძნელად თუ შეაღწევდა ხოლმე ესპანურ სამეფოებში. მორისკები და მარანები XIV ს-დან ესპანური ინკვიზიციის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ იქცნენ, თუმცა მათ წინააღმდეგ საინკვიზიციო ტრიბუნალები მხოლოდ 1478 წლის შემდეგ ამოქმედდა. ამას წინ 1469 წლის 19 ოქტომბერს, **ისაბელა I კასტილიელისა და ფერნანდო II არაგონელის** ვალიადოლიდში ქორწინება უძღოდა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ხუან არაგონელმა და არქიეპისკოპოსმა კარილიომ. ნიშანდობლივია, რომ ბევრი კანდიდატურის ფონზე, ისაბელამ არჩევანი ფერნანდოზე შეაჩერა, რამაც კასტილიისა და არაგონის სამეფოს გაერთიანებას და ესპანეთის სამომავლო ჰეგემონობას ჩაუყარა საფუძველი. კათოლიკე მონარქების მთავარ საზრუნავად რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების მეშვეობით ესპანური ნაციონალური ერთობის შექმნა იქცა. პოლიტიკური ბრძოლის პარალელურად, მათთვის ბრძოლის მძლავრი იარაღი გახდა ინკვიზიცია.

I დარბაზი, I სექცია, II სხდომა

ლევან ჯიქია, საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება და პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში

საკვლევი თემა: 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნულმა აჯანყებამ საქართველოს უმეტესი რეგიონები მოიცვა. საბჭოთა ხელისუფლება აგენტ-ინფორმატორების მეშვეობით ფლობდა ინფორმაციას მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ, ეპიფანე კვანტალიანმა აჭარის საგანგებო კომისიას,

აფხაზეთის საგანგებო კომისიას და ყველა პოლიტიკურ უფროსს გაუგზავნა შეტყობინება, რომ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შესაბამისად, ე. კვანტალიანი ზემოთ ხსენებულ ორგანოებს ნებას რთავდა მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები განეხორციელებინათ, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამაზრო კომიტეტებთან ერთად, ინფორმაციები დაშიფრული ტექსტით საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ეცნობებინათ. მართალია, აჯანყებულებმა მოახერხეს მთელ რიგ ადგილებში ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება, თუმცა ვერ გაუძლეს მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების ზეწოლას და დამარცხდნენ. აჯანყების მარცხის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით უპრეცედენტო პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო. ამასთან, გამოყენებული იყო რეპრესიის სხვადასხვა ფორმა: გაუსამართლებლად დახვრეტა, დაპატიმრება, რუსეთში გადასახლება, ქონების ჩამორთმევა, ქონების ჩამორთმევა და საცხოვრებელი ადგილიდან განდევნა, სამუშაოზე იძულებით გაყვანა.

თვითნებურმა დახვრეტებმა იმდენად მასიური სახე მიიღო, რომ დასავლეთ საქართველოს პროკურორი გაბუნია მოუწოდებდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მსგავსი ქმედებისგან თავი შეეკავებინათ. მართალია, თვითნებური დახვრეტების მიზეზად დაპატიმრებულთა გაქცევის მცდელობა სახელდებოდა, თუმცა, ფაქტების სიმრავლიდან გამომდინარე, ეს არადამაჯერებელი ჩანდა.

მართალია არქივებში (საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი) დაცულია 1924 წელს დახვრეტილთა სიები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრი დაზუსტებას მოითხოვს, რადგან, ცალკეულ დოკუმენტებში დაფიქსირებული დახვრეტილები, ერთიან სიაში არ ფიგურირებენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ თვითნებური დახვრეტის ფაქტები მიეჩქმალათ და ამით პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინათ. ჩვენი კვლევა-ძიებით შეგვიძლია დანამდვილებით განვაცხადოთ, რომ 1924 წელს ხელისუფლებამ მინიმუმ 1063 ადამიანი დახვრიტა (ეს ციფრი შემდგომი კვლევა-ძიებისას, დიდი ალბათობით, გაიზრდება). უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ რუსეთში გადასახლებულები, რომლებიც ვერ უძლებდნენ კლიმატურ პირობებს და ითხოვდნენ რუსეთის სამხრეთ რაიონებში გადაყვანას, თუმცა, უშედეგოდ. ბევრ მათგანს ფსიქიკური აშლილობაც კი დაეწყო, რადგან მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებთან ერთად უწევდათ საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნა.

საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნილები ტყე-ღრეებში დაეხეტებოდნენ (პროცესი თვეობით გრძელდებოდა და ზამთარი ახლოვდებოდა), ბევრმა მათგანმა ნათესავებსაც კი ვერ შეაფარა თავი, რადგან საყოველთაო შიში იყო დანერგილი (შესაძლოა აჯანყებულთან კავშირი მძიმედ დაჯდომოდა ნებისმიერ ადამიანს).

მოხსენებაში დეტალურად იქნება საუბარი თითოეულ ამ ფაქტზე.

აქტუალობა: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას გამოყენებულ რეპრესიებს არაერთი მკვლევარი შეეხო, მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი სრულყოფილად დღემდე არ არის შესწავლილი. ამის გარეშე კი 1924 წლის აჯანყების, როგორც მოვლენის შეფასება, ცხადია, სრულყოფილი ვერ იქნება.

პრობლემა: ჩვენს მიზანს წარმოადგენს სრულყოფილად წარმოვადგინოთ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიის ყველა მეთოდი (დახვრეტა, დაპატიმრება, გასახლება ქვეყნიდან, ქონების ჩამორთმევა, საცხოვრებელი ადგილიდან განდევნა, სამუშაოზე იძულებით გაყვანა და ა. შ.). განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ განსხვავებაზე, რაც დაფიქსირდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელებულ რეპრესიებს შორის.

მეთოდი: კვლევისას გამოყენებულია სისტემური ანალიზისა და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდები.

დასკვნა: 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქართველო არნახულმა პოლიტიკურმა რეპრესიებმა მოიცვა. ათეულობით საარქივო დოკუმენტის შესწავლისა და ანალიზის შედეგად მივედით შემდეგ დასკვნამდე:

- დახვრეტილთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ე. წ. ერთიან სიაშია დაფიქსირებული და გაცილებით ნაკლები, რაც ფიქსირდებოდა ემიგრანტულ ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი კვლევა-ძიებით ვაცხადებთ, რომ ხელისუფლებამ დახვრეტი მინიმუმ 1063 ადამიანი;
- აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლებამ რეპრესიების სხვადასხვა მეთოდს მიმართა (დახვრეტა, დაპატიმრება, გადასახლება, ქონების ჩამორთმევა, განდევნა საცხოვრებელი ადგილიდან, სამუშაოზე იძულებით გაყვანა);
- რეპრესიის მეთოდი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განსხვავებული იყო, ვგულისხმობთ საცხოვრებელი ადგილიდან განდევნას, რაც დასავლეთ საქართველოში არ დაფიქსირებულა.

მალხაზ მაცაბერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერის ობსტი 1924 წლის აჯანყებისა და საქართველოს გეოპოლიტიკის შესახებ

საკვლევი თემა: მოხსენებაში განხილულია გერმანელი გეოგრაფისა და გეოპოლიტიკოსის ერის ობსტის (1886-1981) ნაშრომები საქართველოს შესახებ. მან 1924 წ. შემოდგომაზე იმოგზაურა საქართველოში, ნახა რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა აჯანყების შემდეგ და იმავე წლის დეკემბერში „გეოპოლიტიკურ ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილი „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“. გარდა ამისა, 1925 წელს გამოსცა ნაშრომი „რუსული ესკიზები“, სადაც რამდენიმე თავი საქართველოს ეთმობა.

აქტუალურობა: ერის ობსტი დასავლელი მოღვაწეა, რომელმაც სიმართლე თქვა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში მყოფი საქართველოს შესახებ. მისი სტატია მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციისთვის. ამას მოწმობს ისიც, რომ 40 წლის შემდეგ, 1964 წ. აღნიშნული სტატია ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“. გარდა ამისა, ქართულ ემიგრაციაში ყურადღება მიიქცია იმ დროისათვის ახალმა დისციპლინამ გეოპოლიტიკამ. ვიქტორ ნოზაძემ (1893-1975)

გეოპოლიტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით დაწერა რამდენიმე ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია სტატია „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო)“ (1930 წელი).

პრობლემა: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ერის ობსტის 1924 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლის 1964 წლის თარგმანი 1980-იანი წლების ბოლოდან რამდენჯერმე ხელახლა დაიბეჭდა და გამოყენებულია სამეცნიერო კვლევებში, მაგრამ ფაქტობრივად უცნობია მისი ბიოგრაფია და სხვა წერილები საქართველოს შესახებ. წარმოდგენილი სტატია სწორედ ამ ხარვეზის დაძლევის ისახავს მიზნად. პირველ რიგში განხილულია 1925 წელს გამოქვეყნებულ წიგნში საქართველოსადმი მიძღვნილი თავები, ასევე ნაჩვენებია ე. ობსტის ნაშრომის მნიშვნელობა ქართული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბების საქმეში.

მეთოდი: კვლევის უმთავრესი მეთოდი კონტენტ-ანალიზი. სტატიაში მოცემულია ერის ობსტის ნაშრომების შინაარსობრივი ანალიზი, ასევე გამოყენებულია ბიოგრაფიული ანალიზის მეთოდი.

დასკვნა: სტატიაში წარმოდგენილია ერის ობსტის სამეცნიერო საქმიანობა. ის გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ნაციზმის სამსახურში არ ჩამდგარა. მისი ნაშრომების განხილვამ აჩვენა, რომ თავის ხანგრძლივი სამეცნიერო საქმიანობის განმავლობაში 1924-1925 წლების შემდეგ საქართველოს თემას ფაქტობრივად აღარ დაბრუნებია. ამ პერიოდში გამოქვეყნებული ორი ნაშრომით კი მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში მცხოვრები საქართველოს შესახებ სიმართლის თქმის საქმეში. სტატიაში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა და მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას საბჭოთა საქართველოს ისტორიის, კონკრეტულად კი 1924 წლის აჯანყების შემდგომი პერიოდის კვლევის დროს, ასევე 1920-1930-იან წლებში ქართული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბების შესწავლისას.

სერგო ვარდოსანიძე, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებისა და სახელმწიფოს პირველი პირების ურთიერთობა XX საუკუნის 30-40-იან წლებში

საკვლევი თემა: XX საუკუნის 30-40-იანი წლები ურთულესი პერიოდია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში. საქართველო საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკაა. ქვეყანაში ხორციელდება ე. წ. სტალინური ექსპერიმენტები: ა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ბ. კოლექტივიზაცია და გ. კულტურული რევოლუცია. რელიგია ხალხის ოპიუმად არის გამოცხადებული და გრძელდება აგრესიული ათეიზმის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა სასულიერო პირების მიმართ ტერორს, ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვას და ანტირელიგიურ პროპაგანდას.

აქტუალობა: ბოლშევიკური ხელისუფლებისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობის ცალკეული საკითხები XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჯერ კიდევ შესწავლას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, აღნიშნულ

პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელთა გაორებული დამოკიდებულება ხელისუფლების პირველი პირებისადმი.

პრობლემა: ბოლშევიკური ხელისუფლების მიზანი იყო 1935-1936 წლებში საბჭოთა იმპერია მასობრივი ათეიზმის ქვეყნად გამოეცხადებინა, მაგრამ ეს ამოცანა ძნელად მისაღწევი იყო, ამიტომ დაიწყო ურჩი სასულიერო პირების ჩანაცვლება ხელისუფლებასთან კომპრომისებზე წამსვლელი სასულიერო პირებით, ანუ მეზრძოლი ეკლესიის სტალინური ეკლესიით შეცვლა. სტალინური ეკლესია გულისხმობდა იმას, რომ სასულიერო პირები უსიტყვოდ შეასრულებდნენ საერო ხელისუფლების ყველა დავალებას და დაეხმარებოდნენ მათ ერთის მხრივ „კონტრევოლუციის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორეს მხრივ დააჯერებდნენ მორწმუნე მრევლს არსებული ხელისუფლების კანონიერებაში, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა მათ ეროვნულ ინტერესს. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III საერო ხელისუფლების მხარდაჭერით გახდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ახლო ურთიერთობაში იყო საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძესთან, მისი კარნახით გამოაქვეყნა 1930 წელს გაზ. „კომუნისტში“ რომის პაპის და ანგლიკანური ეკლესიის საწინააღმდეგო წერილი, დაგმო მათი მცდელობა ჩარეულიყვნენ საბჭოთა კავშირის შიდა საქმეებში, ამავე დროს საიდუმლო წერილში ფილიპე მახარაძეს სინანულით მოახსენებდა იმ საშინელი დევნა-შევიწროების შესახებ, რომელშიც საქართველოს ეკლესია, მისი სასულიერო დასი იმყოფებოდა. იგივე ტენდენცია გაგრძელდა კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) დროს (1932-1952 წწ.), როდესაც მას ხელისუფლებამ დაუხვრიტა ქალიშვილი, საკათალიკოზო სინოდის მდივანს დეკანოზს, შემდგომში ქუთათელ მიტროპოლიტ ნაუმის (შავიანიძე) ვაჟი, მიტროპოლიტ ვარლაამს (მახარაძე) ჩამოართვა ეკლესიები, ასობით სასულიერო პირი გაუშვა გადასახლებაში... მაგრამ იგი სამადლობელ წერილებს უგზავნიდა იოსებ სტალინის და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს.

მეთოდი: კვლევისას გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი და კონტენტ ანალიზის მეთოდი.

დასკვნა: XX საუკუნის 30-40-იანი წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს მოხუცებულობის ნატვრა იყო ერთხელ მაინც შეხვედროდა „ხალხთა დიდ ბელადს“, სტალინი კი საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა ლიდერებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის უშიშროების გენერლის გიორგი კარპოვის მეშვეობით ეკონტაქტებოდა. ყოველივე ეს ადასტურებდა რელიგიის საბოლოო მოთვინიერებას და კომუნისტური იდეოლოგიის სამსახურში ჩაყენებას.

ზვიად ტყაბლაძე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში
(სშსს არქივის მონაცემების მიხედვით)

ჩვენი კვლევის საგანია „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ დაფინანსებულ 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის (NFR-22-21090) - „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“ მიმოხილვა, რომელიც ხორციელდება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით. რეპრესირებულ პირთა ბედი გვიჩვენებს, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა საბჭოთა კავშირის იმპერიულ გადაწყვეტილებებს რიგითი ადამიანებისთვის. საბჭოთა რეპრესიების საკითხი ერთ-ერთი შეუსწავლელი სფეროა არა მარტო ქართულ, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ათასობით რეპრესირებულ სასულიერო პირთა საქმეები, რომელიც სხვადასხვა არქივშია დაცული. საკონფერენციო თემა ითვალისწინებს მკვლევართა ჯგუფის მიერ საქართველოში საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წლებში) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების და რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ჩატარებული კვლევის გაშუქებას. საქართველოს ანექსიის (1921 წ.) შემდეგ აქტიურად დაიწყო „წითელი ტერორი“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის გატარება იმ პერიოდში საქართველოში მოღვაწე ყველა დენომინაციის წინააღმდეგ: დაიხურა ასობით საკულტო ნაგებობა, რელიგიური სკოლები, განსაკუთრებული სისასტიკით დაიწყო მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხური-სამოციქულო, ქრისტიანულ-პროტესტანტული, სხვა ქრისტიანული მიმდინარეობების, ასევე იუდეური, ისლამური თემების სასულიერო პირების რელიგიური მოტივებით დევნა. სასულიერო პირთა დევნის საფუძვლად იყენებდნენ მათ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის და სხვა სახის ბრალდებას. დამუშავებული იქნა იმ სასულიერო პირთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც სასჯელის სამი კატეგორიით იქნენ დასჯილნი - დახვრეტილები, პატიმრობამისჯილები და გადასახლებულები.

აქტუალობა: კვლევა აქტუალურია იმით, რომ მართალია საბჭოთა რეპრესიების პრობლემატიკაზე პერიოდულად ქვეყნდება ფრაგმენტული მასალები სამეცნიერო ლიტერატურაში თუ მედიაში, საზოგადოება გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე დგას გამოკვლეულ იქნას არქივებში შენახული მნიშვნელოვანი მონაცემები რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში დახურული იყო უცხო თვალისთვის, რეპრესირებულთა შთამომავლობამ კი, ხშირ შემთხვევაში, დღესაც არ იცის რა მიზეზით ჩასვეს ციხეში ან დახვრიტეს მათი წინაპარი. კვლევა გამორჩეულია იმითაც, რომ მასში ასახული მასალები კომპლექსურად ეხება საბჭოთა პერიოდის საქართველოში რეპრესირებულ ყველა კონფესიას და რელიგიურ მიმდინარეობას, რომელთა შესახებ მასალები არის დაცული სშსს-ს არქივში.

პრობლემა: კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს სასულიერო პირების წინააღმდეგ საბჭოთა პროპაგანდისტული ბრალდებების გარჩევა წარმოადგენდა მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით და რეალური სურათის წარმოჩენა. კვლევის დროს აუცილებელი გახდა გვარებისა და სახელების, სხვადასხვა დენომინაციის რელიგიური რიტუალების, წეს-ჩვეულებების, სახელწოდებების, საბჭოთა ტერმინოლოგიის ზუსტი იდენტიფიცირება და დადგენა. კვლევის ამოცანაა რელიგიური ნიშნით რეპრესირებული პირების სრული ბაზის შექმნა, მათი რეაბილიტაციის მიზნით.

მეთოდი: სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება თეორიულ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, შსს-ს არქივში სხვადასხვა დოკუმენტის მოძიებას და დამუშავებას (დადგენილებების, რეპრესირებულ პირთა შესახებ მონაცემებს, ანკეტებს). კვლევა მოიცავს პირის რელიგიურ კუთვნილებას, მის როლს იმ პერიოდის რელიგიურ ცხოვრებაში, მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, დაკითხვის ოქმებზე დაყრდნობით ბრალდებასა და რეალობას შორის კავშირის დადგენას, დაპატიმრების, გასამართლებისა და სასჯელის გამოყენების თარიღებს და რეპრესირებული სასულიერო პირების ცხოვრების საინტერესო ელემენტებს. განხორციელდა არქივში არსებული მასალის, დაკითხვის ოქმების, აქტების, სხვადასხვა ჩანაწერების კვლევა, დადგინდა საბჭოთა სამართლებრივი დევნის ობიექტის (პირის) რელიგიური კუთვნილება და მათი სასულიერო პირობის ნამდვილობა. საბრალდებო დასკვნის და სხვა დოკუმენტების შეჯერებით, დაკავებული სასულიერო პირის მიმართ დაპატიმრებისას წაყენებულ ბრალდებაში, გამოიკვეთა რელიგიური მოტივები და მოხდა თუ არა რელიგიური ბრალდების გამო ხსენებული პირის რეპრესირება.

დასკვნა: საკვლევ საკითხზე მუშაობის შედეგად გამოვლენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სხვადასხვა წელს რეპრესირებული სხვადასხვა დენომინაციის სასულიერო პირი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა რეპრესირების კოლოსალური მასშტაბები. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისთვის საბჭოთა რეპრესირების მნიშვნელობის თაობაზე. ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ისტორიით, რელიგიით, თუ სახელმწიფო პოლიტიკის კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის. მასალა, რომელიც პროექტის დასრულებისას წიგნის სახით გამოქვეყნდება, ნათლად წარმოაჩენს როგორ ასახლებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს იმის გამო, რომ ღმერთი სწამდათ.

თენგიზ სიმაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კახეთში მცხოვრები უდიები - ისტორია და თანამედროვეობა
(საარქივო მასალების მიხედვით)

საკვლევი თემა: საარქივო მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მოხდა კახეთში ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელ ზინობიანში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის - უდიების ისტორიის შესწავლა.

აქტუალობა: უდიები ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში არიან დასახლებულები. ისინი ერთ-ერთ ყველაზე მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფად ითვლებიან

კავკასიაში. სოფელ ზინობიანში მცხოვრები მართლმადიდებელი უდიები აზერბაიჯანიდან, მაშინდელი ნუხის მაზრის სოფელ ვართაშენიდან არიან. უდიების წინაპრები გამოერიდნენ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან გახშირებულ თავდასხმებს და 1922 წელს გადმოსახლდნენ საქართველოში.

პრობლემა: კავკასიის ალბანეთისა და უდი მოსახლეობისადმი მიძღვნილი თანამედროვე ნაშრომების უმრავლესობაში აშკარად იგრძნობა ტენდენციურობა. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა შესაბამისი სფეროს წარმომადგენლების მხრიდან, როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უდი მოსახლეობის ისტორიით დაინტერესება. თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არის აყვანილი კავკასიის ალბანეთისა და მისი მცხოვრებლების წარმოშობის, ეთნიკური და კულტურული იდენტობის, რელიგიის საკითხები. სომეხ მეცნიერებს კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოს შემქმნელი უდი მოსახლეობის წარმოშობის, რელიგიური კუთვნილების მიმართ აზერბაიჯანელებისგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ.

ჩვენი მიზანია, ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უდი მოსახლეობის საქართველოში გადმოსახლების წინაპირობების, გადმოსახლების და სოფელ ზინობიანის ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდში.

მეთოდი: კვლევის პროცესში დასმული პრობლემის - კახეთში მცხოვრები უდიები - ისტორია და თანამედროვეობა (საარქივო მასალების მიხედვით) გადასაწყვეტად მოვიძიეთ დღემდე უცნობი საარქივო მასალები.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ისტორიული კვლევის შედარებითი (კომპარატიული), ისტორიულ-რეტროსპექტიული, ქრონოლოგიური და სხვა მეთოდები.

დასკვნა: კვლევის პროცესში მოძიებულმა დღემდე უცნობმა საარქივო მასალებმა შეავსო აქამდე არსებული ცოდნა სოფელ ზინობიანისა და იქ მცხოვრები უდიების ისტორიის შესახებ. კვლევა გამოადგებათ საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს.

I დარბაზი, I სექცია, III სხდომა

დევიდ ბრანდენბერგერი, რიჩმონდის უნივერსიტეტი (აშშ)

რატომ გადაწერა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის წინარე რევოლუციური წარსულის ამიერკავკასიის თავი? (სიტუაციის ანალიზი 1938 წლის მოკლე კურსის რედაქტირების შესახებ)

At the height of the purges in the summer of 1938, Joseph Stalin spent several weeks rewriting the most important book in the Soviet ideological canon, the *Short Course on the History of the All-Union Communist Party (Bolsheviks)*. After this book was published that fall, it became compulsory reading for Soviet citizens in all walks of life between 1938 and 1956. As important as the *Short Course* was to Stalin-era ideology, however, surprisingly little has been published about the writing of this volume.[1] Only in 2014 did Mikhail Zelenov and I begin a comprehensive effort to publish archival documents associated

with the *Short Course* and only in 2019 did we succeed in releasing a critical edition of the text in English.[2] A Russian-language critical edition still awaits publication in Moscow.

In Stalin's editing of the *Short Course*, the dictator altered the official Bolshevik narrative on dozens of issues, ranging from the history of the October 1917 Revolution to industrialization, collectivization and the purges. He also altered the way in which party history addressed issues like internationalism, institutions like the Comintern and propaganda even including his own personality cult.[3]

This paper outlines on how Stalin rewrote Transcaucasia's prerevolutionary place in party history in 1938. As is well known, Transcaucasia played a large role in both party history and early Bolshevik historiography. Much of this narrative was systematized by L. P. Beria in 1935 in his notorious book about the prerevolutionary Transcaucasian underground.[4] And Beria's history formed the basis for the prototype *Short Course*'s narrative on the Transcaucasus that E. M. Iaroslavskii and P. N. Pospelov prepared for Stalin between 1937 and 1938.

Fascinatingly, archival documents reveal Stalin to have taken a strong disliking to this prototype and to have rewritten much of the *Short Course* during the summer of 1938, cutting almost everything about the Transcaucasian revolutionary movement from the first chapters of the book. Archival documentation also reveals Stalin to have revised the text's regional narrative on the revolutions of 1917, as well as its account of how the Bolsheviks consolidated power and built a centralized command economy in what would become in 1936 the Socialist Republic of Georgia. Entitled "Why did Stalin Rewrite the Transcaucasian Chapter of the Bolshevik Party's Prerevolutionary Past? (A Case Study on the Editing of the 1938 Short Course)," my conference paper will catalog Stalin's editorial changes and provide analysis explaining his rationale for transforming the Transcaucasian aspects of party history.

NOTES

[1] For early work, see N. N. Maslov, "'Kratkii kurs istorii VKP(b)'—entsiklopediia kul'ta lichnosti Stalina," *Voprosy istorii KPSS* 11 (1988): 51-67; S. V. Sukharev, "Predtecha 'Kratkogo kursa' v litsakh i dokumentakh," *Voprosy istorii KPSS* 8 (1991): 110-120; I. V. Stalin, *Istoricheskaia ideologiia v SSSR v 1920-1950-e gody*, vol. 1, *1920-1930-e gody*, ed. M. V. Zelenov (St. Petersburg: Nauka-Piter, 2006).

[2] *Kratkii kurs istorii VKP(b): Tekst i ego istoriia*, eds. M. V. Zelenov and D. L. Brandenberger, 2 vols. (Moscow: ROSSPEN, 2014-); *Stalin's Master Narrative: a Critical Edition of the Short Course on the History of the Communist Party (Bolsheviks)*, eds. David Brandenberger and Mikhail Zelenov (New Haven: Yale University Press, 2019).

[3] See, for instance, David Brandenberger, "Stalin's Rewriting of 1917," *Russian Review* 76:4 (2017): 667-689; David Brandenberger, "The Fate of Interwar Soviet Internationalism: A Case Study of the Editing of Stalin's 1938 Short Course on the History of the ACP(b)," *Revolutionary Russia* 29:1 (2016): 1-27; David Brandenberger and M. V. Zelenov, "Stalin's Answer to the Nationality Question: A Case Study in the Editing of the 1938 Short Course," *Slavic Review* 73:4 (2014): 859-880.

[4] L. P. Beria, *K voprosu ob istorii bol'shevistskikh organizatsii na Zakavkaz'e* (Moscow: Partizdat, 1935).

**კატრიონა კელი, თრინთი კოლეჯი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, ბრიტანეთის აკადემია,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (დიდი ბრიტანეთი)**

The proposed paper will address the management of film production between 1953 and 1991, and particularly between 1963 and 1985, the period when the chief regulatory bodies were Goskino Moscow and the cinema committees in the republics, along with the Party hierarchy, from studio-level organisations (*pervichnye yacheiki*) up to the Central Committee. It will focus at a number of cases where the relationship between the republics and the centre entered moments of crisis: two (in Latvia and Moldavia) where hostility towards a studio's activities came from the republic itself, and two (in Estonia and Georgia) where the hostility emanated from the centre. While the history of Soviet cinema is usually written with reference to rather a narrow range of archival documents (particularly, different

variants of the ‘literary scenario’ and shooting script, plus, sometimes, in-studio discussions), consulting the Party record provides illuminating supplementary materials about the labyrinthine processes by which film production was managed after Stalin, the ‘Kremlin censor’, disappeared from the scene.

**სტივენ ლოველი, ქინგს კოლეჯი, ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)
საბჭოთა ერთკან დიდატურიანი არჩევნები: როგორ და რატომ**

The Soviet Union invented and institutionalized a system of single-candidate elections. This practice would have been considered an absurdity in late tsarist Russia, let alone in more liberal political systems. How did single-candidate elections to the newly formed Supreme Soviet come to be in 1937, how did they take place in the annexed Soviet territories of 1940 and 1944 and afterwards? And what can the workings of this peculiar electoral culture tell us about Soviet society and political culture in the 1950s and 1960s? The paper will draw on material from Latvia and elsewhere.

**ტიმოთი ბლაუველტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი / ამერიკული საბჭოები
საერთაშორისო განათლებისათვის
„კლანური“ კონფლიქტი ქართულ და ამიერკავკასიის საიდუმლო პოლიციაში - 1921-1939
წლებში**

Combining published biographical and documentary sources with new archival materials from the Georgian Party and KGB archives, this paper reexamines the intersection of the institutional, individual, and network interest and motivations at play in a series of clashes and confrontations that took place between officials of the Georgian secret police (GruzGPU/NKVD and the Transcaucasian secret police (ZakGPU/NKVD) in the 1920s and 1930s. Its aim is to gain an insight into the workings and internal politics in the security services in the early Soviet periphery in order to better understand the role of informality, networks, and inter-network conflict in the first decades of the Soviet state.

**კონსტანტინ იორდაჩი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი
შედარებითიდან ტრანსნაციონალურ ისტორიამდე: ახალი მიდგომები ცენტრალური და
აღმოსავლეთ ევროპის საერთო ისტორიისადმი**

This paper critically presents new approaches to the shared/entangled history of Central and Eastern Europe. The main emphasis will be on the comparative method and its application to historical research; and on new transnational approaches to the shared/entangled past of Central and Eastern Europe, with a focus on the history of the Balkans and of the Caucasus, as relevant case studies.

დავით ჯიშკარიანი, მაქს ვებერის ფონდის საქართველოს ოფისი
როგორ იქმნებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო სიმონ ჯანაშიას პირადი
არქივის მიხედვით

1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის. ეს იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროექტი და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა, მოსკოვში, კრემლში სტალინთან გააგზავნა წიგნის ეგზემპლარები. ორი წლის შემდეგ, 1945 წლის შემოდგომაზე, იოსებ სტალინმა, შვებულების დროს, წაიკითხა წიგნი და კარგად გაეცნო შინაარსს. მას ჰქონდა „შენიშვნები“ და სთხოვა ჩარკვიანს სახელმძღვანელოს ავტორებთან შეხვედრა.

ამ დისკუსიის მონაწილე ყველა პირმა - კანდიდ ჩარკვიანმა, ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ დატოვეს დოკუმენტები და მემუარები, საუბრისა და განხილული საკითხების შესახებ. ამას გარდა, საქართველოს ეროვნულ არქივში, სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში დაცულია პირადი წერილები, რომელიც აჩვენებს წიგნზე მუშაობის პროცესს, ისტორიკოსთა შორის არსებულ შიშს, კონფლიქტს. სახელმძღვანელოს ნარატივზე გავლენა არამარტო ცენტრალურმა ფიგურა, იოსებ სტალინმა მოახდინა, არამედ რესპუბლიკის მმართველმა კანდიდ ჩარკვიანმაც.

ისტორიკოსები იყვნენ პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ, რომ შეექმნათ იმგვარი ნარატივი, რომელიც ოფიციალურ პოლიტიკასა და პოლიტიკურ აქტორებს დააკმაყოფილებდა. ეს უბიძგებდა მათ მოეძებნათ კომპრომისი პროფესიულ ხარისხსა და პოლიტიკურ მოთხოვნილებას შორის. ეს პროცესი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური ელიტისათვის ისტორიის სახელმძღვანელოს.

I დარბაზი, I სექცია, IV სხდომა

მაკა კვარაცხელია, საქართველოს ეროვნული არქივი
თბილისელების საცხოვრებელი პირობები და კერძო საკუთრების ცნება საბჭოთა
ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის 25 თებერვლიდან, საბინაო საკითხების მოგვარებას ქალაქ თბილისის რევოლუციური კომიტეტი უძრავი ქონების მუნიციპალიზაციის გზით შეუდგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თანმდევი ეკონომიკური კრიზისის, ინფლაციის, ომის და სხვა პირობების ფონზე, ვერ მოახერხა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები ეწარმოებინა დედაქალაქში. შესაბამისად, საბინაო საკითხი თბილისში საკმაოდ დამძიმებული და რთული იყო. საბინაო საკითხები საბჭოთა ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენდა და

პირველი დღიდან თბილისის მთავრობამ ჯერ საბინაო სამეულის, ცოტა ხანში კი საბინაო განყოფილების საშუალებით დაიწყო საკითხის მოგვარება. თბილისის მთავრობასთან არსებული საბინაო განყოფილება, ქალაქის მილიციასთან თანამშრომლობით, ინტენსიურად ახდენდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების რევიზიას მოსახლეობის მჭიდროდ ჩასახლების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, საბინაო განყოფილების და მილიციის დახმარებით ახდენდა ბინების რეკვიზიციას, ჩამორთმევას.

საბჭოთა ხელისუფლების საბინაო პოლიტიკამ პირველ წლებში კიდევ უფრო დაამძიმა და შეიძლება ითქვას, გაუსაძლისი გახადა თბილისელების ყოფა. უმეტეს შემთხვევაში რიგითი მოქალაქის საცხოვრებელი გარემო ელემენტარულ პირობებსაც არ აკმაყოფილებდა. ხელისუფლების მხრიდან უგულვებელყოფილი იყო მოსახლეობის ვედრება, ყველანაირი თხოვნა პირობების შემსუბუქების შესახებ. ეს ყველაფერი მიმდინარეობდა ტოტალური ზედამხედველობის, რეპრესიების, დაბეზღებისა თუ დაშინების ფონზე. ერთნაირად უსამართლო იყო საბჭოთა ხელისუფლება თბილისელი მოსახლეობის, სასტუმროების მეპატრონეების, მეწარმეების, ვაჭრების მიმართ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ ხელისუფლების ჩინოვნიკები და თანამებრძოლი „ამხანაგები“.

თემის ქრონოლოგიური ჩარჩოა 1921 წლის 25 თებერვლიდან საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე აქტიური რეპრესიების პერიოდამდე, 1937-1938 წლებამდე, რაც მოსახლეობის თემაში ასახული დამძიმებული საცხოვრებელი პირობებისა და მრავალი უსამართლობის ფონზე კიდევ უფრო ამძაფრებს ახალი რეპრესიების ტალღის მოლოდინს.

თემა „თბილისელების საცხოვრებელი პირობები და კერძო საკუთრების ცნება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში“ მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში საინტერესოა და აქტუალური, ვინაიდან წარმოადგენს თბილისის განვითარების ისტორიაში გარდამავალ ეტაპს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისგან განსხვავებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე კარდინალურად იცვლება ხელისუფლების დამოკიდებულება კერძო საკუთრების, ქონების, თბილისელების საცხოვრებელი პირობების მიმართ. მოცემული პერიოდი 40-50-იანი წლების აქტიური საბინაო მშენებლობების კამპანიის წამოწყებამდე დედაქალაქში, შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე რთულ, მოსახლეობისთვის გაუსაძლის და მთავრობის მხრიდან თბილისელების მიმართ უსამართლო დამოკიდებულების პერიოდად. თემაში გამოყენებულია თბილისელების დღემდე უცნობი წერილები, თავმოყრილია თბილისის მთავრობის ყველა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ასახავს საბინაო და კერძო საკუთრების შესახებ საკითხებს. საბოლოო ჯამში თემა გვაძლევს ერთიან სურათს საბჭოთა ხელისუფლების საბინაო პოლიტიკის შესახებ. თემა აქტუალობის მიუხედავად საფუძვლიანად ნაკვლევია არ არის. ვერ მოვიპოვე კვლევა, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია საბჭოთა პერიოდის საბინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

თემაში გამოყენებულია თბილისის ცენტრალურ არქივსა და უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივებში დაცული დოკუმენტები, რაც თავისი მოცულობიდან, მრავალფეროვნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე ნათელ სურათს გვაძლევს საბჭოთა ხელისუფლების საბინაო პოლიტიკის შესახებ. თემაში დაპირისპირებულია, ერთის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან საბინაო საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული ინსტიტუციური

ცვლილებები, რეორგანიზაციები, გადაწყვეტილებები, მეორეს მხრივ, რიგითი მოქალაქეების, სასტუმროების მეპატრონეების, მოვაჭრეების, მეწარმეების წერილები ხელისუფლებისადმი თავიანთი ყოფის შესახებ. კვლევის ამ ხერხით ვიღებთ ერთიან სოციალურ სურათს, რაც გვაძლევს სიტუაციის, ხელისუფლების მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულების ანალიზის და შეფასების საშუალებას. საარქივო დოკუმენტების თავმოყრა და ანალიზი თბილისის მაგალითზე კი რეალურ სურათს გვაძლევს ქვეყანაში მიმდინარე საბინაო პოლიტიკის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების მიდგომა და განხორციელებული ქმედებები საბინაო საკითხების მაგალითზე, გამოხატავს საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას საზოგადოების მიმართ და პრობლემების მოგვარების მათეულ ხედვას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ თემიდან ვიღებთ პასუხებს ძველ თბილისში შემორჩენილი ზოგიერთი თავისებურებისა და საცხოვრებელი სახლების იერსახის შესახებ.

თემა „თბილისელების საცხოვრებელი პირობები და კერძო საკუთრების ცნება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში“ საინტერესო იქნება ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელთა ოჯახებს/წინაპრებს შეეხოთ ქვეყანაში განხორციელებული საბინაო პოლიტიკა.

თეა ქიმერიძე, საქართველოს ეროვნული არქივი
კარიკატურა, როგორც პროპაგანდის სადამსჯელო იარაღი 1921-1924 წლების ქართულ
ბოლშევიკურ პრესაში

საკვლევი თემა: 1921-1924 წლებში, ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში, ქართულ პერიოდულ პრესაში კარიკატურის სახეცვლილება.

აქტუალობა: 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ რადიკალურად შეცვალა როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება. რასაკვირველია, წნეხის ქვეშ მოექცა ე. წ. „მეოთხე ხელისუფლება“ - პრესა.

ბოლშევიკურმა პროპაგანდამ პერიოდული პრესის კარიკატურას გამოაცალა მისი ძირითადი და მიმზიდველი ნაწილი - იუმორი და დეზინფორმაციაზე აგებული, ცინიზმითა და სიძულვილით გაჟღენთილ გამომსახველობით საშუალებად გადააქცია.

1900-1910-იანი წლების ცნობილი კარიკატურების ტიპებიდან მხოლოდ რამდენიმე მოერგო ახალ რეალობას, რომელიც მათგან მოითხოვდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე ხელისუფლების მხარდამჭერი შინაარსის კარიკატურების შექმნას, არამედ უპირისპირდებოდა საზოგადოების მნიშვნელოვან საყრდენებს - რელიგიას, კულტურას. მაგალითად, „ახალგაზრდა კომუნისტი“ აფეთქებს ღმერთს და თავად იკავებს მის ადგილს. კარიკატურების შინაარსი გვაჩვენებს, რომ მის მიზნად გადაიქცა კონკრეტული ადამიანების „გაშავება“. განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ მოექცნენ სასულიერო პირები.

პრობლემა: კვლევა გამოკვეთს კარიკატურის, როგორც სახვითი ხელოვნების მანამდე პოპულარული მიმართულების, დაკნინების მიზეზებსა და შედეგებს. საქართველოში სახვითი ხელოვნების ამ დარგის სახეცვლილება ნაკარნახევი იყო ბოლშევიკური რუსეთის პრესის „გამოცდილებით“.

მეთოდი: მასალის თავმოყრა, თემატურად დალაგება, გაანალიზება და დასკვნების გამოტანა.
დასკვნა: XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პრესაში პოპულარული ჟანრი - კარიკატურა - ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში პროპაგანდის იარაღად გადაიქცა, რამაც სახვითი ხელოვნების ამ დარგს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

ქრისტინე დარჩია, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

1960-1970-იანი წლების ქართული კარიკატურა

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან, უფრო კი 1930-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ოფიციალურად იქმნება და მუშავდება სოციალისტური რეალიზმის სტილი, პირველ რიგში კი იდეოლოგია, სახელოვნებო პროცესები ქვეყანაში მართული ხდება. ამ დროს წინა პლანზე მოიწევს კარიკატურის აგიტაციური შესაძლებლობები. კარიკატურა ხდება პროპაგანდის მძლავრი იარაღი საზოგადოების აზრისა და პოზიციის მართვა-ფორმირებისთვის, საკუთარი უძლევლობისა და მოწინააღმდეგის სისუსტის წარმოსაჩენად თუ საზოგადოდ, მტრის ხატის შესაქმნელად ადამიანთა ცნობიერებაში. პროპაგანდისტული დაკვეთის იძულებისა და შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვის პირობებში მხატვრები, ცხადია, განსაკუთრებული სირთულეების წინაშე იდგნენ.

1960-1970-იან წლებში მდგომარეობა, ამ თვალსაზრისით, თანდათან იცვლება. ტოტალიტარული რეჟიმის შერბილების ხანაში მეტი თავისუფლება მიეცა სახვით ხელოვნებასაც, რაც თემატური დიაპაზონის გაფართოებითა და მხატვრული ამოცანებისადმი შედარებით უფრო თამამი ინტერესით გამოიხატა კარიკატურის ჟანრშიც. ამ პერიოდში იკვეთება კარიკატურის, როგორც საკმაოდ წინააღმდეგობრივი მხატვრული ფენომენის შესაძლებლობები. შეიძლება ითქვას, რომ კარიკატურას ამ დროს ორგვარი დატვირთვა აქვს, ერთი მხრივ, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, საზოგადოდ ეპოქისა თუ კონკრეტული ავტორის მსოფლმხედველობრივი პოზიციის, მხატვრული გემოვნებისა და შემოქმედებითი პოტენციალის გამომხატველს, მეორე მხრივ, კი როგორც ისტორიულ წყაროს, რომელიც მხატვრობის სხვა ჟანრებთან შედარებით, როგორც წესი, გაცილებით უფრო მძაფრად გვიხატავს შესაბამისი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

**ქეთევან მანია, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი
საბჭოური პროპაგანდა და ქართული ბეჭდური მედია
(საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები)**

საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების განმტკიცების შემდგომ, ხელისუფლების დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებისა და აგიტაცია-პროპაგანდის საკითხი. აღნიშნული მიმართულებით წარმართული საქმიანობა თვალსაჩინოდ აისახა ქართულ ბეჭდურ მედიაში. ნაშრომში ქართულ ბეჭდურ მედიაზე დაკვირვებით წარმოდგენილია საბჭოთა ხელისუფლების კულტურული რევოლუციისკენ მიმართული კონკრეტული ღონისძიებები: განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გაზეთების იდეოლოგიუზებას, მათი გავრცელების საქმეს და წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას იდეოლოგიის სათანადო ცირკულაციისთვის ფართო მასებში.

პოლიტიკური ცოდნის გაღრმავების მიზნით იხსნება სპეციალური კურსები, იწყება მასწავლებლების გადამზადება, ზრუნვა სკოლის საჭიროებებზე – სასწავლო ნივთებზე, სახელმძღვანელოებზე (იცვლება წიგნების იდეურ-პედაგოგიური შინაარსი), მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული მიმართულებით წარმართული საქმიანობა ინტენსიურად შუქდებოდა პრესის ფურცლებზე.

განათლების სფეროში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიება: სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგეების თათბირები და განათლების სახალხო კომისარიატის სხდომები, რომლებზეც მსჯელობდნენ პარტიული სკოლების, პოლიტწრეების, პოლიტსკოლების მუშაობის გაუმჯობესების გზებზე. განათლების მუშაკთა ყრილობებს ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები და ხდებოდა აზრების გაზიარება, ყრილობა წარმოაჩენდა სწავლა-განათლების მდგომარეობის ნამდვილ სურათს დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ისახებოდა სამომავლო გზები განათლების საქმის უკეთ წარსამართავად.

ამდენად, ქართულ ბეჭდურ მედიაზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ პრესამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იდეოლოგიურად შეიარაღებული საბჭოთა მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

**ეთერ ბოკელავაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პროპაგანდა ვიზუალური წყაროების (პოსტერები)
მიხედვით (XX ს-ის 70-80-იანი წწ.)**

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე დასავლურ, რუსულ და ქართულ სამეცნიერო სივრცეში. გამოქვეყნებულ ნაშრომთა დიდი ნაწილი უმეტესად წერილობით წყაროებზე დაფუძნებითაა შექმნილი და სიღრმისეულად წარმოაჩენს საბჭოთა სახელმწიფოში არსებული რელიგიური თემებისა თუ ორგანიზაციების მდგომარეობას. დასავლურ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით, ასევე, მოცემული საკითხის ვიზუალურ წყაროებზე დაყრდნობით შესწავლის მცდელობებსაც. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად აქვს ადგილი ჩვენ მიერ

შერჩეული საკვლევი პერიოდის როგორც საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის, ისე ანტირელიგიური ვიზუალური წყაროების კვლევას.

აღსანიშნავია ის, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ), მიუხედავად ოფიციალური ათეისტური იდეოლოგიისა, რელიგიური თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. მასში მოღვაწეობდნენ როგორც ქრისტიანები (მართლმადიდებლები, კათოლიკეები, პროტესტანტები, ცალკეული სექტები), ისე მუსლიმები, იუდაისტები და სხვა. ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკაც თითოეული კონფესიის ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით განისაზღვრებოდა და მექანიზმებიც შესაბამისად იგეგმებოდა.

ჩვენ არაერთი ნაშრომი მივუძღვევით საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლას XX ს-ის 70-80-იან წლებში. თუმცა, ნაშრომთა წყარომცოდნეობით ბაზას, ძირითადად, წერილობითი (გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტები, ნარატიული ტექსტები, წერილები, პრესის მასალები და სხვა) და ვერბალური (ინტერვიუები) წყაროები წარმოადგენდა. ვიზუალურ წყაროებს რაც შეეხება, შესწავლილი გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ამსახველი ფოტოდოკუმენტები. ამჯერად კი ჩვენი კვლევის ობიექტია საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის პოსტერები, რომლებიც აქტიურად ქვეყნდებოდა საბჭოთა სახელმწიფოში გამოცემულ ბეჭდვით ორგანოებში. ნიშანდობლივია ის, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმს წარმოადგენდა, ათეისტური განათლების, მასმედიის, ხელოვნების, ათეისტური კლუბებისა და ანტირელიგიური მუზეუმების გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ანტირელიგიური პოსტერები. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის შემდეგ საბჭოთა ადმინისტრაციის მიერ ლეონიდ ბრეჟნევის, იური ანდროპოვის, კონსტანტინ ჩერნენკოსა და მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში შემუშავებული კურსი გაცილებით უფრო დახვეწილი სტრატეგიით, მიზნად ისახავდა საბჭოთა ადამიანის ცნობიერებიდან რელიგიის, როგორც მისი პროგრესული განვითარების შემაფერხებელი ფაქტორის ნაკლებად მტკივნეული გზებით აღმოფხვრას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გულისხმობდა რელიგიის წინაღმდეგ ბრძოლას არა მორწმუნეთა ფიზიკური ლიკვიდაციით, არამედ ანტირელიგიური პროპაგანდისა და ათეისტური განათლების გაძლიერებით, რომელსაც საბოლოოდ სოციალისტური იდეებით განმსჭვალული, რელიგიური გრძნობებისგან თუ აზროვნებისგან სრულიად დაცლილი საბჭოთა ადამიანი უნდა ჩამოეყალიბებინა. ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის კონკრეტული ასპექტის - ანტირელიგიური პროპაგანდის ვიზუალური წყაროების მემკვიდრეობით წარმოჩენა და შეფასებაა. რაც ქართულ სამეცნიერო სივრცეში ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს. ნაშრომში განხილული გვაქვს საბჭოთა კავშირში მოქმედ პრესაში გამოქვეყნებული პლაკატები/პოსტერები, მათი დანიშნულება და როლი საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის ისტორიაში. კვლევის მეთოდოლოგიის კუთხით, ნაშრომი ეყრდნობა ისტორიულ-შემეცნებითი, ისტორიულ-ტიპოლოგიური, კონტენტ-ანალიზის და სისტემური კვლევის მეთოდებს,

რომლებიც საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროების მრავალმხრივი კომპლექსური შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს პირობითად შემდეგ მიმართულებებად ვყოფთ:

ა) XX ს-ის 70-80-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მათი განხორციელების მეთოდები;

ბ) ანტირელიგიური პროპაგანდა, როგორც საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია;

გ) ანტირელიგიური პოსტერები, როგორც ანტირელიგიური პროპაგანდის მძლავრი მექანიზმი.

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ბუნებრივია, ჩვენს ნაშრომს არ აქვს საკითხის ამოწურვის პრეტენზია, თუმცა, ვფიქრობთ, იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა წარსულის, რელიგიური პოლიტიკისა თუ ეკლესიის ისტორიის მიმართულებით კვლევათა შემდგომ განვითარებას.

ნინო ქოთოლაშვილი, ევროპული სკოლა

პოლიტიკური მემკვიდრეობის კრიზისი 1972 წელს: ჩრდილოვანი ეკონომიკის არაფორმალური პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში

საკითხი საქართველოს საბჭოთა ისტორიის 1965-1985 წლების პერიოდს მოიცავს და განიხილავს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და არაფორმალური პოლიტიკური დაპირისპირებების პროცესებს. თემა აქტუალურია, რადგან რეკონსტრუქციას ახდენს საბჭოთა საქართველოს ისტორიის იმ პერიოდის, რომელზეც საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევები არ ჩატარებულა და ავსებს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ დანაკლისს.

1972 წლის 24 თებერვალს გაზეთ „პრავდაში“ საჯაროდ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სახელწოდებით „სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის პარტიული კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. დადგენილებაში რამდენჯერმე იყო ნახსენები ტერმინები „ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი“. დადგენილების ადრესატი მთლიანად რესპუბლიკის ხელისუფლება იყო, რომელსაც აღარ შეეძლო ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მისაღებ ნორმებში კონტროლი. მოსკოვში არსებობდა რწმენა, რომ თუ იდეოლოგიურად ჭეშმარიტი და პრინციპული კომუნისტები მოვიდოდნენ ხელისუფლებაში „სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს“ ბოლო მოეღებოდა. დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ აშკარა გახდა, რომ მოსკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა ვასილ მუჟანაძის შეცვლა. პოლიტიკური მემკვიდრეობის კრიზისის პროცესში არსებობდა ცკ-ს მდივნობის რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. იგი შსს მინისტრის პოსტზე ყოფნის განმავლობაში უკომპრომისოდ იბრძოდა მექრთამეობისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რითიც მოსკოვში პოტენციური

პატრონების მხარდაჭერა დაიშინა. 1972 წლის 29 სექტემბერს, მჟავანაძის მცდელობის მიუხედავად თავისი რჩეულის როინ მეტრეველისთვის გადაეხარებინა ცკ-ს პირველი მდივნის პოსტი, ედუარდ შევარდნაძე გახდა რესპუბლიკის პირველი პირი. ის ცკ-ს პირველ მდივნად დაინიშნა რესპუბლიკაში ეკონომიკისა და იდეოლოგიურ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. ედუარდ შევარდნაძის 13-წლიანი მმართველობისას კორუფციამ გაქრობის ნაცვლად უპრეცედენტო მაჩვენებლებს მიაღწია, რასთან ერთადაც რესპუბლიკაში ნაციონალიზმიც იზრდებოდა.

საბჭოთა კავშირის რეჟიმის პოსტ-სტალინურმა ლიბერალიზაციამ 1950-1970-იან წლებში უნებურად რესპუბლიკის ადგილობრივ ელიტურ დაჯგუფებებს შორის პოლიტიკური კონკურენციის სივრცე გააჩინა. საკითხი განიხილავს კონკრეტულად საქართველოს სსრ-ში როგორ წარმართა ქართული ელიტური ჯგუფების პოლიტიკური დაპირისპირება არაფორმალური ეკონომიკური სფეროსა და ნაციონალიზმის დისკურსში. აღნიშნული კვლევა წარმოებულია თვისობრივი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც მოიცავს საარქივო მასალების კვლევის, სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერვიუს კონტენტ ანალიზის მეთოდს.

კვლევამ აჩვენა, რომ საბჭოთა სისტემაში ეკონომიკური და სოციალური პრივილეგიების მიღწევის მთავარ საშუალებას პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება წარმოადგენდა. სისტემას პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების დადგენილი პროცედურები არ გააჩნდა, რის გამოც ლიდერებს შორის არაფორმალური დაპირისპირება პოლიტიკური ინტრიგების გამოყენებით, ძალაუფლების მოპოვების საშუალებად იქცა. საბჭოთა სისტემის რეპრესიული ბუნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ლიდერები, ძალაუფლებისთვის ბრძოლის მუდმივი კონკურენციის გამო, უსაფრთხოებისთვის იძულებულნი იყვნენ შეექმნათ კლანები. პოლიტიკური კონკურენცია მუდმივად კლანების ფორმირებისა და მათი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ბრალდება, იმის მიუხედავად, რომ მასში საზოგადოების ყველა რგოლი რაღაც დონეზე ჩართული იყო, დამაჯერებელ ქვეტექსტად იქცა პოლიტიკური ოპონენტების ძველი კლანის წარმომადგენლების ჩამოშორების პროცესში.

ედუარდ შევარდნაძემ 1965 წლიდან 1972 წლამდე ანტიკორუფციული კამპანიის გამოყენებით, ადგილზე თავისი კლიენტების გაჩენითა და მოსკოვში პატრონების დახმარებით, შეძლო საკუთარი კლანის ფორმირება. შევარდნაძის გარშემო ფორმირებულ ფრაქციას, მჟავანაძის კლანის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი და ცკ-ს მდივანი შოთა ჭანუყვაძეც შეუერთდნენ. შევარდნაძის ფრაქცია კორუფციაში მხილებით დაუპირისპირდა მჟავანაძის კლანს, რამაც 1972 წლისთვის გამოიწვია მჟავანაძის პოლიტიკური მემკვიდრეობის კრიზისი. პოლიტიკური მემკვიდრეობის კრიზისას მჟავანაძემ მოსკოვში თავისი ერთგული პატრონის ლეონიდ ბრეჟნევის მხარდეჭერის მიუხედავად, ვერ შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება. მჟავანაძეს რეპუტაცია იმდენად შეეღაზა, რომ მემკვიდრედ ვერც თავისი რჩეული - როინ მეტრეველი დატოვა. ცკ-ს მდივნობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა შოთა ჭანუყვაძემ ვერ მოახერხა ძალაუფლების გადახარება, რადგან მას შესაბამისი პატრონი არ აღმოაჩნდა მოსკოვში. მიხეილ გოგიჩაიშვილის პატრონმა, ცკ-ს ერთ-ერთმა მდივანმა მიხეილ

სუსლოვმა, ბრეჟნევიზე ისეთი გავლენის მოხდენა ვერ შეძლო, როგორც ეს შევარდნაძის პატრონებმა ნიკოლაი შჩელოკოვმა და იური ანდროპოვმა მოახერხეს. ედუარდ შევარდნაძე აღმოჩნდა ის კანდიდატურა, რომელმაც მოსკოვში ძლიერი პატრონების საშუალებით მოახერხა ცკ-ს მდივნის პოსტის გადაბარება. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა ახალი პატრონ-კლიენტური ჯაჭვის ფორმირებით დასრულდა. ახალმა ლიდერმა მჭავანაძის კლანის ყველა მნიშვნელოვანი ფიგურა კორუფციის ბრალდებით ჩამოიშორა, გარდა უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის ალექსი ინაურისა, რომელზეც უბრალოდ კომპრომატები ვერ მოიპოვა.

I დარბაზი, I სექცია, V სხდომა

ლელა სარალიძე, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და ევროპული ღირებულებები

საკვლევი თემა ეხება კერძოდ, 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სამშობლოდან ემიგრაციაში იძულებით გადახვეწილი ქართველი მეცნიერების და პოლიტიკოსების მოღვაწეობას, რომლებიც ევროპული ღირებულებების შესწავლა-დამკვიდრებისთვის, რკინის ფარდის მიღმა აქტიურად იბრძოდნენ. მათ ბოლშევიკური უღლის ქვეშ მყოფი საქართველოს სატკივარი აქტიურად გაჰქონდათ ევროპაში, რათა მსოფლიო საზოგადოებისთვის მიეწვდინათ ხმა ერთიან ევროპულ ოჯახში საქართველოს გაერთიანების სურვილის შესახებ. ხანგრძლივი ემიგრაციით გამოწვეული ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, უცხოეთში მოღვაწე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, საგარეო ორიენტაციის საკითხში ერთიანნი იყვნენ. ისინი ევროპის გზას ირჩევდნენ, რაც ევროპულ ცივილიზაციასთან საქართველოს ისტორიული კავშირით იყო განპირობებული. ნაშრომში განხილულია „ქართულ ევროპიული მოძრაობის“ (1952 წ.) ისტორია.

თემის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს დღევანდელი რეალობა - ევროგაერთიანებისკენ სწრაფვა, რაშიც წარსული ისტორიული გამოცდილების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სტატიაში დასმული **პრობლემა** ეხება ევროინტეგრაციის, ევროპული ღირებულებების დამკვიდრებისთვის ბრძოლის მეცნიერულ ანალიზს, ევროინტეგრაციის იდეების დამუშავების საქმეში, ქართველი ემიგრანტი მეცნიერების და პოლიტიკოსების მოკრძალებულ წვლილის შესწავლას.

სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად, გამოყენებულია შემდეგი **კვლევის მეთოდები**: ისტორიულ-შედარებითი, სინთეზური მეთოდები, წყაროთა კრიტიკული ანალიზი.

დასკვნა: საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება, როგორც საკითხით დაინტერესებული მკვლევარების, ასევე, პოლიტიკოსების, დიპლომატების, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტებისთვის. ახალ საარქივო

დოკუმენტებზე დაყრდნობით შესრულებული კვლევის შედეგად რეალურ სურათს მივიღებთ ქართველი ემიგრანტების ევროპული ღირებულებებისთვის ბრძოლის ისტორიაზე.

**გიგი გიოშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მზადება 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებისთვის**

არჩევნები ყოველთვის მიიჩნევა მოსახლეობის ნების გამომხატველ ყველაზე სამართლებრივ და კანონიერ გზად. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მმართველობის პროცესში. ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების შეცვლის, ახალი გარდაქმნებისა თუ ცვლილებების განსახორციელებლად სწორედ არჩევნებია მიჩნეული, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების კანონმდებლობით მინიჭებული უფლება, განურჩევლად მისი შეხედულებებისა, მრწამსისა, რელიგიისა, სქესისა თუ კანის ფერისა.

1991-1992 წლების მიჯნაზე სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაემხო საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლება. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. სახელმწიფო გადატრიალების გამო ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება 5 წლით არჩეულ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, უზენაეს საბჭოს. მცდელობების მიუხედავად, კვორუმის არარსებობის გამო, ახალმა მმართველობამ ვერ მოახერხა უზენაესი საბჭოს შეკრება და ძალაუფლების ამ გზით გადაფორმება. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი არჩევნების ჩატარების საკითხი. შემდეგ იყო სამხედრო საბჭო, ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება და სახელმწიფო საბჭოს ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელის მმართველობის პირობებში დაინიშნა საკანონმდებლო ორგანოს ვადამდელი არჩევნები.

ჯერ კიდევ პრეზიდენტ გამსახურდიას თბილისში ყოფნისას, 5 იანვარს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ მშვიდობის დამყარების შემთხვევაში აპრილის დასაწყისში ჩატარდებოდა საყოველთაო არჩევნები. ახალი საპარლამენტო არჩევნების თარიღის გამოცხადებას ემხრობოდა სახალხო ფრონტი. 9 იანვრის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ის უნდა გაიმართოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის მაისისა და მისი უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს მაქსიმუმ 3 წლით. იურიდიული თვალსაზრისით ფრონტს მიზანშეწონილად მიაჩნდა ახალი პარლამენტის არჩევამდე უზენაესი საბჭოს შენარჩუნება. ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოვლის შემდეგ სამხედრო საბჭო გარდაიქმნა სახელმწიფო საბჭოდ, რომლის თავმჯდომარეც სწორედ შევარდნაძე გახდა. საბჭომ განიხილა არჩევნების დებულების პროექტი და განსაზღვრა, რომ ახალი პარლამენტის არჩევა სამი წლის ვადით მომხდარიყო. 30 აპრილის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე განისაზღვრა პარლამენტის არჩევნების თარიღი - 11 ოქტომბერი. ზაფხულისთვის დადგინდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა: თავმჯდომარე მერაბ ალექსიძე, მოადგილე გიორგი ზესაშვილი,

მდივანი ნუგზარ სხირტლაძე და წევრებად 40 ადამიანი. 1 ივლისისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა 44 პარტიამ.

1992 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ჩატარებული საკანონმდებლო ორგანოს პირველი არჩევნები, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი, რომელმაც მიიღო კონსტიტუცია. საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. საინტერესოა როგორ მზადდებოდა 1992 წლის არჩევნები, საარქივო დოკუმენტების, პერიოდული პრესისა და მემუარული ჟანრის ლიტერატურის დახმარებით ქრონოლოგიურად წარმოვადგენთ ახალი მმართველობის, პოლიტიკური სპექტრის მიერ განხილულ ვერსიებს არჩევნების დროსთან, ჩატარების ფორმასთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ ის პოლიტიკური გარემო, რომელმაც მიგვიყვანა 1992 წლის არჩევნებამდე. რა საფრთხეები არსებობდა არჩევნების ჩაშლის ან ჩაუტარებლობის შემთხვევაში, როგორ მიმდინარეობდა საარჩევნო კანონზე მუშაობის პროცესი. შევეცდები ქრონოლოგიურად გავყვე გადატრიალების შემდეგ არსებული მოვლენების ანალიზს და ნათელი მოვფინო 1992 წლის არჩევნების მზადების პროცესებს.

1992 წლის არჩევნებთან დაკავშირებით არ არის შექმნილი სრულფასოვანი სამეცნიერო გამოკვლევა. ის საარქივო დოკუმენტი, რომელიც მოხსენებაში გვაქვს განხილული, პირველად გამოდის დღის შუქზე. ჩვენ განვიხილავთ სამხედრო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ არჩევნებთან დაკავშირებულ ოფიციალურ დადგენილებებსა და სტენოგრაფიულ ჩანაწერებს. თავის მხრივ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა განეკუთვნება ისტორიული წყაროს, რომელიც კვლევის პროცესში კრიტიკულად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ. დროის დინამიკაში ისტორიული მოვლენების შესასწავლად კი მივმართეთ ისტორიზმის პრინციპს. ამ ყოველივემ კი შესაძლებლობა მოგვცა დავკვირვებოდით ისტორიული მოვლენების განვითარებას მისი საწყისიდან და დაგვეჩვენა მიმართება სხვა პროცესებთან. წინამდებარე მოხსენება 1992 წლის არჩევნებისთვის მზადების მეცნიერულად შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

არჩევნებამდე მწვავედ იდგა დროებითი მმართველობის ლეგიტიმაციის საკითხი. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების გამართვა. არჩევნებამდე ქვეყანა მივიდა სრული ქაოსის, განუკითხაობის, დაბნეულობის ატმოსფეროში. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა არჩევნებისაგან. მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნებისთვის არსებობდა სხვადასხვა ოლქი. ხმის მიცემა მრავალმანდატიან ოლქებში ჩატარდა პრეფერენციის წესის მიხედვით, ამომრჩეველს შეეძლო ხმის მიცემა ათზე მეტი საარჩევნო სუბიექტისთვის მათთვის უპირატესობების მინიჭებით.

გიორგი ბუცხრიკიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

UNPO-ს (არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაცია) სადამკვირვებლო მისიები
აფხაზეთში

„UNPO“ (Unpresented Nations & Peoples Organization) - “არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაციამ“ ჩამოყალიბება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს იმ ერებსა და ხალხებს, რომლებიც არ არის აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ და არ არიან წარმოდგენილი გაეროში. შესაბამისად, ასეთი სუბიექტების მონაწილეობა საერთაშორისო პროცესებში მინიმალურია. ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა 1991 წლის თებერვალში, ჰააგის მშვიდობის სასახლეში. დამფუძნებლებს შორის იყო საქართველოს რესპუბლიკაც, რომელსაც ორგანიზაციის წევრის სტატუსი ჰქონდა 1991 წლის 11 თებერვლიდან 1992 წლის 31 ივლისამდე, ვიდრე საქართველო არ გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, რომელში გაწევრიანებაც მთავარი მიზეზია სუბიექტისათვის UNPO-ს წევრის სტატუსის შეწყვეტისა. საქართველოდან აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. რაც შეეხება აფხაზურ მხარეს, იგი აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანდა 1992 წლის 6 აგვისტოს, რომელთან თანამშრომლობასაც ახორციელებს ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო.

აფხაზეთის ომი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და გარდამტეხი ეპიზოდია. აღნიშნულმა კონფლიქტმა, რომელიც ინსპირირებული იყო ჯერ საბჭოთა ხელისუფლების, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის მიერ, ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს დიდი დარტყმა მიაყენა როგორც ადამიანური მსხვერპლის, ისე ეკონომიკის კუთხით. კონფლიქტს შეეწირა ოცდაათათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე, დაახლოებით სამასი ათასი კი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. დიდი იყო მსხვერპლი აფხაზურ მშვიდობიან მოსახლეობაშიც. რუსეთის ხელისუფლების მიერ წახალისებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა ეთნიკური ქართველების მიმართ ფაქტობრივად განახორციელეს გენოციდი.

დღეს, ჩვენი ქვეყანა აქტიურად ისწრაფვის დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ, აქვს სხვადასხვა სახის პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სხვა ურთიერთობები, ევროპულ ქვეყნებთან. ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ ინფორმაციას იღებდა დასავლური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრი საქართველოში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ მაშინ, როდესაც რუსული მხარე მას წარმოადგენდა, როგორც ეთნოკონფლიქტს და ბრალს სდებდა ქართულ სახელმწიფოს აფხაზთა წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობაში.

UNPO-ს ორგანიზაციამ 1992 წელს ორი მისია განახორციელა საქართველოში: პირველი - 1992 წლის ივლისში ომის დაწყებამდე, მეორე კი იმავე წლის ნოემბერში, ქართველთა გაგრძელებული მომხდარი გენოციდისა და 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმების დარღვევის შემდეგ. პირველ მისიას პირადად ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხაელ ვან ვულტ ვან პრააგი, რომელიც აფხაზეთში ჩავიდა და რომელიც საქართველოში ჩამოვიდა აფხაზ

სეპარატისტთა ლიდერის, ვლადისლავ არძინბას, მოწვევით. ის სოხუმში შეხვდა აფხაზ და ქართველ დეპუტატებს. მეორე მისიის დროს შეხვედრა ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესა და ქვეყნის ფაქტობრივ მეთაურთან, ედუარდ შევარდნაძესთან. ორივე ვიზიტის შემდეგ მომზადდა შესაბამისი მოხსენებები, რომლებიც ცალმხრივია და, ფაქტობრივად, აღნიშნულ დაპირისპირებაში ბრალს სდებენ ქართულ მხარეს. ამ დოკუმენტებს, რომლებიც განთავსებულია ამავე ორგანიზაციის ვებგვერდზე, აქტიურად იყენებს როგორც აფხაზური მხარე პროპაგანდისტული მიზნებისთვის, ასევე ანტიქართული პოზიციების მქონე უცხოელი მკვლევარები.

პირველი მოხსენება უშუალოდ 1992 წლის პერიოდს უკავშირდება, ხოლო მეორეში უკვე ასახულია ომის მიმდინარეობა და შემდეგ არსებული ვითარება. ფაქტობრივად, უარყოფილია ქართველთა გენოციდი, მინიმალურად არის აღნიშნული ქართული მხარისადმი მიყენებული ზიანი და მსხვერპლად, ძირითადად, გამოყვანილია აფხაზური მხარე. ასევე მიკერძოებულად არის გაშუქებული კონფლიქტამდე არსებული ისტორიული რეალობა.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ომის თემატიკაზე როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში მრავალფეროვანი სამეცნიერო თუ მემუარული ლიტერატურა არსებობს, ჩვენი ნაშრომი UNPO-ს მოხსენებების, როგორც ისტორიული წყაროს და ამასთან ქართული მხარისადმი დამაზიანებელი და სუბიექტური დასკვნების კვლევის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ კრიტიკული მეთოდი და, შესაბამისად, კრიტიკულად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ წყარო. ხოლო ისტორიული მოვლენების დროის დინამიკაში შესასწავლად მივმართეთ ისტორიზმის პრინციპს, რომელიც საშუალებას გვამძლევს დავაკვირდეთ ისტორიული მოვლენების განვითარებას მისი საწყისიდან და დავინახოთ მიმართება სხვა პროცესებთან.

გამომდინარე იქიდან, რომ ვიკვლევთ უახლესი ისტორიის მოვლენებთან დაკავშირებულ მასალებს, უნდა შეგვესწავლა როგორც ოფიციალური დოკუმენტები, მოხსენებები, ასევე ქართული და უცხოური პრესა, სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურა და საარქივო მასალები. UNPO-ს რეპორტები შევადარეთ გაეროს, ეუთოს და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებს. კვლევის პროცესში დავამუშავეთ მოხსენებები და ზემოთ აღნიშნული მასალების გამოყენებით შევეცადეთ თითოეული დასმული პრობლემის და, მათ შორის, ქართული მხარის მიმართ გამოთქმული ბრალდებებისადმი გამოგვეკვეთა არგუმენტირებული გადაჭრის მეთოდები.

ზაზა ქარჩავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანტიკური ისტორიის საკითხები საბჭოთა პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში

სტატიის განსახილველ ძირითად თემას წარმოადგენს ანტიკური ისტორიის საკითხები, საბჭოთა პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში. ნაშრომში დეტალურადაა განხილული საბჭოთა პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებში ანტიკური ისტორიის სწავლების საკითხები.

სტატია ინტერდისპლინარული ხასიათისაა, მასში გაერთიანებულია პედაგოგიკისა და ისტორიოგრაფიის აქტუალური საკითხები. სახელმძღვანელოთა კვლევა თანამედროვე ისტორიოგრაფიის აქტუალურ თემას წარმოადგენს, რადგანაც სახელმძღვანელო განსაკუთრებული ტიპის ისტორიული წყაროა და მასში კარგად ჩანს როგორც ისტორიოგრაფიული ტენდენციები, ასევე ისტორიული და კულტურული ფონი. სახელმძღვანელო ერთგვარი პროპაგანდის საშუალებაა და მას ეს დატვირთვა კიდევ უფრო მკვეთრად აქვს გამოკვეთილი ტოტალიტარულ რეჟიმებში.

ნაშრომის ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია ისტორიის სახელმძღვანელოს, როგორც პროპაგანდის იარაღის გამოყენებასთან ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ისეთი ეპოქის განხილვა, რომელიც რამდენიმე ათასწლეულით არის დაშორებული საბჭოთა ეპოქისგან. ძირითად პრობლემასთან შესაბამისობაშია ფორმულირებული საკვლევი შეკითხვები: როგორ აისახებოდა საბჭოთა სამეცნიერო საზოგადოებაზე ტოტალიტარულ სახელმწიფოში გაბატონებული ერთი მარქსისტული თეორია და მისი ლენინურ-სტალინური ვარიაციები? რა გავლენას ახდენდა საბჭოთა კონიუნქტურა ისეთ დაშორებულ ეპოქაზეც კი, როგორც ანტიკური ისტორია? რამდენად ითვალისწინებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებს ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით? როგორ აისახებოდა პოლიტიკური ელიტის ცვლილება საბჭოთა კავშირში ძველი ისტორიის სწავლებაზე?

ნაშრომში გამოყენებულია ისტორიოგრაფიული კვლევა-ძიების მეთოდი. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნაშრომი ისტორიული შემეცნების მეთოდს ეფუძნება. საკვლევ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია ჰერმენევტიკული ანალიზი, დისკურსის ანალიზი და კომპარატივისტული კვლევა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იდეოლოგიური დოგმებისაგან ყველაზე თავისუფალი სახელმძღვანელოები საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში გამოიცემოდა, რადგან საბჭოთა რეჟიმი ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. კვლევამ დაადგინა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია დამახინჯებით ინტერპრეტირებდა მარქსისა და ენგელსის ნააზრევს ანტიკური ისტორიის შესახებ და მას თავისი იდეოლოგიური მიზნების მიხედვით ცვლიდა. იდეოლოგიური დატვირთვა პარტიული ნომენკლატურის ცვლილების მიხედვით ხდებოდა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოებს დაკისრებული ჰქონდათ ორი ძირითადი პროპაგანდისტული ფუნქცია: მათ მოსწავლეებში უნდა ჩაენერგათ ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური ინტერპრეტაცია და ამასთანავე, სკოლის მოსწავლეები სახელმძღვანელოთა გამოყენებით უნდა ზიარებოდნენ ათეისტურ მსოფლმხედველობას.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი, „უახლესი ისტორიის ცენტრი“
„კაპიტალისტური პროდუქციის“ გავრცელების საშუალებები საბჭოთა კავშირში და
სახელმწიფოს ბრძოლა მის წინააღმდეგ "უძრაობის" ხანაში

თანამედროვე დასავლურ ისტორიოგრაფიასა და ზოგადად, სოციალურ თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს მუსიკის, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენის კვლევა. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია, ერთი მხრივ, 60-იანი წლების მუსიკალურ ბუმს, როდესაც სხვადასხვა სუბკულტურაც კი შეიქმნა ამ ნიადაგზე და მეორე მხრივ, იმას, თუ როგორ ვრცელდებოდა დასავლური მუსიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში. სუკ-ის ოფიცერთა ცნობების მიხედვით, სსრკ-ის მასშტაბით დასავლური კულტურული გავლენა რამდენიმე ტალღად განვითარდა და ის ძირითად შემთხვევებში 1. ემთხვეოდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკურ დამოკიდებულებას აშშ-თან მიმართებაში და 2. მეტნაკლები განსხვავებებით ის ერთნაირად დამახასიათებელი იყო მთელი სსრკ მოკავშირე რესპუბლიკებისთვის. მოხსენებაში განვიხილავთ ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქაში დასავლური მუსიკალური გავლენების გავრცელების საშუალებებსა და გზებს, მის წინააღმდეგ საბჭოთა ოფიცოზის ბრძოლას. ვისაუბრებთ იმ პერიოდისთვის რადიო-მაუწყებლობის მნიშვნელობაზე, სხვადასხვა პროდუქტის ფასებზე, ძირითად ადგილებზე, სადაც შავი ბაზარი არსებობდა.

11 ოქტომბერი

I დარბაზი, I სექცია, I სხდომა

ოლივერ რაისნერი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
რა შეიძლება ვიცოდეთ XIX საუკუნის შვაბი მიგრანტების შესახებ საქართველოს ეროვნული
არქივის მასალების მიხედვით - გერმანულ-ქართული ჩახლართული ისტორიის წყაროს
კვლევები

Together with the University of Siegen, we have been working for three years on the processing of the sources from the church archives of the Swabian Pietists preserved in the National Archives of Georgia, which we are transferring from the 19th century Current script into today's Latin script using the TRANSCRIBUS computer program. Thus we are processing for the first time ever an archive collection of over 50,000 units in different fonds. My presentation will focus on these holdings, their content and their structure. Using selected examples, I will present the potential of this unique source material for the everyday history of the Swabian settlements in Georgia. As Protestants, all parishioners were literate and left behind a rich written heritage of documents from

church self-government. This makes it possible for the first time to go beyond the community-building memories of the Caucasian Germans (e.g. in the so-called “Heimatbücher”). Insights can also be gained into the interactions of the Swabian colonists with their surroundings, the Tsarist special administration often carried out by Baltic German nobles and the Georgian neighbors, as well as into the development of the Evangelical-Lutheran communities in the Caucasus. In terms of an entangled history, the settlement of the Swabian colonists should be considered in the context of the Tsarist Christianization policy of the Caucasus, including sectarians from central Russia (Molokans, Dukhobortsy, etc.) as well as Pontic Greeks and Armenians from the Ottoman Empire were also settled in this region. I will also look for traces of interactions with these groups in German sources.

შალალა მამადოვა, დამოუკიდებელი მკვლევარი (აზერბაიჯანი)
კულტურათაშორისი კომუნიკაციის ბენეფიციარები - გერმანელი დევნილები და მუსლიმი
აზერბაიჯანელების ყოველდღიური ცხოვრება

In his memoirs, Professor of Political Sciences at the University of Chicago David Laitin, a resident of the Jewish section of Flatbush (New York borough), describes the daily humiliation of Jewish boys on their school route by children from the Italian neighborhood. The principal of the Jewish school often inflicted injuries and reported incidents to the local police officer, who was originally Irish. This was an instance of interethnic communication between two distinct communities, the Jewish and Italian, under the authority of the United States. The relationship between Muslim Azerbaijani people, indigenous to the South Caucasus, and German settlers, primarily from Württemberg, in the early 19th century, under the Russian imperial authority, may be analogous to that described by David Laitin, with a few notable exceptions. The social conditions and political situations of US cities in the mid-20th century and those of South Caucasus as a colony of the Russian Empire in the early 19th century are strikingly disparate. In the early 19th century, the boys and girls from the German colony attended school on a daily basis, which the German settlers had established upon arrival. However, the school was viewed by the local Muslim boys as an unfavorable environment where boys could be punished for any single failure and girls were not even permitted to attend.

In academic studies of interethnic relations, the focus has been on the violence and tensions between ethnic groups with different cultural and religious experiences. Nevertheless, the experiences of numerous countries demonstrate that, in the absence of robust state authority, interethnic cooperation is a more prevalent phenomenon than interethnic violence (Faeron and Laitin, 1996:715). This paper presents a historical analysis of the relations between two ethnic groups of the 19th century South Caucasus: German colonists and Muslims. It employs a comparative approach, examining both written and visual sources in order to gain a more nuanced understanding of the complex dynamics between their cultural and societal organizations. The paper posits that disparate types of written sources, including reports, statistics, and surveys, may be perceived as conflicting points in the relations between these two ethnic groups due to the social oppression of local Muslims. However, visual sources offer beneficial intercultural communications between them.

ვაჰრამ ტერ-მეთევოსიანი, სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი
„ორი სომხეთი“ 1880-იან წლებში: მასალა ლევონ სარკისიანის მოგზაურობის დღიურებიდან

In the 1880s, Armenian intellectuals from St. Petersburg and Moscow launched several initiatives to explore Russian Armenia and Ottoman Armenia. Levon Sargsyants, a young professional, who would play a significant role in Armenia's sociopolitical life in the 1910s, decided to travel from the Russian Armenia's southernmost city to the northernmost city of the Ottoman Armenia. His detailed account of travel encounters and observations, which he published in "*Mourch*", a Tiflis-based periodical, remained in obscurity for more than a century. Closer reading of the text, however, help us better understand the history of Armenians in the last quarter of the 19th century. His account entangles and demystifies several long-established interpretations, which dominated the Armenian historiography for a long period of time.

დომიტრი ფროლოვი, ჰელსინკის უნივერსიტეტი, ალქსანდრეს ინსტიტუტი (ფინეთი)
პერიოდული გამოცემები თურქი მუსლიმი ქალების ტრანსფორმაციის შესახებ სამხრეთ
კავკასიაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

In the 1880s, Armenian intellectuals from St. Petersburg and Moscow launched several initiatives to explore Russian Armenia and Ottoman Armenia. Levon Sargsyants, a young professional, who would play a significant role in Armenia's sociopolitical life in the 1910s, decided to travel from the Russian Armenia's southernmost city to the northernmost city of the Ottoman Armenia. His detailed account of travel encounters and observations, which he published in "*Mourch*", a Tiflis-based periodical, remained in obscurity for more than a century. Closer reading of the text, however, help us better understand the history of Armenians in the last quarter of the 19th century. His account entangles and demystifies several long-established interpretations, which dominated the Armenian historiography for a long period of time.

როიალა მამედოვა, პარდუბიცეს უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
პერიოდული გამოცემები თურქი მუსლიმი ქალების ტრანსფორმაციის შესახებ სამხრეთ
კავკასიაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

The main purpose of the current article is to examine periodicals dealing with the transformation of Turkish-Muslim women in the South Caucasus in the 19th and 20th centuries. The press was a major vehicle for examining the role of women in traditionally Muslim Azerbaijani society. For this intention, some newspapers and magazines from the years 1875-1917 are examined.

In the aforementioned years, a number of media organs were created by Azerbaijani intellectuals to enlighten society. By the beginning of the 20th century, a group of male writers published several articles in these press organs to attract women to education. Moreover, at the beginning of the 20th century, several bright women began to fight for their rights due to a strong cultural awakening. For the first time, women founded their own women's newspaper.

Masha Cerovic, EHES (School of Advanced Studies in the Social Sciences) (France)
Land reform and colonization: the districts of Batumi and Kars in the Romanov imperial project (1878-1883)

The paper looks at the implementation of diverging colonizing projects on the Black Sea coast and in the Armenian-Kurdish plateau after the 1877-78 Russian-Ottoman war. It focuses on the instrumentalization of land ownership policy and the work of the “commissions on the land question” in Kars and Batumi. It shows that the use of different legal tools, in the context of the instrumentalization of the Ottoman 1858 Land law, enable the local authorities to open up the two areas to different forms of colonization and imperial “civilizing mission”.

I დარბაზი, I სექცია, II სხდომა

სირიმ საბლინი, ინაბათ იერგალიევა, ყაზახეთის რესპუბლიკის სამეცნიერო და ტექნიკური დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი
ყაზახეთის რესპუბლიკის სამეცნიერო და ტექნიკური დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი: ძირითადი თანამედროვე ტენდენციები და პრობლემები

The article discusses the establishment of the Central State Archive of Scientific and Technical Documentation in the Republic of Kazakhstan. It also examines international relations and ways to enhance the organization of contemporary archive activities.

The article explores the main principles of the archive for scientific and technical documents, including the procedures for admission, inspection, registration, addition, storage, and organization of document use in archival collections. The archive's holdings include documents related to the history of science and technology, as well as a brief description of their contents. Additionally, the article provides an overview of personal collections within the archive.

ანი სარატიკიანი, ჰასმიკ გალსტიანი, სომხეთის რესპუბლიკის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი NAS
წყლის მშენებლობის პროცესები სომხეთში XX საუკუნის საარქივო მონაცემებით

The management of water resources, both in ancient times and now, has primarily had economic importance. There are many archival and archaeological data related to the above topic. Archaeologist Ashkarbek Kalantar was one of the first to pay attention to this question. By mapping the dragon stones (vishaps) of Aragats, he connected them with the sources of water resources. Various authors have referred to the history of the use of highland water resources. Here we would especially emphasize Gr.

Shirmazani, G. Aghakhanyan, R. Musheghyan and others. Artificial irrigation systems reached their peak in the Urartian period, and were marked again in the Soviet years.

The Armenian archives of reservoir construction in the 20th century pertain to the historical documentation of the planning, design, construction, and management of reservoirs. Reservoir construction in this region have been a significant undertaking, given the importance of water resources for agriculture, industry, and urban development. Armenia and Georgia, being mountainous countries with varying climates and water availability, would have relied heavily on reservoirs for water storage, irrigation, hydropower generation, and other purposes.

Archival documents have been preserved in the National Archives of Armenia, as well as in several regional museums contain a wealth of information including engineering drawings, technical specifications, project reports, correspondence, photographs, maps, and other documents related to the development of specific reservoirs as well as broader policies and strategies related to water management in the region. Studying these archives can provide insights into the socio-economic, environmental, and political factors influencing water resource management and infrastructure development in Armenia throughout the 20th century. It also valuable for understanding the challenges and innovations in reservoir engineering and construction during that time period. According to those archives, Georgian engineers played a major role in the water construction of the region. Much important information about this for us has been preserved in the archival documents of the Shir channel in Shirak region. The participation of hydraulic engineers of the neighboring Georgian people in the construction of the Shirak Canal is confirmed by the presence of both archival and folklore materials. Archival materials relate to both the design and construction of the canal and the opening ceremony.

The purpose of the report is to show the importance and initiatives of water construction processes in Armenia (Soviet period as a whole) according to archival materials, comparing archaeological, ethnographic and folklore materials.

ოთარ ნიკოლეიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობის ისტორიიდან აშშ-ში

ქართველ ემიგრანტთა პატრიოტული ორგანიზაცია – „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“ 1937-39 წლებში არსებობდა პარიზში. მიუხედავად არსებობის ხანმოკლე დროისა, ამ ორგანიზაციამ საგულისხმო როლი შეასრულა იმ დროის ქართული ემიგრაციის ისტორიაში. „ფაშისტური დარაზმულობის“ დიდ ავტორიტეტსა და აქტიურ როლზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის შემადგენლობაში ქართული ემიგრაციის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გაერთიანებული.

1937-39 წლებში ორგანიზაცია სცემდა საკუთარ პერიოდულ ორგანოს – ჟურნალ „ქართლოს“, რომელსაც ცნობილი მეცნიერი ვიქტორ ნოზაძე რედაქტორობდა. „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის“ ეროვნულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი პრინციპები დიამეტრალურად განსხვავდება ფაშიზმის იდეოლოგიური მოთხოვნებისაგან. ქართველი

ემიგრანტები ფაშიზმის ცნებაში, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულობას, ნაციონალიზმს გულისხმობდნენ. ასე რომ, ფაშიზმის მათეული გაგება პრინციპულად განსხვავდება ამ ცნების გერმანული და იტალიური გაგებისაგან.

„საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის“ პატრიოტული ორგანიზაციის შექმნა და აქტიური დგომა გერმანული და იტალიური ფაშიზმის მხარეზე არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ამ ორგანიზაციის წევრებმა მისი სახით ის მძლავრი ძალა დაინახეს, რომელიც საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მონობისაგან გაათავისუფლებდა და ჩვენს ქვეყანას კვლავ აღუდგენდა 1921 წლის თებერვალში დაკარგულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

გერმანული ფაშიზმისადმი ქართველ ემიგრანტთა ასეთი დამოკიდებულება 1939 წლამდე გაგრძელდა. 1939 წელს გერმანიასა და სსრკ-ის შორის თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმების შემდეგ კი ბევრმა ქართველმა ემიგრანტმა ნათლად დაინახა, რომ საკითხი ასე მარტივად არ იდგა და გერმანული ფაშიზმი რეალურად ნაკლებად შეესაბამებოდა მათ მიერ გაიდებულ ანტისაბჭოთა ძალას. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის“ მომავალი და ფაქტობრივად წერტილი დაუსვა მის არსებობას.

მაია ცერცვაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ვინ არის „ბიძია ალექსანდრე“? - მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს
საზოგადოების შესწავლისათვის

ქართველ მწერალთა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში გამორჩეული ადგილი უკავია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებს. ეს წერილები უაღრესად მხატვრული ენით არის დაწერილი და თავისი პოეტიკით იპყრობს ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღებას. ამასთან, მათი მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ ისინი ეპოქის დოკუმენტებია და წარმოადგენენ ღირებულ წყაროებს თანადროულ ეპოქაში განვითარებული ისეთი ისტორიული მოვლენებისათვის, როგორებიცაა 1832 წლის ანტიიმპერიული შეთქმულება, რუსეთ-კავკასიისა და რუსეთის მიერ წარმოებული სხვა ომები... წერილები მდიდარია მათი ადრესატებისა და ფიგურანტების შესახებ ბიოგრაფიული ცნობებით. ეს ადრესატები და ფიგურანტები კი, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები და მათი შთამომავლები, ასევე დიდ და სახელოვან ქართულ სათავადოთა - ბარათაშვილთა, ორბელიანთა, ანდრონიკაშვილთა და სხვათა წარმომადგენლები არიან, მე-19 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ და თავიანთი კვალი დააჩნიეს ქვეყნის ისტორიას. ნათქვამის გათვალისწინებით, ამ წერილების პერსონალიის შესწავლა ნამდვილად საშური და აქტუალური საქმე და საკითხია.

ამჯერად ჩვენი ყურადღება ეთმობა პირს, რომელიც ხშირად გვხვდება გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში და რომელსაც ის „ბიძია ალექსანდრეთი“ მოიხსენიებს. წერილების კონტექსტი მიგვანიშნებს, რომ ის მისი ახლობელია და რომ ადრესატი მის მიმართ მეტად

კეთილგანწყობილია, დაინტერესებულია მისი ბედითა თუ უბედობით და გულშემატკვირობს მას ყოფითი თუ სამსახურეობრივი საქმეების მოგვარებაში.

ჩვენი აზრით, „ბიძია ალექსანდრე“ სავარაუდო პირებით არასწორად არის იდენტიფიცირებული გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების არსებულ გამოცემებში. ვგულისხმობთ ამ წერილების 1836 და 1837 წლების ორტომეულს აკაკი გაწერელის რედაქციითა და შენიშვნებით, რომელშიც პოეტის 1832-1859 წლების წერილები შევიდა და ბოლო წლებში XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის ფარგლებში გამოცემულ გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებს, რომლებიც ამჟამად უკვე ცხრა ტომის სახითაა წარმოდგენილი და რომლითაც გათვალისწინებულია ამ წერილების სრული კორპუსის აკადემიური გამოცემა.

ამ გამოცემებში „ბიძია ალექსანდრე“ ზოგან განმარტების გარეშე დატოვებული, ზოგან ის განმარტებულია როგორც ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) (1802-1869), ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ქართველ რომანტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ერეკლე მეფის (1720-1798) შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის (1776-1846) ვაჟი ან როგორც ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავი (1779-1860), მაიორი.

საკითხის კვლევამ, რომელიც შევასრულეთ კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე - ისტორიულ-შედარებითი, ანალიზის და ბიოგრაფიზმის მეთოდების გამოყენებით, აჩვენა, რომ „ბიძია ალექსანდრეში“ ნაგულისხმევი პირი არ შეიძლება იყონ ზემოთნახსენები პირები.

გრიგოლ ორბელიანის წერილების ამ ფიგურანტის იდენტიფიკაციას სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილ მოხსენებაში შევეცდებით. ასევე თავს მოვუყრით მის ირგვლივ შეკრებილ ბიოგრაფიულ ცნობებს და მისი სახით წარმოვაჩინოთ მე-19 საუკუნის საქართველოს ერთ დიდგვაროვან პირს და მის როლსა და ადგილს თავისი ქვეყნისა და ეპოქის ისტორიაში. კვლევა მნიშვნელოვნად გვესახება თანამედროვე ისტორიული, ფილოლოგიური, სოციოლოგიური და მათი მომიჯნავე სხვა მეცნიერებებისთვისაც.

I დარბაზი, I სექცია, III სხდომა

**ანა ლეთოდანი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ეკა ჩიკვაძე, თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
კავკასიის უნივერსიტეტი**

აგიოგრაფიული მწერლობა და ლიტერატურული ხასიათი

ლიტერატურათმცოდნეობაში ლიტერატურული ხასიათის განმარტება რამდენიმე კომპონენტით განისაზღვრება: ძირითადად ესაა პერსონაჟის ეთიკური, იდეური თვისებების, ემოციური რეაქციების, ნების, ტემპერამენტის ერთობლიობა. ესაა, ქცევის ტიპი, რომელიც

განპირობებულა საზოგადოებრივ-ისტორიული სიტუაციითა და დროით (ეპოქით). ხასიათი შედგება მრავალი ნიშნისგან, მაგრამ ეს არ არის შემთხვევითი ერთიანობა. ხასიათი მხატვრული ტექსტის შინაარსის კატეგორიას განეკუთვნება. ესაა ფსიქოლოგიური თვისებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურული პერსონაჟის სახეს. პერსონაჟის სახის ნებისმიერი ცალკეული დეტალი, რომელიც მის ქცევაში, ქმედებაში ან რაიმე ვითარებაში ვლინდება, მოქმედი პირის მრავალპლანიანი სამყაროს გამოვლინებაა. ხასიათის ცნება გამოიყენება ნაწარმოების იდეის, მისი პათოსის განსაზღვრისას. ხასიათს ასევე ვუწოდებთ ავტორისა და გმირის ურთიერთშემოქმედებას, რომელიც განახორციელებს დავალებას/ამოცანას, შექმნას და წარმოაჩინოს გმირის, როგორც პიროვნების, სახე. გმირი თავიდანვე მოცემულია როგორც მთლიანობა; ტექსტში ყველაფერი აღიქმება, როგორც გმირის დახასიათების ასპექტი, ყველაფერს აქვს კონკრეტული ფუნქცია და ემსახურება პასუხს შეკითხვაზე ვინ არის გმირი. ლიტერატურული ხასიათი იქმნება სიტყვით, სიტყვიერი დახასიათებით, მოქმედებით, სიუჟეტით. აგიოგრაფიული ლიტერატურა ორმხრივად - ლიტერატურულ-ისტორიული რაკურსით განიხილება, თუმცა, რადგან მისი მხატვრული ღირებულება სადავო არაა, მიზანშეწონილია, დავსვით საკითხი აგიოგრაფიულ პერსონაჟთა ხასიათის შესახებ. ამ თვალსაზრისით ორი ასპექტია მნიშვნელოვანი: 1. აგიოგრაფიის ერთგვარი შაბლონურობა და 2. ამავე ტექსტთა ინდივიდუალური ხასიათი. შაბლონურობას განაპირობებს გარკვეული მოდელი, კომპოზიციის სქემატურობა, გმირისა და ანტიგმირის ტრადიციული ოპოზიციურობა, ყოველი ავტორის ზოგადი მიზანი („სრბის“, გზის ჩვენება), ინდივიდუალიზმს კი, ერთი მხრივ, თვით გმირის კონტექსტისა და პირობითი მოცემულობის და, მეორე მხრივ, ავტორის ინდივიდუალურობა. შესაბამისად, ლოგიკურია კითხვა: გვაქვს თუ არა გამოკვეთილი ხასიათი აგიოგრაფიაში და ვითარდება თუ არა პირობითად პერსონაჟთა ხასიათი ტექსტებში. ან, გვაჩვენებს თუ არა ავტორი ხასიათის ცვლილებას აგიოგრაფიულ ტექსტებში და, თუ გვაჩვენებს, - როგორ. საანალიზოდ შევარჩიეთ VII საუკუნემდე შექმნილი ტექსტები წამებათა ჟანრისა (შუშანიკის, რაჟდენის, კოლაელთა და ევსტათის მარტვილობანი).

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ფრაგმენტები ევანგელე პონტოელის თხზულებისა - *რვათა გულისსიტყუათათჳს* - ამბროსი ნეკრესელის კრებულში

ეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი (1728-1815) გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე იყო. სამღვდელთმთავრო მსახურება ჯერ წილკნის ეკლესიაში დაიწყო (1778-1792), შემდეგ მცირე ხანს მანგლისის ეპარქიის მღვდელთმთავარი იყო (1792-1794), შემდეგ კი - ნეკრესის ეპარქიისა (1794-1812). ამბროსის წინაპრები (მიქაძეები) სამეგრელოდან ქართლში გადმოსულან მე-13 საუკუნეში და თანდათანობით დაწინაურებულან სამეფო კარზე. ამბროსის (ერისკაცობისას -

ზაქარიას) მამა სიონის დეკანოზი იყო. მისი ხელშეწყობით ამბროსიმ კარგი განათლება მიიღო და მრავალმხრივ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ამბროსი ყოფილა „მეცნიერი საღმრთოსა წერილსა შინა გამოცდილი, პიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი. კულად უცხო მწერალი (ანუ დახელოვნებული კალიგრაფი), ვითარცა ხუცურისა, ეგრეთვე მხედრული ხელისა“ („კალმასობა“). გადაუწერია მრავალი საეკლესიო წიგნი და შეუთხზავს ორიგინალური სამოდღვრო „სწავლანიც“.

ეპისკოპოს ამბროსი ნეკრესელის ერთ-ერთი შესანიშნავი კალიგრაფიული ნაშრომია ვრცელი კრებული, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში H-1283 შიფრით. კრებულში ძალზე ვრცელი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალაა თავმოყრილი (საღმრთისმეტყველო, ასკეტური, ეგზეგეტიკური, კანონიკური, ისტორიული და სხვა), და წარმოდგენას გვიქმნის მისი შემდგენელის ინტერესთა სიფართოვეზე.

სხვა ასკეტურ ტექსტებთან ერთად კრებულში ვეცნობით ამონარიდებს ბასილი კესარიელის, იოანე ოქროპირისა და ევაგრე პონტოელის თხზულებათაგან მზუაობრობის (ანუ სიამაყის, ქედმაღლობის) და ამპარტავნების შესახებ, და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ევაგრე „წმიდის“ ეპითეტითაა მოხსენიებული. ეს მოულოდნელი იყო ჩვენთვის იმიტომ, რომ ევაგრე მე-5 მსოფლიო კრებაზე ერეტიკოსად შეირაცხა ორიგენეს ზოგიერთი იდეის გაზიარების გამო.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ევაგრეს სახელით წარწერილი ამონარიდები ამოღებულია მისი თხზულებიდან: *რვათა გულისსიტყუათათს ანუ სიბოროტის რვა სულის შესახებ (De octo spiritibus malitiae)*. ბერძნულ ენაზე შემორჩენილი ტექსტი წმ. ნილოს სინელს მიეწერება (PG, t. 79, col. 1145-1164), მეცნიერებაში კი, კარგა ხანია, დადგენილია, რომ მისი ნამდვილი ავტორი ევაგრე პონტოელია.

ხსენებული ტრაქტატი ქართულ ენაზე თარგმნა და ევაგრესავე სხვა ნაშრომში - *Antirrhethikos*-ში ჩართო ეფთვიმე მთაწმიდელმა (+1028), თანაც ამ კომპოზიციის ავტორად მაქსიმე აღმსარებელი გამოაცხადა.

ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ფსევდომაქსიმეს თხზულების ატრიბუციასა და კრიტიკული ტექსტის მომზადებაზე ამ რამდენიმე წლის წინათ ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვიმუშავეთ მე და ლაშა ტყეშუჩავამ, და ორივე ჩვენგანი მივიდა ერთ დასკვნამდე: ნამდვილი ავტორი - ევაგრე პონტოელია.

ტრაქტატი *სიბოროტის რვა სულის შესახებ* რვა ნაწილისაგან შედგება. ბოლო ორი ნაწილი ეხება მზუაობრობისა და ამპარტავნების დახასიათებას. სწორედ აქედანაა ამოკრებილი ფრაზები ამბროსი ნეკრესელის კრებულში და სამ ნაკვეთადაა დაჯგუფებული: *თქმული წმიდისა ევაგრისი მზუაობრობისათს* (H-1283, 75r), *თქმული წმიდისა ევაგრისი მდაბალთა და ამპარტავნთა კაცთათს* (H-1283, 75r-v) და *კულად ევაგრისი* (H-1283, 76v). შედარება გვიჩვენებს, რომ ეს ამონარიდები ეფთვიმეს თარგმანიდან არაა ამოღებული; სხვა თარგმანია, თანაც არა ამბროსი ნეკრესელის თანადროული ახალი თარგმანი, არამედ ძველი დროის რომელიღაც წიგნიდან ამოღებული. ამ აზრისაკენ გვიბიძგებს მკვეთრად გამოხატული არქაული სტილი, რომელსაც მე-18 საუკუნეში თითქმის აღარავინ მიმართავდა, ასევე

გადაწერის შეცდომების სიმრავლე: აშკარად ჩანს, რომ გადამწერი (ამბროსი ნეკრესელი) ძველი და დაზიანებული დედნიდან იწერდა ამ ტექსტს.

რა ხასიათის წიგნიდანაა ამოწერილი ფრაზები ევაგრეს თხზულებიდან? - შესაძლოა, ეს იყო სისტემური პატერიკონი, რომელშიც, ჩვეულებრივ, თავმოყრილია ამონარიდები წმიდა მამათა თხზულებებიდან ერთ რომელიმე ასკეტურ თემაზე. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ, ისევე, როგორც ევაგრეს თხზულების სამივე ამონარიდი, მათ შორის ჩართული სხვა ამონარიდებიც (ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირისა) მზუაობრობასა და ამპარტავნებას ეხება. ვისი თარგმნილია ყველა ეს ამონარიდი - ამას შემდგომი კვლევა გამოავლენს.

**ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი /
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიქაელ მოდრეკილის „საწელიწდო იადგარის“ ანდერძ-მინაწერების მნიშვნელობა ქართული
ჰიმნოლოგიის ისტორიისათვის**

საკვლევი თემა მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულისათვის დართული სხვადასხვა ხასიათის ანდერძ-მინაწერების მნიშვნელობის განსაზღვრა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებისათვის, რადგან ისინი მრავალმხრივ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ. საზოგადოდ, ხელნაწერებზე დართული ანდერძ-მინაწერები გვაწვდიან ცნობებს ხელნაწერთა ისტორიისა და თავგადასავლების შესახებ, იმ ისტორიულ მოვლენათა შესახებ, რომლის დროსაც იქმნებოდა ესა თუ ის ხელნაწერი, ისტორიულად ცნობილ პირთა შესახებ, რომელთა სახელები დამოწმებულია ხელნაწერთა ანდერძებსა და მინაწერებში ხელნაწერის შექმნაში თითოეული მათგანის გაწეული წვლილის მიხედვით. ანდერძ-მინაწერებში ნახსენებნი არიან ხელნაწერთა დამკვეთები, მომგებლები, გადამწერები, შემდგენელ-რედაქტორები, გადამწერთა შემწეები მატერიალური თუ სულიერი თვალსაზრისით, შემწირველი, შემკაზმველი, ხელნაწერი წიგნის განმაცხოველებელი, თხზულებათა ავტორები, მთარგმნელები; აღნიშნულია ხელნაწერთა კუთვნილება ამა თუ იმ მონასტრისათვის, გადამწერილი დედნის წარმომავლობა, შედგენილობა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ანდერძი და მინაწერი. ანდერძში უფრო დეტალური ცნობებია დაცული ხელნაწერის, მასში გადამწერილი ტექსტების, მთარგმნელობითი მეთოდის, საღვთისმეტყველო და ლიტერატურათმცოდნეობითი საკვანძო საკითხების შესახებ. მინაწერი ხელნაწერთან დაკავშირებულ საკითხებს უშუალოდ არ უკავშირდება. მინაწერი შეიძლება იყოს ცოდვათა მიტევებისა და სულთა შეწყალების შემცველი მოკლე ტექსტი; ამავე რიგში განიხილება წმ. ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ტექსტებისათვის „შეისწავნების“ სახელით ცნობილი მინაწერები.

თემა აქტუალურია, რადგან მიქაელ მოდრეკილის „საწელიწდო იადგარისათვის“ დართული ანდერძებისა და მინაწერების შინაარსი სხვადასხვა ტიპისაა და უნდა განისაზღვროს მათი არსი. საკვლევი თემა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიურ სფეროს განეკუთვნება და, შესაბამისად, **საკვლევი პრობლემა** მრავალ ჰიმნოლოგიურ საკითხს მოიცავს, კერძოდ ესენია: 1. ცნობები კრებულის შემდგენლისა და გადამწერთა ვინაობის შესახებ; 2. კრებულის შექმნის

დროის განსასაზღვრად უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ისტორიულ პირთა და კრებულთან დაკავშირებული პიროვნებების შესახებ, ქართველ და ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა შესახებ; ამ მხრივ განსაკუთრებულია ქართველ მეფეთა, დიდებულთა, იმ სასულიერო პირთა სახელების ხსენება, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი კრებულთან და კრებულის შემდგენელთან; 3. კრებულში მოთავსებული საგალობლების რაობისა და არსის შესახებ, როგორია ისინი თემატიკის, რიტმის, საზომის, მელოდიის თვალსაზრისით; 4. კრებულის შემდგენლის ჰიმნოლოგიურ შეხედულებებს და ჰიმნოლოგიურ ტერმინებს; 5. მცირე ფორმის ჰიმნოგრაფიული თხზულებების, ჰიმნოგრაფიული კანონისა და ჰიმნოგრაფიული განგების კომპოზიციის შესახებ; 6. ხელნაწერის ანდერძები მოწმობს იმას, რომ ჰიმნოლოგიურ ტერმინთა უმეტესობა მიქაელის მიერ არაა შემოღებული და ისინი ჩვენამდე მოუღწეველ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში უკვე უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რის საფუძველსაც მიქაელის სიტყვები იძლევა, მან აღნიშნა, რომ ისინი იპოვა - „ვპონ“, აღმოაჩინა ქართულ ენაზე არსებულ წინამორბედ ჰიმნოგრაფ-რედაქტორთა მიერ შედგენილ კრებულებში; 7. ანდერძ-მინაწერების საშუალებით დგინდება მიქაელის კრებულის სასწავლო დანიშნულება, რაც ქართული ჰიმნოლოგიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობაა, რადგან მეათე საუკუნე ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში მწვერვალადაა მიჩნეული, ხოლო თვით მიქაელის მიერ შედგენილი „საწელიწდო იადგარი“ - მეათე საუკუნის საუნჯედ (მ. ჯანაშვილი); 8. მნიშვნელოვანია ანდერძში ნახსენები ფრაზა „ქართული წელიწდის თავი“, რომელიც საეკლესიო წელთაღრიცხვის მაუწყებელია და ლიტურგიკული წლის განსასაზღვრადაა საყურადღებო; 9. კრებული ქართულ მინიატურებიან ხელნაწერთა რიგს განეკუთვნება, რადგან საგალობლები ჩასმულია ორნამენტიზებულ ჩარჩოში, აგრეთვე, მასში შეტანილია ორი მინიატურა: წმ. ბასილი კაბადოკიელისა და ქართველი ჰიმნოგრაფის, ტბეთისა და აწყურის მთავარეპისკოპოსის, იოვანე მტბვერისა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარის ხელნაწერის ორნამენტი, რომლითაც შემკულია იგი, მხოლოდ დეკორატიული მორთულობა არ არის, იგი, უწინარეს ყოვლისა, შეფარვით გამოხატავს საღვთისმეტყველო აზრს.

კვლევისას გამოყენებულია **ანალიტიკური, ჰერმენევტიკული, შედარებით-ისტორიული** მეთოდები, რომელთა მეშვეობით ირკვევა ქართული და ნაწილობრივ ბიზანტიური ჰიმნოლოგიის საკვანძო საკითხები.

მოხსენების **მიზანია** ჰიმნოგრაფიის ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი საკვანძო საკითხის კვლევა და დაზუსტება მიქაელ მოდრეკილის კრებულის მონაცემთა მიხედვით, იგი ემყარება კორნელი კეკელიძისა და ელენე მეტრეველის სამეცნიერო შრომებს, რომლებშიც შესწავლილია ანდერძებსა და მინაწერებთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები, მაგრამ ისინი ერთიანობაში არ ყოფილა განხილული.

დასკვნებში შეჯამებულია კვლევის შედეგები: პირველადაა თავმოყრილი და განხილული მიქაელ მოდრეკილის იადგარში დამოწმებული ანდერძები და მინაწერები, ერთმანეთისაგან გამიჯნულია ანდერძი და მინაწერი, განსაზღვრულია მათი მნიშვნელობა. გარკვეულია მიქაელ მოდრეკილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი უცნობი საკითხი, დადგენილია ანდერძებსა და მინაწერებში ნახსენებ საერო და სასულიერო პირთა ხსენების

საფუძველი, განხილულია ზოგიერთი ჰიმნოლოგიური ტერმინის რაობა, რომლის შესახებ აქამდე მსჯელობა არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგ., „ყოვლითა განგებითა“. დადგინდა, რომ მიქაელს ხელთ ჰქონდა სხვადასხვა ჰიმნოგრაფიული კრებული, რომლებიც ნევმირებული უნდა ყოფილიყო, რადგან ანდერძში ამბობს: „ვპოენ ქართულითა ენითა“, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ თვითონ არაა ნევმების შემოქმედი, „მნიშვნელი“ და იყენებს ადრეული ჰიმნოგრაფიული კრებულების მონაცემებს.

ხათუნა გაფრინდაშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ათონური კრებულის (Ivir. georg. 8) სტრუქტურა და თავისებურებანი

ქართულად თარგმნილ თუ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად. ჰაგიოგრაფიული თხზულებების ქართული თარგმანები სათავეს იღებს ღმრთისმსახურების ქართულ ენაზე შემოღებისთანავე. ამას უპირველესად განაპირობებდა ის, რომ საღმრთო წერილის წიგნებთან ერთად წმინდანთა „ცხოვრება-წამებანის“ კითხვა ღმრთისმსახურების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად იყო მიჩნეული. წმინდანთა „ცხოვრება-წამებანის“ ჟანრის თხზულებები ქართულად საქართველოს გარდა ითარგმნებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის თითქმის ყველა სამწიგნობრო ცენტრში, სადაც კი ქართველები მოღვაწეობდნენ, ითარგმნებოდა არა მხოლოდ ბერძნული ენიდან, არამედ აღმოსავლეთის ყველა იმ ენებიდან, რომლებზეც არსებობდა საქრისტიანო მწერლობა. ქართულ ენაზე შემონახულია ჰაგიოგრაფიული ხასიათის ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ორიგინალური ტექსტი დღესდღეობით დაკარგულია და ქართულ თარგმანს დედნის მნიშვნელობა ენიჭება.

ჰაგიოგრაფიული კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ხელნაწერი (Ivir. georg. 8), რომელიც ამჟამად ათონის ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ინახება. ხელნაწერი 380 ფურცლისაგან შედგება, ნაწერია ორ სვეტად, კალიგრაფიული ნუსხურით, კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული მონაცემებით ხელნაწერს X საუკუნის II ნახევრით ვათარიღებთ. ათონური კრებული 64 ჰაგიოგრაფიულ ტექსტს შეიცავს. კრებულში დაცულია როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური თხზულებები. მართალია, Ivir. georg. 8 ხელნაწერი X საუკუნისაა, მაგრამ მასში დაცული ნათარგმნი თხზულებები ადრინდელი პერიოდის თარგმანებს გვიჩვენებენ.

საინტერესოა ხელნაწერის სტრუქტურა: კრებულში წმინდანთა საკითხავები დალაგებულია წლის საეკლესიო კალენდარულ რიგზე - იწყება 27 დეკემბრით („სტეფანე პირველმოწამის წამებით“) და მთავრდება 27 ივნისს („ტრაქოს, პრობოს და ანდრონიკეს წამებით“). ხელნაწერის X-XI საუკუნეების სხვა ჰაგიოგრაფიულ კრებულებსა და კალენდრებთან შედარებამ აჩვენა, რომ ათონური კრებული იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკიდან კონსტანტინოპოლურ პრაქტიკაზე გარდამავალ ეტაპს გვიჩვენებს, უპირატესობას კი იერუსალიმურ პრაქტიკას ანიჭებს. ხელნაწერის შემდგენელი წმინდანთა ხსენებების

აღნიშვნისას ირჩევს იმ დღეს, რომელიც იერუსალიმური ტრადიციისთვის არის დამახასიათებელი.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ათონური კრებულის სტრუქტურა, ეორტალოგიური ციკლის მსგავსება-განსხვავებანი ამ დროისა და ამ ტიპის სხვა კრებულებთან და კალენდრებთან მიმართებით. ამასთანავე, შევეცდებით ავხსნათ ის თავისებურებანი, რომელიც ათონური კრებულისთვის არის დამახასიათებელი.

ლელა შათირიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული რამდენიმე ხელნაწერი გრაგნილის შესახებ

მოხსენების მიზანია, სამეცნიერო საზოგადებას გააცნოს ის ხელნაწერი გრაგნილები, რომლებზეც წარმოდგენილია ლიტერატურული ტექსტები და დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდში. გრაგნილი ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. იგი მზადდებოდა სხვადასხვა საწერი მასალის (ეტრატისა და ქალაღდის) გადაკერებული, შეწებებული ან მთლიანი ფორმატის ნაწილებისაგან, კეფებისაგან; დღესდღეობით, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 8 ხელნაწერი გრაგნილი, რომელთაგან 4 ერთეული არის კონდაკი, ანუ ჟამისწირვა, უფრო სწორად ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამისწირვები, გადაწერილი XV-XIX საუკუნეებში. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ამ ტექსტების გრაგნილი ფორმა ინტენსიურდ გამოიყენებოდა და მეტად პოპულარული უნდა ყოფილიყო ლიტურგიის დარგის ნიმუშებისათვის XV-XVI საუკუნეებშიც და შემდეგაც. 2 ერთეული გვიან შესრულებული ავგაროზის ტექსტებია, დანარჩენი 2 ხელნაწერი დგან ერთი ქრონიკალური ინფორმაციის შეცველია, მეორე კი მირონის ხარშვის წესზე მოგვითხრობს. ამ ხელნაწერთაგან გრაგნილების ნაწილი ნაწერია ნუსხურით, შავი, ყავისფერი, წითელი მელნით, ნაწილი კი - მხედრულით. გრაგნილი ხელნაწერი აქაც არ არღვევს პალეოგრაფიულ თავისებურებას, არც ერთი მრგლოვანით არ არის შესრულებული. რამდენიმე ერთეული მხატვრულადაა გაფორმებული. ესენია: 1446/3, 1446/413ა და 1446/413 ბ.

ინფორმაცია ამ ხელნაწერების შესახებ, ვვიქრობთ აქტუალურია, რადგან ქართულ ხელნაწერთმცოდნეობაში გრაგნილების კვლევას არ დასთმობია საგანგებო ყურადღება. ამ წერილობითი ნიმუშების შესწავლა დაიწყო 2022 წელს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

მოხსენებაში რამდენიმე საჭირობოროტო საკითხია წამოჭრილი, კერძოდ: საინტერესოა, როდიდან გაფორმდა გრაგნილად ჩვენთვის საინტერესო ჟამისწირვის ტექსტები. გრაგნილებით მოღწეულია XII-XIX საუკუნეებიდან ტექსტები, რომლებიც დაცულია ასევე კოდექსებში, მაგრამ ცალკე ამ ტექსტების გატანა და გრაგნილებზე მათი გადაწერა ზოგადად XII სს-შია დადასტურებული. ჩვენს ხელთ არსებული გრაგნილების მიხედვით, ჟამისწირვის ცალკე ერთეულად გაფორმებას საფუძველი XII ს-ში ჩაეყარა და ინტენსიური ხასიათი XV-XVI საუკუნეებში მიიღო. გრაგნილი ჟამისწირვები საეკლესიო დანიშნულების ხელნაწერებია.

გრაგნილზე აღმოჩნდა მირონის ხარშვისა და კურთხევის ტექსტიც, რომელიც გადაწერილია XVIII საუკუნეში და გრაგნილის ფორმით გვევლინება. ისმის შეკითხვა: როდიდან იღებს ამ თემატიკის ტექსტი გრაგნილის ფორმას და როგორ მზადდებოდა მირონი საქართველოში. გრაგნილებზე გვხვდება ასევე კერძო პირთა საკუთრებისათვის შექმნილი ერთეულები, კერძოდ, ავგაროზები, რომლებიც სამკურნალო-დამცავი დანიშნულებით XVIII-XIX სს-ში შექმნილი წერილობითი სიძველეებია, იგივე თილისმები, და საგვარეულო ქრონიკები.

ხელნაწერი გრაგნილის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური მეთოდი დაგვეხმარება სხვადასხვა საკითხის შესწავლაში, კერძოდ: გრაგნილით მოღწეული ტექსტების თემატურ-ჟანრობრივი სისტემატიზება-კვლევაში; სასულიერო შინაარსის ტექსტების ლიტურგიკულ-დოგმატური ანალიზში და სხვა.

ამრიგად, გრაგნილი ხელნაწერი წიგნის კომპლექსური მეცნიერული შესწავლა თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე არის ფილოლოგიის, კერძოდ, კოდიკოლოგია-ტექსტოლოგიის, ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი.

I დარბაზი, I სექცია, IV სხდომა

მარია დორნინგერი, Paris-Lodron-University-Salzburg, Austria
საქართველო შუა საუკუნეების გერმანულ ლიტერატურაში

The paper investigates the image of Georgia and Georgians foremost in German Jerusalem-pilgrim-accounts of the 15th century. As this conference is also in honor of Ketevan of Kakheti, the presentation of Georgia and the Georgians in the famous drama “Catherina von Georgien” (published 1650) written by the famous German poet Andreas Gryphius will be sketched. Thereby the question rouses, if it is possible to compare the different genres and ask for a change in the perception of Georgia as function, recipients, and contexts are different.

In the Middle Ages information on Georgia and the Georgians was given first in Latin, as through scholars like Hethum of Corcyrus. In the Late Middle Ages vernacular sources tell of the Georgians. Nearly every Jerusalem-Pilgrim-account mentions the Georgians, as the one of Hans Tucher of Nuremberg (peregrination 1479/80). As the main focus of most of the travelers to the East was Jerusalem and sometimes the Sinai region, particularly the monastery of Catherine of Alexandria, rarely travels were extended further to the East, as Leonhard Rauwolf did in the 16th century. However, there, in Jerusalem they could experience the various denominations of Christian faith, and there, travelers and pilgrims had the opportunity to meet Georgians in person. In their accounts although using other sources, the travelers passed on their knowledge. Unlike the writers of pilgrim accounts Andreas Gryphius never traveled to Jerusalem or the East, but using and continuing traditional elements (this is to ask) he wrote a tragedy of Ketevan of Kakheti, giving a vivid picture of the queen and the tensions and pressures in her time.

ირმა ხოსიტაშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სომხური ქრონიკის ახლადმიკვლეული ნუსხა სომხეთისა და საქართველოს შესახებ (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციიდან)

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ კოლექციაში მე-15 ნომრად დაცულია ხელნაწერი კრებული, რომელიც თავისი შედგენილობით ისტორიული ხასიათისაა. სომეხი და სირიელი საეკლესიო მამებისა და ისტორიკოსების - ნერსეს შნორალის (მე-12 ს.), სამუელ ანელისა (მე-12 ს.) და მიქაელ ასურის (მე-12 ს.) თხზულებების გვერდით, კრებულში შესულია მე-17 საუკუნის სომეხი ჟამთააღმწერლის თხზულებაც სახელწოდებით „ისტორია კეთლადნაგებ ქალაქ კარინისა“. უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ კარინელის თხზულების შემცველი ხელნაწერი წიგნების შედგენილობა მეტ-ნაკლებად საერთო თემატიკისაა.

ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება კარინელი ავტორის თხზულებამ მიიქცია, რომელშიც ქალაქ კარინის, იმავე ერზურუმის დაარსებისა და შემდგომი ისტორიის გარდა, მოცემულია მთელი ე. წ. „ზემო სომხეთის“, იმავე ერზურუმის ვილაიეთის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა, მისი პოლიტიკური ვითარება და სოციალური მდგომარეობა. ამის გამო აღნიშნული წყარო მეტად მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად. ამასთან, ავტორი გადმოგვცემს როგორც მის თანამედროვე მოვლენებს, ისე წარსულის ამბებს არა მხოლოდ ამ მხარის, არამედ მეზობელი მხარეების, მათ შორის საქართველოს შესახებაც. მასში მოცემულია ცნობები ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და დასავლეთ საქართველოს შესახებ.

გარდა აქამდე ცნობილი და გამოცემული ხელნაწერებისა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხური ფონდის აღწერისას სულ ახლახანს მივაკვლიეთ კიდევ ერთ ახალ ნუსხას (Arm. 15). აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენს 1756 წლის კრებულს, გადაწერილს კარინელი ხუცესის ბაღდასარის მიერ ქალაქ არზურუმში, ხოლო მისი მომგებელი ვინმე არაქელია.

დარეჯან გოგაშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სოლომონ II-ის მიერ ჯრუჭის მონასტრისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის სიგელი (ქალაქის იდენტიფიკაცია)

სოლომონ II-ის მიერ ჯრუჭის მონასტრისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის სიგელი (ხეც Hd-1323) დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სიგელი დაწერილია ქალაქზე კალიგრაფიული მხედრულით 1809 წელს (ზომა: 2370x555 მმ.), ტექსტი ჩაწერილია ფერადებით შედგენილ ჩარჩოში, შემკულია დეკორატიულად გაფორმებული ინიციალით, ჯრუჭის მონასტრისა და სამრეკლოს ფონზე გამოსახული, ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგისა და სოლომონ II-ის გამოსახულებებით.

ტექსტის ბოლოს ერთვის წითლით შესრულებული სოლომონ II-ისა და დედოფალ მარიამის ხელრთვები (იხ. „მოხატული ისტორიული დოკუმენტები“, გვ. 143-145).

სიგელზე შეინიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანებები და საჭიროებდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს. 2023 წელს საკონსერვაციო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა რომ: ა) ქალაქზე გამოსახულია საქარხნო ნიშანი - ჭვირნიშანი, თითოეულ კეფზე იკითხება ემბლემატური და ლიტერული ნაწილი; ბ) სამივე კეფის ჭვირნიშნის ემბლემატური ნაწილი - „სამი ნახევარმთვარე“ ერთნაირია ხოლო, ლიტერული ნაწილი - „არბალეტი“ განსხვავებული.

ჭვირნიშანი - „სამი ნახევარმთვარე“ განსხვავებული ფორმებითა და ლიტერით, დადასტურებულია XVII-XVIII სს. ხელნაწერებში: H-3061; H-559; A-170; A-16 (რ. პარატიძე), აღნიშნული ხელნაწერების გარდა, „სამი ნახევარმთვარის“ განსხვავებული ნიმუში დასტურდება მთელ რიგ ქართულ ხელნაწერებში: A-92 (XVIII ს. აღდგენილი ნაწილი); Q-270, Q-917, Q-273, S-30, S-250, S-443, S-5167 და სხვა.

მოხსენება ეხება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სოლომონ II-ის მიერ ჯრუჭის მონატრისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის სიგელის (ხეც Hd-1323) ჭვირნიშნის ლიტერული და ემბლემატიკური ნაწილის იდენტიფიკაციისა და წარმომავლობის საკითხს და ეფუძნება Hd-1323-ის კოდიკოლოგიური მონაცემებისა და პარალელური მასალის ანალიზს.

შედეგად, აღდგენილია Hd-1323-ის ქალაქის თავდაპირველი, ორიგინალი ზომები; განსაზღვრულია ჭვირნიშნების ადგილი (სამივე კეფზე) ქალაქის ორიგინალ ფორმატზე; დადგენილია ემბლემატური და ლიტერული ნაწილის ფორმები. პარალელურ მასალასთან შედარებითი ანალიზისა და ქალაქის ვერტიკალურ ზოლებს (pontuseaux) შორის ჭვირნიშნების განლაგების საფუძველზე განსაზღვრულია Hd-1323-ის ქალაქის ჭვირნიშნის წარმომავლობა. მოხსენებაში ასევე, ყურადღებაა გამახვილებული საკონსერვაციო სამუშაოებზე.

ქეთევან ასათიანი, საქართველოს ეროვნული არქივი გულანების შედგენილობისათვის

საქართველოს სხვადასხვა წიგნთსაცავში არაერთი გულანია დაცული. ქართული სივრცისათვის დამახასიათებელი ეს სრულიად განსაკუთრებული კრებულები გულდასმით შესწავლას მოითხოვს როგორც კოდიკოლოგიის, შედგენილობის, ეორტალოგიის, ორიგინალური თუ ნათარგმნი ტექსტებისა თუ უამრავი სხვა თვალსაზრისით. საინტერესოა თავისთავად ამ ტიპის კრებულების შექმნის საჭიროების საკითხიც და ის გეოგრაფიული სივრცეც, რომლისთვისაც გულანები შეიქმნა. ძირითადად, ლიტურგიკული შინაარსის უამრავი ტექსტი, რომელიც ამ კრებულებშია შეტანილი სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება და მასში როგორც კრებულების თანადროული, ისე შედარებით ძველი თარგმანების შრეები ჩანს. ცალკე კვლევას ითხოვს ის მნიშვნელოვანი ისტორიული რეალიები, რომლებიც ამა თუ იმ გულანის უშუალო ტექსტსა თუ მის ანდერძ-მინაწერებში იკვეთება.

ელენე გიუნაშვილი, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)
საშუალო ირანული ონომასტიკის თანამედროვე კვლევის ზოგიერთი საკითხი „ქართლის ცხოვრების“ რედაქციებში

ირანელებთან ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად, ქართულ საკუთარ სახელთა ფონდში მრავალი ირანული წარმომავლობის საკუთარი სახელი გვხვდება. აკადემიკოს გიორგი წერეთლის თქმით, „საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ირანული საკუთარი სახელების ფართოდ გავრცელებული ტრადიცია“, რომელმაც თავისი გაგრძელება ჰპოვა ადრექრისტიანულ ქართულ ეპიგრაფიკაში, აგიოგრაფიასა და განსაკუთრებით, ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

პირველი სისტემური ანალიზი ირანული საკუთარი სახელებისა ქართულ სალიტერატურო და ისტორიულ წყაროებში (V-XV სს.) წარმოდგენილია მ. ანდრონიკაშვილის მონოგრაფიაში „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ I, თბილისი, 1966. აღსანიშნავია, რომ ცალკე თავად გამოყოფილია „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტში დადასტურებული პირველი ქართველი მეფეების ირანული სახელები, რომლებიც მომდინარეობს ჩრდილო-აღმოსავლური (სარმატული, ალანურ-ოსური) ირანული დიალექტებიდან (აზო, არსუკ, არიკ, ქარძამ, ღაღამ და სხვა) ასევე მოტანილია ისტორიულ წყაროებში (მატიანე ქართლისაჲ, ჟამთააღმწერელი და სხვა) დიდებულების (ქალების და მამაკაცების) ალანურ-ოსური წარმომავლობის საკუთარი სახელები (ანდრონიკაშვილი, გვ. 130-141).

საგულისხმოა ასევე, რომ ნაშრომში პირველად იყო გამოყოფილი ლეონტი მროველთან ირანული საკუთარი სახელების არქაული (საშუალო ირანული) ფორმები, რომლებსაც ავტორი, სავარაუდოდ, იცნობდა ისლამამდელი ირანული წყაროებიდან, და რომელთა გვიანდელი ნიმუშები ასახულია ირანელთა ეპოსში (ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“): *აფრიდონი*, იგივე ძველი ირანული *თრაეტონა* (ქართული *თრითინო*), *სპანდიატი* (ახ. სპ. *ისფანდიარი*), *ვაშტაშაბი* (ძვ. ირან. *ვიშტასპა*), გვიანდელი *გომტასპი* (ქართული გვარი *გოსტაშაბიშვილი*) და სხვა (გვ. 147-149).

კვლევამ აჩვენა, რომ რიგი ისტორიული პირების საკუთარი სახელები (*ფარსმანი*, *ამაზასპი*, *ბაკური*, *ბუზმირ*, *ბურზო*, *გუმნაკი*, *ვარაზ* და სხვა) უშუალოდ მომდინარეობს დასავლური საშუალო ირანული (პართული, საშუალო სპარსული) ენებიდან, ასევე გამოიყოფა ჯგუფი ირანული სახელებისა, რომლებიც ძველსა და საშუალო ქართულში შემოსულია სომხურის გზით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით „ქართლის ცხოვრება“-ში დადასტურებული სასანელთა პერიოდის (III-VII სს.) დასავლურ საშუალო ირანული (პართული და საშუალო სპარსული) ანთროპონიმების კვლევის პრობლემატიკა, ანუ მათი ავთენტური გადმოცემა, ფონეტიკური ადაპტაციებისა და ინვარიანტული ფორმების, ირანული არქეტიპების დადგენა სხვადასხვა ხელნაწერთა შედარების საფუძველზე, მეტად აქტუალური საკითხია როგორც

ქართველოლოგიისთვის, ასევე ირანული ონომასტიკის კვლევისათვის მეორეულ (არაირანულ) წყაროებში.

ქართული ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და სასაზღვრო საკუთარი სახელების შესწავლის თანამედროვე დონე შესაძლებელს ხდის არსებული მასალის სისტემურ განხილვას და ამ სახელთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზისა და შეთვისების კულტუროლოგიური ასპექტების ახლებურ გააზრებას, რაც გულისხმობს საშუალო ირანული საკუთარი სახელების სისტემურ კვლევას არსებული ტექსტობრივი გამოცემების მიხედვით (ყველა ძველი და თანამედროვე სამეცნიერო რედაქციის, განსაკუთრებით „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოცემის, ასევე უცხოური თარგმანების გათვალისწინებით), მათი გამოყენების კონტექსტების ფართო მოხმობას, შეთვისების გზების და ირანული არქეტიპების გამოვლენას კონკრეტული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების შუქზე, მათ ლინგვისტურ, სემიოტიკურ, ქრონოლოგიურ დისტრიბუციას და სასაზღვრო ირანულ-ქართული ისტორიული მიმართებების საერთო კულტურული სურათის წარმოჩენას.

დალი ჩიტუნაშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ანბანდიდი სახარება, როგორც იერუსალიმური ღვთისმსახურების ნაწილი

უძველესი იერუსალიმური ღვთისმსახურება მხოლოდ ალბანური, სომხური და ქართული იერუსალიმური ლექციონარების სახით და ისიც არასრულად არის შემორჩენილი, ამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ხელნაწერი თუ ფრაგმენტი, რომელიც ამ ღვთისმსახურების დეტალებს გაგვაცნობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მე-10 საუკუნის ოთხთავებში შემორჩენილი იერუსალიმური განგებები და საკითხავებად დაყოფის ოთხთავის ტექსტში დაცული სისტემები. წინამდებარე მოხსენებაში განხილული იქნება ანბანდიდი სახარება, როგორც იერუსალიმური ღვთისმსახურების ამსახველი ლიტურგიკული წიგნი.

I დარბაზი, I სექცია, V სხდომა

სოფიო ქადაგიშვილი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

რჯულისა და სარწმუნოების გაგებისათვის ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით

წყაროთა ინტერპრეტაციისას, არც თუ ისე იშვიათად, ისტორიკოსი სხვადასხვა ტერმინისა თუ სიტყვის მნიშვნელობას, ნებისთ თუ უნებლიეთ, თანამედროვე გაგებით განსაზღვრავს, თუმცა, როგორც წყაროების ანალიზი აჩვენებს, სიტყვათა მნიშვნელობა საუკუნეების განმავლობაში იცვლება პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ზეგავლენის შედეგად.

წინამდებარე მოხსენების თემა ორი ტერმინის - *რჯულისა* (სჯული, შჯული) და *სარწმუნოების* მნიშვნელობის დადგენის მცდელობას წარმოადგენს შუა საუკუნეების ნარატიული წყაროების მიხედვით. ამ ტერმინთა შინაარსის გაგება, მით უფრო სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში,

ერთი კონკრეტული წყაროს მიხედვით შეუძლებელია. მხოლოდ წყაროთა სისტემური და კომპლექსური ანალიზის გზით შეიძლება ჩავწვდეთ მათ თავდაპირველ მნიშვნელობებს, ასევე ისტორიული ვითარების გათვალისწინებით დავაზუსტოთ და დავაფიქსიროთ სხვადასხვა ეპოქაში მათი შინაარსობრივი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები, კონკრეტულად, თუ რასთან და როგორ იყო დაკავშირებული ეს ცვლილებები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ტერმინ *სარწმუნოების* გაგებას დიდი ყურადღება არ დათმობია, რადგან წყაროებში მისი მნიშვნელობა უპირობოდ თანამედროვე გაგებით აღიქმებოდა (რელიგიის მნიშვნელობით), რაც შეეხება რჯულს, ამ ტერმინის შესახებ ინტერესი ჯერ კიდევ წინა საუკუნეში გაჩნდა, გარკვეული მოსაზრებაც გამოითქვა, რაც იმასაც მიანიშნებს, რომ მისი მნიშვნელობა ცვალებადია ისტორიულ დროში.

კვლევამ აჩვენა, რომ *რჯული* შუა საუკუნეებში უმეტესწილად მიანიშნებს ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის კუთვნილებაზე, ხოლო მე-18 საუკუნიდან, რელიგიასთან ერთად, წარმომავლობის გამომხატველიცაა (მასში არ იგულისხმება რელიგიური მომენტი, თუმცა, არც გამოირიცხება). *სარწმუნოება* მიემართება მხოლოდ ქრისტიანობას/მართლმადიდებლობას, თუმცა, გვიან შუა საუკუნეებში ტერმინი – *სარწმუნოება*, როგორც *რჯული*, სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების გამომხატველიც ხდება.

**ნინო მეგენიშვილი, შორენა თავაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ეტრატზე დაცული ლათინური ხელნაწერების კვლევისათვის**

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები მეტად ფასეულია როგორც საკუთრივ საქართველოსთვის, ისე მის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული ქვეყნებისთვისაც. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფონდში “Varia”, ინახება არაქართულენოვანი ნუსხები, მათ შორის, ლათინური ხელნაწერები დათარიღებული XI-XIX სს, 23 ერთეული, აქედან ოთხი ხელნაწერი შესრულებულია ეტრატზე, 19 - ქალაღზე. ხელნაწერები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. ისინი შეიცავენ მდიდარ მასალას ევროპისა და საქართველოს ისტორიიდანაც, ცნობებს უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და პერსონალიებზე, დასახელებული ტექსტები უკავშირდება ისტორიულ პირებსაც, მაგალითად, ღვთისმეტყველ ამბროსიუს ტრავერსარიუსს, რომელიც ფერარა-ფლორენციის ისტორიული კრების მონაწილე იყო, ასევე, ფონდში აღმოჩნდა ოთხი ხელნაწერი (Var.20, 21, 26, 46-2), რომლებიც ამა თუ იმ თვალსაზრისით უკავშირდებიან შედარებით ნაკლებად ცნობილ კამალდულთა კათოლიკურ სამონასტრო ორდენს (“Congregatio Eremitarum Camaldulensium Montis Coronae”). საერთო ისტორიულ კონტექსტში ხელნაწერებში დაცული ტექსტები იძლევიან ცნობებს, თუ როგორ აისახებოდა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოებები ერთი კათოლიკური საძმოს შიგნით, როგორ მიმდინარეობდა სამონასტრო ცხოვრება რელიგიურ გაერთიანებაში, რას და როგორ ხელმძღვანელობდნენ კონგრეგაციის წინამძღვრები და რა წესები უნდა შეესრულებინათ საძმოს წევრებს, როგორი საეკლესიო წეს-განგება ჰქონდათ მათ და რა

ლიტურგიკული თავისებურებები ჰქონდა კამალდულთა საძმოს. ეს ყველაფერი წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული საზოგადოების ინტერესსა და კვლევის საგანს, არამედ იძენს სოციალურ-კულტურულ ფასეულობას, როგორც თავისთავად, ისე საქართველოსთან და სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებთან მიმართებაში, რაც მის მაღალ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ლათინური ნუსხებისა და მათში წარმოდგენილი ტექსტების კვლევა სიახლეა თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში.

საქართველოში ლათინურენოვან ხელნაწერთა სიმრავლე უკავშირდება კათოლიკური ქვეყნებიდან მისიონერთა შემოსვლა-მომრავლებას. კოსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ, დასავლეთის სახელმწიფოები დაინტერესდნენ საქართველოთი, ხოლო ევროპული მისიონერული მოძრაობები გახშირდა. შედეგად, საქართველოში (ქუთაისში, ბათუმში, გორში, უდეში, და ა. შ.) მომრავლდა კათოლიკე მრევლი, აიგო კათოლიკური ეკლესიები, და ეს პერიოდი კათოლიკეთათვის შეირაცხა „საუკეთესო ხანად, რადგან პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩენილა“ (მიხეილ თამარაშვილი). ვინაიდან კათოლიკე მისიონერთა საღვთისმსახურო და ხშირად სასაუბრო ენაც ლათინური იყო, საქართველოში აღმოჩნდა მრავალი საბუთი და ნაშრომი ლათინურ ენაზე.

საინტერესოა ეტრატის, როგორც საწერი მასალის სტრუქტურული კვლევა, რაც გულისხმობს მის იდენტიფიკაციას, ტექსტოლოგიური და დაცვის პირობებთან დაკავშირებული თავისებურებების გამოკვეთას უკვე გამოცდილი და ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით. ამ ტიპის მეცნიერული კვლევის სრულყოფისათვის აუცილებელია ხელნაწერის შინაარსობრივი, ტექსტოლოგიური, პალეოგრაფიული ასპექტების გათვალისწინებაც. ეს იქნება ლათინური ხელნაწერების კვლევის ახალი და შემდგომი კვლევისთვის აუცილებელი საფეხური.

ფრიდონ ქარდავა, აჭარის საარქივო სამმართველო

ვეფხისტყაოსანში სიუჟეტურ ლაფსუსად მიჩნეული ეპიზოდის ახლებური წაკითხვისათვის

თანამედროვე რუსთველოლოგიაში ავთანდილის მიერ მეკობრეთათვის წართმეული განძის ჯერ ვაჭართა ქარავნისთვის მირთმევა, მოგვიანებით კი, იმავე სიმდიდრის ფრიდონის მონებისთვის ჩუქება, ლაფსუსადაა მიჩნეული. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში „რუსთველოლოგია“ VI (თბილისი 2011-1012), ამ პრობლემისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში, კვლავ დადასტურებულია პოემაში ამ ლაფსუსის არსებობა.

ჩემი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაფსუსი არ არსებობს, ავტორს არ გამოჰპარვია ავთანდილის მიერ ქონების ჯერ ვაჭრებისთვის, ხოლო შემდეგ ფრიდონის მონებისთვის გადაცემის საკითხი.

მოხსენებაში შევეცადე საკვანძო სიტყვის სწორად წაკითხვით, დიალოგების კონტექსტთან ერთად გაანალიზებითა და ავტორის მიერ ნათქვამის, ჩვენი აზრით, ადეკვატურად გაგებით, დაგვესკვნა, რომ ეს ე. წ. სიუჟეტური ლაფსუსის პრობლემა ტექსტის შეუსაბამოდ წაკითხვამ გამოიწვია და არა სიუჟეტურმა ცდომილებამ.

ბუნებრივია, ამ „ლაფსუსის“, ტექსტის ჩვენეული წაკითხვით აღმოფხვრის მცდელობა, მხოლოდ მცდელობაა და ვერ გვექნება პრეტენზია, რომ ის საბოლოოდ ამოხსნილია. თემაზე მუშაობისას, გარდა ტექსტის გამოწვლილვითი ანალიზისა, ვემყარებოდით იმ რწმენას, რომ ეს პრობლემა წარმოშვა პოემის ამ მონაკვეთის არასწორმა წაკითხვამ.

ლალი დათაშვილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი აბრაამ მამამთავრის პარადიგმა ლიტერატურაში

შეიძლება ითქვას, რომ აბრაამ მამამთავარი ერთ-ერთი გამორჩეული და საყურადღებო სახეა ბიბლიურ პერსონაჟთა შორის. იგი მომდევნო ხანის ლიტერატურაში მრავალფეროვან პარადიგმად დამკვიდრდა; როგორც პირველი პატრიარქი, მამამთავარი, წინასწარმეტყველი, პირველმოგზაური უფლის წინამძღოლობით, უფლის რჩეული, მისგან აღთქმის მიმღები და ყველა მოკვდავზე აღმატებულად გამოცდილი, „აღთქმის შვილის“ - ისააკის მსხვერპლად შემწირველი (ეს უკანასკნელი თემა, ალბათ, განსაკუთრებული ინტერესისა და ანალიზის აღმძვრელია მორწმუნე თუ ათეისტი მკითხველისთვის, ამიტომ ჩვენც მასზე საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას), „მამა მრავალთა“ და აბრაამისტული რელიგიების ფუძემდებელი, ყველაზე ხშირად მოხსენიებული „ახალ აღთქმაში“ (მოსე წინასწარმეტყველთან ერთად), პირველი წმინდანი ისლამში... მის სახელს უკავშირდება სამების განცხადება სამი მოგზაურის სახით და ღირსეული მასპინძლობა, სოდომის დაცვის მცდელობა, ისმაილის, ისააკისა და ლოტის სახეები; ასევე სიმბოლოები: აბრაამის სუფრა, აბრაამის ბატკანი, აბრაამის წიაღი...

ჩვენს ნაშრომში განხილულია, როგორ აისახა აბრაამის პარადიგმა ძველ ქართულ მწერლობაში და როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მეოცე საუკუნის ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების გარდა, ამ კუთხით გაანალიზებულია ხალხური თქმულებები აბრაამზე, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, გია მურღულიას („ფუნქცია“), ნიკოს კაზანძაკის („ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“), ჟოზე სარამაგუს („კაენი“ და „იესოს სახარება“), ელიფ შაფაქის („ევას სამი ქალიშვილი“), თომას მანის („იოსები და მისი ძმები“) და სხვათა ნაწარმოებები.

თაობათა და ცივილიზაციათა მონაცვლეობა ადამიანთა გემოვნებისა თუ მსოფლმხედველობის ცვლას იწვევს, რაც, უპირველეს ყოვლისა, კულტურაზე აისახება. წარმოჩნდება ახალი პრიორიტეტები, იმსხვრევა ძველი კერპები, იცვლება კონცეპტები... ლიტერატურა კი, როგორც ადამიანთმცოდნეობა, ყველაზე კარგად ასახავს კაცობრიობის ინტელექტუალურ და ემოციურ-მრწამსობრივ ცვლილებებს. აბრაამ მამამთავრის სახის ტრანსფორმაციითაც შეგვიძლია ამ ცვლილებებს თვალი გავადევნოთ, ამდენად, ეს საკითხი აქტუალურია და ჩვენს წერილამდე ამ კუთხით გამოკვლეული არ ყოფილა. შესაბამისად, ნაშრომში გადმოცემული კვლევა და დასკვნები სიახლეა.

ნაშრომის წერისას სიმბოლურ-ალეგორიულ სახეთა ახსნა-განმარტებისას გამოვიყენეთ შედარებითი, ჰერმენევტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის, მასალის აღწერის, კლასიფიკაციის, ანალიზის, სინთეზისა და ინტერპრეტაციის მეთოდები.

გამოტანილია დასკვნები, რომ ძველი ქართული მწერლობა ძირითადად მისდევს ბიბლიის ტექსტსა და „ძველი აღთქმის“ წმ. მამათა განმარტებებს, ხოლო მეოცე საუკუნემ თავისი ცნობილი შეხედულებით „ღმერთი მოკვდა“ წარმოშვა სეკულარულ-ათეისტური მსოფლმხედველობა, გულგატეხილობა, სკეპტიციზმი, ურწმუნობა. ეს ყოველივე გასული საუკუნიდან მეყსეულად აისახა ლიტერატურაში და XX-XXI საუკუნეების მწერლობაში შუა საუკუნეების კულტურისა თუ ესთეტიკისაგან სრულიად განსხვავებული ტენდენციები გაჩნდა. აბრაამ მამამთავრის სახესაც ბიბლიური პერსონაჟის ალუზიასაც ვერ დავარქმევთ, უფრო მეტად აპოკრიფულ-პოსტმოდერნისტული კრიტიკა და ინტერპრეტაციაა, რაც ჩვენი აზრით, ჩვენი ეპოქის მსოფლმხედველობის ანარეკლთაგანია.

მაია ნაჭყებია, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ქეთევან დედოფალი სლოვაკურ ლიტერატურაში:
სასკოლო პიესა და მისი ისტორიული წყარო

1701 წელს სლოვაკეთში, ქალაქ სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე წარმოდგენილი იქნა პიესა, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოებისთვის თავდადებულ ქართველ დედოფალს - ქეთევან წამებულს მიემდვნა. თავად ნაწარმოები სასკოლო პიესათა ჟანრს განეკუთვნება და მისი სათაურია „ქეთევანი, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“ (*Katerina, kráľovná gurziánská, vlastní krvi ozdobená, na divadlo predstavená*) – “*Caterina, Gurzianorum regina, proprio sanguine purpurata, theatro data*”). სასკოლო პიესა სლოვაკური ბაროკოს ეპოქას განეკუთვნება, მისი სრული ტექსტი შემონახული არ არის, ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე გვერდიანმა სინოფსისმა ანუ პიესის დაწვრილებითმა შინაარსმა. პიესის ავტორის ვინაობა ცნობილი არ არის, იგი სკალიცელ ანონიმად მოიხსენიება.

სლოვაკურ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ თემაზე დაწერილი სლოვაკური სასკოლო პიესა გერმანელი დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის...“ თავისუფალ, საგულდაგულოდ გადმოკეთებულ თარგმანს წარმოედგენს. თუმცა ამ ორი დრამატული ნაწარმოების როგორც პერსონაჟთა სისტემა, ისე სიუჟეტი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენი ყურადღება მიიქცია პიესის სინოფსისში თავად ანონიმი სლოვაკი იეზუიტის მიერ მითითებულმა ერთ-ერთმა წყარომ: ეს არის გერმანელი იეზუიტის ნაშრომი - *Illustrium, Ab Orbe Conditio, Ruinarum* („მნიშვნელოვანი დამხობანი სამყაროს დასაბამიდან“), რომელიც 1663 წლით არის დათარიღებული. ბისელიუსის ნაშრომის ერთი მონაკვეთი ეთმობა საქართველოს და ქეთევან დედოფალს. როგორც კვლევამ აჩვენა, სწორედ ამ ისტორიული ხასიათის ნაშრომით ისარგებლა სლოვაკმა ავტორმა, როდესაც სასკოლო პიესაში სარწმუნოებისთვის თავდადებული ქართველი დედოფლის სახე შექმნა.

**ჯულიეტა/ჯული გაბოძე, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი**

აკაკი მოღვაწე (ახლად გამოვლენილი მასალების კვლადკვალ)

აკაკი - „მგოსანი“, „საქართველოს ბულბული“, „უგვირგვინო მეფე“ - ასეთი ეპითეტებით შეამკო ქართველმა ერმა თავისი სათაყვანებელი პოეტი! მაინც ვინაა აკაკი? დიდი შემოქმედი თუ დიდი მოღვაწე?! ეს კითხვა მუდმივად თან გვდევს.

აკაკი წერეთელი იყო პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ბელეტრისტი, მთარგმნელი, დრამატურგი, რეჟისორი, თეატრალური ხელოვნების თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ლექტორი და ორატორი, სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დიდოსტატი და ეპიტაფიების ავტორი, რედაქტორი და გამომცემელი, ქართული ფოლკლორის ფონდის ფუძემდებელი, ქართული ეკლესიის ქომაგი, სკოლების დიდი მოამაგე, ოსმალეთის საქართველოს დიდი გულშემატკივარი, ქართული სამთამადნო მრეწველობის პიონერი, ქალთა განათლებისა და ემანსიპაციის მომხრე, ე. წ. „სვანების საქმის“ ადვოკატი, მოგზაური... ეს არის არასრული ჩამონათვალი მისი ღვაწლისა. აკაკიმ თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითა და მოღვაწეობით საუკუნო საგზალი დაუტოვა შთამომავლობას.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, იყო განმანათლებელი; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი. უდიდესი როლი შეასრულა XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ამდენად, მთელი მისი შემოქმედება და მოღვაწეობა ამ ნიშნითაა დაღდასმული. შეიძლება ითქვას, რომ აკაკიმ სათავე დაუდო ქართული კულტურის ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ საზოგადოების ბრძოლის იმ დიდ მიმართულებას, რომელიც შემდეგში გაიშალა ქართულ საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ მისი ნაკლებად ცნობილი წერილი „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის“ - 1898 წელს გამოქვეყნდა! ილიას „ქვათა ღაღადზე“ ერთი წლით ადრე!

აკაკი რომ ქართული სამთამადნო მრეწველობის პიონერია, ეს ყველამ იცის, მაგრამ შესაძლოა, ბევრისთვის არც კი იყოს ცნობილი, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში სხვა წიაღისეული სიმდიდრის, კერძოდ, ოქროსა და ნავთობის ძიებისა და მოპოვების საქმეში.

სრულიად გამორჩეულია მისი როლი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვისათვის ბრძოლაში. ხალხთან დაახლოების მიზნით მოგზაურობდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში - ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის დაბა-სოფლებსა და ქალაქებში. და ვინ იცის, კიდევ სად ადარ! სტუმრობდა პეტერბურგს, მოსკოვს, კიევს, ოდესას, ხარკოვს, ბაქოს, პარიზს, ჟენევას... დადიოდა ხან უბრალო მწირივით, ხან ზევსივით; ესწრებოდა ყველა საზოგადოებრივ ღონისძიებას. დადიოდა პანაშვიდიდან პანაშვიდზე, სასამართლოდან - სასამართლოში, თეატრიდან - თეატრში, არ აკლდებოდა არც ერთ ღონისძიებას, არც ერთ სახალო კრებას, არც ერთ ლიტერატურულ სადამოს, სათავადაზნაურო თუ საბანკო კრებებსა და „კენჭობიას“. ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმიანებოდა, პასუხობდა მოყვარესაც და მტერსაც; მისი ჩანგი კი ამ დროსაც ჟღერდა, და პოლემისტის მწარე კალამი კი მტრის გულს „ისარივით ესობოდა“.

საკონფერენციო მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აკაკი წერეთლის თხზულებების ახალი აკადემიური ოცტომეულის მომზადებისას გამოვლენილი თუ ცარიზმისა და საბჭოთა ცენზურისგან შერისხული მასალა, რომელთა მეშვეობით საცნაური ხდება აკაკის პიროვნებასა და განსაკუთრებით, მისი მოღვაწეობის სრულიად სხვა, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მხარე.

10 ოქტომბერი

II დარბაზი, II სექცია, I სხდომა

ჭაბუკა მეტონიძე, ნათია ამირეჯიბი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრეისტორიული პერიოდის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა: ქართველური ტომები

ჩვენ მიერ წარმოდგენილი **საკვლევი თემა** არის ეთნიკურობის არსებობის განსაზღვრა პრეისტორიული ხანის ქართველურ ტომებში. XX საუკუნის შუა ხანებიდან მრავალი არქეოლოგი ცდილობდა პრეისტორიული კულტურების განსაზღვრას ქართველურ ტომებში და მათ როგორც თანამედროვე ეთნიკური ჯგუფების წინაპრების იდენტიფიცირებას. თუმცა, ეთნიკურობის თანამედროვე არქეოლოგიური შესწავლა უფრო რთულ თეორიულ გარსშია მოქცეული და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეინიშნება. XXI საუკუნის მეთოდოლოგიური პრობლემები, პოლიტიკური სირთულეები, ხარვეზები და ვარაუდები დიდწილად კვლავ უპასუხოდ რჩება.

წინამდებარე **თემის აქტუალობა** მდგომარეობს პრეისტორიულ ხანაში არსებული არქეოლოგიური არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე განსაზღვროთ ქართველურ ტომებში ეთნიკურობის სუბსტრატის ჩამოყალიბების ალბათობა და მისი ხასიათი.

თემის ძირითადი **პრობლემა** წყაროთა ბუნდოვანება და ნაკლოვანებებია. მიუხედავად პრეისტორიული ხანის შესწავლის ამკარა პროგრესისა, ამ პერიოდის ტომებში, მათ შორის ქართველურში, ეთნიკურობის კუთხით არქეოლოგების როგორც კულტურულ-ისტორიული, ისე პოსტპროცესუალური თეორიული წიაღსვლები გაზვიადებულია.

სტატიაში მივმართავთ კვლევის საზოგადოდ აღიარებულ სამეცნიერო **მეთოდოლოგიას**: ინტერდისციპლინური კვლევების მეთოდს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, წყაროთა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის მეთოდს, იდეოგრაფიულ (აღწერით), რეტროსპექტულ მეთოდებს.

დასკვნა: პრეისტორიული ეთნიკურობის ჩარჩოს განსაზღვრა პროტოქართველურ ტომებში თითქმის შეუძლებელია. არქეოლოგიური მონაცემების შეზღუდული რაოდენობა არ იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას ეთნიკურობის ნებისმიერი თანამედროვე სოციალური მეცნიერების კონცეფციის თვალსაზრისით. ჩვენ არ შეგვიძლია ამოვიცნოთ ეთნიკური ჯგუფები შორეულ პრეისტორიაში, მითუმეტეს, ეს ჯგუფები თანამედროვე კულტურულ ან

ბიოლოგიურ შთამომავლებთან დავაკავშიროთ. რასის, ენისა და კულტურის შერევა მუდმივად მიმდინარეობს, თუმცა კვლევის ეს ობიექტები/პროცესი საკმარისად თანმიმდევრულად არ მიმდინარეობს და დამთხვევებიც საკმარისად კანონზომიერი არაა, რომ მართებული ინტერპრეტაციები დავსახოთ. სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა ქართველურ ტომებში პრეისტორიული ხანის ეთნიკურობის განსაზღვრაში, რამეთუ არც ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ), არც ადმოსავლურ (ასურულ-ურარტულ) წარწერებში ეთნიკურობის განმსაზღვრელი ნიშან-თავისებურებები არ გვხვდება.

**ემზარ კახიძე, სსიპ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ბათუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სიახლეები ქართველურ სამყაროში უძველესი მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების
შესახებ**

საქართველო კეთილშობილი თუ შავი ლითონების მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება მსოფლიოში, რისი დასტურია ცნობები ოქროსა და სხვა ლითონების მოპოვების ხერხებზე როგორც ანტიკურ და ბიზანტიელ, ისე ევროპელ ავტორებთან, აგრეთვე, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემები.

ბუნებრივია, მეტალურგიის ჩასახვასა და განვითარებაზე პრეტენზიის ქონა საკმაოდ ხმამაღალი განაცხადია, ამიტომ თითოეული ახალი ცნობა წერილობითი თუ მატერიალური სფეროდან უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის სიძველეებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

აჭარაში განხორციელებული უახლოესი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში საერთაშორისო ბაზარზე ლითონზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის შესაბამისად ჩვენმა წინაპრებმა მიაგნეს საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის წყლის ენერჯის გამოყენებით ფლოტაციის, მეტალურგიულ ქურებში ლღობის, სითხედ ქცევის პროცესების ნოვაციურ გზებს, რომლებიც ძვირფასი ლითონების მოპოვება-დამუშავებაშიც გამოიყენებოდა. შემთხვევითობად არ გვეჩვენება, რომ მახვილურში მიკვლეული ხათური კერამიკით სავსე კულტურული ფენა შუა ბრინჯაოს ხანით, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოთა დათარიღებული, როცა ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა და, სავარაუდოდ, ანატოლიელი კოლონისტებიც ასე შორს სწორედ ჩვენთან დამზადებული ბრინჯაოსთვის ჩამოვიდნენ. ნიშანდობლივია, რომ სტრაბონის, მარკუს ტერენციუს ვარონის, პლინიუს უფროსის, აპიანეს, ევსტათი თესალონიკელისა და სხვათა ცნობების მიხედვით ქართველური ტომები ოდითგანვე გაწაფულნი იყვნენ ფერად მეტალურგიაში. საინტერესოა, რომ საწმისზე მსჯელობისას ანტიკური და შუასაუკუნეების ავტორები მაშინვე სვანებს ახსენებენ, რომლებიც მცირე და დიდ მდინარეებში ცხვრის ტყავიანი დახვრეტილი ფიცრებით ოქროს აგროვებდნენ. სვანურ ხალხურ გადმოცემებშიც, ანტიკური წყაროების მსგავსად, ხშირად გვხვდება ოქროვანი მდინარეების სახელები. აჭარაშივე განხორციელებული კვლევებით დგინდება, რომ ძველი მელითონეები მსხვილი წარმოების პარალელურად პატარა

ზომის გობებსა და უსისტემოდ განლაგებულ წვრილ არხებში მთის ნაკადულებით ჩამორეცხილ ალუვიურ ქვიშრობებში შემავალ ოქროსა და სხვა სახის ფერად ლითონებსაც აგროვებდნენ. უძველესი მეტალურგიის ძველი ეტაპი და მასთან დაკავშირებული ოქროს მოპოვების ტექნოლოგიები მდგრადობით და განგრძობითობით ხასიათდებოდა. წერილობითი თუ არქეოლოგიური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, უძველესი რკინის წარმოება ისევ ჩვენთვის საინტერესო რეგიონშია დაწინაურებული. დასავლეთ საქართველოში არსებული რკინის მეტალურგიის 6 ცენტრიდან ნახევარი სწორედ აჭარაში ფიქსირდება. ურარტულ ეპიგრაფიკაში რკინა მხოლოდ ერთხელ, სარდურ II კულხაში - ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. VIII ს. 40-იან წლების ლაშქრობასთან კავშირში მოიხსენიება. დაახლ. ამავე პერიოდში შექმნილი „დაბადების“ პირველ თავში (IV, 22) ნახსენებია ასურულ თაბალებთან და ბერძნულ ტიბარენებთან გაიგივებული თუბალ-კაენი, რომელიც, „იყო კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა“. რკინა-ფოლადის დამზადების ხალიბური წესის შესახებ ყველაზე საინტერესო ცნობა მაინც ფსევდო-არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) მოუპოვება. ის თავის ნაშრომში „საოცარ ხმათა შესახებ“ აღნიშნავს: „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისოური რკინის წარმოება. იგი, მონათხრობთა მიხედვით, მიიღება მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვიშისაგან. ამ ქვიშას, გადმოგვცემენ ერთნი, უბრალოდ რეცხავენ და აღნობენ, ხოლო მეორეთა მიხედვით, გარეცხვის შემდეგ დანალექს კიდევ რამდენჯერმე რეცხავენ და შემდეგ, უმატებენ რა ცეცხლგამძლე ქვას, რომელიც ბევრია ამ ქვეყანაში, აღნობენ; რკინის ეს სახეობა სხვებზე გაცილებით უკეთესია და არც ერთ ქურაში რომ არ გამოიდნოს, სავარაუდოდ, ვერცხლისგან არაფრით იქნებოდა განსხვავებული. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს რკინა არ იჟანგება, თუმცა მცირე რაოდენობით მოიპოვება. თუკი კარგად დავუკვირდებით, ეს აღწერილობა კარგად ესადაგება ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ არქეოლოგიურ რეალიებს.

მოკლედ, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, მთლიანად კავკასია ჯერ ნეოლითური რევოლუციის, შემდეგ კი ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გარდამავალ ეპოქაში ერთ-ერთ მოწინავე სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, უკვე მითოლოგიურად აღარ გვეჩვენება ძველადმოსავლურ და განსაკუთრებით ანტიკურ წყაროებში უხვად დაცული ცნობები ოქროს საწმისზე და, ზოგადად, ძველ მეტალურგიაზე, რომელიც, როგორც წესი, ძველი კოლხეთის კონტექსტში განიხილება.

გამოყენებულია წყაროების, აგრეთვე ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალის კრიტიკული ანალიზი, მათი ურთიერთშედარებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერების მეთოდები, ასევე აღწერილობით-ნარატიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

**ნათია ფიფია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქალი ანტიკური ხანის იბერიაში**

ანტიკური ხანის იბერიაში ქალის სტატუსი და მდგომარეობა დამოკიდებული იყო სოციალურ კუთვნილებაზე - დაბალი ფენის ქალების სტატუსი მსგავსი იყო, ხოლო მაღალი ფენის ქალებს რაც შეეხება, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით განსხვავდებოდა. ზოგადად, ქალის სტატუსის კვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენიმე ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ქალსა და კაცს შორის გენდერული (უ)თანასწორობის განსაზღვრა: ა) პოლიტიკური უფლება, ბ) პირადი ან კერძო საკუთრების ფლობის უფლება, გ) ქორწინების საკითხი, დ) სოციალური როლი, განსაკუთრებით ოჯახში.

ანტიკური ხანის იბერიაში ქალები პოლიტიკურ უფლებას დიდწილად მოკლებული არიან, თუმცა, ტახტის მემკვიდრეთა დედებს, შვილის მცირეწლოვნობის შემთხვევაში რეგენტობის უფლება ჰქონდათ. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ქალებს პოლიტიკური გავლენა მეფე-ქმრის მეშვეობით ზოგჯერ მაინც გააჩნდათ. ამ თვალსაზრისით ქალისა და მამაკაცის უთანასწორობა სრულიად თვალსაჩინოა. დაბალი სოციალური ფენის ქალებს, ისევე, როგორც მამაკაცებს, ბუნებრივია, პოლიტიკური უფლება საერთოდ არ ჰქონდათ, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ორივე - ქალიც და მამაკაციც, თანასწორად უუფლებოა.

ქონებრივი თვალსაზრით, ანტიკური ხანის იბერიაში დასტურდება როგორც პირადი, ასევე კერძო საკუთრების უფლება ქალებისთვის. ქალები, როგორც ქალაქის მამულებელნი, სწორედ ამ უფლების დადასტურება უნდა იყოს.

ქორწინების თავისუფლების საკითხი უფრო პრობლემატურია - ამ მხრივ ანტიკური ხანის იბერიაში მეტი თავისუფლება იგრძნობა, ვიდრე ადრე შუა საუკუნეების საქართველოში, თუმცა, ბოლომდე რთული დასადგენია, ამ თვალსაზრისით რამდენად თავისუფალი იყო იბერიული საზოგადოება.

ქალის სტატუსი ანტიკური ხანის იბერიაში ცალკე კვლევის საგანი ჯერჯერობით არ ყოფილა, რაც განაპირობებს საკითხის აქტუალობას. ჩვენი მოხსენების ფარგლებში შევაჯამებთ ნარატიულ (ქართულ, ასევე ბერძნულ-რომაულ) წყაროებს, ეპიგრაფიკულ მონაცემებს. გარდა ამისა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით ვეცდებით შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ.

**ბაჩანა რუხაია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პლინიუს უმცროსის წერილები როგორც საისტორიო წყარო იმპერიის აღმოსავლეთ
პროვინციებში საქალაქო ცხოვრების შესახებ**

პლინიუს უმცროსის მიერ იმპერატორ ტრაიანესადმი გაგზავნილ წერილებში მრავალმხრივ საინტერესო ცნობებია დაცული ახ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის რომის იმპერიისა და მცირე აზიის ბერძნული ქალაქების ურთიერთობათა შესახებ, რაც აღნიშნული საკითხის მრავალმხრივ აქტუალობას განსაზღვრავს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის წერილები, რომლებშიც საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა საკითხის განხილვას ვაწყდებით.

რომაელები აღმოსავლეთ პროვინციების მართვას, მათდამი კონტროლირებადი ქალაქებით ცდილობდნენ. აღნიშნულ წერილებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნული ქალაქების ავტონომია მხოლოდ უმნიშვნელო საშინაო საქმეების გადაწყვეტით შემოიფარგლებოდა. მათ კომპეტენციაში შედიოდა ფისკალური, ქალაქის კეთილმოწყობის საკითხები და სხვა. თუმცა ზოგიერთ ამ საკითხებსაც დამოუკიდებლად ვერ წყვეტდნენ. მაგალითად, როდესაც პლინიუს უმცროსი შეეცადა თავის კონტროლქვეშ აეყვანა „თავისუფალი ქალაქის“ აპამეას ფისკალური სისტემა, აპამეელებმა პროტესტი გამოთქვეს, მაგრამ ტრაიანემ იგი უარყო (Plin., Epist., X, 47,48). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პლინიუსი, როგორც ტრაიანესადმი გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, საქალაქო ცხოვრების წვრილმან საქმეებშიც ერეოდა, მაგალითად, როგორც იყო აბანოს მშენებლობის საკითხი პრუსიასში (Plin., Epist., X, 70).

თავის მხრივ, ცალკეული მაგალითები ცხადყოფს ბერძნულ ქალაქებში რომაელთადმი არაკეთილგანწყობილ ვითარებასაც, რომლის დამადასტურებელიცაა პლინიუსის მიერ იმპერატორისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ის ითხოვს ერთ-ერთ ბერძნულ ქალაქში მეხანძრეთა გილდიის შექმნას, რაზედაც ტრაიანემ უარი განაცხადა, რადგან მისი აზრით, აღნიშნული გილდია, შესაძლოა, დროთა განმავლობაში რომაელთა დაქვემდებარებიდან გამოსულიყო და იმპერიის წინააღმდეგ დაეწყოთ მოქმედება, ამიტომ ხანძრების ლიკვიდაცია ცალკეული პირების საქმედ რჩებოდა.

მიუხედავად ზემოთ განხილული მაგალითებისა, ძნელია გადაჭრით ვისაუბროთ, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ბერძნული ქალაქების დამოკიდებულება იმპერიისადმი. ამის საილუსტრაციოდ, შესაძლოა, გამოგვადგეს პლინიუს უმცროსის პირველწყაროთა კრიტიკული ანალიზი კომპარატივისტული მეთოდის გამოყენებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის უცნობი პირველწყაროების გამოყენება და შესაბამისი მეთოდებით დამუშავება საშუალებას მოგვცემს მეტი სიცხადე შევიტანოთ საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის და ამავდროულად საქალაქო ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ მცირე აზიის ბერძნული ქალაქების იმპერიისადმი დამოკიდებულების ხარისხზე.

ლალი მექერიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თეოქტისტეს ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში

ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში IX საუკუნე დიდ ცვლილებებთან ასოცირდება და დატვირთულია რთული შიდა პოლიტიკური სიტუციით, რაც ჯერ კიდევ წინა საუკუნიდან მოყოლებული დაკავშირებულია ხატების წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლასთან. ამორეველთა დინასტიის მეორე წარმომადგენელის, თეოფილეს, იმპერატორობისას, რომელიც უკანასკნელ ხატმებრძოლ იმპერატორად არის აღიარებული, კიდევ უფრო გამწვავდა ბერ-მონაზონთა მასობრივი დევნა. გართულებული შიდა პოლიტიკური სიტუაციის ფონს ემატებოდა ბრძოლა არაბთა ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ. სწორედ ამას ეხმიანებოდა თეოფილეს შვილის, მიხეილ III ლოთის იმპერატორობისას მოწყობილი სამხედრო

ოპერაციები კრეტაზე. საინტერესოა, რომ ამ ვითარების მიუხედავად, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა საჭიროდ მიიჩნია ლაშქრობის მოწყობა ბიზანტიელი სარდლის თეოქტისტეს მეთაურობით დასავლეთ საქართველოში. აღნიშნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით ინფორმაცია დაცულია თეოფანეს გამგრძელებელთან, რომელიც ეფუძნება იოსებ გენესიოსის, კონსტანტინე პორფიროგენეტისა და გიორგი ამარტოლის გამგრძელებლის თხზულებებს.

აღნიშნული საკვლევი თემა აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ ხსენებულ ლაშქრობასთან დაკავშირებით ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული, რადგან ქართულ ისტორიოგრაფიაში უმეტესად განიხილავენ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიპეტიებსა და ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნის პროცესს.

კვლევა შესრულებულია ისტორიზმის პრინციპის შესაბამისად. გამოყენებულია ისტორიულ-გენეტიკური მეთოდი, რათა დავაკვირდეთ ბიზანტიაში არსებული სიტუაციის კვალდაკვალ დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. გამოყენებულია ისტორიული შემეცნების მეთოდი და ასევე წყაროს ჰერმენევტიკული ანალიზი. ცალკე საინტერესო საკითხს წარმოადგენს წყაროს ავტორის დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოში მოვლენილი ბიზანტიელი სარდლისადმი და ლაშქრობის მისეული შეფასება.

საკვლევი თემის განხილვის შედეგად პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს: რამ განაპირობა თეოქტისტეს ლაშქრობის მოწყობა? და რამდენად უკავშირდება აღნიშნული სამხედრო ოპერაციის მოწყობა არაბთა მომძლავრებას ამიერკავკასიაში? ასევე ცალკე შევეცდებით მეტად ზუსტად დავათარილოთ, გამოვყოთ აღნიშნული ლაშქრობის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ვიმსჯელოთ იმ შედეგებზე, რაც აღნიშნულ ლაშქრობას მოჰყვა.

II დარბაზი, II სექცია, II სხდომა

მაია პატარიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ვანის №24 სამარხის დათარიღების ნუმისმატიკური ასპექტი

2004 წელს, ვანის ზედა ტერასაზე, აღმოსავლეთ მხარეს, სამლოცველოსთან ახლოს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი დარეჯან კაჭარავა) აღმოჩნდა №24 სამარხი, რომელიც გამორჩეულია მდიდარი და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით. სამარხში დაკრძალული იყო ხუთი ადამიანი და ერთი ცხენი. მიცვალებულთაგან ერთი მთავარი ფიგურა, ხოლო დანარჩენი მისი მხლებლები უნდა ყოფილიყვნენ. №24 სამარხში დაკრძალული მთავარი ფიგურის თავის არეში დაფიქსირდა ბოსფორის სამეფოს ვერცხლის მონეტა - ჰემიობოლი.

მონეტის ავერსზე გამოსახულია ახალგაზრდა აპოლონ ფებუსის გამოსახულება, სუროს გვირგვინით, რევერსზე - ლომის პროტომა მარჯვნივ, დაფნის რტო, ქვემოთ ხაზი და წარწერა ΠΑΝΤΙ.

სამარხში მონეტის ადგილმდებარეობა და ის გარემოება, რომ მხოლოდ ერთი მონეტაა აღმოჩენილი საკმარის საფუძველს იძლეოდა, რომ ის მიჩნეულიყო ე. წ. ქარონის ობოლად.

„ქარონის ობოლს“ არსებობა სამარხის ზუსტი დათარიღების საშუალებას იძლევა, რადგან მიცვალებულს აყოლებდნენ მიმოქცევაში მყოფ მონეტას. №24 სამარხის დათარიღებაშიც, გადამწყვეტი როლი მონეტამ შეასრულა, რომელიც იმ დროისათვის არსებული კატალოგებისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციების მიხედვით დათარიღდა ძვ. წ. 340-330 წლებით, შესაბამისად, ამავე პერიოდს მიეკუთვნა სამარხიც.

მიუხედავად მყარი თარიღისა, სამარხულ ინვენტარში გამოიკვეთა რამდენიმე ნივთი, რომლებიც სამარხის ქრონოლოგიაში კითხვებს იწვევდა. პირველ რიგში საყურადღებო იყო სამკაული - ოქროს სამკუთხა საკიდები, რომელიც მინიმუმ საუკუნენახევრით ადრეული იყო და ლითონის ჭურჭელი, რომელთა შორის რამდენიმე სახეობა, გაცილებით ადრეული იყო, ვიდრე ძვ. წ. IV საუკუნე. მიუხედავად ამისა, პრევალირებული მნიშვნელობა მაინც „ქარონის ობოლს“ მიენიჭა და თარიღიც უცვლელი დარჩა.

გადაულახავ წინააღმდეგობად რჩებოდა მხოლოდ კერამიკის დამდიანი ჰერაკლეური ამფორები. ერთ მათგანს ყელზე ენგლიფური დამლა ჰქონდა, რომელზეც მექარხნის საკუთარი სახელი „არხელასი“ იკითხებოდა. ფაბრიკანტ ანხელასის დამღები საკმაო რაოდენობითაა ცნობილი და არსებობს ვარაუდი, რომ მან ძვ. წ. V საუკუნეში დაიწყო პროდუქციის გამოშვება და მოღვაწეობის ზედა თარიღი ძვ. წ. IV საუკუნის 90-იანი და 80-იანი წლების მიჯნითაა განსაზღვრული. ლითონის ჭურჭლისგან განსხვავებით, კერამიკის ჭურჭელი თითქმის ნახევარი საუკუნით გვიან სამარხში ვერ მოხვდებოდა, შესაბამისად სამარხის დათარიღება გადახედვას საჭიროებდა.

2019 წელს ი. ვ. შონოვმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი ბოსფორის მმართველების სამონეტო ემისიებთან დაკავშირებით. მეცნიერმა მიუღებლად ჩათვალა 24-ე სამარხში აღმოჩენილი სამონეტო ტიპის ეს თარიღი, იმ მიზეზის გამო, რომ მონეტა მაშინ დაუკავშირდებოდა პერისად I-ის მეფობას. ამ მეფის ზეობისას კი ცნობილია, რომ ვერცხლის წვრილი ნომინალები შეიცვალა სპილენძით. გარდა ამისა, განსხვავებულ ქრონოლოგიას იძლეოდა იკონოგრაფიაც. მეცნიერის მოსაზრებით, ავერსზე გამოსახული უწყვერული აპოლონ ფიბუსის და ლომის გამოსახულების შემოსვლა ბოსფორის სამეფოს მონეტებზე, კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს უკავშირდებოდა. კერძოდ, ლეუკონ I-ის მიერ სინდების ქვეყნის შემოერთებას, რომელთა დედაქალაქის მთავარი ტამარი აპოლონ ფიბუსს უკავშირდება. მოტრიალებული ლომის გამოსახულებაც სწორედ სინდური მონეტებიდან იყო აღებული. ამ ფაქტის დასადასტურებლად მეცნიერი, ადიღეს ტერიტორიაზე ე. წ. შვიდი ძმის ყორღანში მიკვლეულ წარწერასაც იშველიებს.

ირკვევა, რომ არსებული მონეტა სავარაუდოდ ძვ. წ. 388-385 წლებში უნდა მოჭრილიყო. ეს თარიღი შესაბამისობაში მოდის, №24 სამარხში აღმოჩენილ ჰერაკლეური ამფორების თარიღთან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამარხიც, შესაბამისად ძვ. წ. 80-იან წლებს უკავშირდება.

ამრიგად, ბოსფორის სამეფოს ჰემიობოლის გადათარიღებით, №24 სამარხი 50 წლით ადრეული გახდა. გარდა ამისა, თუ დღემდე ვანის ტერიტორიაზე მიცვალებულისთვის

მონეტის ჩაყოლების წესს ძვ. წ. IV საუკუნის შუახანებიდან ითვლიდნენ, №24 სამარხის გადათარიღებამ აჩვენა, რომ აქ ეს წესი ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია აგრეთვე, №24 სამარხის მიერ შეტანილი წვლილი ბოსფორის სამეფოს სამონეტო ემისიის ქრონოლოგიის დადგენის საკითხში. ზემოთ ხსენებული მეცნიერის მიერ მიღებული თარიღი, ცხადია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ვანის სამარხი, თავისი ინვენტარით და აწ უკვე დათარიღებით, კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ეს სამონეტო ემისია ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება.

მარიამ მჭედლიშვილი, ნინო ქებულაძე, ანა სახვაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი ურბნისის სამაროვნის მინის ნაწარმის ანალიზი

უძველესი მინის ნაწარმის შესწავლით მოპოვებულ ინფორმაციას, არქეოლოგიურ გამოკვლევებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეუძლია შეასრულოს აღმოჩენილი მინის ნიმუშების ამა თუ იმ რეგიონისადმი მიკუთვნების საკითხში და ამ რეგიონის კულტურული განვითარების დონის შეფასებაში.

სამხრეთ კავკასია, კერძოდ, საქართველო ყოველთვის იყო ძველი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე და აქ მოპოვებული დიდი რაოდენობით მინის მასალა ასახავს არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ ძველი სამყაროს მინის წარმოების პრაქტიკულად ყველა ეტაპს. უძველესი ეპოქიდან, ამ სახის პროდუქციას განსაკუთრებული ადგილი უკავია კაცობრიობის ისტორიაში, შესაბამისად, დიდია მეცნიერული ინტერესი მინის ნაწარმისადმი.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს 1953-1962 წლებში ურბნისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილი მინის ნაწარმის სტატისტიკური ანალიზი, სადაც ინტეგრირებულია ამავე სამაროვნის მინის ნივთების ქიმიური შედგენილობის კვლევა, რომელიც განხორციელდა 1950-1960 წლებში ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში.

საქართველოს როლი მინის წარმოების ჩასახვა-განვითარებაში სადღეისოდ სათანადოდ გამოკვეთილი არ არის. თუმცა, დღეისათვის ეჭვგარეშეა, რომ საქართველო მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ მრავლადაა მინის მრეწველობისათვის გამოსადეგი წიაღისეული, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში მინის წარმოებაც უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო ათვისებული. შესაბამისად, ნებისიერი კვლევა, რომელიც ეხება არქეოლოგიურ მინას ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მინის, როგორც უნიკალური ნივთიერი წყაროს მნიშვნელობა დიდია გარესამყაროსთან ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით. ურბნისში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის სტატისტიკური ანალიზი, იმპორტის დინამიკა და ლაბორატორიული კვლევები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გვიანანტიკურ ხანის იბერიაში არსებულ კონტაქტებზე და იქ მცხოვრები საზოგადოების მოთხოვნილებებზე.

ურბნისის მინის ჭურჭლის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ურბნისის სამაროვანი საქართველოს თანადროული ძეგლებისაგან გამოირჩევა იმპორტული მინის ჭურჭლის (სირია, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები) სიმრავლით, რომელთა ოდენობა ადგილობრივ თიხის ნაწარმს 2,5-ჯერ აღემატება. სამაროვნის 116 სამარხში მინის ჭურჭლის აღმოჩენის 64 შემთხვევა დაფიქსირდა, ჯამში 196 ჭურჭელი. სამარხეული ინვენტარი და მხოლოდ ურბნისისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესის თავისებურება მიანიშნებს აქ მცხოვრები საზოგადოების საერთო ეთნიკურ წარმომავლობაზე, ან რელიგიურ კუთვნილებაზე. მიუხედავად მათი მჭიდრო კონტაქტებისა ადგილობრივ რეგიონებთან, ისინი ოთხი საუკუნის მანძილზე მკაცრად ინარჩუნებენ თვითმყოფად ტრადიციებს. ეჭვგარეშეა, რომ მინის სანელსაცხებლებით ნელსაცხებლის იმპორტი ხდებოდა, რომელსაც ურბნისში მცხოვრები საზოგადოება დაკრძალვის რიტუალისთვის იყენებდა.

სიმონ ჯანაშიას მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში ურბნისის მინის რამდენიმე ნიმუშზე ჩატარებული კვლევების შედეგები ემთხვევა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ჭურჭლის შემცველობას (იხ. ცხრილი) და განსხვავდება საქართველოში შემდგომი პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი მინის ნაწარმისაგან, რომელიც ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევა. არქეოლოგიური და ტექნიკური კვლევებით დგინდება, რომ იბერიას გვიანანტიკურ ხანაში მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა პართიასთან, სირიასთან, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან და რომთან, რასაც ხელს უწყობდა აქ გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა.

	SiO ₂	CaO	MgO	Na ₂ O	K ₂ O	Fe ₂ O ₃	Al ₂ O ₃	Mn ₂ O ₃	Cu
ურბნისი	53,73-71,4	4,78-8,7	0,42-3,95	12,00-27,5	0,5-3,0	0,36-1,40	0,99-4,86	0,025-7,97	კვალის სახით
სამთავრო	43,86-70,15	3,16-16,95	0,45-8,18	8,26-18,99	<1-7,96	0,22-1,49	0,33-6,54	0,01-7,75	კვალის სახით

ბაკურ გოგობია, ლაზეთის კვლევის ცენტრი

დავით IV აღმაშენებლის ერთი უნიკალური მონეტის ლეგენდის ახლებური წაკითხვისათვის

გერმანიაში, ბერლინის ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში (Staatliche Museen zu Berlin, Bode-Museum, Münzkabinett) დაცული ბიზანტიური ყაიდის ერთი უნიკალური ქართული ვერცხლის მონეტა (საიდენტიფიკაციო № 18232003) დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იქცევს. ამ ტიპის მონეტების შესწავლის საქმე, ცხადია, შორს სცდება მხოლოდ ნუმისმატიკის (საფასმცოდნეობის) სფეროს.

საფასის ატრიბუცია და ზედ შემორჩენილი ლეგენდის ამოკითხვაც მეცნიერთა შორის, ლამის ორი საუკუნეა, დისკუსიისა და მსჯელობის საგნად ქცეულა. ატრიბუციას თითქოს ართულებს ის გარემოება, რომ საფასე მოგვიანებით შემოუჭრიათ. შესაბამისად, ამ ქმედებამ შეიწირა მასზე წრიულად დატანილი წარწერა, რომელზეც, წესით, ემიტენტის სახელი იყო მოცემული. ემიტენტის ვინაობაზე სამეცნიერო წრეებში აქამდე გამოთქმული მოსაზრებანი ორად იყოფა. მეცნიერთა ნაწილი მას ბაგრატ III-ს მიაკუთვნებს, ხოლო მეორე ნაწილი დავით IV აღმაშენებელს. ვემხრობი მოსაზრებას, რომ ბერლინის მიუნცკაბინეტში დაცული ამ ქართული უნიკუმის ემიტენტი დავით IV უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება მონეტაზე შემორჩენილი წარწერის წაკითხვასა და, შესაბამისად, ემიტენტი მეფის ტიტულატურას, აქამდე გამოთქმულია რამდენიმე ვერსია (1. რანთა და ტაონთა; 2. რანთა და სვანთა; 3. რანთა და ტავუშთა და სხვ.). მათგან ზოგიერთი ადრეულია და დღეისთვის უარყოფილი. ძირითად ვერსიად კი განიხილება პირველი - „რანთა და ტაონთა“. მიმაჩნია, რომ მონეტის ლეგენდის არც ეს წაკითხვაა დამაჯერებელი. მას, ისტორიულ-ქრონოლოგიურთან ერთად, ფაქტობრივი და აშკარა ენობრივი დაბრკოლებანი ახლავს.

მოხსენებაში, საკვლევ საკითხთან მიმართებით, ვრცლადაა მიმოხილული დავით IV-ის მეფობისა და იმხანად კავკასია-ანატოლიაში არსებული ვითარებიდან მომენტები, რომელთაც აქამდე ნაკლებად ან საერთოდ არ ექცეოდათ ყურადღება. სხვადასხვა ისტორიული წყაროს ცნობების შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე გამოკვეთილ გარემოებათა გათვალისწინებით შემოთავაზებულია ზემოხსენებული უნიკალური მონეტის ლეგენდის ახლებური წაკითხვა. კვლევა, ვფიქრობ, არა მხოლოდ გაამყარებს ამ კონკრეტული უნიკუმის დავით IV-სადმი ატრიბუციის ვერსიას და დააზუსტებს მასზე დატანილ წარწერას, არამედ წინ წამოსწევს ზოგიერთი ქართული და უცხოური ისტორიული წყაროს ცნობასაც და საგულისხმოდ სიახლით შეავსებს დავით IV-ის მეფობისა და მოღვაწეობის პერიოდს.

მოხსენება შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „ტრაპიზონის ქართული მონასტრები“ (HE-22-647) – ფარგლებში.

**მამუკა (მონაზონი იოანე) ცუხიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის
შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი
ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VI**

ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VI მოღვაწეობდა წმინდა მეფის დავით IV აღმაშენებლის დროს. იყო მეფის მხარდამჭერი და იმ ეპოქის საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკური ცხოვრების რეფორმატორი. რუის-ურბნისის კრებას, რომელიც მეფის ინიციატივით მოწვეულ იქნა 1104 წელს, თავმჯდომარეობდა სწორედ კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VI. მეფესთან ერთად მისი იდეა იყო გელათის აკადემიის დაარსება და იქ იოანე პეტრიწის მოწვევა. ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იოანე VI-მ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა აღმაშენებლის ოქროს ხანის ფორმირებაში.

**ირაკლი ფაღავა, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქეთევან დედოფლის სამონეტო ემისია (ვინ აკონტროლებდა ზარაფხანას ქ. ბაზარში?)**

საქართველოს დაშლის შემდგომ პერიოდში, ოსმალეთის იმპერიისა და სეფიანთა ირანის უღელქვეშ მოქცეულ ქართულ სამეფო-სამთავროებში სამონეტო ემისიები არ შეწყვეტილა; თუმცა კი, ქართულმა ზარაფხანებმა შეწყვიტეს ეროვნული იერის მონეტების გამოშვება და გადავიდნენ ისლამურ-აღმოსავლური, სეფიანური და ოსმალური ყაიდის მონეტების გამოშვებაზე. აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებდა და სეფიანური ტიპის საფასეს უშვებდა სამი ზარაფხანა: თბილისის (ქართლის სამეფოს დედაქალაქში), ზაგემის (კახეთის სამეფოს დედაქალაქ ბაზარში) და ქახეთაბადის / ქახედის (მდებარეობდა კახეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ურბანულ ცენტრში, ქ. კაკში). დადგენილია, რომ თბილისის ზარაფხანას აკონტროლებდა არა სეფიანი შაჰი, არამედ ქართლის მეფე (ქუთელია, 1979: 25-30). დაუდგენელი იყო - თუ ვინ აკონტროლებდა *კახეთის სამეფოს* ზარაფხანას.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ, თუ ვინ აკონტროლებდა კახეთის სამეფოს წამყვან ზარაფხანას ქ. ბაზარში, რომელიც უშვებდა საფასეს ზაგემის სახელით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, აღსანიშნავია უშუალოდ სამონეტო მასალის შესწავლის უპერსპექტივობა: ძვირფასი ლითონისგან მოჭრილ მონეტებზე მხოლოდ უზენაესი სიუზერენის, ამ შემთხვევაში სეფიანი შაჰის სახელი უნდა მიეთითებინათ (*სიქეს უფლება*), სპილენძის ფული კი ანონიმური იჭრებოდა. ამრიგად, მონეტების მიხედვით შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა ხელისუფლება იყო უშუალოდ ჩართული მათ ემისიაში. გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა მხოლოდ ნარატიული მონაცემები.

მოვიძიეთ ორი ცნობა იმის შესახებ, თუ ვინ ბრძანებს ზაგემის ზარაფხანაში მონეტის მოჭრას, ანუ, ვინ აკონტროლებს მას: 1) ისქანდერ მუნშის თანახმად, ჰ. 1011 წ. (1602/3) შაჰ აბბას I-ს, რომელსაც ერევნის ციხისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული (1603-1604), ალექსანდრე II ეახლა, და თავის ქვეყანაში შაჰის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები მიაყარა, როგორც ეს საქართველოში იყო მიღებული. კონტექსტი ცხადჰყოფს, რომ მონეტები კახთა მეფემ საკუთარი ინიციატივით მოჭრა, ანუ, ზარაფხანასაც თავად აკონტროლებდა. ზარაფხანა, უდიდესი ალბათობით, ზაგემის უნდა ყოფილიყო (ქუთელია, 1979: 15-16); 2) უკიდურესად საინტერესო ცნობას შეიცავს ფაზლი ბეგის, კახეთის გამგებლის, ფეიქარ-ხანის ვაზირის შედარებით ახალაღმოჩენილი თხზულება. იმ ფრაგმენტში, სადაც საუბარია ქეთევან დედოფალზე (მაედა და ალექსიძე, 2019; ცნობის ნუმისმატიკური მნიშვნელობის ანალიზის გარეშე), აღნიშნულია, რომ 1605 წლის ანტიირანული აჯანყების ბოლოს, ქეთევან დედოფალი „ქალაქ ზეგამისკენ გაემართა და ძველი წესისამებრ მისი უდიდებულესობის სახელზე მონეტა მოჭრა და ხუტბა აღავლინა“. ეს მონეტები ჰ. 1014 წლით უნდა ყოფილიყო დათარიღებული.

ორივე ცნობის შეჯერება გვარწმუნებს იმაში, რომ XVII საუკუნის პირველ დეკადაში მაინც ქ. ბაზარში / ზაგემში მოქმედ ზარაფხანას აკონტროლებდა კახეთის მეფე; ისევე როგორც

თბილისის ზარაფხანას აკონტროლებდა ქართლის მეფე. დიდი ალბათობით, წინარე პერიოდშიც ზაგემის ზარაფხანას ასევე კახეთის მონარქი განაგებდა.

II დარბაზი, II სექცია, III სხდომა

მანანა სანამე, საქართველოს უნივერსიტეტი

სამი თქმულება საქართველოში „ქართველთა“ მოსვლა-დასახლების შესახებ – რას მოგვითხრობენ ისინი?

უპირველეს ყოვლისა, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაში დაცულია მოთხრობა ე. წ. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში მმართველად აზოს (ირანულად - „ვაცი“, „წინამძღოლი“) დაყენებასა და ამ უკანასკნელის მიერ არიან-ქართლიდან, ანუ სპარსეთის (არიანა, ირანი) ქართლიდან ხალხის - ქართველების გადმოსახლების შესახებ (რვა სახლისა და ათი მამამძუძეთა). ამავე მოთხრობის *ქართველთა ცხოვრებისეული* ვერსია უკვე ალექსანდრე მაკედონელის „ნათესავზე“, ანუ ალექსანდრეს მოდემის, მისი საგვარეულოდან წარმომდგარ კაცზე მოგვითხრობს, რომელიც თუმცა მაკედონელია, მაგრამ იმავდროულად იარედოსის ძეა. სახელი იარედოსი ბერძნული „ოს“ სუფიქსითაა ნაწარმოები სახელი „იარედი“-დან. იარედი კი, იმავე ქართველთა ცხოვრების ინფორმაციით, სპარსია და სპარსეთის მეფის ძეა. *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით, ალექსანდრე აზონს ქართლის მმართველად - პატრიკად ნიშნავს. ამ ვერსიით აზონს ქართველები არსაიდან მოჰყავს, ის ქართველების დამპყრობი, მზავრელი და მტერია;

მეორე თქმულება შემოგვინახა X ს-ის ბიზანტიის ისტორიკოსი იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის (კეისრობის წლებია: 913-920; 945-959 წწ.) მონათხრობმა, რომელიც საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც ამბავი, რომელიც ბაგრატიონების ვითომდა ებრაული წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს. სინამდვილეში, თქმულება არა მხოლოდ ბაგრატიონების, არამედ მთელი ხალხის, იბერიელების - ქართველების იერუსალიმის სანახებიდან ახალ სამშობლოში - საქართველოში გადმოსახლება-დასახლებაზე მოგვითხრობს. თქმულების თანახმად, იბერიელები, სპანდიატმა, იმავე სპანდიატ რვალმა, რომელიც მესამე აქემენიანი ხელმწიფის დარიოს I-ის მეტსახელია, და მისმა ახლად შეძენილმა (გაქრისტიანების შემდეგ) ძმა დავითმა, სპანდიატის მიერ სიზმარში გაცხადებული ღვთიური ნების თანახმად, მათი მოდგმა - იბერიელები, ებრაელთა ქალაქ იერუსალიმიდან წამოიყვანეს და საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლეს;

საბოლოოდ, მესამე თქმულება, რომელიც უფრო ზემოთ დასახელებული ორის დამატება-ვარიაციად შეიძლება განვიხილოთ და არა დამოუკიდებელ მოთხრობად, *ქართველთა ცხოვრების* შესავალშია მოთავსებული - ამბავი სპარსეთის ლეგენდარული მეფის აფრიდონისა და მისი სამი ვაჟის შესახებ. მოთხრობის თანახმად, სპარსეთის მეფეს აფრიდონს ჰყავდა სამი ვაჟი, აქედან უფროსს ერქვა იარედი. იარედი იყო ტახტის მემკვიდრე და მის

დაქვემდებარებაში ყოფილა ქართლი. აფრიდონის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში ორმა უმცროსმა ძმამ მოკლა იარედი.

თქმულებებში დაცული ინფორმაციების კვლევამ, წარმოაჩინა, რომ ისინი ერთი მითოსის სხვადასხვა მონაკვეთებს წარმოადგენენ და ერთ ამბავს მოგვითხრობენ. მითხრობის თავდაპირველ ვერსიას არაფერი ჰქონდა საერთო არც ებრაელებთან და იერუსალიმთან და არც საბერძნეთთან და ალექსანდრე მაკედონელთან. ის აქემენიანების, კერძოდ, აქემენიანი უფლისწულის საქართველოში მოსვლა-დასახლებაზე მოგვითხრობდა. მითოსად ქცეულ ამბავს, სავარაუდოდ, ადგილი უნდა ჰქონოდა დარიოს I-ის, იგივე სპანდიატ რვალის შვილიშვილის არტაქსერქსეს გამეფების (ძვ. წ. 465 წ.) ახლო ხანებში, როდესაც ტახტისთვის ბრძოლის ნიადაგზე დახოცილი უფლისწულების შვილებიდან ერთ-ერთი, შემდგომში მითურ აზოდ (აზონად) - წინამძღოლად ქცეული, ბიძებს გამოქცეული, თავისი ხალხითა და მოკიდებულით სამშობლოდან გადახვეწილი, ქვეყნის „დასალიერს“, უკიდურეს ჩრდილოეთში - საქართველოში მოვიდა და აქ დასახლდა.

ბეჟან ხორავა, საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

„წმ. დავით და კოსტანტინეს წამების“ ზოგიერთი ცნობის დაზუსტებისათვის

ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება „დავით და კოსტანტინეს წამება“ დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო, როგორც საქართველოში არაბთა ლაშქრობის, სახელდობრ მურვან-ყრუს შემოსევის ამსახველი თხზულება. დღეისათვის გარკვეულია, რომ თხზულებას საფუძვლად უდევს VI საუკუნის ქრონიკა, რომელშიც გადმოცემული იყო სპარსთა ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში დიდი ომიანობის (542-562) დროს.

ჩვენი მიზანია, თხზულებაში აღწერილი ზოგიერთი ფაქტის დაზუსტება, სახელდობრ: დავით და კოსტანტინეს წამებისა და დაკრძალვის ადგილის გარკვევა; ციხე-ქალაქ წყალწითელის ლოკალიზაცია; არგვეთის მთავართა, დავით და კოსტანტინეს, მხეიძეთა საგვარეულოსთან მიმართების გარკვევა.

თხზულებაში აღნიშნულია, რომ არგვეთის მთავრების წამება მოხდა წმ. კოზმან და დამიანეს ეკლესიის მახლობლად. ისტორიულ ხეფინისხევიში, მდინარე ძირულას ხეობაში მდებარეობს წმ. კოზმან და დამიანეს ეკლესია. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმავე ხეფინისხევიში, ტბეთის წმ. გიორგის ეკლესიის სახელი ტბეთი იმ ტბასთან არის დაკავშირებული, სადაც არგვეთის მთავრები აწამეს.

უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად სწორად არის თხზულებაში ასახული რეალური ვითარება, რაც VI საუკუნის საქართველოს ისტორიის უკეთ გააზრებაში დაგვეხმარება. კვლევისას გამოყენებულია წყაროს კრიტიკული ანალიზის, ფაქტების ნამდვილობის დადგენის, კომპლექსური და ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებული სხვა მეთოდები.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ არგვეთის მთავრების წამება მოხდა რიონისა და მისი რომელიღაც შენაკადის სიახლოვეს. მათი ნეშტი დაკრძალეს ციხე-ქალაქ წყალწითელის

ეკლესიის აკლდამაში, დღევანდელი მოწამეთას მონასტრის ტერიტორიაზე. ციხე-ქალაქი წყალწითელი მოწამეთას მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობდა; თხზულების თანახმად არგვეთის მთავრები გვარად მხეიძეები იყვნენ. იმ შორეულ წარსულში გვარსახელი მხეიძე ამ ფორმით არ არსებობდა, თუმცა საისტორიო ტრადიცია არგვეთის მთავრებს სწორედ მათთან აკავშირებს.

მამუკა წურწუშია, დამოუკიდებელი მკვლევარი აღმოსავლეთის დიდი ელჩობა ევროპაში: ახალი მონაცემები

1460-61 წლებში დასავლეთ ევროპის მცხოვრებლები უცხო და ეგზოტიკური სანახაობის მოწმენი გახდნენ: იტალიის, საფრანგეთისა და ბურგუნდიის ქალაქების ქუჩებში პაპის ნუნციოსა და ანტიოქიის პატრიარქის ლუდოვიკო ბოლონიელის წინამძღოლობით აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩების უცხო და მოსილი და უჩვეულო გარეგნობის დელეგაცია დააბიჯებდა. მათი ხილვა ყველგან დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. ლუდოვიკო ბოლონიელი კარგად იცნობდა და ხშირად სტუმრობდა აღმოსავლეთს, ერკვეოდა აღმოსავლურ პოლიტიკაში და სასურველ თანამზრახველს წარმოადგენდა რომის პაპებისთვის, რომლებიც გაძლიერებული ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას გეგმავდნენ.

1459 წელს პიუს II-ის დავალებით ლუდოვიკო საქართველოში მეორედ ჩამოვიდა და ერთი წლის განმავლობაში ოსმალთა საწინააღმდეგო ალიანსის ფორმირებას ცდილობდა. მან ერთმანეთთან დააზავა ქართველი მეფე-მთავრები და 1460 წელს გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე ათაბაგის ელჩებთან (ნიკოლოზ თბილელი და ფარსადან ახალციხელი) ერთად ევროპისაკენ გაემართა. მას თან ახლდა კოალიციის წევრი მუსლიმი სახელმწიფოების ელჩებიც, რომლებიც ოსმალთა გაძლიერებით იყვნენ შემფოთებულნი. ფლორენციაში მათ შეუერთდა ტრაპიზონის იმპერატორის ელჩი მიქელე ალეგიერიც.

ამ ელჩობამ, რომელიც ევროპაში ორი წლის განმავლობაში მიმდინოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია და მის შესახებ მრავალი წყარო მოგვითხრობს, როგორცაა პიუს II-ის მემუარები, ფილიპე კეთილის მრჩეველი ჟაკ დიუ კლერკი, ენგერან დე მონსტრელეს ქრონიკის გამგრძელებელი, გენტის ქრონიკა და საბუთები ევროპულ არქივებში. დიუ კლერკის ქრონიკიდან ვიგებთ, რომ 1461 წლის 15 აგვისტოს ელჩები დაესწრნენ საფრანგეთის ახალი მეფის ლუი XI-ის კორონაციას. ამ დღეს რეიმსის ნოტრ-დამის ტაძარში ლუი XI რაინდად აკურთხა ბურგუნდიის ჰერცოგმა, რის შემდეგ თავად მეფემ, ჰერცოგმა და შემდეგ სხვებმა რაინდად აკურთხეს ორასამდე კაცი. როგორც ირკვევა, მათ შორის ქართველთა ელჩებიც იყვნენ.

იელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ბურგუნდიული ხელნაწერი გვაწვდის ახალ, აქამდე უცნობ ინფორმაციას ელჩობის საფრანგეთსა და ბურგუნდიაში ყოფნის შესახებ. ის XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს დასრულებული და შედგება სამ ნაწილად დაყოფილი ტექსტებისაგან ჰერალდიკის შესახებ. მეორე ნაწილში მოთავსებულია აღმოსავლეთის ელჩობის გერბებით დასურათებული აღწერა. აქ მოთხრობილი ამბავი ბევრ რამეში ემთხვევა და იმეორებს სხვა ევროპული ქრონიკების მონაცემებს, თუმცა მრავალი ყურადსაღები

დეტალით ხასიათდება და ისეთ ცნობებსაც გვაწვდის, სხვაგან რომ არ გვხვდება. ასეთია ბურგუნდიის ჰერცოგის დახვედრისა და ამ დროს ჩატარებული ღონისძიებების (უხვი ბანკეტები, რაინდული ტურნირი და რელიგიური ცერემონია) დეტალური აღწერა, ელჩების პორტრეტების გამოსახვა სენტ-ბერტინის სააბატოს წმინდა ეკატერინეს სამლოცველოში, რომ არაფერი ვთქვათ ელჩების გერბებზე.

აღმოსავლეთის ელჩობას კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი უკავშირდება. როგორც დგინდება, ფილიპე კეთილისა და მისი მემკვიდრეების მიერ „დიდი ჰერცოგის“ ტიტულის ტარება სწორედ ამ ელჩობასთანაა კავშირში. ევროპის ფეოდალურ იერარქიაში, სადაც მეფემდე ერთი საფეხურით დაბლა ჰერცოგი იდგა, ასეთი ტიტული არ არსებობდა. თავად ფილიპეც ყველგან და ყოველთვის იწოდებოდა მხოლოდ როგორც ჰერცოგი. 1461 წლიდან, ბურგუნდიის კარზე აღმოსავლელი ელჩების ჩამოსვლის შემდეგ, პირიქით, ტერმინი „დიდი ჰერცოგი“ მუდმივად გვხვდება ბურგუნდიულ ტექსტებში. ეს ტიტული პირველად ყვარყვარე ათაბაგის წერილში გვხვდება.

პომპეზური დახვედრების მიუხედავად, ევროპის ქვეყნების საშინაო პრობლემების, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და ბურგუნდიას შორის არსებული დაპირისპირების გამო, ელჩობა უნაყოფო გამოდგა და ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა. ამ სირთულეებზე მეტს ვიგებთ ენგერან დე მონსტრელეს ქრონიკის გამგრძელებლის სიტყვებით, რომელიც აღწერს აღმოსავლეთის ელჩობის მიღებას საფრანგეთის მეფისა და ბურგუნდიის ჰერცოგის კარზე. ასევე, ახალი ცნობებით ირკვევა, რომ თავდაპირველი წარუმატებლობის მიუხედავად, კოალიციის შედგენის მცდელობები და ელჩების მიმოსვლა საქართველოსა და ევროპას შორის 1463 და 1471 წლებშიც გრძელდებოდა. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც ქართული სახელმწიფოების მესვეურები ანიჭებდნენ ევროპასთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს.

II დარბაზი, II სექცია, IV სხდომა

ნიკოლოზ ჟღენტი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სიახლეები მესხეთის ეპიგრაფიკიდან

2023-2024 წლებში ა(ა)იპ „საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის“ მიერ სამცხე-ჯავახეთში შედგა შვიდი სავლე კვლევითი ექსპედიცია. კვლევა ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული პროექტის - „ისტორიული მესხეთის მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი კატალოგი (NFR-22-23398)“ ფარგლებში. იგეგმება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადგილზე მონახულება, აღწერა, კვლევა და შედეგების პრეზენტაცია-ტირაჟირება ორენოვანი კატალოგის სახით.

საველე ექსპედიციებისას აღვწერეთ ასობით ეპიგრაფიკული ძეგლი. მათი ნაწილი უკვე ცნობილი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ნაწილი კი სრულიად უცნობი აღმოჩნდა. მათზე მუშაობისას გამოვლინდა არა ერთი საინტერესო სამეცნიერო სიახლე.

მოხსენებაში წარმოვადგენ ძირითად დასკვნებსა და დაკვირვებებს მესხეთის სხვადასხვა ეპიგრაფიკული ძეგლის შესახებ. ასევე ახლად გამოვლენილ მნიშვნელოვან წარწერებს:

1. ჭულეს მონასტრის სატრაპეზოს კედელში მივაკვლიეთ აქამდე უცნობ X-XI საუკუნეების ნუსხური ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტს, რომელშიც იხსენიება ვინმე მარიამი და მისი შვილები. მნიშვნელოვანია, რომ სავდრებელი წარწერა მიემართება ღვთისმშობელს, რაც მიუთითებს, რომ ჭულეს ძველი ეკლესია სწორედ ღვთისმშობლის სახელობის ყოფილა;

2. ურავლის ხეობის აგარების მონასტერში, მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ჩასმულია ქვის ფილა X-XI საუკუნეების ასომთავრული წარწერით, რომლის ტექსტი რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული. წარწერაში იხსენიება მაწყვერელი ეპისკოპოსი, თუმცა სახელი აქამდე ან არ ყოფილა წაკითხული, ან არასწორად იყო ამოკითხული. სინამდვილეში წარწერაში იხსენიება მაწყვერელი იოვანე ჭლიკაისძე (?);

3. ბაიების ეკლესიაში გამოვლინდა 20-ზე მეტი ნაკაწრი წარწერა, რომელთა შორის გამორჩეულია ორი: 1. შესრულებულია XIII-XIV საუკუნეების მდივანმწიგნობრული ხვეული მხედრულით. წარწერა რთულად იკითხება, შესაძლოა ეკუთვნოდეს ბექა ჯაყელს (?); 2. XII-XIII საუკუნეების ნაკაწრ წარწერაში იხსენიება ვინმე თორელი, რომელიც თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო;

4. სოფ. ბოგას სასაფლაოს ახლად აშენებულ კედელში მივაგენით XII-XIII საუკუნეების ნუსხური ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტს, რომელიც ბოგას განაპირას მდებარე ეკლესიის ნანგრევებიდან მოუტანიათ. წარწერა საამშენებლო ხასიათისა უნდა იყოს, რომელიც იხსენიებს ვინმე მარკოზ ლიპარიტისძეს (?);

5. სოფ. სვირის წყაროზე მივაგენით წყაროს ძველ ქვას, რომელსაც დღემდე შემორჩა წყლისათვის დიდი ნახვრეტი და XII-XIII საუკუნეების ნუსხური წარწერა ვინმე ვარძიელისა და ინის მოხსენიებით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი არტეფაქტი უნიკალურია;

6. ჯაყისმანის მონასტერში შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ სამრეკლოს XIV საუკუნის ძალზე დაზიანებული წარწერა. ასევე გამოვთქვით ფრთხილი ვარაუდი მთავარი ეკლესიის სარკმლის წარწერაში მოხსენიებული პირის შესახებ: აქ შესაძლოა იკითხებოდეს XI საუკუნის ცნობილი ისტორიული მოღვაწე, ყველის ერისთავი მურვან ჯაყელი;

7. ვალეს ეკლესიის ყორესთან აღმოჩნდა ჯვრის გამოსახულებიანი ქვის რელიეფის ფრაგმენტი, რომელზეც განირჩევა X-XI საუკუნეების ასომთავრული წარწერ(ებ)ის ფრაგმენტები. შინაარსის დადგენა ჯერ-ჯერობით ნაწილობრივ არის შესაძლებელი;

8. ვარძიის მთავარ ეკლესიაში, გიორგი III-სა და თამარ მეფის ფეხებთან გამოვლინდა მდივანმწიგნობრული ხვეული ხელით ნაწერი XIII საუკუნის მხედრული წარწერა, რომელიც შეიძლება იხსენიებდეს უცნობ ბედიელ ეპისკოპოს იოვანეს;

9. ზედა თმოგვის წარწერებზე მუშაობისას დაზუსტდა მათში მოხსენიებული პირების ზუსტი სახელები;

10. თოკის ეკლესიის უცნობი ნაკაწრი წარწერა შესაძლოა გვაუწყებდეს, რომ ტაძარი წმ. სტეფანე პირველმოწამეს სახელზე უნდა იყოს ნაგები;

11. კობტას ციხის ეკლესიის დასავლეთ სარკმელში მივაკვლიეთ X-XI საუკუნეების უცნობ ნუსხურ ლაპიდარულ წარწერას. დაზიანებების გამო წარწერის შინაარსის ზუსტად აღდგენა ვერ ხერხდება. თუმცა მასში შეიძლება იხსენიებოდეს სახელი ცაცურა. აღსანიშნავია, რომ ცაცურაშვილები იხსენიებიან ურავლის ხეობაში მდებარე ახდილას მონასტრის XII-XIII საუკუნეების ხელნაწერ სახარებაში (მათ შორის ყდის მომჭედველ ოსტატად). კობტას ციხის ეკლესიის წარწერაში შესაძლოა სწორედ ამ საგვარეულოს წარმომადგენელი, ან საერთოდაც ფუძემდებელი იხსენიებოდეს;

12. აგანას სომხურ ეკლესიაში გამოვლინდა ვრცელი ასომთავრული სამშენებლო წარწერა ბაგრატ კურაპალატის მოხსენიებით. წარწერა შეიცავს ძვირფას ცნობებს აგანას ძველი ეკლესიის ქტიტორის, სახელობისა და აგების თარიღის შესახებ.

**ომიკო ეჯიბია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰაჯის სავარაუდო მიმართულებები და მარშრუტები შუა საუკუნეების კავკასიის ქალაქებიდან
(თბილისი, დვინი, დარუბანდი) IX-XIII საუკუნეები**

ისლამი კავკასიაში არაბ-მუსლიმთა დაპყრობების პარალელულად გავრცელდა. არაბებმა ჯერ აღმოსავლეთ კავკასიაში მოიკიდეს ფეხი, შემდეგ მისი როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთი, ასევე სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილები დაიკავეს. აქ შეიქმნა პროვინცია არმინია, რომელიც თანამედროვე საქართველოს, სომხეთის, დაღესტანს (რუსეთის ფედერაცია) და აზერბაიჯანის ტერიტორიებს მოიცავდა. ისლამმა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ კავკასიაში, მოიკიდა ფეხი, სადაც VII საუკუნის მიწურულიდან არაბული ტომებიც დასახლდნენ. თუმცა გამონაკლისს არც ისტორიული საქართველო და სომხეთი წარმოადგენდნენ. არაბულ-მუსლიმური ადმინისტრაციის დამყარებას, ცხადია, თან სდევდა ისლამის გავრცელებაც და ეს არ ხდებოდა მხოლოდ მოსული მოსახლეობის ხარჯზე და არ უნდა გამოვრიცხოთ ადგილობრივი მოსახლეობის მოქცევა ისლამზე. შესაბამისად, კავკასიის რეგიონში მცხოვრები მუსლიმებისთვის ჰაჯის, მუსლიმთა ერთ-ერთი მთავარი მოვალეობის, შესრულების საკითხიც მალევე უნდა დამდგარიყო. აღნიშნული კი მოითხოვდა იმ სავარაუდო გზებისა თუ მარშრუტების ცოდნას, რომელიც პილიგრიმებს მექაში ჩაიყვანდა.

მართალია, IX-XIII სს.-ის კავკასიის ქალაქებს შორის მარშრუტებს ზოგიერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი შეეხო. თუმცა, ჰაჯის მარშრუტები ამ პერიოდის კავკასიიდან, აქამდე არ ყოფილა სათანადო შესწავლის ობიექტი. ამასთან, ამ საკითხის კვლევა აქტუალურია კავკასიისა და ისლამის „წმინდა ქალაქებს“ შორის სავარაუდო მიმოსვლის კონტექსტში, კავკასიისა და „წმინდა მიწის“ ურთიერთობების პარალელურად.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება იმისა, ასრულებდნენ თუ არა ან მიდიოდნენ თუ არა მუსლიმები ჰაჯიზე, შუა საუკუნეებში, კავკასიიდან. თუმცა

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი რამ მაინც ხდებოდა, რადგანაც მუსლიმთა რაოდენობა არც თუ ცოტა იყო. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, გამოვთქვათ მოსაზრებები და ვერსიები იმ სავარაუდო გზების/მარშრუტების შესახებ, რომლებიც კავკასიიდან წამოსულ მუსლიმს მექაში ჰაჯიზე მიიყვანდა. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში ჩვენი ვარაუდები დაეყრდნობა არაბ-მუსლიმი გეოგრაფებისა და მოგზაურების ცნობებსა და მათ მიერ მოწოდებული მარშრუტების გაანალიზებას, არა მარტო კავკასიის რეგიონის, არამედ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონტექსტში.

საკვლევი საკითხის მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის თემისადმი კომპლექსური მიდგომა, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითი ანალიზისა და ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენება. ასევე უმნიშვნელოვანესია წყაროების შედარებითი ანალიზის, შუა საუკუნეების მუსლიმური კარტოგრაფიისა და მასთან მიმართებაში, რედუქციონიზმის პრინციპის გამოყენება. სისტემურობის მეთოდის აპრობაცია, სავარაუდო მარშრუტთა და გეოგრაფიულ პუნქტთა აღნიშვნისა და გამორიცხვის პროცესში.

საბოლოო ჯამში, შესრულებული სამუშაოს შედეგად, გვექნება პირველადი მონაცემი, ჰაჯის სავარაუდო მარშრუტებისა, შუა საუკუნეების კავკასიის სამი უმნიშვნელოვანესი პუნქტიდან: თბილისი, დვინი, დარუბანდი. ასევე, გამომდინარე არაერთი მარშრუტისა, შეგვეძლება გამოვთქვათ მოსაზრება თუ რომელი იქნებოდა ყველაზე მოსახერხებელი კავკასიაში მცხოვრები მუსლიმებისთვის, იმ პერიოდის, ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. კვლევა დაეხმარება არა ამხოლოდ რეგიონის, შუა საუკუნეების შემსწავლელ თუ ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებულ სუბიექტებს, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური თემებით, პოლიტიკური თუ სამხედრო-გეოსტრატეგიული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს.

ნათია ხიზანიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მერეს მონასტრის ისტორიისათვის

ჩვენი კვლევის საგანს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მერეს დედათა მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის (ადგილმდებარეობა, დაარსება, იქ მოღვაწე სასულიერო პირები და სხვა) გარკვევის მცდელობა წარმოადგენს.

ქართველოლოგიურ მეცნიერებაში აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, თუმცა, ძირითადი აქცენტი მამათა მონასტრებსა და მათი ცხოვრების შესწავლაზე ისმება.

მერეს მონასტრის მდებარეობა დღემდე გაურკვეველია. 1904 წელს კლარჯეთში მოგზაურობისას ნიკო მარმა იმერხევში ორი ადგილი ნახა, რომლებსაც მერე ეწოდება:

- 1) სოფ. წყალსიმერთან - მერე;
- 2) სოფ. სურევანთან, ქვემოთ, მდინარესთან სახნავი ადგილი – დიდმერე.

ორივე სოფელი შავშეთის მხარეშია. მოგვიანებით, იგივე ტოპონიმი დადასტურა კარჩხლის ხეობაშიც.

მალხაზ ჩოხარაძის მოსაზრებით მერეს მონასტერი უნდა ყოფილიყო კარჩხლის ხეობაში, წყაროსთავსა და მიძნადორს ზემოთ, გზატკეცილიდან ათიოდე კილომეტრზე მდებარე სოფელ მერეს ტერიტორიაზე. თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნაეკლესიარის ადგილს ვერავინ აჩვენებს.

მერეს ადგილმდებარობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრს. ამ ცენტრის წარმომადგენლებმა შავშეთში, სოფ. მერიას განაპირას, მცირე ბორცვზე მიაკვლიეს მოსწორებულ ადგილს, რომელსაც ადგილობრივები „მონასტერს“ უწოდებდნენ. იმავე სოფლის მოლოხორის უბანთან ახლოს, ტყეში მდებარეობს დარბაზული ტიპის ეკლესია. ცენტრის თანამშრომლები გამოთქვამენ ჰიპოთეზას, რომ აღნიშნული ძეგლი შეიძლება იყოს მერეს დედათა მონასტერი. ჩვენი ვარაუდით კი, მერეს მონასტერი ბერთის მონასტერთან ახლოსაა საძიებელი. ამას „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტში მატოს გარდაცვალების ისტორია გვაფიქრებინებს. თუ როდის დაარსდა მერეს მონასტერი, ამის ზუსტი განსაზღვა, არსებული წყაროების მიხედვით, რთულია. ჯუანშერისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების მიხედვით, მერეს მონასტერი V საუკუნეში აშენდა. ქართლის ცხოვრების სხვადასხვა ხელნაწერში გვხვდება ტოპონიმ „მერეს“ სხვადასხვა ფორმა: „მერე“, „ბაბა მერე“, „დაბა მერე“.

არტავაზის მიერ აშენებული მერეს მონასტრისა („ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ხელნაწერში, მაგ. ანასეულ და ჭალაშვილისეულ ნუსხებში მერეს ეკლესიის მშენებლობაზეა საუბარი, ხოლო მარიამისეულ, კლიმიაშვილისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში - მერეს მონასტრის) და მერეს დედათა მონასტრის გაიგივებას, ჩვენი თვალთახედვით, მტკიცე საფუძველი არ აქვს. „მერე“ გავრცელებული ტოპონიმია ტაო-კლარჯეთში და, შესაძლებელია, წყაროებში სხვადასხვა მონასტერზე იყოს საუბარი.

გიორგი მერჩულე მერეს დედათა მონასტრის დაარსებაზე არაფერს წერს. მერეში მკვიდრდება გრიგოლ ხანცთელის მეგობარი დედა ფებრონია, რომელიც იქ სამცხიდან მივიდა. წმინდა დედა მერეში უნდა მისულიყო არაუგვიანეს IX საუკუნის 10-იანი წლებისა. ანჩელი ეპისკოპოსის - ცქირის ისტორიაში დედა ფებრონია უკვე ავტორიტეტული სასულიერო პირია. იგი გრიგოლ ხანცთელთან ერთად განმოსავს ცქირს. ცქირის ეპისკოპოსობა კი სავარაუდებელია 817/818-826 წლებს შორის. მისი მისვლის დროს მერეს მონასტერი უკვე მოქმედი მონასტერია. თხზულებაში გიორგი მერჩულე ხშირად მოიხსენიებს მას, თუმცა, არსად აქვს აღნიშნული, რომ მან მერე ააშენა ან განაახლა.

მერეს ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობისა იყო. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ტექსტიდან ჩანს, რომ მერეში დაყუდებული მონაზონი ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ მერე ჰიბრიდული ანუ შერეული კვინობის ტიპის მონასტერი შეიძლება იყოს ყოფილიყო. ამ მონასტერში მოღვაწეობდნენ ხანცთელი მღვდლები. ორმოცი წლის განმავლობაში მერეს ხუცესი იყო მატოძე, გრიგოლ ხანცთელის მოწაფე.

სავარაუდებელია, რომ მერე კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნოს“ ერთობის ნაწილი არ იყო. ამაზე გრიგოლ ხანცთელის თხზულების ორი ადგილი მიგვანიშნებს.

მერეს მონასტერთან დაკავშირებულია ტაო-კლარჯეთის მთავრის აშოტ კურაპალატისა და მისი ვაჟის ადარნასეს ცხოვრებისეული ეპიზოდები.

მერეს ისტორიის მომდევნო პერიოდი უცნობია.

**მარიამ ნანობაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

ქართლის მოქცევის საკითხი მე-17 საუკუნის ანტიოქიურ ქრისტიანულ არაბულ მწერლობაში

ქართველებსა და ქრისტიან არაბებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ VIII-X საუკუნეებში ძირითადად სინა-პალესტინის არეალში, რაც არაბულიდან ქართულად შესრულებულ თარგმანებშიც აისახა. მომდევნო პერიოდში ეს კავშირები შედარებით შესუსტდა და XIII საუკუნის შემდეგ თითქმის შეწყდა კიდევ. მოგვიანებით, XVII საუკუნეში, როდესაც ანტიოქიის საპატრიარქოში ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღორძინება დაიწყო, ქრისტიან არაბთა შორის ისევ გაჩნდა ინტერესი საქართველოს მიმართ. ჩვენი ძირითადი საკვლევი თემა ამჯერად ქართლის მოქცევას, რომელმაც მეღმერთის ქარმასა და მაკარი ანტიოქიელის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

ფართო საზოგადოებისათვის ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობა და არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი ნაკლებადაა ცნობილი. ამასთანავე, მიჩნეულია, რომ ეს ურთიერთობანი მხოლოდ ადრეულ პერიოდში ვითარდებოდა. ამდენად, აქტუალურია ზოგადად ამ თემატიკის წარმოჩენა, ისეთი მასალის წარმოდგენა, რომელიც გვიჩვენებს ქრისტიან არაბთა განსაკუთრებულ დაინტერესებას საქართველოთი XVII საუკუნეში. ეს წყაროები იმდენად ღირებული აღმოჩნდა, რომ უახლეს პერიოდში კალისტრატე ცინცაძე მათ მნივენლოვანწილად ეყრდნობოდა, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად იღვწოდა.

ძირითადი პრობლემატიკა, რომელიც მოხსენებაშია ასახული, მოიცავს შემდეგ საკითხებს: ქრისტიან არაბთა მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში, ლიტერატურული საქმიანობის აღორძინება ანტიოქიის საპატრიარქოში, მართლმადიდებელი არაბების ძალისხმევა სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებთან (მათ შორის, საქართველოსთან) ურთიერთობის განსამტკიცებლად, ქართლის მოქცევის საკითხის არაერთგზის ასახვა მეღმერთის ქარმასა და მაკარი ანტიოქიელის შრომებში, ადრეული წყაროები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ (ნიკონ შავმთელი, ეფრემ მცირე). საინტერესოა, რამდენად ობიექტურია XVII საუკუნის ქრისტიან არაბთა მიერ ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოცემული ცნობები, რამდენად ზედმიწევნით იყენებენ ისინი ადრეულ წყაროებს, რა ახალ ინტერპრეტაციას იძლევიან (განსაკუთრებით ეს ეხება მაკარი ანტიოქიელს, რომელმაც თვითონ იმოგზაურა საქართველოში), რა მიზანი ჰქონდა ანტიოქია-საქართველოს ურთიერთობის გააქტიურებას აღნიშნულ ეპოქაში და სხვა.

ზემოთ წარმოდგენილი პრობლემატიკის გადასაჭრელად ძირითადად ვეყრდნობით წყაროთა ანალიზს, პირველ რიგში, განვიხილავთ მეღმერთის ქარმასა და მაკარი ანტიოქიელის შრომებს. ორივე მათგანი წარმოგვიდგენს ქართლის მოქცევის საკითხს უფრო ფართო შინაარსის წიგნებში, საეკლესიო ისტორიაში ან მსოფლიო ისტორიაში. ადრეულ წყაროებთან შედარების

საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ორივე მათგანი ეყრდნობოდა XI საუკუნის ბერძენ ავტორს, ნიკონ შავმთელს, რომლის ნაშრომები ადრევე იყო თარგმნილი არაბულადაც. მაკარი ანტიოქიელმა საქართველოში მოგზაურობისას ცალკე თხზულება შექმნა ამ ქვეყნის შესახებ. ცხადია, ამ დროს მან ბევრი ახალი ცნობა შეაგროვა საქართველოს, მათ შორის – ქართლის მოქცევის შესახებ. მის ნაწერებში ასახულია ის ინფორმაცია, რაც გვხვდება ეგრემ მცირის ცნობილ ნაშრომში „უწყებად მიზეხსა ქართველთა მოქცევისასა.“

ამრიგად, არაბულ-ქართული ურთიერთობანი, რომლებსაც VIII-X საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, გარკვეულწილად აღორძინდა XVII საუკუნეში, რასაც ცხადად მოწმობს ქართლის მოქცევის საკითხის მრავალგზის გაანალიზება მეღვთისმამის ქარმასა და მაკარი ანტიოქიელის შრომებში. აღნიშნულ პერიოდში ანტიოქიის საპატრიარქომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოსთან ურთიერთობის განმტკიცებას. მაკარი ანტიოქიელმა რუსეთში გამგზავრებამდე მნიშვნელოვანი პერიოდი დაყო საქართველოში, ხოლო რუსეთიდან სირიაში დაბრუნებისას კიდევ უფრო დიდხანს შეჩერდა კავკასიაში. ქართველებთან ურთიერთობის განმტკიცება მნიშვნელოვანი იყო ოსმალთა წნეხის ქვეშ მყოფი ქრისტიანი არაბებისათვის. ეს ფაქტი იმასაც გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად ოსმალეთისა და ირანის მხრიდან ზეწოლისა, დანაწევრებულ საქართველოს ჯერ სრულად არ ჰქონდა დამოუკიდებლობა დაკარგული და მისი ერთიანი ეკლესიაც (თუნდაც მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი საკათალიკოსო გამოცხადდა) მნიშვნელოვანი იყო მეზობელი ქვეყნების მართლმადიდებელთათვის. გარდა ამისა, წარმოდგენილ წყაროებში არაერთგზისაა წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ლეგიტიმურობა, რასაც ანტიოქიაში აღიარებდნენ და რაც დღემდე აქტუალურია.

ბეჟან ჯავახია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ტროას იდეა შუა საუკუნეებში

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ბევრი იწერება მითის და მითის დეკონსტრუქციის შესახებ. მითის კონცეპცია აერთიანებს წარსულს აწმომსა და მომავალს. მითი განასახიერებს ისტორიის უწყვეტობას, გამოსახავს იდენტობებს და მიუთითებს იმის შესახებ, თუ სად არის საზღვარი რეალობას და გამოგონილს შორის.

მითი და გადმოცემა ამკვიდრებს ადამიანის გონებაში მისი წარსულის შესახებ მყარ წარმოდგენებს, იძლევა საშუალებას შექმნა საკუთარი ნაციონალური ნარატივი და მოიპოვო შენი საკუთარი ისტორია დიდი ისტორიის ფონზე. ძველ ნარატივთან ისტორიის დაკავშირება არის შენი ისტორიის გაღრმავება მისი დაკავშირება დიად ისტორიულ პროცესებთან.

ბერძნებიც და რომაელებიც არიან ტროას გამგრძელებლები. ვირგილიუსმა სწორედაც დაამატა რომის ისტორიას ტროას ისტორია და ამით გააგრძელა მისი ისტორია. ტროას დაცემიდან იწყება ტროას გმირების გადასახლება და ახალი ისტორია. ტროას მითი

მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევროპის ერთიანობის ისტორიაში. ჰომეროსის პოემები არის „ევროპის საერთო მემკვიდრეობა“. ამ გადმოცემებში შეიძლება დავინახოთ ევროპის გენეალოგიური კავშირი“. ტროელების სიცოცხლე გრძელდება სიკვდილის შემდეგ, რაც აკავშირებს მათ ევროპის შემდგომ ისტორიასთან.

ტროა და ტროას იდეა არის ყველაზე გავრცელებული და ყველაზე მეტად შესწავლილიც ალბათ ისტორიულ მითებს შორის. ამჟერად ჩვენს კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს გადმოვცეთ თუ როგორ არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში ევროპის ხალხთა გენეზისი ჰომეროსის უკვდავი ეპოსის შესაბამისად. როგორ გრძელდება შუა საუკუნეების ევროპის ე. წ. ნაციონალურ ნარატივში ტროას ისტორია, უფრო სწორად ტროას დაცემის შემდეგ მისი გმირების ისტორია სხვადასხვა ევროპულ ნაციონალურ ნარატივებში, ფრანკებში, გერმანელებში, ბრიტებში, იტალიის და ესპანელი ხალხის შუა საუკუნეების ტექსტებში და ასევე აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში. ჩვენი ყურადღება ასევე მიმართული იქნება ტროას იდეაზე ბიზანტიურ სივრცეში და სახელდობრ შუა საუკუნეების ქართულ ნააზრევში.

II დარბაზი, II სექცია, V სხდომა

რუსუდან ლაბაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
“მეფეთა დაავადება”: ერთი სამედიცინო ტერმინის ისტორიიდან

ქართულ ენაში არცთუ მრავლადაა ისეთი სამედიცინო ტერმინები, რომლებიც უწყვეტად, საუკუნეთა განმავლობაში გამოიყენებოდა და თანაბრად გვხვდება როგორც ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში, ისე ძველი აღთქმის წიგნებსა თუ ნარატიულ/ლიტერატურულ წყაროებში. „ყრმასა მას სალმობანი სიკუდილისანი ეწინეს. და სენისა მის განწრტიალისა ისწრაფდა სული განსლვად გუამისა მისგან“, - ვკითხულობთ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“. ნიკო მარი ამ ეპიზოდში აღწერილ ავადმყოფობას რუსულად „პოდაგრის“ სახელით თარგმნის. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტში სხვაგანაც გვხვდება ამ დაავადების მოხსენიება: „და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხვა ადარნერსეს სენი ტეხისაა წრდიალი, რომელსა ჰრქვან ნიკრისი. ასევე საინტერესოა, ბასილი დიდის თხზულების თარგმანში აღწერილი „სენი წრდიალი“: „რამეთუ რაჟამს განძნებულ იქმნის სენი იგი ცოდვისაჲ უზეშთაჲს წამლითა კურნებისაჲთა, მაშინ არღარაჲ შესაძლებელ არს თვნიერ ასოდსა მის დამპლისა მოუკუეთისა, რადთა არა განეზაოს სენი იგი წრდიალი გუამსა ყოველსა და დაიქსნეს სრულიად“. ქართულ ენაში ამ სენის სახელწოდება არაბულიდან შემოსული „ნიკრისის“ ფორმით დამკვიდრდა.

პოდაგრა ანუ ნიკრისი მეტაბოლური დაავადებაა, რომელსაც შემაერთებელ ქსოვილებში შარდმჟავა მარილების ჩალაგება ახასიათებს. გენეტიკურის გარდა, მისი ძირითადი

გამომწვევი კვებით განპირობებული ფაქტორია. ბერძნული ტერმინი პოდაგრა უძველესი დროიდან არის ცნობილი. პირველი დოკუმენტური წყაროები ეგვიპტეში დასტურდება და ძვ.წ. 2600 წლით თარიღდება. ძვ.წ. V ს-ში ჰიპოკრატე აღწერდა პოდაგრული ართრიტის კლინიკურ სიმპტომებს. შუა საუკუნეებში პოდაგრა მდიდართა და წარჩინებულთა დაავადება იყო, რის გამოც მას „მეფეთა დაავადება“ უწოდეს. ეს დაკავშირებული იყო საკვებად ხორცის ჭარბად გამოყენებასთან, რაც ღარიბ მოსახლეობაში იშვიათად ხდებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ ქართულში **წრტიალი/წრდილის** მნიშვნელობა დროთა განმავლობაში განზოგადდა და კონკრეტული დაავადების აღნიშვნის გარდა, დიდი ტკივილის მნიშვნელობა შეიძინა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „წრტიალი - ტკივილთ ნამეტნაობაა“. „წრტიალი“ გვხვდება აგრეთვე ზედსართავი სახელების - ძლიერი, მძაფრი, მოუთმენელი, მძვინვარე - აღსანიშნავად. ცალკე უნდა გამოვყოთ ვეფხისტყაოსნისეული წრტიალი, რომელიც „დეზის“ მნიშვნელობით ფიქსირდება. მაგალითად, „ცხენი გავქუსლე, იქმოდის შამბი ხმასა და ხრიალსა, ვეღარ მივუსწარ, გამესწრნეს, რაზომსცა ვსცემდი **წრტიალსა**“.

მეტად საგულისხმოა, რომ წრტიალი ერთდროულად ნიკრისის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა და დეზისაც. როგორც ცნობილია, ქუსლის ძვლის დეზი (ძვლოვანი ქსოვილის წანაზარდი) გავრცელებული დაავადებაა, რომელიც ტერფის შემაერთებელქსოვილოვანი გარსის ანთებითი და დეგენარაციული ცვლილებების გამო ვითარდება. მის გამომწვევ მიზეზებს შორის ნიკრისიც არის, მაგრამ რენტგენოგრაფიული გამოკვლევის გარეშე ამ დაავადების გამოვლენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. რა თქმა უნდა, აბსურდულია, რომ თანამედროვე მედიცინის მიღწევებით უძველესი ტერმინების თავდაპირველ მნიშვნელობაზე ვიმსჯელოთ. და მაინც, რა კავშირია წრტიალს, ნიკრისსა და დეზს შორის და რატომ მოხდა მათი გაიგივება?

ისტორიულ წყაროებში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული ცნობების შესწავლა არა მხოლოდ სოციალური ისტორიისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ დაავადებების, როგორც ცივილიზაციის გლობალური მოვლენის, კვლევის საშუალებასაც იძლევა. მოხსენებაში განხილული იქნება ტერმინების „ნიკრისი“, „წრტიალი“ ისტორია, გავრცელება, მათი მიმართება არაბულ, სომხურ ენებთან; ამ ტერმინების გამოყენება ქართულ სამედიცინო ტრაქტატებში („წიგნი სააქიმო“, „უსწორო კარაბადინი“, „იადიგარ დაუდი“ და სხვა), ძველი და ახალი აღთქმის უძველეს რედაქციებში, ნარატიულ ძეგლებსა და ლექსიკონებში; ასევე, მკურნალობის ტრადიციული მეთოდები და სამკურნალო მცენარეები.

ცირა ჯანაშია, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი მენტალობა და სამართალი XIII-XIV საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით

მენტალობა ფართო მასშტაბის შემეცნებაა, ამიტომაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორების შესწავლასთან ერთად განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება სააზროვნო სისტემის ანალიზს, ვინაიდან ადამიანის, საზოგადოების მოქმედებებზე (მრისხანება, აფეთქება, სასოწარკვეთა, მოულოდნელი ფსიქიკური ცვლილებები) დამოკიდებულია ხშირ შემთხვევაში ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის განვითარება. გამოკვლევაში წარმოვადგენ გიორგი ბრწყინვალის სამართლის ანუ ძეგლის დადების, ასევე ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დაკვირვების საფუძველზე რამდენიმე საკითხს, როგორცაა: შური და ცოდვა, დანაშაული და სასჯელი, სისხლის ფასი და ღირსების ზღვარი, პატრონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანური პერცეფციების რეპრეზენტაცია მენტალური თვალთახედვით.

მოხსენებაში მენტალობის აუცილებელ მახასიათებლებს განვიხილავ XIII-XIV საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებისა და თანადროული ქართული წერილობითი წყაროს ანალიზით, რომელშიც იკვეთება კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომის ცვლილება – სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისა და ფსიქიკური სტრუქტურების ურთიერთსინთეზი, რომლის დროსაც გამოვლინდება მენტალური ღირებულებები. სამართლის ძეგლების ამგვარი ანალიზი სპეციალურ ლიტერატურაში კვლევის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

ნინო კობაური, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ბაგრატიონთა რეზიდენციები გრემში

საკვლევი თემა: ჩვენი საკვლევი თემაა ბაგრატიონთა რეზიდენციები გრემში. გვსურს შევისწავლოთ ამ ტერიტორიაზე არსებული ყველა რეზიდენცია, დავადგინოთ მათი არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები, გამოვიკვლიოთ დაარსების მიზეზები, აღვადგინოთ სრული ისტორიული სურათი, თუ რა როლი ითამაშა ეპოქაში, რატომ დაკარგა დანიშნულება და როგორ დაასრულა არსებობა.

აქტუალობა: ჩვენი მიზანია გრემის ბაგრატიონთა სასახლეების შესახებ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნაშრომის შექმნა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგადად სამეფო რეზიდენციების შესახებ მხოლოდ მცირე კვლევებია. ამ მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრემი გამონაკლისია, თუმცა ნაშრომებში ცალსახად, კონკრეტული თემატური პროფილითაა განხილული და არა მისი სრული ისტორია. ფუნდამენტური კვლევა - ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რომელშიც სასახლეები სრულყოფილად, მათ შესახებ არსებული ყველა ტიპის ინფორმაციის გათვალისწინებით იქნება გამოკვლეული, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება. შესაბამისად, ვფიქრობთ, საკითხის შესწავლა აქტუალურია, ჩვენი კვლევის შედეგად შეიქმნება კომპლექსური ნაშრომი, რომელშიც წარმოვაჩინთ ყველა პრობლემას და ყველა ტიპის წყაროს გათვალისწინებით აღვადგენთ ქრონოლოგიურ ისტორიას.

პრობლემა: გრემის სასახლეების შესახებ ქართულ და უცხოურ წერილობით წყარებში ცნობები მოიძიება, ზოგადად კახეთის სამეფოს ისტორიული მოვლენების მიხედვითაც თითქოს რთული არ უნდა იყოს გრემის სასახლეების კვლევისას ისეთი საკითხები, როგორცაა დათარიღება, მფლობელების გამოვენა, თუმცა, გვხვდება გარკვეული წინააღმდეგობები.

გრემში არქეოლოგიური გათხრები XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, გამოვლინდა სასახლეებიც, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი სასახლეების ნაშთების დაკავშირება, წერილობით წყაროებში აღწერილ ნაგებობებთან ძნელდება. გრემში არა ერთი კონკრეტული, არამედ რამდენიმე სასახლე ფიქსირდება და მათზეც გამოკვეთილია მშენებლობის რამდენიმე ფენა. წყაროთა ცნობებისა და არქეოლოგიური ფაქტების ერთმანეთთან შეჯერებით შევეცდებით აღვადგინოთ რეალური ისტორია, დავადგინოთ წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ერთმანეთთან შეუსაბამობა წყაროებში არსებული რა ხარვეზების მიზეზია, განვსაზღვროთ მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები, დავადგინოთ თითოეული სასახლის მფლობელი მეფის ვინაობა, გავანალიზოთ ფაქტები, თუ რატომ გახდა საჭირო სხვადასხვა მეფის მიერ სხვადასხვა შენობის აგება ისეთ მცირე მონაკვეთში, რა პერიოდშიც გრემმა იარსება. ცნობილი ფაქტია, რომ შაჰ აბასის ლაშქრობისას მოხდა გრემის აოხრება, თუმცა ამ მოვლენის შემდეგაც წყაროებში ფიქსირდება მეფეთა გრემში ყოფნა, შევეცდებით დავადგინოთ რეალურად რამ განაპირობა ის, რომ გრემმა დაკარგა სამეფოს მთავარი ქალაქის, დედაქალაქის ფუნქცია.

მეთოდი: ამ პრობლემებზე კითხვების გაცემას შევეცდებით ისტორიული კვლევის თითქმის ყველა მეთოდის გამოყენებით. ჩვენს კვლევას ძალიან წაადგება როგორც ინტერდისციპლინური, ისე ისტორიოგრაფიის სხვადასხვა მიმართულების – არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიული გეოგრაფიის მეთოდოლოგიური გამოცდილებები. თუმცა ძირითადად დაგვჭირდება ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდი. პრობლემები, რომლებიც გამოვკვეთეთ არაა დაკავშირებული მხოლოდ გრემის სასახლეებთან, მსგავსი პრობლემები გვხვდება მეფეთა სხვა სასახლეების კვლევისასაც, მაგალითად, თბილისისა და ქუთაისის ანუ დედაქალაქების სასახლეებთან, რომლებიც უკვე ვიკვლიეთ გასულ წლებში, გვაქვს გამოცდილება და შესაძლებლობა შედარებით, მეთოდის გამოყენების.

დასკვნა: აღნიშნული პრობლემების კვლევის შედეგად წარმოვადგენთ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ნაშრომს გრემის სასახლეების შესახებ, სადაც რიგი საკითხების შესახებ გამოვთქვამთ მოსაზრებებს, ხოლო წყაროებისა და კვლევების სათანადო მტკიცებულებების მქონე პრობლემების შესახებ კი წარმოვადგენთ დასკვნებს. ნაშრომში განხილული იქნება გრემის მეფეთა სასახლეების ფუნქციური მნიშვნელობის ფაქტორები პოლიტიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და მთავარი ისტორიული პერსონაჟების - მეფეთა იმ ისტორიებით, რომლებმაც განსაზღვრეს სასახლეთა არსებობა.

ვაჟა ოთარაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ეკა კვანტალიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პლატონ იოსელიანის ერთი აბსურდული ბრალდების შესახებ

1625-1626 წლების სიგელ-გუჯრებისა თუ საარქივო დოკუმენტების კვლევა, ცალსახად გვამცნობს, რომ ირანის იმპერიის და შაჰ-აბასის ნომერ პირველი მტერი გიორგი სააკაძეა,

რომლის ბრწყინვალე მხედართმთავრულმა ფენომენმა გაიბრწყინა მარტყოფის, მარაბდის, ლისის თუ ქსნის ბრძოლებში, რის შედეგადაც ყიზილბაშთა არმიის დიდი ნაწილი (დაახლოებით 70 000 ირანელი მეომარი ევროპული და აზიური წყაროების თანახმად) განადგურებულ იქნა. ირანის იმპერიის მთელი სახელმწიფო სისტემა, ქართველ ვასალ-მმართველების ჩათვლით, ამ პერიოდში დიდი მოურავის წინააღმდეგ მუშაობს: აჯილდოვებს და ასაჩუქრებს ყველა ქართველს, ვინც კი გიორგი სააკაძეს მტრობს ან მათ მიემხრო.

გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართ ამ პერიოდის (1625-1626 წწ.) უსამართლო ბრალდების ერთ-ერთ ავტორად, მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, სამწუხაროდ, უკვე ბატონი პლატონ იოსელიანი გვევლინება, რომელიც, როგორც რუსეთის იმპერიის წარმატებული ჩინოვნიკი და კანცელარიის მოხელე მხარს არ უჭერდა 1832 წლის შეთქმულებას და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იგი შემდეგ აბსურდულ ცნობას გვაწვდის თავის მონოგრაფიაში („დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, თბ. 1973 წ. გვ. 47-48): „ხალხს არეულობა აწუხებდა. ეკლესიის მოძღვარნი გულმოდგინედ უწევდნენ სამსახურს და სიტყვით და საქმით ანუგეშებდნენ ხალხს. თბილისის მიტროპოლიტმა დიონისემ ძლივს გამოსთხოვა მეფე სიმონს ნებართვა მოურავთან გამგზავრებულიყო და მისგან ეკლესიის მშვიდობა და ხალხისთვის მოსვენება მოეთხოვა. მცოვანი ხუცესი, საქართველოს მთავარეპისკოპოს ტრიფილეს თანხლებით, მუხრანში მოურავთან იმ დროს მივიდა, როდესაც ბრწყინვალე ამალით გარშემოხვეული მოურავი ცხენზე ჯდებოდა და იოსების დასამორჩილებლად დვალეთში წასვლას აპირებდა“.

როგორც ზემოთ მოყვანილი პლატონ იოსელიანის მონოგრაფიის ამონარიდიდან შევიტყვეთ, „თბილისის მიტროპოლიტი დიონისე და მცოვანი ხუცესი, საქართველოს მთავარეპისკოპოსი ტრიფილე“ მუხრანში ხვდებიან ოსთა წინააღმდეგ საომრად გამზადებულ დიდ მოურავს. შემდეგ პლატონ იოსელიანის ნაშრომში ვკითხულობთ: „თავმდაბალი ქრისტიანის გრძნობით, მოწიწებით, მოურავი კურთხევის მისაღებად ქედმოხრით მიეგება ხუცესს და თავის კარავში მიიპატიჟა. მთავარეპისკოპოსმა ასეთ პატივზე უარი თქვა და მოურავს უთხრა: „მხოლოდ ერთსა გთხოვ: მშვიდობას ეკლესიისათვის, მშვიდობას ხალხისათვის. გაიხსენე რას მოითხოვს შენგან ქვეყანა, სამშობლო. ნუთუ არ გაწუხებს სამეფოს უბედური მდგომარეობა? შეხედე სახლების, ციხეების გაფანტულ ნანგრევებს. ისეთი ოჯახი აღარსად არის, მამების, ვაჟიშვილების, დედებისა და ქალიშვილების დაღუპვის გამო ცრემლი რომ არ იღვრებოდეს. სპარსელთა მონობის უღელი დიდი ხანია გვადგია, ჩვენ მას შევეჩვიეთ. განა ქართველს შეუძლია თავისი ძალებით მრისხანე შაჰს დაუპირისპირდეს?“ ამ სიტყვების თქმისთანავე ხუცესმა მოურავის წინაშე დაიჩოქა. მთავარმოდვრის ამ სიტყვებმა მოურავი მოხიბლა და მშვიდობა აღუთქვა, მაგრამ იმ პირობით, რომ მეფედ ქართლშიც კახეთის მეფე თეიმურაზს დასვამდნენ, თბილისიდან კი აუცილებლად განდევნიდნენ მაჰმადიან მეფე სიმონს. მთავარეპისკოპოსმა თავისი მოგზაურობის მიზანს ვერ მიაღწია, უკან წამოსვლისას მცხეთის ტაძარში ილოცა და თბილისში დაბრუნდა. მისი შუამავლობის წარუმატებლობამ თბილისში მდგარი სპარსელთა ჯარის ეჭვები გააძლიერა და საბაზი შექმნა მოხუცის დასაღუპავად, მიტროპოლიტი დიონისე საპყრობილეში დაამწყვდიეს, სადაც მალევე გარდაიცვალა“.

პლატონ იოსელიანი ისე საუბრობს 1626 წელს დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობაზე, თითქოს ნარიყალას ციხეში ჩამომდგარი ყიზილბაშური გარნიზონი და შაჰის ხელდასხმული სიმონ-ხანი „მშვიდობის მტრედები“ არიან და დიდი მოურავი ურევდა სიტუაციას, თორემ ირანელი დამპყრობლების ხელში „ეკლესიაში მშვიდობა“ და „ხალხისთვის მოსვენება“ იქნებოდა. სინამდვილეში, ქართველ ხალხს „არეულობა კი არ აწუხებდა“, არამედ ირანელთა ბატონობის მძიმე უღელი. ეკლესიის ღირსეული მსახურნი კი ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლისკენ და ქრისტეს რჯულისა და მამულის დაცვისკენ მოუწოდებდნენ და არა ყიზილბაშთა პარპაშის შეგუებისკენ, როგორც ამას ბატონი პლატონი გვიხატავს.

ეს აბსურდული და უსამართლო ბრალდება შეურაცხყოფს და ჩრდილს აყენებს არა მარტო ეროვნულ გმირს, არამედ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რაც ეწინააღმდეგება თვით იოანე მახარებლის მოყვასისადმი თავდადების სწავლებას (სახარება იოანესი თავი 15.12-13). სამწუხარო კი ის არის, რომ ამ შეთითხნილ სიცრუეს დღესაც ეყრდნობა ქართული ისტორიოგრაფია.

მაია შაორშაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

XVIII საუკუნის II ნახევრის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

XVIII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი წმ. მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილს, თუმცა მისი გამოუქვეყნებელი ნუსხები საჭიროებს სხვადასხვა საისტორიო მასალასთან და დოკუმენტთან ურთიერთშეჯერებასა და დაზუსტებას.

სტატიაში გარკვეულია პართენ სამთავნელისა და პართენ (პართენოზ) ხარჭაშნელის იგივეობის საკითხი და დადგენილია, რომ ეს ორი მღვდელმთავარი XVIII საუკუნის I ნახევრის სხვადასხვა მონაკვეთში და სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობდა. რაც შეეხება პართენ სამთავნელს, ის ეთნიკურად ბერძენი სასულიერო პირია, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა, დარჩა და აქვე გააგრძელა თავისი საქმიანობა.

ამასთანავე, საქართველოს ეროვნულ არქივში მიკვლეული ერთი აქამდე უცნობი დოკუმენტის წყალობით, დადგინდა, რომ სამთავისის საეპისკოპოსო კათედრას XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს განაგებდა ზებედე სამთავნელი (1738-1739 წწ.), რომლის შესახებაც სხვა ისტორიული წყაროები არაფერს იუწყებიან. იმავე სიგელის შემდეგდროინდელი ხელრთვა აჩვენებს, რომ სამთავნელი ეპისკოპოსი იყო არსენ საყვარელიძე. 40-იან წლებში სამთავნელი ეპისკოპოსის ვინაობა დოკუმენტებში არ ჩანს, ხოლო მომდევნო ეპისკოპოსად ბენედიქტე სამთავნელი მოიხსენიება (1747-1759 წწ.).

XVIII საუკუნის II ნახევრის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი ასე გამოიყურება: ბენედიქტე (ბენედიკტე) - 1747-1759 წწ., ფილიპე (გურამიშვილი) - 1762 წ., გიორგი (ქარუმიძე), კანდელაკი - XVIII ს. 60-იანი წწ., არსენ (საყვარელიძე) - XVIII ს. 60-იანი წლების ბოლო - 70-იანი წლების დასაწყისი, პაისიოს (გარსევანიშვილი) - 1773-1787 წწ., იულიოს - 1787-1789 წწ.,

მიხაილ - 1790 წელი, იოანე (ქარუმიძე) (სამთავნელი, შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსი) - (გარდ. 1804 წ.) და გერვასი (მაჭავარიანი) - 1791-1817 წწ.

თეა გოგოლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველდღიურობის ისტორიის კვლევა ქართულ და გერმანულ ისტორიოგრაფიაში

ყოველდღიურობის ისტორია, მიკროისტორიის ერთ-ერთი დარგია. ჩვენთვის საინტერესოა იმის გაგება და შესწავლა, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი წარსულში, როგორი ყოველდღიურობა ჰქონდათ მათ, რამდენად მსგავსი, ან განსხვავებული იყო მათი ყოველდღიური ცხოვრება ჩვენი ცხოვრებისაგან. მეცნიერებს დიდი ძალისხმევა ესაჭიროებათ, რათა შეისწავლონ და გაიგონ მათი ყოფა-ცხოვრება. ყოველდღიურობის ისტორიის მეორენაირად შეგვიძლია „ხალხის ისტორია“ ვუწოდოთ. მისი შესწავლისას ყურადღებას ვამახვილებთ არა მარტო კონკრეტულად ისტორიის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პოლიტიკა, რელიგია, ეკონომიკა, ბრძოლები, მეფეებისა და არისტოკრატების ცხოვრება, რასაც, ძირითადად, პოზიტივისტები შეისწავლიდნენ, არამედ უშუალოდ უბრალო ხალხის ცხოვრებაზე, იმ პერიოდის ტრადიციებზე, რწმენაზე, ჩვევებზე, როგორ ესმოდათ ესა თუ ის საკითხი შუა საუკუნეებში, რა ეცვათ, რას ფიქრობდნენ, რას გრძნობდნენ, რას ჭამდნენ, რისი ემინოდათ, რისი სწამდათ; ქალების, ბავშვების როლი საზოგადოებაში და ა. შ. აქედან გამომდინარე, საინტერესოდ მიგვაჩნია პარალელი გავავლოთ და განვიხილოთ როგორ არის შესწავლილი ყოველდღიურობის ისტორია ქართულ და გერმანულ ისტორიოგრაფიაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველდღიურობის ისტორიის კვლევა ჯერ კიდევ არ არის განვითარებული, რაც პირდაპირ აისახება ნაშრომების რაოდენობაზე. თუმცა, სასიამოვნო გამოწვევებიც გვაქვს. ერთ-ერთი გამოწვევისი ამ სახით არის ისტორიკოსი გია ჯოხაძე. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა: „ავგუსტინესეული პროვიდენციალიზმი და ჟამთააღმწერლის რელიგიური მსოფლმხედველობა“, „XIII-XIV სს. საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“, „ის ტორიული ესეები“ ორ ტომად, „მკვლევლობა ტაძარში“, „ისტორიული ანთროპოლოგია: ადამიანისსახა ისტორია“. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის არეალს განეკუთვნება ეს უკანასკნელი. „ადამიანისსახა ისტორიაში“ ჯოხაძე მთელი თავი აქვს მიძღვნილი ყოველდღიურობის ისტორიისთვის. წერს მისი შესწავლის ობიექტებზე, ძირითადი მაგალითები დასავლეთ ევროპის ისტორიიდან მოყავს. ნაშრომის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ყოველდღიურობის ისტორიაზე მოგვითხრობს, თუმცა ის ფაქტი, რომ ქართული რეალობა არ აქვს აღწერილი გარკვეულწილად მინუსად შეიძლება ჩაითვალოს. საბოლოო ჯამში წიგნი ძალიან საინტერესო და ღირებულია.

პირველი ისტორიკოსები, რომლებიც ყოველდღიურობის ისტორიის კვლევით დაინტერესდნენ მე-XIX საუკუნის ბოლოს და მე-XX საუკუნეში გამოჩნდნენ. ისინი მრავალმხრივ იკვლევდნენ საკითხს და თავიანთი კვლევის ობიექტს: „შიდა ცხოვრებას“, „პირად ცხოვრებას“ და „ყოველდღიურ ცხოვრებას“ უწოდებდნენ. მეცნიერები ბევრს მუშაობდნენ და ცდილობდნენ არსებული საისტორიო სკოლების მიღწევების საშუალებით

საკუთარი მეთოდები დაეხვეწათ. მათი ძლიერი სურვილი გამოეკვლიათ ყოველდღიურობის ისტორია, გადაიზარდა ერთგვარ „კანონში“ კვლევისას გამოყენებული ყოფილიყო მატერიალური კულტურის 4 მონაპოვარი როგორც წყარო. ერთ-ერთი პირველნი, ვინც ყოველდღიურობის ისტორიის კვლევა დაიწყო იყვნენ გერმანელი მეცნიერები: იაკობ ჰაინრიჰ ფონ ჰეფნერ-ალტენევი, ჰერმან ვეისი, იაკობ ფონ ფალკე, მორიც ჰეინე, გეორგ შტეინჰუსენი, ალფ ლუედტკე, ჰანს მედიკი.

ყოველდღიურობის ისტორიასა და მისი კვლევის მეთოდებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც მიმზიდველი და საინტერესოა ის, იმდენად მწელი და შრომატევადი. მეცნიერები ბოლომდე ჯერ კიდევ არ არიან შეთანხმებულები, თუ კონკრეტულად რას შეისწავლის ყოველდღიურობა. არის ასპექტები, მაგალითად: კვება, ჩაცმა, ცხოვრების სტილი, ქალაქებისა და სოფლების მოწყობა, ქალები, ბავშვები, მოხუცები და ასე შემდეგ. თუმცა, ყოველდღიურობის კვლევების უნიკალურობა ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ ის არ არის შეზღუდული. მეცნიერს შეუძლია თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად იკვლიოს ან კიდევ რამე ახალი ასპექტი შეჰმატოს ყოველდღიურობის ისტორიას. ერთადერთი პრობლემა, რაც შეიძლება შეექმნას მკვლევარს, არის საჭირო წყაროს არქონა. სხვა შემთხვევაში კომპლექსური კვლევის შედეგად, ასევე მძიმე შრომის და მონდომების დამატებით, შესაძლებელი არის მეტად საინტერესო და ორიგინალური კვლევის დაწერა. ყოველდღიურობის ისტორია მნიშვნელობას არა თუ არ კარგავს, არამედ დღითიდღე იზრდება მისი პოპულარობა და გავლენა. ეს ბუნებრივიცაა მისი თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც ის ფაქტია, რომ ყოველდღიურობის კვლევით ჩვენ ვაცოცხლებთ წარსულს, ვაცოცხლებთ იმ ადამიანებს, რომლებიც საუკუნეების წინ ცხოვრობდნენ.

11 ოქტომბერი

II დარბაზი, II სექცია, I სხდომა

ეკატერინე გედევანიშვილი, გეორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

წმიდა გეორგის „ლასია ქალაქის სასწაული“ და მისი სიმბოლური ინტერპრეტაცია ქართულ სახვით ხელოვნებაში

ქართულ სახვით ხელოვნებაში წმ. გეორგის სასწაულთა შორის განსაკუთრებით პოპულარული „ქალაქ ლასიას სასწაულია“. ის ხელოვნების ყველა დარგში გვხვდება: კედლის მახტვრობასა, ხატურასა თუ მინანქარში. გვაქვს მისი გამოსახულებანი ნაქარგობაშიც. ამ ეპიზოდის ტექსტუალური თუ იკონოგრაფიული სახის ჩამოყალიბება ქართულ ხელოვნებასთანაა დაკავშირებული. საქართველოში ამ სცენის არაერთი ადგილობრივი, ბიზანტიური ხელოვნებისთვის უცნობი იკონოგრაფიული ვერსია ჩნდება. მაგ., უჩვეულოა ამ ეპიზოდის გველეშაპის მლახვრელ წმ. გეორგისა თუ ყრმის გამომხსნელ დიდმწამის

გამოსახულებასთან გაერთიანება. ასევე უჩვეულოა ქართული ძეგლებისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური წყობა- განსაკუთრებულად

აქცენტირებული ქალწულისა და ქალაქ ლასიას მნიშვნელობა (ბიზანტიური და დასავლური ნიმუშების ორნაწილიანი სტრუქტურისაგან განხვავებით ქართული კომპოზიციის სამნაწილიანობა) და სხვა.

წინამდებარე მოხსენება ამ იკონოგრაფიული ვარიაციების სიმბოლურ ინტერპრეტაციას ისახავს მიზნად. საქართველოს პატრონი წმინდანის ცხოვრების ეს უმთავრესი სცენა წმ. გიორგის კონკრეტული ეპიზოდის დასურათებასთან ერთად, ეკლესიოლოგიურ საზრისსაც შეიცავს (ქალწულისა და ღმრთისმშობლის სიმბოლური ალუზია, ლასიასა და იერუსალიმის კავშირი და ასხვა) და, რიგ შემთხვევაში, ეროვნული ისტორიის ასახულობადაც იქცევა.

ასმათ ოქროპირიძე, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ღვთისმშობლის შესამოსლის სახისმეტყველებისათვის გელათის მოზაიკაში

გელათის მოზაიკის (XII ს.) სახისმეტყველების ფართო წრიდან განხილული იქნება მხოლოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლურჯი მოსასხამი, რომლის ფერადოვანი შესაბამისი აარონის სამკერდულზე საფირონია - დანის ტომის სიმბოლო. წმ. ეპიფანე კვიპრელის მიხედვით, ის უკავშირდება ნათლისღებით განწმენდილ მდინარე იორდანის სათავის წყლებს, არის ეკლესიის სამკაული და შესამოსელი შეღებილი უფლის სისხლით.

ეს კომენტარი თავისთავად განმარტავს ღვთისმშობლის მოწისფერი შესამოსლის საზრისს (როგორც გოლგოთაზე დაღვრილი სისხლის სიმბოლოს). მაგრამ ლურჯი და მოწისფერი (წყალი და სისხლი) ან ორივე ერთად იკონოგრაფიულ პრაქტიკაში ვარირებს ეპოქის, ეროვნული ესთეტიკის და მხატვრის პიროვნული ხედვის შესაბამისად.

ნათია ნაცვლიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

საეკლესიო ხმინობის ინსტრუმენტები შუა საუკუნეების საქართველოში: სარეკელი და ზარი

მოხსენებაში განხილული იქნება შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხმოვანი გარემოს განვითარების ისტორია და მოცემული იქნება ამ გარემოს შემქმნელი ინსტრუმენტების

ზოგადი მიმოხილვა. როგორც ცნობილია, ლათინურ დასავლეთში ზარები სულ ცოტა მეექვსე საუკუნიდან გამოიყენებოდა, მაშინ, როცა აღმოსავლური ეკლესია ღვთისმსახურებაზე მლოცველთა მოსახმობად უპირატესობას ანიჭებდა სემანტრონს, ხის დაფას ან ძელს, რომელზეც ხისავე ჩაქუჩით ურტყამდნენ. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებითა და სამონასტრო ტიპიკონებით დასტურდება, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ მონასტრებში მისდევდნენ საერთო აღმოსავლურ საეკლესიო პრაქტიკასა და სემანტრონს იყენებდნენ.

აღმოსავლურ საეკლესიო პრაქტიკაში ზარის რეკვის წესის შემოტანა ლათინებს მიეწერებათ. უფრო ზუსტად, ამ ტრადიციის გაჩენა უკავშირდება მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობას და 1204 წელს კონსტანტინოპოლის დაცემას. თუმცა, ბოლო წლებია, ეს მოსაზრება თანამედროვე სამეცნიერო წრეებში გადაიხედა. ცალკეული წერილობითი წყაროები მიუთითებს, რომ ზოგიერთ აღმოსავლეთ ქრისტიანულ მონასტერში ზარებს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე უკვე იყენებდნენ.

ზოგადად, მსგავსი მდგომარეობაა კავკასიაშიც. საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ქართველებმა საეკლესიო პრაქტიკაში ზარების გამოყენება მეცამეტე საუკუნიდან დაიწყეს. წყაროებიდან ზარების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული წყარო, რომელშიც ის მოიხსენიება, XIII საუკუნის ქართველ მეფეთა კურთხევის წესია, მაგრამ აქაც ზარის გამოყენების პრაქტიკა საერო და არა საეკლესიო კონტექსტშია ნახსენები, თუმცა, ამავე პერიოდიდან სამხრეთ კავკასიაში ეკლესიებში ზარების აქტიურად მოხმარებას სამრეკლოების ინტენსიური მშენებლობა ადასტურებს.

საქართველოში პირველი სამრეკლოები მხოლოდ მონასტრებში იგებოდა. ვერტიკალურად წაგრძელებული ფორმის წყალობით ისინი მონასტრების ლანდშაფტის თვალსაჩინო ელემენტებად იქცა. დიდი სიმალიდან დარეკილი ზარის ხმა სემანტრონის ხმაზე უფრო ღრმა და ჟღერადი იყო. ამდენად, ზარებისა და სამრეკლოების გაჩენას რელიგიურ ლანდშაფტში სენსორული ცვლილებები მოჰყვა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც ნაშენ, ისე ხმოვან გარემოზე.

**ნანა ბურჭულაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
წმინდა ქეთევანის გამოსახულებები XVII-XIX საუკუნეების სახვით ხელოვნებაში**

კახეთის დიდმოწამე დედოფალ ქეთევანს (1575-1624) განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ეროვნულ წმინდანთა დასში. მისი მარტვილობის ისტორია, მისსავე წმინდა ნაწილებთან ერთად, მალევე გავრცელდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქრისტიანოში. შაჰ აბაზ I-ის მიერ სპარსეთში წამებული ქართველი დედოფლის ამბავი ფართოდ აისახა უკვე XVII საუკუნის ქართულ და ევროპულ წერილობით წყაროებსა და სხვადასხვა სახის სასულიერო თუ საერო ლიტერატურაში XVII საუკუნის შუა წლებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. მის შესახებ სათეატრო პიესებიც კი დაიწერა და დაიდგა დასავლეთ ევროპაში.

ამის პარალელურად გაჩნდა ქართულ და ევროპულ სახვით ხელოვნებაში ქეთევან დედოფლის ხატები და მისი ცხოვრების ამსახველი სიუჟეტებიც. ისინი სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით არის შესრულებული, მრავალფეროვანია იკონოგრაფიულ-სტილური თვალსაზრისით და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს ეკუთვნის (ხატწერა, ხელნაწერთა ილუსტრირება, კედლის მხატვრობა, მინანქარი, ნაქარგობა). მათ შორისაა: საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის კოლექციებში დაცული ხატები და მინიატურული მხატვრობის ნიმუშები; ლისაბონის დე გრასას მონასტრის ერთ-ერთ კედელზე შესრულებული ქაშანურის პანო; მოსკოვის მახლობლად მდებარე სერგი-სამების ლავრაში შემონახული გულსაკიდი სანაწილე - პანაგია, რომელზეც მინანქრითაა ნახატი დედოფლის გამოსახულება; გრავიურა XIX საუკუნეში გამოცემული ჰაგიოგრაფიულ კრებულისთვის „საქართველოს სამოთხე“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მათგანს ახლავს ქართული წარწერები, ზოგს კი - უცხოენოვანიც, რაც მათ კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მეცნიერებისთვის.

ამასთან ერთად, წმ. დედოფლის გამოსახულებათა ერთი ნაწილი ან სრულიად უცნობია, ან ნაკლებადაა ცნობილი სპეციალისტების წრეში. აქედან, გამომდინარე, აქტუალურია მათი კომპლექსური შესწავლა ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიული და პალეოგრაფიულ-ტექსტოლოგიური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

მოხსენება ეძღვნება წმ. დედოფლის გამოსახულებათა ერთ, ყველაზე საინტერესო ჯგუფს. მასში ყურადღება გამახვილებულია: თითოეული ნაწარმოების ტიპოლოგიურ, ტექნიკურ, თემატურ და მხატვრულ მახასიათებლებზე; იმაზე, თუ რომელ სკოლასა და მიმდინარეობას ეკუთვნის ისინი; წმინდანის ცხოვრების რომელი რედაქციითაა შთაგონებული ესა თუ ის გამოსახულება; როგორ ჩანს ამ გამოსახულებათა მიხედვით ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციები და მათი ცვალებადობა XVII-XIX საუკუნეების განმავლობაში. ამ საკითხთა კვლევის შედეგები მრავალმხრივ შეიძლება ჩაერთოს სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნოდარ არონიშიძე, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და მეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
„ვარდისუბნის“ ორი ნაგებობის დათარიღების მცდელობა და მათი ურთიერთმიმართების საკითხი (ხრამის ხეობის მატერიალური კულტურის ისტორიიდან)

წარმოდგენილი თემა შეეხება ხრამის ხეობის სოფელ ვარდისუბნის, ვარდისჭალის ორი მეგლის დათარიღების, სოფლის ტოპონიმიკის დადგენისა და ტაძართა მხატვრულ-ისტორიული ურთიერთმიმართებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. თემის სამეცნიერო ღირებულებასა და მის აქტუალობას განსაზღვრავს სადღეისოდ არსებული ინფორმაცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ძლიერ მსხვაობარი სახითაა მოცემული. კვლევის ფოკუსირება ვარდისუბნის ორი კონკრეტულ ნაგებობაზე განსაზღვრულია ერთგვარი გაურკვევლობითა თუ უზუსტობით, რომელიც აღნიშნული ტერიტორიის ისტორიულ სახელს უკავშირდება და მოცემულია ვახუმტი ბატონიშვილთან. ამასთანავე

გარკვეული სირთულეები გვხვდება ძეგლების დათარიღების საკითხთან მიმართებითაც, რადგან მეცნიერთა ნაწილი ვარდისუბნის სამეკლესიან ბაზილიკას XVII საუკუნის მშენებლობად წარმოგვიდგენს, ხოლო ნაწილს დასაშვებად მიაჩნია აღნიშნული ძეგლის XIV-XV საუკუნეებით განსაზღვრა. წინამდებარე თემის აქტუალობას კიდევ უფრო მკაფიოს ხდის ის გარემოება, რომ უშუალოდ ვარდისუბნის ტერიტორიაზე მოცემულია კიდევ ერთი, მცირე ნაგებობა, რომელიც შედარებით ადრეული ხანითაა განსაზღვრული და IX-X საუკუნეებით თარიღდება. საყურადღებო ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მცირე მონაკვეთზე, სხვადასხვა დროს აგებულ ორ ეკლესიასთან, რომელთა ტიპოლოგიური ურთიერთმიმართება უთუოდ მრავლისმთქმელია და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, თუნდაც მხოლოდ სამეკლესიანი ბაზილიკის გვიანი გამოვლინებების მიზეზებსა და ფორმებზე.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის მიზანია თავი მოვუყაროთ აღნიშნული ძეგლების შესახებ არსებულ სამეცნიერო ცოდნას და ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვარკვიოთ საკითხის რეალური მნიშვნელობა. კვლევის მიზანია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ავსახოთ, ერთი მხრივ, სოფლის ლოკალიზების შესახებ არსებული ცნობების, ხოლო მეორე მხრივ, ამავე პრინციპით წარმოვადგინოთ უშუალოდ ეკლესიათა კვლევის ქრონოლოგიური ქარგა. სხვადასხვა მასალის შეჯერების საფუძველზე და განსაკუთრებით ნაგებობათა მხატვრულ-სტილისტურ და ისტორიულ-პალეოგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით, კვლევის მიზანია განისაზღვროს საკვლევ ობიექტთა აგების დროითი დიაპაზონი.

ხრამის ხეობის ჩვენ მიერ შერჩეული ძეგლების კვლევის მთავარი საკითხი დაკავშირებულია მათ დათარიღებასთან, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა რიგის პრობლემათა მთელ წყებას. აღსანიშნავია, რომ შერჩეული თემის პრობლემატიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ არქიტექტურის სირთულეებითა და ის თითქმის თანაბარმნიშვნელოვნად მოიცავს, როგორც ისტორიის, ისე ისტორიული გეოგრაფიისა და პალეოგრაფიის საკითხებს, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს კომპლექსურ საკითხთან და კვლევითი მიდგომა იმთავითვე ორიენტირებული იყო ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიური მიდგომის მნიშვნელოვნებაზე. ამდენად, კვლევის ფარგლებში არსებით პრობლემად იქცა ისტორიული გეოგრაფია. რადგან მოგვიწია საკვლევ ობიექტების განთავსების არეალის ისტორიული ტოპონიმის მოძიება და მისი დაკავშირება საისტორიო წყაროებსა თუ ისტორიულ საბუთებში მოხსენიებულ კონკრეტულ ტოპონიმთან. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ ქართულ საისტორიო თუ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში, თუმცა თავი იჩინა რამდენიმე მცირე უზუსტობამ თუ გაურკვევლობამ, რომლის „გასწორებაც“ ჩვენი კვლევის საგნად იქცა იმთავითვე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ძეგლთა შესწავლის კონტექსტში პალეოგრაფიაა, ამ მხრივ, არსებული მასალები მნიშვნელოვანწილად აზუსტებს საკვლევ ობიექტთაგან ერთ-ერთის თარიღს, რომლის შესახებაც რადიკალურად განსხვავებული ვერსიებია გამოთქმული.

სწორედ ზემოთ ხსენებული მიზეზების გათვალისწინებით წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევის პროცესში აქცენტი გაკეთდა ინტერდისციპლინურ მიდგომაზე, რომელიც კვლევის პროცესის ბუნებრივი ხაზის განვითარებას წარმოადგენდა. ცხადია, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ სახელოვნებათმცოდნეო კვლევით მიდგომას, რომლის წიაღშიც, როგორც დამხმარე დისციპლინები, შემოდის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია და პალეოგრაფია. შესაბამისად, კვლევის პროცესში დამუშავებულ იქნა ისტორიული წყაროები და საბუთები, სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურა, სადაც კი გაკვრით მაინც იყო ნახსენები ჩვენი კვლევის ობიექტები და ა. შ. დამუშავებული ლიტერატურის დიდი ნაწილი ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს უკავშირდება. ამავდროულად, კვლევაში შესულია სარესტავრაციო პროექტების ანალიზი, საარქივო დოკუმენტაცია და მასალები.

ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს სოფელ ვარდისუბნის ორ ეკლესიასთან, რომლებიც, დიდი ალბათობით, ერთმანეთის გავლენით შენდება და ეს აისახება მათ გეგმარებაზე. აღსანიშნავია, რომ სოფლის ქვედა, ანუ მცირე ეკლესია შედარებით ადრეულია (ამ ეტაპზე კითხვის ნიშნები არ გაგვაჩნია მისი გარდამავალი ხანით დათარიღების თვალსაზრისით) და თარიღდება IX-X საუკუნეებით, ხოლო მეორე, ზედა, დიდი ეკლესია ამ უკანასკნელის გეგმარებით „შთაგონებული“ – XV საუკუნის აღმშენებლობად უნდა მივიჩნიოთ, რასაც ეთანხმება კიდეც ტაძრის ბალავრის ქვაზე არსებული მხედრული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი.

II დარბაზი, II სექცია, II სხდომა

ლალი ოსეფაშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

წმიდა ნინოსთან დაკავშირებული საბინისეული ორი ხატი სვეტიცხოველში

XIX საუკუნის საქართველოს სულიერ ცხოვრებაში არსებითი ხასიათის ცვლილებები ხდება, ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა, ეკლესიამ - ავტოკეფალია. თუმცა, ერში გარკვეული მუხტი არსებობდა შინაგანი შემართებისა, რომ ყველაფერი ცუდი უკან დარჩებოდა, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდროინდელი ქართული მწერლობა, სწორედ წიგნიერება იყო მთავარი ფაქტორი ერის ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომისთვის. სწორედ ამ პერიოდში შეუკრებია გობრონ (მიხაილ) საბინის ქართველ წმიდანთა ცხოვრება და წიგნისთვის „საქართველოს სამოთხე“ უწოდებია, 1882 წელს სანკტ-პეტერბურგში ქართულად გამოუქვეყნებია. მისთვის დაურთავს, როგორც თვითონ წერს, „მშვენიერი მხატვრობები“, რომელშიც წმიდა ნინოს, ანუ, როგორც მას წყაროები ამკობენ, „ქართლის ემბაზს“ ორი კომპოზიცია მიუძღვნა. ერთზე წმიდანის ფრონტალურადაა წარმოდგენილი, მეორეზე კი, დედა ღმრთისა წმიდანს ჯვარს გადასცემს და ლოცავს მოციქულად.

საბინისეული კომპოზიციები ფართოდ გავრცელდა იმ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებ სვეტიცხოველში დაცულ ორ სიწმიდეზე - ხატზე. ჩემი

მოხსენების მიზანია, გამოვიკვლიო აღნიშნული ორი ხატი, ამასთან აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს ხატები სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე არასოდეს ყოფილა მოხსენიებული და ამითია წინამდებარე კვლევა აქტუალური. ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული „ჯვარი ვაზისას“ იკონოგრაფიაზე; ფრონტალურად მდგომ წმიდანს ხელში ვაზის ჯვარი უკავია, ხოლო მეორე ხატზე, იქ, სადაც დედა ღმრთისა გადასცემს ჯვარს წმიდა ნინოს, იგი ჩვეულებრივი გოლგოთას ჯვარია, რომელიც ხშირად ფიგურირებს ქრისტიანულ სიწმიდეებზე. ამასთან კვლევის პროცესში გამიჩნდა აზრი, ხომ არ არის მეორე ხატის შემსრულებელი იტალიელი მხატვარი ლუდვიგ ლონგო, რადგან ზუსტად იმეორებს თბილისის წმიდა სამების ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულ კომპოზიციას, მათ შორის განსხვავება ხატისა და ფრესკის სპეციფიკაში და ფერებშია, მთლიანობაში კი, საერთო წყაროთი და დედნით სარგებლობენ.

რაც შეეხება ცალკე გამოსახულ წმიდა ნინოს, ეს არ არის ზუსტად გადატანილი საბინინის სქემა, ოდნავ სახეცვლილებას ვხედავთ, ხოლო ზუსტად ასახავს მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის ფრესკა. ამდენად, ძირითადი პრობლემა ნაშრომში არის მხატვრის ხელწერისა და იკონოგრაფიული სქემების ურთიერთმიმართება, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა. ასევე გამოყენებული იქნება საარქივო მასალები მეტი სიზუსტისთვის.

ნაშრომში დასმული პრობლემის კვლევისთვის მივმართავ იკონოგრაფიულ, კონტენტ-ანალიზისა და შედარებით, ანუ კომპარატივისტულ მეთოდებს, რომელნიც აპრობირებულია ხელოვნებათმცოდნეობით სამეცნიერო ლიტერატურაში.

დასკვნის სახით შემიძლია, აღვნიშნო, რომ საკითხი, რომელიც დასმულია მოხსენებაში, აქტუალურია და სიახლეა, რამდენადაც სვეტიცხოვლის ეს ორი ხატი აქამდე, საკუთრივ ცალკე მეცნიერული შესწავლის საგანი არ ყოფილა. აქვე იგულისხმება საბინინისეული იკონოგრაფიული სქემები, რომლებიც იმ პერიოდში გავრცელდა. ფართო საზოგადოებისთვის, ხშირ შემთხვევაში, უცნობია, შესაძლოა კიდევაც არის სხვა ხატები ტაძარში და არაა დაკარგული. ხატის ძირითადი არსი ხომ მორწმუნესთან სულიერი ერთობაა და ამ ერთობით ყალიბდება საკრალური, ღრმა, იმანენტური კავშირი. ასევე ვფიქრობ, შესაძლოა, ძველი იკონოსტასის ხატები იყო და ასე შემორჩა ისინი ჩვენამდე.

ამრიგად, საკითხი მეტად მრავალმნიშვნელოვანი და აქტუალურია და კვლევისას მიღებული შედეგებით დაინტერესდებიან როგორც ქრისტიანული იკონოგრაფიისა და თეოლოგიის, ისე ქართული ხელოვნების მკვლევარები, ასევე მხატვრებიც.

იზოლდა მელიქიშვილი, საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი

სამეგრელოს ხალხური რეწვის ისტორიისათვის ვერცხლის მხატვრული დამუშავება

მოხსენებაში წარმოდგენილი საკითხი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტან რეგიონს - სამეგრელოს ეხება. განხილულია

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების - ხალხური რეწვის ერთ-ერთი მიმართულება, „ოქრომქანდაკეობა“ ანუ ოქრომჭედლობა.

საქართველოში ხალხური რეწვა უძველესი ეპოქიდან XIX საუკუნის ჩათვლით ყოველთვის იყო წინ წამოწეული განვითარებადი და ადგილობრივი სამეურნეო ნედლეულით მომარაგებული.

ზოგადად, ხალხური რეწვის თითქმის ყველა დარგის განვითარება დაკავშირებულია არა ერთ ფაქტორთან: რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, მეურნეობის დარგები, რომლებიც კონკრეტულ რეგიონშია განვითარებული, ადგილობრივი ტრადიციები, კუთხის ეთნოკულტურა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. მაგრამ ერის კულტურის ისტორიაში, გამოყენებითი ხელოვნების განვითარება მჭიდრო კავშირში იყო და არის ქვეყნის ტრადიციებსა და წარსულთან.

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველო ისეთ გარემოში აღმოჩნდა, რომ ხელოსნობა და მისი მრავალფეროვანი დარგებიდან, ზოგიერთი საერთოდ გაქრა, ხოლო რაც შემორჩა, ნაკლებ სრულყოფილი იყო. ხალხური ხელოვნების გავლენა გამოყენებითი ხელოვნების დარგებში აიხსნება ეროვნული ტრადიციების მარადიულობითა და „ღრმა ფესვების“ არსებობით. ტრადიციებისა, რომლებმაც დღემდე შემოგვინახა ხალხური და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები. ამის დასტურია მრავალფეროვანი მასალა, რომელიც საქართველოს მუზეუმებში, კონკრეტულად ხელოვნების სასახლისა და ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდებშია დაცული.

ამ მასალის უდიდესი ნაწილი ფაქტობრივად უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. აქ დაცული ჭედურობის ნიმუშების კვლევა, მათი პუბლიკაცია და წარმოჩენა მრავალ საინტერესო საკითხს მოფენს ნათელს, განსაკუთრებით კი სამეგრელოს საოქრომჭედლო სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებას.

როგორც საარქივო მასალითა და უდიდეს ოსტატთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ირკვევა, თითოეული ხელოსანი ლითონის დამუშავებისა თუ მისი შემკობის ტექნოლოგიასა და ტექნიკას საიდუმლოდ ინახავდა და მხოლოდ თავის შთამომავლობას, ამქრისა თუ სახელოსნოს წევრებს გადასცემდა. ასე გადადიოდა თაობიდან თაობაზე ლითონის მხატვრული და ტექნიკური დამუშავების თავისებურებანი. მამიდან შვილზე და მის შემდგომ თაობაზე ხელობის გადაცემის ტრადიციას ისინი არ არღვევდნენ. ამან განაპირობა ხელოსანთა ოჯახების ჩამოყალიბება.

სამეგრელოს საოქრომჭედლო საქმიანობაში XVIII- XX საუკუნეებში ცნობილია მეუნარგიების, მამამიძეებისა და ჯიქიების ოჯახები. მათ თავიანთი შემოქმედებით შექმნეს ეპოქა, რომელშიც შემდგომ არაერთი თაობა გაზარდა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქართული ხელოვნების ისტორიაში, იქმნება ეკლექტიკური ნაწარმოებები, თავს იჩენს ევროპული და რუსული ხელოვნების გავლენის ელემენტები. ქართული ტიპური ვერცხლის ნაკეთობანი უცხო დეტალების დამატებითაა შექმნილი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ქართველი ოსტატისათვის დამახასიათებელი მანერა - ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტექნიკური ხერხების გამოყენება, ნივთის შემკობა როგორც

ქედურობით, ასევე გრავირებით, სევადით, მინანქრით, ოქროს ზარნიშით ან ვერცხლისფრად დატოვება, შენარჩუნებულია. ეს მახასიათებლები წარმოაჩენს საქართველოს კონკრეტული კუთხეების ხალხური რეწვის ინდივიდუალობასა და, ასევე, სხვაობას მათ შორის. ეს გვაძლევს საშუალებას თვალი გავადევნოთ მათი შექმნის ისტორიას, განვიხილოთ ისინი არა როგორც ხელოსნური ნაწარმი, არამედ როგორც დარგის ხელოვნების ნიმუშები.

სამეგრელოს - ზუგდიდის სკოლის (XIX-XX სს) წარმომადგენლებმა ძმებმა ფილუ (1878-1964) და კონსტანტინე (1858- ?) ძამამიძეებმა ლითონის მხატვრულად დამუშავების საქმიანობაში საკუთარი ხელწერა შექმნეს: საოცრად სუფთა კონტურის ხაზები, გამოკვეთილი ტექნიკური ხერხები და მცენარეული დეკორის ხაზის თავისებური ინტერპრეტაცია, რომელიც არ მეორდება.

ამავე პერიოდში თითქმის ერთდროულად იწყებენ მუშაობას გეგეჭკორის რაიონის სოფელ ონოლიაში დაბადებული ძმები თომა (1888-1951) და ამბროსი (1892-1957) ჯიქიები. მათი ნახელავი გამოირჩევა სადა, თავშეკავებული ორნამენტული დეკორით, ხელწერაში წამყვანი თავად ჭურჭლის ფორმაა და არა სამკაული.

ამ ოსტატთა ნამუშევრებში ჩანს, რომ ისინი ძველ ტრადიციულ „ოქრომქანდაკებლობის“ ნიმუშებს კარგად იცნობდნენ, უფრო მეტ ყურადღებას ტრადიციებზე დაფუძნებული ქეშმარიტი ხელოვნების ნიმუშების შექმნას უთმობდნენ. ამის დასტურია მათ მიერ შექმნილი ქართული ტრადიციული სასმისები: კულა, ხრიკა, ჭინჭილა. ხშირად ხისგან დამზადებულ ჭურჭელს სევადითა და გრეხილურით ამკობდნენ.

ქედური ხელოვნების ამ ნივთებში სრულყოფილად გამოვლინდა ზუგდიდის სკოლის თვითმყოფადი საოქრომჭედლო კულტურა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღესაც ძალიან პოპულარულია.

წინო დათუნაშვილი, მამუკა ქაფიანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი ქართველ მეფეთა კოსტიუმის ტიპოლოგია (IX-XVIII სს.)

ქართველ მეფეთა კოსტიუმი არაერთი მეცნიერის მიერ იქნა შესწავლილი, თუმცა ერთიან ისტორიულ ჭრილში კოსტიუმის ტიპები და მათი შემადგენელი ცალკეული ელემენტების ტიპოლოგია დღემდე არ მომხდარა. ჩვენს მიზანს, სამეფო კოსტიუმის სწორედ ამ კუთხით შესწავლა წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის კვლევა წერილობითი წყაროების, სახვითი ხელოვნებისა და ნუმიზმატიკური ნიმუშების საშუალებით არის შესაძლებელი. ნივთიერმა მასალამ კი, მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ II-ის (1700-1762) სამოსისა და მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) სარტყელის სახით მოაღწია ჩვენამდე.

ქართველ მეფეთა ყველაზე ადრეული გამოსახულებები ტაო-კლარჯეთის ტაძრების საფასადო რელიეფებზე შემოგვრჩა. პირველი თვალსაჩინო ნიმუში ოპიზის მონასტრის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის IX ს-ის აშოტ I კურაპალატის გამოსახულებაა. ყველაზე მრავლად მეფეთა პორტრეტები მონუმენტურ მხატვრობაში გვხვდება. ადრეული გამოსახულებები ატენის სიონის ტაძრის დასავლეთი მკლავის ქვედა რეგისტრშია

წარმოდგენილი. XV ს-დან სამეფო პორტრეტები ჭედურ ხატებზეც ჩნდება. ცალკეული ნიმუშები გვხვდება ხელნაწერთა დასურათებაში, მონეტებზე და დაზგურ მხატვრობაში.

ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროებისა და ვიზუალური მასალის საფუძველზე, საკვლევი პერიოდის მანძილზე სამეფო კოსტიუმის ხუთი ტიპი იკვეთება: 1) ქართული კოსტიუმი; 2) ბიზანტიური კოსტიუმი; 3) აღმოსავლური კოსტიუმი; 4) მეომართა კოსტიუმი და 5) ათონური კოსტიუმი. პირველი, მეორე და მესამე ტიპის კოსტიუმი, თავის მხრივ, კომპლექტის შემადგენლობისა თუ სამოსის ცალკეული ელემენტების თარგის მიხედვით გარკვეულ ქვეტიპებად ნაწევრდება.

პირველი ტიპის კოსტიუმი IX-XIII სს-ში გვხვდება. მისი მთავარი სახასიათო ელემენტი კაბაა, რომელიც, თავის მხრივ, სამ ტიპად იყოფა. ერთმანეთისგან, ძირითადად, საყელოსა და კაბის კალთის ფორმით განსხვავდებიან.

სამეფო სამოსის მეორე - ბიზანტიური ტიპის კოსტიუმი შემადგენელი ელემენტების მიხედვით ორ კომპლექტად იყოფა: I. ფესვედის, ბისონის, მოსასხამის, მოგვების, სამეფო ინსიგნიების - გვირგვინისა და სკიპტრისაგან შემდგარი და II. ფესვედის, ბისონის, მანიაკის, ლორონის, მოსასხამის, თავსაბურავის, ფეხსამოსისა (მოგვები, ქუსლიანი ფეხსაცმელი) და სამეფო ინსიგნიების - გვირგვინის, სკიპტრისა და სფეროსგან შემდგარი. ბიზანტიური კოსტიუმის პირველი კომპლექტი X ს-შია გავრცელებული და, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა. ბიზანტიური კოსტიუმის მეორე კომპლექტი, სხვადასხვა ვარიაციებით უწყვეტად გვხვდება X-XVIII სს-ის განმავლობაში, როგორც ქართველ მეფეთა, ასევე გვიან შუა საუკუნეებში ამა თუ იმ მხარის მმართველი დიდებულების გამოსახულებებზეც. ქართველი მეფეები ტრადიციულად მანიაკით, ლორონით, სამკლავეებით გამშვენებული ბისონით არიან წარმოდგენილნი, თავს გვირგვინი უმშვენებთ. ბისონის შიგნით ფესვედს მოიხმარდნენ. მოსასხამი და ქუსლიანი ფეხსაცმელი, ძირითადად, XVI ს-დან ჩნდება. კოსტიუმის შემადგენელი თითოეული ელემენტი თარგისა თუ შემკულობის მიხედვით ცალკეულ ჯგუფებად ნაწევრდება. სამეფო ინსიგნიათაგან გვირგვინი თითქმის ყველა სამეფო პორტრეტზე ჩანს და მეფედ კურთხევის რიტუალის ყველა აღწერილობაში სახელდება. სკიპტრა X ს-დან გვხვდება, სფერო XII ს-დან. მათ შორის სკიპტრის გამოსახულება სჭარბობს. სამეფო კოსტიუმის მესამე ტიპი - აღმოსავლური კოსტიუმი შედგება ფესვედის, კაბის, ცრუსახელოიანი მოსასხამის, თავსაბურავისა (ჩალმა, გვირგვინი) და ფეხსამოსისაგან (წინდები, მოგვები, ფეხსაცმელი, ქოშები). მისი პირველი ნიმუშები X ს-ში ჩნდება, ტბეთისა და კუმურდოს ტაძართა რელიეფებზე და შემდგომ ძირითადად XVII ს-თვის არის დამახასიათებელი.

მეოთხე ტიპის კოსტიუმს მეომართა კოსტიუმი ვუწოდეთ, 1174 წელს მოჭრილი გიორგი III-სპილენძის მონეტის მიხედვით, რომელზეც მეფე აბჯრით არის წარმოდგენილი, ხოლო მეხუთე ტიპის კოსტიუმი გრემში, XVI ს-ის ლევან კახთა მეფის გამოსახულების მიხედვით - ათონური კოსტიუმი.

გვანცა ღვინჯილია, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის ხელნაწერ ფონდში დაცული ზაქარია ფალიაშვილის კათოლიკური მესა

სტატია ეძღვნება ზაქარია ფალიაშვილის მესას, რომელშიც აისახა კათოლიკური ეკლესიის გარემოში აღზრდილი კომპოზიტორის მუსიკალური შთაბეჭდილებები. ვინაიდან ზაქარიას თავად არასოდეს უზრუნია საყმაწვილო თხზულების დაბეჭდვაზე, მესის ავტორისეული და ზაქარიას ძმის, ლევანის მიერ გადაწერილი ვერსიები ხელნაწერების სახით შემორჩა და დაცულია ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის ხელნაწერ ფონდში. 2023 წელს თბილისის მუნიციპალური „მუზეუმების გაერთიანებამ“ ხელნაწერები შესასწავლად გადასცა მუსიკოლოგებს (სვიმონ ჯანგულაშვილი და გვანცა ღვინჯილია) და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთობლივი პროექტის საფუძველზე გამოსცა წიგნი - „ზაქარია ფალიაშვილი: მესა“, რომელიც მოიცავს ფალიაშვილის ნაწარმოებებისა და ბიოგრაფიის შესახებ მუსიკოლოგიურ, ისტორიულ, თეოლოგიურ ნაშრომებს, მონოგრაფიულ თავებს. გამოცემას თან ერთვის სვიმონ ჯანგულაშვილის რედაქციით მომზადებული მესის სანოტო მასალა.

ნაშრომის **კვლევის საგანია** სწორედ კომპოზიტორის მოსკოვში სასწავლებლად გამგზავრებამდე, 1900 წელს დასრულებული ექვსნაწილიანი კათოლიკური მესა გუნდისა და ორღანისათვის, რომელიც მუსიკოლოგიისთვის მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს არა მხოლოდ როგორც ზაქარიას საყმაწვილო ნაწარმოები, არამედ როგორც ამ ჟანრის ერთადერთი ნიმუში ქართულ მუსიკაში.

კვლევის მიზანია დავადგინოთ ხელნაწერების რაოდენობა, მდგომარეობა, შინაარსი და ავთენტურობა, შევისწავლოთ მესა კათოლიკური მესის ჟანრული მოდელის კონტექსტში და ისიც, თუ რამდენად შეძლო ახალბედა კომპოზიტორმა ნაწარმოებში კათოლიკური მესის სემანტიკის ასახვა, იქონია თუ არა რაიმე გავლენა ამ ნაწარმოებმა მის ოპერებზე.

დასახული მიზანი მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

— კომპოზიტორის კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული ბიოგრაფიული ფაქტების შესწავლა;

— ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმის მასალების შესწავლა, ხელნაწერებს შორის საავტორო და ზაქარიას ძმის, ლევან ფალიაშვილის მიერ გადაწერილი ცალების იდენტიფიცირება, დადარება;

— ქართულ კათოლიკურ ტაძრებში წირვის წესის და მესის სტანდარტის შესწავლა;

— XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კათოლიკური ლათინური მესის ჟანრული მოდელის მახასიათებლების და მათი ფალიაშვილის მესაში გამოვლენის შესწავლა;

საკითხის შესწავლისას გამოყენებულია **კვლევის კომპარატიული, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული მეთოდები.**

ნაშრომში დასმული პრობლემის **კვლევა წარიმართა სამ ფაზად:**

ა) ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში დაცული ზაქარიას მესის ხელნაწერების შესწავლა, ორიგინალის და გადაწერილი ვერსიების დადგენა, მათ შორის არსებული განსხვავებების შესწავლა;

ბ) XIX-XX საუკუნეების მიჯნის ევროპული კათოლიკური მესის მოდელის საქართველოში გავრცელების თავისებურებების შესწავლა, საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში დამკვიდრებული წირვის წესის შესწავლა;

გ) ფალიაშვილის მესის კომპოზიციური, რიტმულ-ინტონაციური ანალიზი: ერთის მხრივ ნაწარმოების კათოლიკურ საეკლესიო ტრადიციასთან თავსებადობის დადგენა, მეორეს მხრივ, კომპოზიტორის ოპერების შინაარსობრივ, იდეურ და ინტონაციურ მხარეზე მესის ზეგავლენის შესწავლა.

საკვლევი პრობლემის საკითხთა წრის შესწავლის შედეგად დადგინდა:

— ფალიაშვილის მესის მოდელი ეფუძნება მეოცე საუკუნის დასაწყისში იტალიაში რომაული ბრევარიუმის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული მესის სტანდარტს;

— ფალიაშვილის მესა წარმოადგენს ფუნქციით Ordinarium, ხოლო მასშტაბით „მოკლე მესის“ ჟანრულ ტიპს (Missa brevis);

— პროფესიონალი მომღერლების ან ორგანიზტების დეფიციტის პირობებში, საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში დამკვიდრდა შედარებით მარტივად შესასრულებელი მუსიკალური მესის მოდელი ფისკარმონიის ან ორგანის თანხლებით;

— ფალიაშვილის მესამ გარკვეული გავლენა მოახდინა მის ოპერებზე, რომლებშიც რელიგიური კონტექსტის გარეშე გამოვლინდა სპირიტული განცდების ინტენსივობა, რაზეც მეტყველებს ზაქარიას საოპერო პერსონაჟების ამაღლებული სიყვარულის იდეალი და მათი კათარსისამდე თავისებურად განვლილი გზა, როგორც მათი სულიერი ტრანსფორმაციის ლოგიკური დასასრული.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ფალიაშვილის მესა წარმოადგენს არა უბრალოდ ადრეულ თხზულებას, რომელმაც ერთგვარი ლაბორატორიის როლი შეასრულა, არამედ კომპოზიტორის სულიერი წყობის გამომხატველია. შემთხვევითი ნამდვილად არ არის ის ფაქტი, რომ მუსიკალური სასწავლებლის დასრულებისთვის სავალდებულო ნაწარმოების რანგში მან არჩევანი სწორედ კათოლიკურ მესაზე შეაჩერა; ეს არ იყო მხოლოდ ჟანრული არჩევანი, არამედ მისი სულიერი წყობის და სულიერი მოთხოვნილებების გამოხატულება. ღვთაებრივის განცდა, რომელიც ნამდვილად იგრძნობა მესაში მუდამ თან სდევთ მისი ოპერის გარკვეულ გმირებს და ამაღლებული ან მოწამებრივი სიყვარულის იდეაში ვლინდება.

**ქეთევან პატარაია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკატერინე კონტრიძე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისტორიული პიროვნების მხატვრული ასახვის სირთულები (ქეთევან დედოფალი ქართულ
კინოში)**

საკვლევი თემის აღწერა: ქეთევან დედოფალი (1570-1624) მუხრანბატონის ასული, თეიმურაზ პირველის დედა, კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის, უფროსი ვაჟის, დავითის, მეუღლე, ის ისტორიული პიროვნებაა, რომლის წამების ამბავი არაერთხელ აღიწერა ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში (თეიმურაზ I, გრეგორიო ორსინი, პიეტრო დელა ვალე, კლოდ მალენგრი და სხვები). ამ ტრაგიკული მოვლენების შესახებ მხატვრული სიმძაფრითაა მოთხრობილი არჩილ

მეფის პოემაში „თეიმურაზიანი“. 1657 წელს გერმანელმა პოეტმა ანდრეას გრიფიუსმა შექმნა ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“, 1883 წელს დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის ხუთმოქმედებიანი პიესა „წამება ქეთევან დედოფლისა“. ორივე ეს პიესა იდგმებოდა თეატრალურ სცენებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი წმინდანის მოწამეობრივმა აღსასრულმა ერთგვარად გადაფარა და დაჩრდილა ქეთევანის, როგორც თავისი დროის დიდი პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელობა, რაც მასთან დაკავშირებულ მხატვრულ შემოქმედებაზეც აისახა.

1983 წელს გამოვიდა გიგა ლორთქიფანიძისა და ამირან დარსაველიძის მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „წიგნი ფიცისა“ (სცენარის ავტორი - ანზორ სალუქვაძე, კონსულტანტი - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ასათიანი), სადაც მეორე და მესამე სერიებში ქეთევან დედოფლის სახეა გაცოცხლებული (მსახიობი ქეთევან კიკნაძე). ფილმი დიდ ისტორიულ მოვლენებს ეხება და ამასთან, მათ მხატვრულ ინტერპრეტირებას ახდენს. ფილმის ავტორები შეეცადნენ, ევარაუდათ და ეჩვენებინათ დედოფლის პოლიტიკური სიმპათიები (რუსეთის მიმართ), რაზეც ისტორიოგრაფიაში პირდაპირი ცნობები არაა.

პრობლემა: საიდან მოვიდა ასეთი შეფასებები? რამდენად აქვთ ავტორებს უფლება, რომ თავისუფალი ინტერპრეტირება გაუკეთონ რეალური, ისტორიული პიროვნების (მითუმეტეს, წმინდანის) მხატვრულ პერსონაჟს? ერთი მხრივ, აუცილებელია ისტორიული რეალობის, ობიექტურობის მაქსიმალური დაცვა, მეორე მხრივ, მოცემული პიროვნება მხატვრულ სახედ უნდა იქცეს, რაც პერსონაჟის მიმართ გარკვეულ თავისუფალ დამოკიდებულებას გულისხმობს. თუ ისტორიკოსები გულდასმით, სიზუსტის დაცვით, თანმიმდევრულად იკვლევენ ცნობებს ისტორიული მოვლენების თუ ადამიანების შესახებ, მხატვრულ შემოქმედებას ეს ვალდებულება ნაკლებად აქვს. სად გადის აქ ზღვარი და ზოგადად, რისი უფლება აქვთ ავტორებს?

კვლევის მეთოდი: საქართველოს კულტურის ისტორიის მუზეუმში დაცულ ანზორ სალუქვაძის არქივში ინახება „წიგნი ფიცისას“ სცენარის რამდენიმე ვერსია, მასალა ფილმის შესახებ, რომლის შესწავლამაც, შესაძლოა გარკვეული სურათი მოგვცეს ფილმის ავტორების აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული არჩევნის შესახებ. ნაშრომის მზადების პროცესში შესაძლოა დამატებითი ცნობები აღმოჩნდეს საქართველოს ეროვნული არქივის „კინოსტუდია ქართული ფილმის“ ფონდში და ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მოძიებული მასალის დამუშავება და ანალიზი გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს.

კვლევის აქტუალობა: მართალია, ფილმი „წიგნი ფიცისა“ 40 წლის წინაა გადაღებული, მაგრამ მას შემდეგ ქართულ კინოში ამ რანგის ისტორიული პიროვნების და წმინდანის მხატვრული სახე არ დამუშავებულა. საზოგადოების (და სახელმწიფოს) დაკვეთის მიუხედავად, ჯერაც ვერ ხერხდება დავით აღმაშენებელზე ფილმის მომზადება. ძირითადი სირთულე ისაა, რომ კინემატოგრაფისტებისთვის რთულია იმ ოქროს შუაღედის პოვნა, სადაც არ დამახინჯდება ისტორიული სინამდვილე, შენარჩუნებული იქნება კონკრეტული, რეალური პიროვნების თვისებები და ბუნებრივად შეერწყმება ავტორის (ან ავტორების) ფანტაზიას და მხატვრულ ინტერპრეტაციას. საკითხი - როგორ გავაცოცხოთ ისტორიული პიროვნების სახე ხელოვნებაში (ამ შემთხვევაში, კინოში), დღესაც აქტუალურია.

კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატების გამოყენების სფერო: კვლევის შედეგები საინტერესო (და საჭირო) იქნება ისტორიული თემით დაინტერესებულ კინოხელოვანთათვის, ისტორიული ჟანრის ფილმების მოყვარულთათვის, კინოს მკვლევართათვის და უბრალოდ, დაინტერესებულ პირთათვის.

II დარბაზი, II სექცია, III სხდომა

ნინო ქავთარაძე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

1920-იანი წლების ქართული კინოს „უცნობი“ ქალები

1920-იანი წლების ქართული კინო თვითმყოფადი და გამორჩეული პერიოდია სტილური და თემატური თვალსაზრისით. „სახკინმრეწვის“ ბაზაზე ამ კონკრეტულ ათწლეულში 60-მდე ფილმი შეიქმნა. პროცენტულად ამ ფილმების არც თუ მცირე ნაწილში მთავარ გმირებად სწორედ ქალები გვევლინებიან. ალექსანდრა თოიძე, თინა კალანდაძე-მაჭავარიანი, ელენე (ჩუტა) ერისთავი, ინა (ისია) ნაზარიშვილი, თამარ ბოლქვაძე, ელენე დონაური, კირა ანდრონიკაშვილი... ფართო აუდიტორიისთვის დღეს ნაკლებად ცნობილია მათ მიერ შექმნილი როლები, პროფესიული ბიოგრაფიები, შემოქმედებითი ცხოვრება. შემთხვევითობები, რისი წყალობითაც ქართულ კინოს დაუკავშირეს ბედი და ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რის გამოც სამუდამოდ ჩამოშორდნენ კინემატოგრაფს.

1929 წელს მიხეილ კალატოზიშვილმა ფილმ „ბრმას“ („უსინათლო“) გადაღება განიზრახა, რომელიც „ჯიმ შვანთეს“ ეკრანული წინაპირობა გახდა. მთავარი როლი თინა კალანდაძე-მაჭავარიანს უნდა შეესრულებინა. მსახიობმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო როლზე მუშაობა, ის ელენე სენიჩევა-ესაკიამ ჩაანაცვლა. თინა კალანდაძე მაჭავარიანის კინოდებიუტი შედგა ვლადიმერ ბარსკის ფილმში „ბელა“ (1927). ამ ფილმში განსახიერებული კავკასიელი ქალის როლი მსახიობის კინობიოგრაფიის მთავარ და ერთადერთ მოვლენად დარჩა. 1927 წლიდან ახალგაზრდა ქალი მძიმე ავადმყოფობას ებრძოდა, რაც გახდა კინოსთან მისი სამუდამოდ ჩამოშორების მიზეზი.

ელენე (ჩუტა) ერისთავის გამოჩენა ქართულ კინოში შემთხვევითობამ განაპირობა: ვლადიმერ ბარსკიმ და გიორგი მაკაროვმა ის რუსთაველის პროსპექტზე შენიშნეს. მისი სამსახიობო რეპერტუარი „სახკინმრეწვის“ ბაზაზე მხოლოდ ერთ ფილმს ითვლის - ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელს“ (1923) და ფილმში ნატო ვაჩნაძის დედის როლში გვევლინება. ქართველი კინომსახიობებიდან ეს ერთ-ერთია, ვინც 1937 წელს მოსკოვში გამართულ ხელოვნების დეკადაში იღებდა მონაწილეობას. მისი სამსახიობო კარიერა 1930-იან წლებში ოჯახური გარემოებების გამო დასრულდა.

ინა (ისია) ნაზარიშვილი პირველად ალექსანდრე წუწუნავას „ხანუმაში“ (1926) გამოჩნდა. შემდეგი ფილმი ზაქარია ბერიშვილის „იბრაჰიმი და გოდერძი“ (1927) იყო. ორიენტალისტური ნამუშევრიდან მსახიობმა ისევ ალექსანდრე წუწუნავასთან გადაინაცვლა ფილმში „ჯანყი

გურიაში” (1928), რომელშიც მანას როლი განასახიერა. ეს მისი უკანასკნელი კინოროლი აღმოჩნდა.

კირა ანდრონიკაშვილმა, ნატო ვაჩნაძის დამ, შესაშური ვიზუალის და ნიჭის ახალგაზრდა ქალმა, ნიკოლოზ შენგელაიას ფილმში “ელისო” (1928) მთიელი ქალის როლი შექმნა. “ელისო” ქართული კინოს და ზოგადად ჩვენი იდენტობის ნაწილად იქცა. 1920-1930-იანი წლები მსახიობის ბიოგრაფიის ყველაზე საინტერესო და ამავდროულად მძიმე პერიოდი იყო: კირა ანდრონიკაშვილმა 1936 წელს კინემატოგრაფიის ინსტიტუტში კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე სერგეი ეიზენშტეინის სახელოსნოში დაასრულა სწავლა. ამავე წლებში გადასახლეს მისი მეუღლე, მწერალი ბორის პილნიაკი. თავად კირა ანდრონიკაშვილი, ამ ფაქტიდან ერთი თვის თავზე დააპატიმრეს და გადასახლეს.

აღსანიშნავია, რომ კირა ანდრონიკაშვილის შესახებ დღესდღეობით საქართველოში არსებულ ხელმისაწვდომ საარქივო ფონდებსა და საცავებში ინფორმაცია თითქმის არ მოიპოვება. მისი ეკრანული როლები და ბიოგრაფიული ნარატივები როლს მიღმა, მისი პერსონის ირგვლივ სრული სურათის რეკონსტრუირებისთვის არასაკმარისი მასალაა.

სწორედ ამიტომ, კვლევის პროცესში გამოვიყენებ ინტერდისციპლინარული მეთოდს, რაც მსახიობების ახლობლებსა და ოჯახის წევრებთან, ინტერვიუებისა და ზეპირი ისტორიებისა აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. საქართველოს ეროვნულ არქივში, კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში, „სახკინმრეწვის“ დოკუმენტებში და ხელოვნების სასახლეში დაცული წერილობითი მასალის კვლევისა და ანალიზის სინთეზით შევეცდები დღევანდელი პერსპექტივიდან 1920-იანი წლების საბჭოთა ქართული კინოს „უცნობი“ ქალების ეკრანული როლებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიების კვლევას.

1920-იან წლებში „სახკინმრეწვის“ ბაზაზე წარმოებულ ფილმებში აღნიშნული ქალი მსახიობები ძირითად შემთხვევაში მთავარ ან/და მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდნენ. კვლევის მიზანია დღევანდელი პერსპექტივიდან 1920-იანი წლების საბჭოთა პერიოდის ქართულ კინოპროცესებში ქალების როლის გააზრება, ნაკლებად ცნობილი ქალი მსახიობების და მათი ეკრანული როლების ანალიზი და ახლებური რეპრეზენტირება გენდერულ დისკურსში. იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება, რომელთა გამოც კონკრეტული მსახიობი ქალ(ებ)ი წარმატებით ვერ/არ ჩაეწერა „სახკინმრეწვის“ მეინსტრიმულ ნარატივში.

დღემდე უცნობ საარქივო დოკუმენტებზე, ზეპირ ისტორიებსა და ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით, კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატის მიზნობრივი აუდიტორია იქნება: კინოისტორიკოსები, გენდერის მკვლევრები, ჰუმანიტარული და აუდიო-ვიზუალური დარგის სპეციალისტები, ქართული კინოთი დაინტერესებული აუდიტორია. კვლევის შედეგად წარმოდგენილი მასალა აღნიშნული ქალი მსახიობების ისტორიულ, სახელოვნებო, გენდერულ დისკურსში ახლებური პერსპექტივით „წაკითხვისა“ და ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

**გვანცა კუპრაშვილი, საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი
მიხეილ ჭიაურელის „გიორგი სააკაძე“**

1941 წელს მეორე მსოფლიო ომი ფართო მასშტაბით გაიშალა ამჯერად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. არნახული მასშტაბის ომმა, რასაკვირველია, გავლენა იქონია საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგზე, მათ შორის, კინოზეც.

თუ ხელოვნების სხვა სფეროებში ომით გამოწვეული გარკვეული შეფერხებები შეინიშნებოდა, კინოხელოვნებას ნაკლებად შეეხო სიდუხჭირე, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ კინოხელოვნება აქტიურად გაატარა იდეოლოგიურ ჭრილში. გადაწყდა შექმნილიყო „პატრიოტული“ სულისკვეთებით გამსჭვალული რამდენიმე ფილმი, მათ შორის, ორი კინოსურათები: „გიორგი სააკაძე“ (ისტორიული) და „ჯურღის ფარი“ (მხატვრულ-მუსიკალური), რომელთა პირდაპირი მიზანი მეომართა (და არა მხოლოდ) სულისკვეთების ზრდა იყო.

ცნობილი ფაქტია, რომ იოსებ სტალინმა მოსკოვში, კრემლში, ომის დროს, ქართველი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი დაიბარა და მას გიორგი სააკაძის ეკრანული სახის შექმნა დაავალა; სტალინისავე ბრძანებით, მიხეილ ჭიაურელი გაეცნო ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნის სცენარ „დიდ მოურავს“. ამავე თემაზე პარალელურად პოეტი გიორგი ლეონიძეც მუშაობდა, რომელიც იმჟამად ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი იყო. ორ სცენარს შორის საბოლოოდ იოსებ სტალინმა უპირატესობა ანტონოვსკაიასა და ჩორნის სცენარს მიანიჭა.

მოხსენებაში საუბარი იქნება ფილმის სცენარის ბედის შესახებ ფილმის გადაღებების დაწყებამდე. განხილული იქნება სიკო დოლიძის ჩანაწერი, იოსებ სტალინისა და მიხეილ ჭიაურელის წერილი, სცენარის ავტორებისა და რეჟისორის მიმოწერა და ბრძოლა საკუთარი პოზიციის დასაცავად.

კვლევა მნიშვნელოვანი იქნება როგორც კინოს, ასევე ხელოვნების, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარებისთვის.

მარიამ ჩორგოლიანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მიხეილ ჭიაურელის ფილმების „საბა“ და „ხაბარდა“ მხატვრობა

წარმოდგენილი თემა არის ნაწილი სადოქტორო კვლევისა „1920-30-იანი წლების ქართული მოდერნისტული კინოს მხატვრობა“, რომელიც ეხება ქართული ავანგარდული კინოს მხატვრობას. ამისათვის, კვლევისა და შესწავლის პროცესშია ნიკოლოზ შენგელაიას 1928 წლის ფილმი „ელისო“, მხატვარი - დიმიტრი შევარდნაძე, კოტე მიქაბერიძის 1929 წლის ფილმი „ჩემი ბებია“, მხატვრები - ირაკლი გამრეკელი და ვალერიან სიდამონ-ერისთავი, მიხეილ კალატოზიშვილის 1930 წლის ფილმი „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“), მხატვარი - დავით კაკაბაძე, მიხეილ ჭიაურელის 1929 წლის ფილმი „საბა“ და 1931 წლის ფილმი „ხაბარდა“, ფილმების მხატვრები ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე. ამ შემთხვევაში წარმოვადგენთ მიხეილ ჭიაურელის ფილმებს „საბას“ და „ხაბარდას“, რადგანაც ვფიქრობთ, რომ ამ ორი

ფილმის ერთად წარდგენა მოდერნისტული კინოს მხატვრობის თვალსაზრისით კიდევ ერთხელ განსხვავებულად წარმოაჩინს ქართული კინოს მხატვრობის სხვადასხვა ასპექტს.

ნაშრომში ფილმების მხატვრობის გასაანალიზებლად აღწერილია ფილმების ცალ-ცალკე კადრები და მხატვართა სახასიათო ნიშნები. საინტერესოა, რეჟისორის მიხეილ ჭიაურელისა და მხატვრების ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის, ამ სამი განსხვავებული ესთეტიკის მქონე არტისტის შემოქმედების სინთეზი, რაც ფილმებს განსაკუთრებულ ელფერს სძენს. ასევე გამოკვლეულია, თუ რატომ ითვლება საბჭოთა პროპაგანდის ფილმები ავანგარდულად, მოდერნისტულად.

ქართულ სამეცნიერო და სახელოვნებათმცოდნეო სივრცეში დიდი ადგილი უკავია კვლევებს ქართულ კინოზე, მის ისტორიაზე, ზემოთ აღნიშნული პერიოდის სახვით ხელოვნებაზე და მოდერნისტ მხატვრებზე, თუმცა კი ქართული კინოს მხატვრობაზე სამეცნიერო ლიტერატურა მცირე რაოდენობითაა, გვხვდება ზოგადი ხასიათის ქრესტომათიული ტიპის ნაშრომები. საბედნიეროდ, არსებობს თავად ფილმები, საარქივო დოკუმენტები, ესკიზები, თანამედროვეთა თუ უშუალოდ მონაწილეთა მოგონებები. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევა ძალზედ აქტუალურია და აერთიანებს კინოსა და მხატვრობას და საინტერესო იქნება ხელოვნების ამ ორი დარგით დაინტერესებულ პირთათვის.

ამიტომაც თემაზე მუშაობის პროცესში მასალის მოძიება-კვლევა, არსებული მასალის თავმოყრა-გაანალიზება, კვლევის მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზის მეთოდები საშუალებას გვაძლევს ქართული ფილმები თავისუფლად შევადაროთ ამავე ეპოქის მსოფლიო კინოს ნიმუშებს, სათანადოდ დავაფასოთ პირველი ქართველი კინემატოგრაფების დეაწლი, რათა ქართულმა კინომ და მისმა მხატვრობამ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიო კულტურაში.

ელისაბედ უგულავა, საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი ირაკლი მდივანი - ქართული მოდერნიზმის დაფარული საგანძური

ირაკლი მდივანი იმ ქართველ მხატვართა შორისაა, რომლებიც კვლავაც უცნობები არიან როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ისე მკვლევართა ვიწრო წრისთვის. ნაწილობრივ ეს საბჭოთა კავშირის რეჟიმითა და მკაცრი კონიუნქტურით არის განპირობებული, რის გამოც დღემდე შემოქმედის ნამუშევრები ხელოვნების სასახლის სახვითი ხელოვნების ფონდში, თოჯინების თეატრისა და ოჯახის კერძო კოლექციაშია თავმოყრილი.

ირაკლი მდივანის, როგორც შემოქმედის ფორმირებაში ისტორიულმა, მულტიკულტურულმა გარემომ დიდი როლი შეასრულა. კავკასიის რეგიონში თბილისი მრავალფეროვნებითა და დასავლურ-აღმოსავლურ სამყაროთა შერწყმით გამოირჩეოდა, რაც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოდერნისტული ხელოვნების თავბრუდამხვევ გარემოში გაეხვა და სავსებით

განსხვავებული, შემოქმედებითად დატვირთული ატმოსფერო შექმნა. ეს არის ქართული ავანგარდის აყვავების ხანა, როდესაც თითოეული არტისტი საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებით გზას თანაზიარობის მეშვეობით ავითარებს, თუმცა კი ვლინდება ერთი საინტერესო თავისებურება: თუკი ევროპული მოდერნიზმი ფუნდამენტშივე ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ გამომსახველობით ხელოვნებას, ქართულ რეალობაში მოცემული პროცესი სავსებით საპირისპიროდ წარიმართა. შემოქმედთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა იმ კულტურული დანატოვარის შეცნობა და გადააზრება, ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, რაც შედეგად უნივერსალური მნიშვნელობის მატარებელი ხელოვნების შექმნის საწინდარი აღმოჩნდა.

მხატვრის დებიუტი ქუთაისის სცენაზე შედგა, სადაც ისეთ მნიშვნელოვან სათეატრო ფიგურებთან ერთად მოუწია მუშაობა, როგორებიც არიან სოლიკო ვირსალაძე, პეტრე ოცხელი, თამარ აბაკელია; დამწყები მხატვრისთვის ეს ნამდვილად დიდი ტრამპლინი აღმოჩნდა. მკაცრად განსაზღვრული აკადემიური სასწავლო სივრცის შემდგომ, გარემო, რომელშიც მან ფეხი შეაბიჯა, სავსებით განსხვავებულ, ინოვაციურულ მიდგომას ავლენდა გამომსახველი ობიექტისადმი, რასაც რთულია ფორმის გადააზრებისა თუ ძიების პროცესისთვის არ დაედო საფუძველი; ხელოვანი ცდილობს დაეუფლოს სამყაროში გავრცელებულ ტენდენციებს და ჩასწვდეს ავანგარდული ხელოვნების საზრისს.

ირაკლი მდივანის ადრეულ ნამუშევრებში ცალსახად ვლინდება ხელოვანის ნატურაში მიმდინარე ფორმირებები, რამაც მოდერნისტულ, რიგ შემთხვევაში, კონსტრუქტივისტულ დეტალებში ჰპოვა ასახვა. გამოსახულების მარტივ, გეომეტრიულ მოხაზულობამდე დაყვანა, ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ფორმათა შეთამაშება, სახატავი მასალის მეშვეობით ფაქტურის შექმნა ფერის მინიმალური გამოყენების ხარჯზე ის მახასიათებლებია, რასაც მის ნამუშევრებში გაედევნება თვალი.

დაგროვილი გამოცდილებისა და ნიჭის გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ ირაკლი მდივანმა სათეატრო სივრცეში მარტივად მოიკიდა ფეხი; ამას მოწმობს 30-იან 40-იან წლებში განხორციელებული არაერთი დადგმა, რისი გაფორმებაც მოუწია ველისციხის, ტყიბულის, ხარაგაულის, სიღნაღის, თელავისა და გორის თეატრებში. ისტორიაში მოცემული წლები გაცხოველებული რეპრესიებით გამოირჩეოდა, რის გამოც თეატრმა ქართველი ხელოვანი ინტელიგენციისთვის თავშესაფრის ფუნქციაც იკისრა. გამონაკლისი არც ირაკლი მდივანი აღმოჩნდა, რომელმაც მოღვაწეობა მეტად აუთვისებელ სივრცეს - თოჯინების თეატრს დაუკავშირა. მან სწორედ აქ შეძლო მაქსიმალურად გამოეფინა მისი მოდერნისტული მისწრაფებები, რაც სოცრეალისტური ხელოვნების დაკანონების შემდგომ მკაცრად იკრძალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი მდივანმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი სწორედ თოჯინების თეატრში მუშაობას დაუთმო, არ იქნება მართებული თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ თეატრის მხატვრად ჩამოყალიბდა. უმთავრესად უბადლო გრაფიკოსია, რომელსაც ბოლომდე აქვს გათვითცნობიერებული ხაზის შესაძლებლობა, რასაც შესაბამისად არგებს ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

რიგი მიზეზების გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ირაკლი მდივანი კვლავაც უცნობ მხატვართა რიგს განეკუთვნება. შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანია მხატვრის

შემოქმედების შესწავლა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, რაც დაგვეხმარება კიდევ უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ გასული საუკუნის სოციალურ-კულტურულ ყოფასა და იმ ადამიანებზე, რომლებიც ქართული ავანგარდული ხელოვნების ფორმირებაში იღებდნენ მონაწილეობას.

**ირმა დოლიძე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი /
თბილისის მუზეუმების გაერთიანება
მხატვარი სამუზეუმო კოლექციის პრიზმიდან**

სათეატრო ხელოვნების ხანგრძლივ ტრადიციაზე აღმოცენებული სასცენო ხელოვნების უმაღლესი სკოლა - თეატრალური ინსტიტუტი - დღეს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - 100 წლისაა. თავდაპირველად, იგი როგორც „სასცენო ხელოვნების“ ინსტიტუტი, 1923 წელს, აკაკი ფაღავას მიერ შექმნილი დრამატული სტუდიის ბაზაზე, დაარსდა. აკაკი ფაღავა იყო სათეატრო ინსტიტუტის პირველი რექტორი, კოტე მარჯანიშვილი - სამხატვრო ხელმძღვანელი. 1926 წელს ინსტიტუტმა შეწყვიტა არსებობა და 1939 წლის აკაკი ხორავასა და აკაკი ფაღავას თაოსნობით კვლავ აღდგა. მას რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი ეწოდა, 1939 წლიდან მოყოლებული სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის ისტორია საქართველოში უწყვეტია. უნივერსიტეტის ისტორიას ინახავს მისი მუზეუმიც (დღეს სამეცნიერო-სასწავლო არქივი), რომელშიც დაცულია 1939-1940 სასწავლო წლიდან თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლების აფიშები, ესკიზები, პროგრამები, ხელოვანთა პირადი არქივები, ფოტოალბომები და ა. შ.

ჩვენი ინტერესის საგანი ესკიზების კოლექციაა. იგი უკავშირდება თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პროცესს და წარმოადგენს სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტების საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ამსახველ ესკიზებს, შედარებით სრულადაა წარმოდგენილი 1940-1960-იანი წლების მასალები. მომდევნო პერიოდის ესკიზები მცირე რაოდენობისაა. კოლექციის ყველა ესკიზი ეკუთვნის გივი (ვასილ) ცერამეს (1931-1987), მხატვარს, რომლის შემოქმედება აქამდე არ არის შესწავლილი. 1957-1979 წლებში მან ასზე მეტი სპექტაკლი გააფორმა თეატრალურ ინსტიტუტში.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულებისთანავე გივი ცერამემ თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა (1957) და 22 წლის განმავლობაში ინსტიტუტის მხატვარ-დეკორატორი იყო. პარალელურად მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში მთავარ მხატვრად (1961-1974). სპექტაკლებს აფორმებდა საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა თეატრში. ფერწერის კურსი მიჰყავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1969-1975). 1967 წელს გივი ცერამეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება გივი ცერამის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული შემდეგი სპექტაკლების ესკიზები: მოლიერის „ძალად ექიმი“ (1957), ა.

ცაგარელის „ციმბირელი“ (1958), ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“ (1958), მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“ (1958), მ. გორკის „მზის შვილები“ (1958. ბ. ლოკტინთან ერთად), ვ. ჰიუგოს „ანჟელო“ (1958), ჯ. პრისტლის „საუნჯე“ (1958), ა. ჩეხოვის „დათვი“ (1959), ა. წერეთლის „ბუტიაობა“ (1959), ა. არბუზოვის „სახლი ქალაქის განაპირას“ (1959), მ. გორკის „მოხუცი“ (1959), ა. ფრანსის „მუნჯი ცოლი“ (1959), ვ. როზოვის „სიხარულის ძიებაში“ (1959), პ. კალდერონის „სიყვარულს არ ეხუმრებიან“ (1960), ა. მილერის „სეილემის პროცესი“ (1960), ო. ჩიჯავადის „თხუნელა“ (1960), ა. ჩეხოვის „თოლია“ (1960), ე. სკრიბის „ჭიქა წყალი“ (1960), პ. მერიმეს „სამოთხე და ჯოჯოხეთი“ (1960), ა. არბუზოვის „ეს მოხდა ირკუტსკში“ (1962) და სხვა.

თეატრალურ ინსტიტუტში მხატვარი მუშაობდა სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული ხელწერის მქონე რეჟისორებთან, მსახიობებთან. რომელთა შორისაა მიხეილ თუმანიშვილი, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, დიმიტრი ალექსიძე, ლილი იოსელიანი, აკაკი ფაღავა, შალვა გაწერელია, ალექსანდრე მიქელაძე, მედეა კუჭუხიძე, დავით კობახიძე და სხვა.

გივი ცერაძესთან ერთად თეატრალურ ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ დიმიტრი თავაძე, ბორის ლოკტინი, ირინა შტენბერგი, ფარნაოზ ლაპიაშვილი. სპექტაკლები აქვთ გაფორმებული, ასევე, მხატვრებს: ირაკლი გამრეკელს, სოლიკო ვირსალაძეს, გოგი თოთიბაძეს, გოგი გუნიას, ივანე ასკურავას და სხვა.

მხატვრები, რომელთაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში, მის ისტორიასა და თანამედროვეობაში, ამავდროულად, გვევლინებიან თეატრალური ინსტიტუტის მხატვრებადაც. ზოგიერთი მათგანისთვის თეატრალურის სპექტაკლები პროფესიული საქმიანობის პირველ ნაბიჯებთანაა დაკავშირებული, ნაწილისთვის მოღვაწეობის ერთ-ერთი ასპარეზი, ნაწილისთვის კი - მთელი შემოქმედებითი ცხოვრების თანმდევი.

მუზეუმში დაცული მაღალმხატვრული ღირებულების ათეულობით ესკიზი მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა არა მხოლოდ მხატვარ გივი ცერაძის შემოქმედების კვლევისთვის, არამედ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ისტორიის და, ზოგადად, XX საუკუნის ქართული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების მრავალფეროვანი სურათის რეკონსტრუქციისთვის.

II დარბაზი, II სექცია, IV სხდომა

რუსუდან ბერიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მრავალფეროვნების ერთხმანობა

საჯარო მონუმენტების ანალიზი პოსტსაბჭოთა პერიფერიულ ქალაქ ახალციხის მაგალითზე

პერიფერიული, პოსტსაბჭოთა ქალაქი ახალციხე 2012 წელს ახალ სიცოცხლეს იძენს: რაბათის უბნის რეაბილიტაცია საზოგადოებისათვის განსხვავებულ კულტურულ შრეებს აჩენს.

არსებული პოლიტიკური კონტექსტის ფონზე საბჭოთა პერიოდში მივიწყებული მრავალფეროვნების ახლებურად კონსტრუირება ხდება. ახალციხე ქვეყნისა და რეგიონის მულტიკულტურულობის საიმჯო სახედ იქცა. მულტიკულტურალიზმზე დისკურსმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქალაქის ახლებური აღქმა. ეს დისკურსი დამკვიდრდა პოლიტიკოსების, ადგილობრივი მოხელეების, არასამთავრობო სექტორისა და მოსახლეობის ენაში.

თუმცა, ზემოდან დაგეგმილი, ახალი მენტალური და კონცეპტუალური სივრცე ერთგვარ დისონანსში აღმოჩნდა ქალაქის საჯარო მონუმენტებით შექმნილ აღქმულ სივრცესთან და ამ ძეგლების საშუალებით კონსტრუირებულ რეალობასთან. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1966 წელს შოთა რუსთაველის ძეგლით დაწყებული სივრცის გაეროვნულება 2021 წელს გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადგმით დაგვირგვინდა. ახალციხეში არსებული საჯარო მონუმენტები, როგორც მეხსიერების ადგილები ქალაქს და სივრცეს კონკრეტული მნიშვნელობებით მსჭვალავენ. ამ ძეგლების, როგორც აგენტობის მატარებელი, არაადამიანური ობიექტების მიერ წარმომოხილი აფექტები მუდმივ გავლენას ახდენენ სივრცულ პრაქტიკებსა და აღქმებზე.

პოსტსაბჭოთა საქართველოსთან დაკავშირებულ უახლეს კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მონუმენტების, როგორც მეხსიერების ადგილების, ან, მათ სადავო მეხსიერების შესწავლას. თუმცა, ეს კვლევები არ შეხებია ქალაქ ახალციხეს. არ მომხდარა ამ თვალსაზრისით ამ სივრცის შესწავლა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვეანალიზებინა როგორ ხდება ერთმანეთის საწინააღმდეგო დისკურსებით ქალაქის განსხვავებული აღქმა, როგორ აფექტებს წარმომოხილ დეკლარირებული მულტიკულტურალიზმის პირობებში, ნახევარი საუკუნის განმავლობაში განსხვავებულ პოლიტიკურ გარემოებებში აღმართული მონუმენტები და როგორ გარდაქმნიან სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ახალციხე, როგორც წინააღმდეგობრივი ხატებითა და სიმბოლოებით დატვირთული სივრცე, რომელიც განსხვავებული დისკურსებისა და ასამბლაჟის პირობებში იწარმოება, ღრმა ანალიზს საჭიროებს. კვლევისას ვეყრდნობი ლეფევრეს თეორიას სივრცის წარმოების შესახებ. ჰობსბაუმისეული ტრადიციის გამოგონება და მეხსიერების კვლევები მეხმარება კონტექსტისა და დისკურსის დინამიკების უკეთ გასაგებად და სივრცის ანალიზის მოსახელთებლად.

კვლევისას ვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდებს. შემთხვევის შესწავლის მეთოდზე დაყრდნობით ვაანალიზებ ქალაქში არსებულ სამ მთავარ საჯარო მონუმენტს. შემთხვევების შესწავლას ვახორციელებ დისკურსის ანალიზისა და მენტალური რუკების საშუალებით, რაც საშუალებას მძლევს გამოვიკვლიო, როგორ იქმნება გარემოს კონკრეტული ხატი და მენტალური სურათი.

ნაციონალური იდეით გამსჭვალული საჯარო მონუმენტების შესწავლით ჩემი მოხსენება წვლილს შეიტანს მულტიკულტურულ სივრცედ მოაზრებულ ქალაქთან დაკავშირებულ დისკურსიაში. დასკვნები დამეხმარება გამოვკვეთო, როგორ განსაზღვრავს სივრცეზე არსებული განსხვავებული წარმოდგენები და ნარატივები, ქალაქის ყოველი ახალი

დაგეგმარება აღქმულ სივრცეს, სადაც უკვე ძეგლები, როგორც მედიატორები გვევლინებიან მნიშვნელობის მატარებლად და სივრცის გარდამქმნელებად.

ნინო ლალიძე, საქართველოს უნივერსიტეტი
ეკა კაჭარავა, საქართველოს უნივერსიტეტი
არქიტექტორი გიორგი ჩახავა - შემოქმედი, გამომგონებელი

საკვლევი თემა: ნაშრომი ეძღვნება საბჭოთა მოდერნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამორჩეული ქართველი არქიტექტორის, გიორგი (გოგი) ჩახავას (1923–2007) არქიტექტურულ-შემოქმედებით საქმიანობას. ჩვენი ინტერესიც ამ უნიკალური არქიტექტორის მიმართ სწორედ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობითაა გაპირობებული. მისმა განხორციელებულმა პროექტებმა დამსახურებული აღიარება მოიპოვა და მსოფლიო კულტურის ნაწილი და კუთვნილება გახდა.

ჩვენ ამჯერად არქიტექტორის შემოქმედებიდან რამდენიმე ნაგებობის ილუსტრირებით მისი გამომგონებლობის არქიტექტურულ, კომპოზიციურ და კონსტრუქციულ მახასიათებლებს განვიხილავთ.

თემის აქტუალობა: გიორგი (გოგი) ჩახავას შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ტერიტორიის ფუნქციური პოტენციალის ოპტიმალურ გამოყენებას ეძღვნება. არქიტექტორის ვერტიკულარული არქიტექტურის მთავარი ინსპირაცია არის ბუნება და ამ თვალსაზრისით ქვეყნის თითოეული რეგიონის ბუნებრივი ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნება, დღეს საქართველოში მიმდინარე სამშენებლო ქაოსის ფონზე.

პრობლემებს, რომლებიც ქალაქების ბუნებრივი გამწვანებული ტერიტორიების კატასტროფულ შემცირებასთან არის დაკავშირებული, კიდევ უფრო ამწვავებს მოსახლეობის ზრდა და ურბანიზაციის თანამედროვე პროცესები. განსაკუთრებით ეს გამოკვეთილია თბილისის მაგალითზე. გამომდინარე აქედან, აუცილებელია დაიწყოს ამ პროცესის საწინააღმდეგო, პრევენციული ქმედებები.

კვლევის მეთოდები: გიორგი (გოგი) ჩახავას შემოქმედების შესწავლა-გაანალიზებისას, დღეს არსებული პრობლემების გადასაჭრელად მკაფიოდ გამოიკვეთა კვლევის მეთოდები. თბილისში და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებში არსებული ქალაქგეგმარებითი პირობების შესაბამისად, მოხდა გიორგი (გოგი) ჩახავას ბურჯებზე აღმართული მრავალფუნქციური კომპლექსების (საცხოვრებელი კორპუსი, სასტუმრო) პროექტების შესწავლა-გაანალიზება და ბუნებრივი ლანდშაფტების არსებული თავისებურებების გამოვლენით, არსებული და ახალი საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი ზონების ერთიანი განვითარების კონცეფციის განსაზღვრა.

დასკვნა: არქიტექტორ გიორგი (გოგი) ჩახავას პროფესიული ოსტატობა და მაღალმხატვრული კულტურა, მის პირველსავე დამოუკიდებელ ნამუშევრებში მკაფიოდ იკვეთება. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია გეგმარებითი გადაწყვეტის სრულყოფისაკენ სწრაფვა, არქიტექტურული ფორმების სიმარტივე და კომპოზიციის სტილისტური წყობის ერთიანობა. ყოველი მისი ახალი პროექტი, წინამორბედის გაუმჯობესებული ვერსიაა.

გიორგი (გოგი) ჩახავა საქართველოში ვერტიკულარული არქიტექტურის ფუძემდებელია. მისი ინსპირაცია იყო ბუნება და მიზანი, ამ ბუნების შენარჩუნების, მასთან არქიტექტურული ნაგებობების ბუნებრივი თავსებადობის გზებისა და ფორმების ძიება და გადაწყვეტა.

ცენტრისადმი სიმეტრიულად თუ ასიმეტრიულად გადანაწილებული მოცულობების ლანდშაფტთან ბუნებრივი შერწყმის, ინდივიდუალურობით გამორჩეულობის მკაფიო ილუსტრაციაა მისი ეპოქალური პროექტი, 1975 წელს აგებული, საავტომობილო გზების სამინისტროს, ამჟამად საქართველოს ბანკის სათაო ოფისის შენობა. პროექტში გათვალისწინებული იყო შენობის „ღერძის“ ხვარა მცენარეებით გამწვანება, რომელიც დროთა განმავლობაში, რეალურად განხორციელდა. მწვანე მცენარეული საფარით ბუნებრივად შეიფუთა ფასადები, რამაც შენობას განუმეორებელი და ბუნებრივი ელფერი შესძინა.

2017 წელს შენობამ ეროვნული არქიტექტურული ძეგლის სტატუსი მიიღო.

დღეს, ეს შენობა დედაქალაქისა და ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა.

საერთაშორისო მასშტაბის შენობა საბჭოთა კონსტრუქცივიზმის და იაპონური მეტაბოლიზმის არქიტექტურული ტენდენციების უიშვიათესი მაგალითია - იდეალურადაა განხორციელებული ობიექტისათვის ზუსტი ადგილის შერჩევა, რთული რელიეფის ათვისება, შენობისა და ლანდშაფტის ბუნებრივი შერწყმა.

პროექტი მსოფლიო არქიტექტურაშია აღიარებული და ნაშრომის მიზანიც მისი საერთაშორისო არქიტექტურის ჭრილში განხილვაა.

არქიტექტორ გიორგი (გოგი) ჩახავას შემოქმედება შეუფასებელია. გიორგი ჩახავას იდეები გასცდა ქვეყნის საზღვრებს და ხელოვანის უნიკალური, უკვდავი ხელწერით განხორციელდა უკრაინაში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ავღანეთსა და ლიბანში.

ნაშრომის უმთავრესი მიზანია, გიორგი (გოგი) ჩახავას არქიტექტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობის ზრდა, მისი შემოქმედებით მომავალი თაობების არქიტექტორებისა და არქიტექტურის ისტორიკოსების დაინტერესება, შესაბამისი სფეროების სწავლების პროცესში ინტეგრირება.

თათია ღვინერია, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

XIX-XX სს-ის საზოგადოებრივი და საერო არქიტექტურის მოხატულობათა შესახებ

საერო და საზოგადოებრივი შენობების მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა ხშირად ვლინდება, მათი ინტერიერების მამკობი, მიმზიდველი მონუმენტური დეკორატიული მხატვრობით. მხატვრული გამოხატვის ამ ფორმამ, ღრმად ფესვგადგმული დასავლურ თუ აღმოსავლურ ტრადიციებში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცალკეული ქვეყნების ესთეტიკური და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. მხატვრობის გამოყენებამ, „გარემოს“ და ისტორიული კონტექსტის განცდის შესაქმნელად, არქიტექტურა უბრალო ფუნქციური ერთეულიდან, უფრო დიდი მხატვრული ნარატივის განუყოფელ ნაწილად აქცია.

მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, საერო და საზოგადოებრივ შენობებში დეკორატიული მხატვრობის ისტორიული ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, რაც უშუალო კავშირში იყო და ადაპტაციას განიცდიდა ცვალებად მხატვრულ ფორმა/მიმდინარეობებთან და საზოგადოების საჭიროებებიდანაც გამომდინარეობდა. სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის, არქიტექტურული სივრცეების მხატვრული ტრანსფორმაცია გახდა აუცილებელი ინსტრუმენტი იმ საზოგადოების მხატვრული გემოვნებისა და სოციალურ-ეკონომიკური სურათის ჩამოყალიბება/ასახვისა. საქართველოში მონუმენტური ფერწერის უდიდესი საფუძველი, ქართულ ეკლესია-მონასტრების უნიკალურ მოხატულობაშია ასახული, რომლის უწყვეტი ტრადიციაც ქართულ მონუმენტურ მხატვრობაზე თვალის ზერეღე გადავლენაშიც კი ჩანს. თუმცა, სამწუხაროდ, დიდი არაფერი ვიცით, უდიდესი თუ უძველესი ხუროთმოძღვრული თუ მხატვრული ტრადიციის პარალელურად განვითარებულ საერო ქმნილებებზე. საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ შენობათა ინტერიერებზე, მათ გაფორმებასა და ცალკეულ ოსტატებზე. საქართველოში საერო შენობათა ინტერიერთა, დეკორატიული მხატვრობის, მისი პროფესიული განხილვისა და მსჯელობის შესახებ საქართველოში სათანადო ლიტერატურა არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით საკითხი შეუსწავლელი და დაუფასებელიც კია. მის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ წყაროებში ამოკრებილი ინფორმაციის გაერთიანება და სავსე კვლევის საშუალებით ერთიანი სურათის წარმოდგენა. წინამდებარე მოხსენება, სწორედ XIX-XX სს-ის საზოგადოებრივი და საერო არქიტექტურის მოხატულობას ეხება, რომელშიც საერთო სურათი წარმოჩინდება და აქცენტი მხატვარ გიგო ზაზიაშვილის შემოქმედებაზე ფოკუსირდება.

**ზაია სიხარულიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემია
თბილისის ღამის ტიპოგრაფია**

საკვლევი თემა: ურბანული ტიპოგრაფია თანამედროვე ქართული კულტურის მაცნეა. მოცემულ კვლევაში ჩემს ინტერესს ღამის ურბანული ტიპოგრაფიით თქმული კულტურის რეალური და იდეალური ასპექტების გამჟღავნება წარმოადგენს, რომლის სემანტიკა გვიჩვენებს დროსა და სივრცეში არსებული სუბკულტურების მენტალურ სტრუქტურებს. ღამით აზრზე განათებული ტიპოგრაფიული არტეფაქტი, სასათაურე შრიფტის სახეობები, ხელოვნური სინათლის თანაობით ვიზუალირდება, ელექტროენერგიით, რომელიც კაცობრიობის პროგრესის სიმბოლოდ ითვლება. ღამის ტიპოგრაფია შუქისა და ჩრდილის კონტრასტული თამაშებისგან სტრუქტურირებული ილუზიური სამყაროა. სამუშაოს და ოჯახს მიღმა არსებული მისწრაფებები, დასვენებისა და გართობის დრო, უკავშირდება მიღმური

სამყაროს (იდუმალ) ბუნებას. დამე დაკავშირებულია შეუცნობელთან, რასაც ვერ ვხედავთ, ხოლო მკვეთრი ელექტრო განათება ქმნის არაორგანულ აქცენტებს, და გვაიძულებს დავემორჩილოთ ელექტრონის დირექტივას, თუ რა მოხვდეს ჩვენს მხედველობის არეში.

როგორ იცვლება ვიზუალური ობიექტების სემანტიკა დღისა და ღამის პერიოდებში, აღწერს, თუ სად ვიმყოფებით, ვინ ვართ, და რისკენ ვისწრაფით.

აქტუალობა: ტიპოგრაფია არა მარტო ფორმის, არამედ შეტყობინების მატარებელია. თემაში ვეცნობით ჩვენი მოქალაქეების ქცევის წესებსა და მენტალურ შრეებში სტრუქტურირებულ ცხოვრების სტილს, - როგორი დასვენება და გართობა სწადიათ ადამიანებს, არქიტექტურასთან ერთად როგორ იგება ურბანული სივრცე, ღამის ტიპოგრაფიული ლანდშაფტი.

ღამის ცხოვრება აღწერს დღეს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებებს. ჩემი კვლევა სწავლობს კულტურის დღევანდელ ვითარებას და აღწერს გლობალიზაციისა და ვიზუალური რეპრეზენტაციის მომძლავრების ეპოქაში რა ვითარებაში იმყოფება ქართული კულტურა. კვლევით დგინდება, თუ რა სიხშირეებს ამჟღავნებს ღამის ტიპოგრაფიის ქროსკულტურული სხეული, ვარკვევ რამდენად ასიმილირებული, ნეიტრალურია მისი ბუნება.

პრობლემა: კოლექტიური პატერნი, რომელიც დღესდღეობით ქართული კულტურის სივრცეში გარემო ვითარების მიმართ ქცევის გარკვეულ წესებს განსაზღვრავს უკავშირდება იდენტობის საკითხს. თბილისი კულტურული ნაკადების ეპიცენტრია, და ქმნის ქროსკულტურულ სივცეს. მნიშვნელოვანია თუ როგორ უმკლავდება ქართული კულტურა ამ ნაკადებს. ასევე, ყურადღების მიღმა რჩება როგორ ამჟღავნებს თავს ქართული კულტურა ამ ნაკადებში.

მეთოდი: ანატომიური და ფსიქოლოგიური მეთოდი.

შედარებითი ანალიზი: დედაქალაქის ღამის ტიპოგრაფიული არტეფაქტების შედარება ქროსკულტურაში, არსებული ქართული, არაბული, ინდური, აღმოსავლური, და დასავლური ტიპოგრაფიის შედარება. სხვადასხვა უბანსა თუ ქუჩას შორის, პრეზენტაციისა და რეპრეზენტაციის სიხშირეები და ქართული ტიპოგრაფიის როლი და ადგილი ამ მოცემულობაში.

უბნები ღამით: ვაკე, ვერა, სოლოლაკი, საბურთალო; ქუჩები: კოტე აფხაზის ქუჩა და შემოგარენი; რუსთაველის გამზირის შიდა ეზოები; ჭავჭავაძის გამზირის შიდა ეზოები; პეკინის გამზირის მიმდებარე ტიპოგრაფიული ლანდშაფტი.

ქროსკულტურული ასპექტები შესწავლილ იქნა შემდეგი მიმართულებით:

1. დისიმილაციური
2. ასიმილაციური
3. ინერტული

დასკვნა: კვლევაში თანამედროვე ქართული ანბანის ვიზუალური ასპექტები მოგვითხრობს საზოგადოების ღამის ცხოვრების წესს. ობიექტები, რომლებიც თვალში არ გვხვდება დღისით, ჩვენი მხედველობის არეში ხვდება ღამით, ელექტროენერგიით განათებული ურბანული

ტიპოგრაფიის საშუალებით. კვლევიდან ირკვევა, რომ მაგ. კოტე აფხაზისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების ღამის დაწესებულებების აბრეშუხე ხშირია ქართული ანბანით შესრულებული ინგლისური სიტყვები და ლათინური ანბანით შესრულებული ქართული სიტყვები. ღამის აღნიშნული დაწესებულებების სამიზნე სეგმენტი უცხოელებია. კვლევამ გამოავლინა რა სახის დაწესებულებები მუშაობს ღამის განმავლობაში, და ვინ არის მათი მომხმარებელი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ობიექტების მეპატრონეები არიან როგორც ადგილობრივი, ასევე ახლო აღმოსავლეთისა და სხვა უცხოელი მოქალაქეები. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც სოციალ-კულტურული, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხებისთვის.

გიორგი (გოგა) ბერიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი ნიკო ნიკოლაძე და თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია

გაზეთ "Kavkaz"-ის 1879 წ. #224-ში გამოქვეყნებული იყო წერილი ქალაქის სათათბიროში ჩატარებული სხდომის შესახებ, რომელზედაც განხილული იყო სათათბიროს ხმოსნის, ნიკო ნიკოლაძის წინადადება "მველ ქალაქში" სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესების შესახებ და რომელიც მიზნად ისახავდა ახალი, ფართო ქუჩის, "ბულვარის" გაჭრას. ამ იდეის ავტორის სიტყვით, მისი გაყვანის შემთხვევაში, უკვე ჩამოყალიბებულ ქუჩათა ქსელი და განაშენიანების ძირითადი მნიშვნელოვანი ნაწილი, მთელი შუა ბაზარი, ქარვასლები, ეკლესიები და მრავალი კაპიტალური შენობა ხელუხლებელი რჩებოდა. ამავე გაზეთის # 247 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, ნიკო ნიკოლაძე ასაბუთებს თავისი წინადადების არსს. გარდა ამ ორი საგაზეთო წერილისა, ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში დაცულია 1884 წლის 19 ნოემბრის ქალაქის სათათბიროს სხდომის ოქმის ამონაწერი, რომელშიც ჩანს, რომ ახალი ქუჩის გაჭრა ავტორს დაუკავშირებია გოგირდოვანი აბანოების ექსპლუატაციის გაუმჯობესების საკითხთან. ჩვენთვის საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის დაკვირვება თბილისის გეგმარებითი სტრუქტურის გრძივი ფორმის მნიშვნელობაზე ქალაქის განვითარების პროცესში, რომლის სარეკონსტრუქციო წინადადების საფუძველს წარმოადგენს ქალაქის სტრუქტურის ანალიზზე დამყარებული დასკვნები.

რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის მან აუცილებლობად მიიჩნია გამოენახა სამუშაოთა წარმოების მეთოდი და თანმიმდევრობის გზები, მიენიშნა ვაჭრობის "საუკუნოვანი ბუდეების" გვერდის ავლით ახალი "ბულვარის" განლაგება და მისი ძირითადი ხაზი. არსებითად, ეს არის ნიკო ნიკოლაძის იდეა, რომელიც მრავალმხრივ გააზრებულ ქალაქთმშენებლურ სარეკონსტრუქციო წინადადებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ეს იდეა არ განხორციელებულა, მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დღესაც, როგორც თბილისის ურბანიზმის ისტორიის მნიშვნელოვან მაგალითს.

საარქივო მასალაში გარკვევით ჩანს ქალაქის მმართველობის ოფიციალური პირების უარყოფითი დამოკიდებულება ნიკო ნიკოლაძის "შუა ბაზრის" რეკონსტრუქციის ამ იდეის მიმართ. ნიკო ნიკოლაძის მიერ ჩამოყალიბებული ნათელი ევროპული პრინციპებისაგან

განსხვავებით, იმდროინდელ მმართველ მოქალაქეთა ეს აზრი, ევროპული მიდგომისადმი მათ უარყოფით დამოკიდებულებას ასახულებს. ნიკო ნიკოლაძე რამდენჯერმე, სხვადასხვა გამოსვლაში, ევროპის ქალაქებში განხორციელებული ამგვარი რეკონსტრუქციის მაგალითებს "ბრწყინვალე და წარმატებულ მეთოდს" უწოდებს. ადგილობრივი მოქალაქეები კი, ამგვარ ევროპულ მიდგომას არ იზიარებდნენ და ამგვარი ცვლილების მიმართ თავის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ადასტურებდნენ. ქალაქის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციის ნიკო ნიკოლაძის "ევროპულმა" იდეამ შედეგი ვერ გამოიღო და ქალაქის მმართველ გამორჩეულ მოქალაქეთა შეხედულებებმა გაიმარჯვა, ისევე, როგორც ეს ხშირად ხდება დღევანდელ პრაქტიკაში. გამორჩეულ მოქალაქეთა სურვილები და შეხედულებები პირად ინტერესებს ვერ სცილდება, ვერც დღეს და ვერც 150 წლის წინ სცილდებოდა. როგორც ჩანს, ბუნებრივ, ცოცხალ ქალაქში ბუნებრივად განვითარების პროცესში მოქალაქის პირადი ინტერესი, ხშირად ისტორიულადაც უპირველესია საზოგადოებრივ ინტერესთან მიმართებაში.

ალბათ, ეს არის ქალაქის ურბანული გენეტიკის გავლენა, წარსული ეპოქის ფენომენი, მოქალაქეების „თვითნებურ ურბანისტებად“ მოღვაწეობა. „თვითნებური ურბანიზმის ცნობიერების ნაკადში“ თბილისის ამჟამად ყოფნაც, გამოვლენაა სწორედ იმ ურბანული გენეტიკისა, რომლის შესაბამისადაც, თბილისის განაშენიანებას უძველესი დროიდან მოქალაქეები ქმნიდნენ და ბუნებრივად წარმოქმნილი ურბანული ფორმა დღესაც ისევ ფენომენ მოქალაქეთა მიერ საკუთარი ინტერესების შესაბამისად აგრძელებს განვითარებას. ცოცხალი ქალაქი ამით ავლენს „ურბანულ გენეტიკას“, რომელიც პირდაპირ აისახება ქალაქის განვითარების თანამედროვე ურბანულ ფორმაზე.

II დარბაზი, II სექცია, V სხდომა

თეა ტაბატაძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია / გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფიული ვერტეპი. პენტალოგია *аслааблИчья*

ილია ზდანევიჩის მრავალგვარი მემკვიდრეობიდან გამორჩეულია 1917-1923 წლებში ზაუმის ენაზე შექმნილი პენტალოგიის - *аслааблИчья-ს (ვირის სახეობა)* ხუთი პიესა, ხუთი დრა: *იანკო ალბანელების მეფე (Янко крУль албАнскАй)* (1918, ტფილისი), *ვირი გაქირავებით (асЕл напრაАт)* (1919, ტფილისი), *ადდგომის კუნძული (Остраф пАсхи)* (1919, ტფილისი) *ზგა თითქოს (згА ЯкАбы)* (1919, ტფილისი), *ლიდანტიუ ფარამ (лидантЮ фАрам)* (1923, პარიზი).

ეს წიგნები, თბილისის 41⁰-ის სხვა გამოცემებთან ერთად, ილია ზდანევიჩის პირველი ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები - მისი პირველი ვიზუალური ქმნილებებია.

ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია რაღაც განსაკუთრებული ვიზუალური ფენომენია. პირდაპირი გაგებით, ის არც ილუსტრაციაა, არც სურათი - აბსტრაქცია, არც დეკორაცია, მაგრამ არც მხოლოდ ტიპოგრაფია. ის ყველა ამ საწყისს მოიცავს. აფორმებს რა ტექსტს, ის მის ფორმირებასაც ახდენს, მის სემანტიკურ შრეებს ხსნის, თავისი ფორმით - მხატვრული ფორმით - პიესების, მთელი ციკლის ენობრივსა და დრამატურგიულ სტრუქტურას, მათს შინაარსსა და შინა-არსს ააშკარავებს. სწორედ ისე, როგორც შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში „...ჩუქურთმა გამოხატავს თვით ეკლესიის აგებულების აზრს“ (დ. კაკაბაძე). წიგნების გამოცემასა და ტიპოგრაფიულ ექსპერიმენტებს ილია ზდანევიჩი 1917 წლის ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებების მიერ მოწყობილი ტაო-კლარჯეთის ექსპედიციიდან ჩამოსვლის შემდეგ იწყებს. ექსპედიციაში ის აკეთებს მრავალი ქართული ტაძრის ანაზომს, მათი ფასადებისა და არქიტექტურული დეტალების ჩანახატებს.

ჯერ კიდევ ბავშვობიდან ნაცნობი „კავკასიის ხუროთმოძღვრების უცნაურობანი“ (ილია ზდანევიჩი) მას წიგნების ავანგარდულ დიზაინში სწორედ ამ ექსპედიციის გამოცდილების შემდეგ გადააქვს. მისი წიგნების ფორმები გამუდმებით ძველი ქართული არქიტექტურისაკენ მიგვმართავს. მეტიც, ტიპოგრაფიული ფორმები შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის კანონიკურ ფორმებსაც ჰგავს და გვიანი შუა საუკუნეების ოთხთავის სვეტებსაც.

ილია ზდანევიჩი ქართულ ენაზე არ წერდა, ის არც მხატვარი ყოფილა, მაგრამ მისი წიგნების ვიზუალური „ორთოგრაფია“ სწორედ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შთაბეჭდილებით იქმნება. მისი *Всѣчество - ყველაფრობის* იდეა, რომელიც ყველა დროისა და ყველა ეპოქის ხელოვნების ყველა ფორმას თანამედროვედ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მხოლოდ ყველა სტილისა და მანერის გაერთიანებით მიაღწევს ხელოვნება სისავსეს და „ბნელ სიცარიელეს დაამარცხებს“ (ი. ზდანევიჩი), ზაუმის ვიზუალიზაციის დროს სწორედ ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ფორმას (ფართო გაგებით) ეყრდნობა.

ილია ზდანევიჩის ხელოვნებას რუსი, ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები იკვლევენ. თუმცა, იკვლევენ, უმეტესად, მისი შემოქმედების იმ მხარეს, რომელიც რუსული ან ევროპული ავანგარდის თვალსაზრისითაა საინტერესო. ამ კვლევების მიხედვით, ილია ზდანევიჩი რუსული ან ფრანგული ავანგარდის წარმომადგენლად წარმოჩინდება. ილია ზდანევიჩი მართლაც არის რუსული და ფრანგული ავანგარდული ხელოვნების მნიშვნელოვანი ფიგურა, მაგრამ, უპირველესად, იგი ქართული მოდერნიზმის წარმომადგენელია. მხატვრული სივრცის ხასიათი, ტექტონიკური წყობა და ნაწილის მთლიანობად ორგანიზების მკაფიო სტრუქტურა, ქართული მოდერნიზმისათვის ნიშნეული დამოკიდებულება მხატვრული ტრადიციის მიმართ, რაც თბილისის პერიოდის გარდა, მის გვიანდელ, 1940-60-იანი წლების პარიზში გამოცემული წიგნების ტიპოგრაფიულ ფორმებშიც ვლინდება, ქართულ მოდერნიზმთან, ზოგადად, ქართულ ხელოვნებასთან მის არსებით კავშირს განსაზღვრავს.

**თემურ ქანთარია-ჯაბადარი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
აღებული ქანდაკებები საბჭოთა საქართველოდან - მემკვიდრეობის პრობლემა**

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობიდან მალევე ქვეყნის ტერიტორიაზე იწყება კულტურის ახალი პოლიტიკა, რომლის ხილული შემაღენელი იყო საქართველოს დიდ და წამყვან ქალაქებში ბოლშევიკური პარტიის ლიდერების, ან მათ მიერ აღიარებულ სხვა რევოლუციონერთა თუ მარქსისტულ იდეებს მიმხრობილ პირთა და ქვეყნის ეროვნულ მოღვაწეთათვის ძეგლების აღმართვა. ეს პროცესი საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე არ შეწყვეტილა, პირიქით, გაძლიერდა და მასობრივი სახე ჰქონდა. აღნიშნული ძეგლები ქვეყნის ტერიტორიაზე ყველგან, ქალაქის ცენტრალური მოედნიდან დაწყებული შორეული მთიანი რეგიონის თუ რომელიმე ინდუსტრიური ქარხნის ეზოში იდგმებოდა.

აღნიშნული პროცესი 1990 წლიდან უკვე ისტორიის ნაწილად იქცა, მემკვიდრეობა თითქმის განადგურდა, და ერთგვარად მივიწყებასაც მიეცა, რაც საჭიროებს კვლევას, რომელიც ამ საკითხის გარშემო ჯერ-ჯერობით სამეცნიერო სფეროში ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ეს ისტორიული ფენომენი საჭიროებს მისი მიზეზების, მიზნების, გარემოებების გაგებას, რათა ეპოქის კულტურისა და ხელოვნების ფუნქციონირების შესახებ უკეთესი წარმოდგენა შევიქმნათ.

სტატის ძირითად მიზანს შეადგენს მოაგროვოს სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები საბჭოთა საქართველოში დადგმული თუ აღებული სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლოგიურ ქანდაკებათა შესახებ. ამოხსნას მათი შექმნისა და აღების მიზეზები. კვლევის არაგამძლოი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილია ავტორების და მათი ქმნილებების იდენტიფიცირება, ნამუშევრების დათარიღება.

აღნიშნული კვლევის ძირითად მეთოდოლოგიას წარმოადგენს მასალათმცოდნეობითი პრაქტიკა, რაც ინფორმაციის მოკრებისა და მასზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციას გულისხმობს: სხვადასხვა ტიპის ბიბლიოგრაფია, მემუარები, სამეცნიერო სტატიები, წიგნები, საგაზეთო, საარქივო, ციფრული, თუ სხვა მასალის მოძიება და ათვისების გზით.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართული საბჭოთა ქანდაკების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო პოლიტიკურ ლიდერთა ქანდაკებები, მათთან ასოცირებული ნარატივებით... რომელიც წლების მანძილზე მცირედით იცვლებოდა, მაგრამ უწყვეტი რჩებოდა მათი მიზანი და მოხმარების წესი. მრავალი გზის პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ამ ქანდაკებათა დიდი უმრავლესობა აიღეს-გაანადგურეს, სამწუხაროდ დამოუკიდებელმა საქართველომ, გარკვეულწილად, გაიმეორა მისი წინამორბედი რეჟიმის მანკიერი ნიშნები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, აღნიშნული პრობლემის აქტუალობას.

**თამარ ბელაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი**

თბილისში შოთა რუსთაველის ქანდაკების დადგმის მიზნით გამოცხადებული კონკურსის მასალები

1934 წლის 20 აგვისტოს საქართველოს კპ/ზ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სახკომსაბჭოსთან დაარსდა შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც დაევალა რუსთაველის 750 წლის იუბილის მომზადება. იმ უამრავ ღონისძიებას შორის, რაც იუბილის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო, იგულისხმებოდა თბილისში რუსთაველის ქანდაკების დადგმაც. საიუბილეო კომიტეტმა შეიმუშავა საკონკურსო მოთხოვნები და გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც ათობით ადგილობრივმა და უცხოელმა ავტორმა მიიღო მონაწილეობა. საბოლოოდ გადაირჩა თექვსმეტი პროექტი, რომელთაგან უპირატესობა კონსტანტინე მერაბიშვილის ნამუშევარს მიენიჭა. 1937 წელს საზეიმოდ აღინიშნა რუსთაველის იუბილე და ამ მიზნისთვის შექმნილმა საიუბილეო კომიტეტმაც, არსებობა შეწყვიტა. თუმცა, რუსთაველის ქანდაკება ამ დროისთვის, ჯერ ისევ არ იდგა თბილისში. ის მოგვიანებით, 1942 წელს დაიდგა ლუქსემბურგის ბაღში და, ამასთან, საპროექტო ვარიანტთან შედარებით, მკვეთრად სახეცვლილი.

ქართული მრგვალი ქანდაკების ისტორია, კვლავაც საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. განსაკუთრებით ეს ეხება საბჭოთა პერიოდის ნამუშევრებს. მათ შესახებ არსებული მასალა უმეტესად ძლიერ ტენდენციურია. მოვლენების სწორი ანალიზი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ერთადერთი მართებული გზაა წარსულის ადეკვატური გადაზრებისა და ქართული ხელოვნების თავისთავადი განვითარების პროცესში გაჩენილი იმ ხელოვნური, ძალისმიერი წყვეტის გადალახვისთვის, სოცრეალისტური ხელოვნების სახელით რომ მოიხსენიება დღეს.

სოცრეალიზმის შემთხვევაში, მხოლოდ სახელდება არ არის საკმარისი. ამ პროცესებს ობიექტური, საფუძვლიანი ანალიზი და თანმიმდევრული კვლევა სჭირდება. აქ იგულისხმება როგორც კომპარატივისტული, ასევე ისტორიულ-მხატვრული ანალიზი, იკონოგრაფიული კვლევის მეთოდთან და, ცხადია, მხატვრულ-სტილისტურ ანალიზთან ერთად.

ქართული ქანდაკების ისტორია უჩვეულოდ არაერთგვაროვანია. წინაქრისტიანულ მრგვალ ქანდაკებას ქვეყნის გაქრისტიანების შემდგომ სრულად ანაცვლებს რელიეფი. მრგვალი ქანდაკება როგორც ახალი მიმართულება ქართულ რეალობაში, XIX ს-ის ბოლოდან ბრუნდება კვლავ და 1930-იანი წლებისთვის, როცა რუსთაველის ქანდაკების კონკურსი ცხადდება, ის ჯერ ისევ ახალგაზრდა დარგებს შორის მოიაზრება. ამის პარალელურად კი მონუმენტური ხელოვნების პროპაგანდა უკვე მთელი ძალითაა ამოქმედებული საბჭოთა სივრცეში. მსგავსი გარემო განმაპირობებლების ფონზე ჩატარებული ასეთი დიდი მასშტაბის და მნიშვნელობის კონკურსი მოვლენების ჯამური სახით ჩვენების შესაძლებლობას ქმნის. საინტერესოა კრიტერიუმები, რითაც შეირჩა ნამუშევრები, რის გამომხატველად იქნა მოაზრებული და რა ამოცანას ისახავდა მიზნად კონკურსი, რომელმაც სკუთარ ისტორიაში უამრავი მოვლენა მოსაზღვრა და დაიტია. როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგიები არ წყალბდნენ შოთა რუსთაველს, როგორც მეფის მეხოტბე პოეტს. რადიკალურად შეიცვალა ამ მხრივ ვითარება 1930-იანების დასაწყისში, რაც ცხადია უპირველესად, წმინდად იდეოლოგიური ხასიათის

მიზეზებს უკავშირდებოდა. კონკურსის მიმდინარეობის პარალელურად განახლდა და შეიცვალა საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობა, მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ზოგადად ხელოვნების ნაწარმოებებისადმი და მათი შეფასების კრიტერიუმები.

1935-1937 წლებში რუსთაველის ქანდაკების დადგმის ისტორია, ნათლად ასახავს პროცესს თუ როგორ ცდილობს სახელმწიფო ხელოვნება რეჟიმის სამსახურში ჩააყენოს, ამასთან ისე, რომ ერთი მხრივ ხალხის ინტერესებს მოარგოს და მიუსადაგოს და იმავდროულად წმინდად პოლიტიკური დაკვეთა შეასრულოს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კონკურსის შესახებ მასალების უმეტესობა, როგორც დოკუმენტური, ასევე ვიზუალური, საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება.

ლევან კალანდარიშვილი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ფიქრის გორა ქართველი არქიტექტორების ფიქრებში

საკვლევი თემა: საკვლევი თემა ეხება თბილისში, ფიქრის გორად წოდებული სამეზობლოს ტერიტორიაზე წარსულში თუ დღეს მიმდინარე არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესებს, რომლებიც ამ უბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბება-განვითარებას განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს. თემა განიხილება საისტორიო, უახლესი ისტორიის ცენტრალურ და თბილისის საქალაქო არქივებში არსებული ფონდების საცავებში დაცული დოკუმენტების მიხედვით. კვლევაში განხილულია სხვადასხვა პერიოდის არქიტექტორების დამოკიდებულებას ამ კონკრეტული ტერიტორიის განვითარების მიმართ. საკვლევი თემა მოიცავს პერიოდს XIX საუკუნის მიწურულიდან დღევანდელ დღემდე.

აქტუალობა: არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესები ზოგადად დედაქალაქში და კონკრეტულად ამ სამეზობლოში სწრაფი ტემპით და, ხშირ შემთხვევაში, დაუფიქრებლად მიმდინარეობს. კვლავ აქტუალურად რჩება საკითხი წინასაპროექტო კვლევითი სამუშაოების მნიშვნელობაზე და წარსულში მიღწეული წარმატებებისა თუ დაშვებული შეცდომების გააზრებაზე.

პრობლემა: რამდენად სწორად და სრულად აფასებდნენ/აფასებენ იმ შესაძლებლობებს და რესურსებს, რაც კონკრეტულ ტერიტორიას ჰქონდა/აქვს შემდგომი განვითარებისთვის და რამდენადაა გათვალისწინებული წარსულის დადებით/უარყოფით გამოცდილება.

მეთოდი: კვლევის მეთოდი წარმოადგენს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივისა და თბილისის საქალაქო არქივის ფონდებში დაცული და საკვლევ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტების (საპროექტო, მმართველობითი, საქმისწარმოება და ა.შ.) კრიტიკულ ანალიზს.

დასკვნა: სრულყოფილი წინასაპროექტო კვლევების მნიშვნელობა უმეტესწილად უგულვებელყოფილი იყო ფიქრის გორის ტერიტორიის აქტიური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. წინამდებარე კვლევა იძლევა რეკომენდაციებს არსებული პრობლემის გადაწყვეტის თანამედროვე ტენდენციების შესახებ.

თამთა შონვაძე, საქართველოს ეროვნული არქივი

არქიტექტორი ავგუსტ პოვიტც-ეპინგი

XIX საუკუნეში თბილისში მოღვაწე და ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი გერმანელი არქიტექტორის ავგუსტ პოვიტც-ეპინგის შესახებ ბიოგრაფიული ინფორმაცია თითქმის არ იძებნება (იხ. მაია მანია, „გერმანელი არქიტექტორები თბილისში“). არქიტექტორზე ვრცლად „საუბრობს“ ის მრავალფეროვანი შემოქმედება, რომლის დიდი ნაწილი ნახაზებისა და დოკუმენტების სახით საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სხვადასხვა ფონდში ინახება. თუ ამ საზოგადოებრივ ნაგებობათა პროექტებისა და შენობათა გადაკეთებების ნახაზების მიხედვით ვიმსჯელებთ, რთული მისახვედრი არ იქნება, რომ აუგუსტ პოვიტც-ეპინგი პატივსაცემი და დაფასებული შემოქმედი უნდა ყოფილიყო აღნიშნული პერიოდის თბილისისთვის.

აუგუსტ პოვიტც-ეპინგის შემოქმედება XIX საუკუნის თბილისის მნიშვნელოვან უბნებს მოიცავს. ის აშენებს როგორც ძველ, ისტორიულ უბანში - კალაში, თბილისის კოლონიაში, ისე ახლად „დაარსებულ“ და ჯერ კიდევ ფორმირებად - გარეთუბანში. აღსანიშნავია, რომ არქიტექტორის შემოქმედებაში ვხვდებით, როგორც საცხოვრებელი სახლის, ისე ცირკების, თოჯინების თეატრის და სკვერის პროექტებსაც. მის შემოქმედებაში თვალში საცემია ძირითადად კლასიციკურ სტილში გადაწყვეტილი საცხოვრებლის თბილისური სტილით გამორჩეული ეზო-სახლები, ხის გახსნილი აივნებით.

აღნიშნული თემის შესწავლა არქიტექტორის მდიდარი შემოქმედების თავმოყრა, მისი მნიშვნელოვანების წარმოჩენა და ამით თბილისის არქიტექტურის ისტორიაში ამ განხორციელებული პროექტებისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენის სურვილმა განაპირობა. რადგან ავგუსტ პოვიტც-ეპინგის მიერ დაპროექტებული სხვადასხვა ფუნქციის მქონე ეს ნაგებობები აღნიშნული პერიოდის მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით გამორჩეული არქიტექტურის ნიმუშებს წარმოადგენენ. ჩემი მიზანია იმ არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებების ჩვენება, რომელიც განსაზღვრავდა არქიტექტორის ინდივიდუალიზმსა და მის სტილს, პროექტებისა და ცოცხალ ქალაქში შემორჩენილი შენობების იდენტიფიკაცია, მათი როლის განსაზღვრა მიმდებარე ურბანულ კონტექსტში.

ვფიქრობ, რომ აუგუსტ პოვიტც-ეპინგის შემოქმედების წარმოჩენა გარკვეულ სურათს შეგვიქმნის და შეგვივსებს თბილისის არქიტექტურის შესწავლის გზაზე

ოთარი მჭედლიშვილი, სითი ინსტიტუტი საქართველო

თბილისის აგლომერაციული სხეულის სუბურბიული გაფართოების ტენდენციები საგურამოს მიმდებარე არეალის მაგალითზე

საკვლევი თემა: საკვლევ თემას წარმოადგენს თბილისის აგლომერაციის ფარგლებში ურბანიზებული არეალების გაფართოების პროცესი, რომელმაც უკანასკნელ ათწლეულში სუბურბიული ხასიათი მიიღო და წლიდან წლამდე მზარდი მასშტაბით გვევლინება. კვლევისთვის შერჩეულია თბილისის ჩრდილოეთით მდებარე სასოფლო დასახლებები

საგურამოსა და მიმდებარე ტერიტორიებზე მდინარე თეზამის ხეობაში, რომლებიც ერთი მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებშია, მეორე მხრივ კი - თბილისის აგლომერაციის შემადგენლობაში არიან. დასახლებათა ახალი განაშენიანებით ზრდა განსაკუთრებით ინტენსიური კოვიდ პანდემიის შემდეგ გახდა. მოახალშენეები არა ადგილობრივები, არამედ დედაქალაქის მკვიდრნი არიან, დასახლებათა ფუნქცია კი სასოფლო - სამეურნეოდან თანდათან სააგარაკეზე გადაკვალიფიცირდა.

აქტუალობა: თანამედროვე ურბანიზაციის ტემპი აჩქარებულია. დიდი ქალაქები აგლომერაციულ არეალებში განაშენიანების ზრდას სასოფლო-სამეურნეო და ლანდშაფტური ტერიტორიების ათვისების ხარჯზე ახორციელებენ, რაც გარემოზე მავნე ზემოქმედების მასშტაბს საგრძნობლად აფართოებს. თბილისის აგლომერაციული არეალის ფარგლებში განაშენიანების ზრდამ ბოლო ათწლეულში სუბურბიული ხასიათი მიიღო. აღნიშნული გარემოება ახალია საქართველოს რეალობისთვის და მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. განაშენიანების ზრდის მასშტაბები ამ მოვლენას დიდ აქტუალობას ანიჭებს, რაც დაკავშირებულია სამომავლო პერსპექტივაში ახალი სამოსახლო არეალების ეკოლოგიურ ზემოქმედებასთან. ეს პროცესები, თავის მხრივ, გამოხატულებას ჰპოვებს დედაქალაქის გეგმარების კარკასზე.

პრობლემა: უპირველეს პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო მხარე. საქართველოში არ არსებობს სააგარაკე დასახლების, როგორც ცალკე მორფოლოგიური ერთეულის ცნება, რაც შეუძლებელს ხდის აღნიშნული დასახლების გეგმარებითი გადაწყვეტების რეგულირებას, ლაპარაკი ზედმეტია დაგეგმილი არეალების იმპლემენტაციის პროცესში დაშვებული ხარვეზებისა და პროექტიდან გადახვევების მინიმუმზებაზე. მეორე და ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სასოფლო-სამეურნეო მიწების მენეჯმენტის არ ქონა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველაზე მოწყვლადი ადგილებია განაშენიანების ცოცვის პროცესში. სახელმწიფო პროგრამები ვერ უზრუნველყოფს უმარტივეს საჭიროებასაც კი - სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ერთიანი ბაზის შექმნას და მათზე რელევანტური კულტურების სარეკომენდაციო სიების შედგენას, რაც სახელმწიფო სუბსიდირებას მისცემდა გარკვეულ მიზნობრივ ვექტორებს. მესამე პრობლემა არის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გამიჯვნისა და დანაწევრების სიმარტივე, რაც უმთავრეს შემთხვევაში საფუძველი ხდება განაშენიანების ახალი კვარტლების წარმოქმნის. აღნიშნული საკითხი მეტად მტკივნეულია იმ კუთხითაც, რომ სასოფლო - სამეურნეო საქმიანობა მოითხოვს დიდ, ერთიან ტერიტორიებს, რაც კულტურათა მოყვანის ხარჯეფექტიანობას მეტად ზრდის. კიდევ ერთი პრობლემა მუნიციპალური მასშტაბისაა და მშენებლობის ლეგიტიმურობას ეხება. კერძოდ, საკვლევ არეალში მრავლად გამოვლინდა უნებართვო მშენებლობები, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების კუთხით არც თუ ისე სახარბიელო სურათს იძლევა, თუმცა დემონტაჟის შემთხვევა არც ერთი. მათ შორის ცემენტის საწარმოა, რომელიც დასახლებას ემიჯნება, რომლის მაცხოვრებლები რამდენიმე წელია უშედეგოდ ითხოვენ აღნიშნული უნებართვო საწარმოს ადგილმონაცვლეობას.

მეთოდი: კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია: სავლევ დაკვირვებები, კამერალური კვლევა, GIS ანალიტიკა. სავლევ დაკვირვება განხორციელდა

საკვლევი არეალის ფარგლებში არსებული ინტერეს წერტილების აღრიცხვისა და მათი ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით. ამასთანავე ემპირიულად შეფასდა ადგილზე არსებული სიტუაცია. საველე სამუშაოების პროცესში მოგროვებული მასალა დამუშავდა გეო-საინფორმაციო სისტემებში, GIS პროგრამის მხარდაჭერით, რამაც საშუალება მოგვცა რაოდენობრივი კვლევები ჩავატარებინა. ამასთანავე, ეფექტურად იქნა გამოყენებული სატელიტური გადაღების ორთოფოტოები, რომლებიც თავისუფალ წვდომაშია და ჩვენს შემთხვევაში 2024 წლის აპრილის სიტუაცია დაგვანახა. ამან საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მიუდგომელ ადგილას ისეთი ობიექტები, როგორც, მაგალითად არაფორმალური ნაგავსაყრელებია.

დასკვნა: დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საკვლევი არეალში სუბურბიული განაშენიანება ინტენსიურად მიმდინარეობს მიუხედავად საქართველოს კანონისა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექს“-ში მკვეთრად დაფიქსირებული პოზიციისა, რომ სუბურბიული განაშენიანება არის განაშენიანების ტიპი, რომლის ჩამოყალიბების პრევენციისთვის ყოველი ღონე უნდა იქნას გამოყენებული. ამასთანავე არარეგულირებული განაშენიანება ქმნის ქაოტური განაშენიანების პრევენდენტებს, რომელთა განმეორადობას მუნიციპალური საზღვრების მიღმა ვხვდებით. ეს მდგრადი, მედეგი დასახლებების წარმოქმნის საშუალებას სპობს და ზედმეტად არაჯანსაღ წინაპირობებს ქმნის გრძელვადიანი პერსპექტივით. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, რომელიც მიწათსარგებლობის განსხვავებულ პრაქტიკას დაამკვიდრებს ქვეყანაში.

10 ოქტომბერი

III დარბაზი, III სექცია, I სხდომა

მედია აბულაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკა ჭყოიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
პონტოელ ბერძენთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და საქართველო

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ყოველთვის ახდენდა მეტ-ნაკლებ ზეგავლენას საქართველოზე. მასზე მრავალჯერ აისახა არა მხოლოდ სამეზობლოში, არამედ, ევროპასა თუ დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარე ძვრები. მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოში, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების წინმსწრები კონკრეტული მოვლენები დაიგეგმა თუ განხორციელდა, იყო რეგიონური პრობლემების გადაჭრის მცდელობებიცა და შესაბამისი აქტივობებიც. ჩვენ სწორედ ერთ-ერთ ასეთ საკითხზე შევჩერდებით.

ფართო საზოგადოებისთვის არაა ცნობილი, რომ პონტოელი ბერძნების გენერალური საბჭო 1919 წელს საქართველოში, კერძოდ, ბათუმში შეიკრიბა და „პონტოს ეროვნული საბჭო“ აირჩია და დაამტკიცა. ეს, არსებითად, დე იურე გამოხატულება იყო იმისა, რომ ქართული ქალაქი ბერძნულ-პონტოური ეროვნული მოძრაობის პლაცდარმად იქცა. მართლაც, ბათუმიდან ხდებოდა პონტოელებთან დაკავშირებული არაერთი აქტივობის კოორდინირება. აქვე დაიწყო პონტოს საკითხის მომზადება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად. ბათუმში იღებდნენ მნიშვნელოვან და საინტერესო ბერძნულენოვან რეზოლუციებს, ადგენდნენ ოქმებს, ამყარებდნენ კომუნიკაციას რეგიონის სხვა ბერძნულ-პონტოურ სათვისტომოებთან; ათენში, პარიზსა და კონსტანტინოპოლში აგზავნიდნენ დეპეშებს, რომლებსაც გავლენა უნდა მოეხდინა მთელი რეგიონის მომავლის განსაზღვრაზე.

ჩვენ ბათუმში შექმნილ რამდენიმე ასეთ დოკუმენტზე შევჩერდებით, კერძოდ, ესაა: პონტოს ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტის ნ. დ. ლეონიდისის პერსონალური და ასამბლეის სახელით შედგენილი ოფიციალური მიმართვები პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი; მწერალ ნიკოს კაზანძაკისის წერილი ლეონიდისისადმი, რომელიც საბერძნეთის პონტოელებისადმი დამოკიდებულებას აფასებს. ასევე, მიმოვიხილავთ პონტოს რუკის შექმნის დეტალებს, პონტოს ოფიციალურ სიმბოლოვასა თუ მის ესკიზებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დოკუმენტებს. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ პონტოს ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების იდეასა და არგუმენტებზე, რომლებსაც ბათუმში მოღვაწე ერთ-ერთი პონტოელი აქტივისტი, თ. თეოფილაკტოსი საკუთარ წერილებში წარმოაჩენს. ჩვენამდე მოღწეულია ამ უკანასკნელის 1919 წლით დათარიღებული მგზნებარე და ამაღლებელი პოლიტიკური გამოსვლა ბათუმში, საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღეს, რომელსაც ასევე გავაანალიზებთ მოხსენებაში.

ზემოაღნიშნული მასალა ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია. არადა, მათი გამომხეურება და შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ორი ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ისინი ბათუმს პონტოელი ბერძნების ერთგვარ კარიბჭედ და საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების ცენტრად წარმოაჩენს;

2. დღეს, ისტორიული ფაქტებთან დისტანცირებით, ნათელი ხდება, რომ სწორედ ამ პოლიტიკური დოკუმენტების გათვალისწინებას შეეძლო რეგიონისათვის უაღრესად დრამატული მოვლენები აერიდებინა. შესაბამისად, ამ ტექსტების წარმოჩენა აღნიშნული პერიოდის რეგიონის მნიშვნელობას ახალ პერსპექტივას შესძენს და ბერძნული დიასპორის შესახებ ჩვენს ცოდნას დიდწილად გაამდიდრებს.

ნინო ზადაშვილი, საქართველოს ეროვნული არქივი ბერძენი ოსტატები საქართველოში (საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოში უძველესი დროიდან შემოსული და დასახლებული ბერძნების ისტორიას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით ჩამოსახლებულების ისტორიები დაემატა. კარგად ცნობილი ფაქტია, რომ მეფე ერეკლეს მიერ მოწვეული ბერძნები ახტალაში მადნის

დამუშავების საკითხს აგვარებდნენ. მოგვიანებით, რუსეთ-თურქეთის ომებს საქართველოში მათი რამდენიმე ტალღად შემოდინება მოყვა. საინტერესო იყო, ასევე, XIX საუკუნეში თურქეთიდან საქართველოში ეთნიკურად ბერძენი სეზონური მუშების საკითხიც.

ამ ბერძენების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა საეკლესიო მშენებლობა იყო, ხშირ შემთხვევებში ტაძრების შეკეთება-რესტავრაცია, ასევე აგებდნენ კერძო და საზოგადოებრივ შენობებს, ხიდებს, გაჰყავდათ სარკინიგზო გზები და გვირაბები. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ისინი ამგვარი საქმიანობით იყვნენ დაკავებულები თრიალეთში, თეთრიწყაროში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, წალკაში, რაჭასა და აფხაზეთში - როგორც დიდ ისე პატარა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში.

ეკლესიებს აშენებდნენ უშუალოდ ბერძნული თემისთვის, მაგრამ ასევე მონაწილეობას იღებდნენ ქართული ტაძრების აღდგენა-რესტავრაციაში.

ბერძენი კალატოზები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში მშენებელთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდნენ. ისინი აგებდნენ როგორც ქართულ ტაძრებს, ასევე ეკლესიებს ბერძენებით დასახლებულ სოფლებში, სადაც მრევლიც, დამკვეთიცა და მშენებლებიც ბერძენები იყვნენ, მაგალითად: პატარა ირაგას წმ. ელიას სახ. ეკლესია, წინწყაროს წმ. ნიკოლოზის, ჯინისის (დღეს სოფ. არწივანის) წმ. მარიამის, წალკის ტაძარი, ივანოვკის ეკლესია და სხვები.

ცნობილია ბერძენი ქვითხუროების მიერ აგებული არამართლმადიდებლური ტაძრებიც.

ბერძენ ხელოსანთა ჯგუფები აქტიურად იყვნენ ჩართული ძველი შენობების განახლებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათ მიერ შესრულებული სამუშაო სხვადასხვა მოცულობისა და ხასიათის იყო. ბერძენ ოსტატებს იწვევდნენ ტაძრების კედლებისა და კამარების შესაკეთებლად, სახურავის გამოსაცვლელად, ახალი იატაკის დასაგებად და სხვა.

გვანცა ყაყიტაშვილის, საქართველოს ეროვნული არქივი მიხეილ დედაბრიშვილის მოგონებები

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ისტორია პროცესებისა და მოვლენების გარდა, ცალკეული ინდივიდებისა და ადამიანთა კოლექტივების, მთელი კაცობრიობის კონკრეტული და მრავალმხმრივი მოქმედებისა და საქციელის ერთიანობაა. ამიტომ ისტორიული კვლევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდების თვალთ დანახულ და გადმოცემულ რეალობას.

ჩვენი კვლევა ეფუძნება ეროვნულ არქივისთვის გადმოცემულ მიხეილ დედაბრიშვილის მოგონებებს, რომელიც ცოცხლად და ცხადად გადმოსცემს მის გარშემო არსებულ ყოფას, როგორც მეფის რუსეთის (ამ დროს იგი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა), ასევე საბჭოთა კავშირის პერიოდში.

მიხეილ დედაბრიშვილი დაიბადა 1896 წელს მღვდელ გიორგი დედაბრიშვილის ოჯახში. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1917 წელს. 1918 წელს კი, უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტად

ირიცხებოდა. 1923 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი.

ერთი შეხედვით მშვიდ, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილ მიხეილს (მამა გიორგი დედაბრიშვილი მღვდელი იყო გორის მაზრაში, იგი 1924 წელს დახვრიტეს), რომელიც პროფესიით აგრონომი გახლდათ და თითქმის მთელი ცხოვრება საკუთარი პროფესიით მუშაობდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი გამოარჩევდა. თუმცა, მისი ჩანაწერები მიუთითებს მის მრავალმხრივ უნარებსა და წერის განსაკუთრებულ სტილზე.

მისი მოგონებები, ბევრ ეპიზოდს მოიცავს, მაგალითად სემინარიაში იგი სწავლობდა ისეთ პერიოდში როდესაც რომანისტი ვასილ ბარნოვი და მწერალი იპოლიტე ვართაგავა იყვნენ მასწავლებლები, ხოლო მოსწავლეები - გიგო სიდამონიძე (შემდეგში კათალიკოს პატრიარქი ეფრემ მეორე), ლევან და გოგლა ლეონიძეები და სხვა. მიხეილის მოგონებები მნიშვნელოვნად ეხება სასულიერო სემინარიის შიდა პროცესებს, რექტორს, მოსწავლეებს, მათ ურთიერთობებს, გვიყვება სასულიერო სემინარიაში დამკვიდრებულ მძიმე ვითარებასა და სტუდენტებში მუდმივად არსებულ საპროტესტო განწყობაზე.

მოგონებები მეტად მრავალმხრივია და ბევრ ასპექტს მოიცავს, ჩვენ ვრცლად შევეხებით რამდენიმე მოვლენას, მისი თვალით დანახულს და მისი კალმით გადმოცემულს, რომელსაც როგორც ბიოგრაფიული, ასევე ისტორიული პროცესების კვლევისთვისაც განსაკუთრებული ღირებულება აქვს.

საქართველოს ეროვნული არქივი

გიორგი ერაძის მოგონებები

ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით

გიორგი ერაძე ერთ-ერთია იმათგან, ვინც 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. ის იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. 1919 წელს გახდა შრომის და მომარაგების მინისტრი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ სამშობლო დატოვა და ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში. აქტიურად მონაწილეობდა ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს ეროვნული არქივის, ცენტრალურ საისტორიო არქივში გიორგი ერაძის შესახებ არაერთი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი დოკუმენტია დაცული. რომელიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. როგორც მისი პიროვნების ასევე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების

შესახებ. საინტერესოა მისი მოგონებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის პირადი ცხოვრებიდან შეგირდობის და მოწაფეობის პერიოდზე. ჩანაწერები ნოე ჟორდანიას, სიმონ ფირცხალავას, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა შეხედულებებზე. 1901 წლის მუშათა მანიფესტაციის ჩახშობაზე. 1905 წელს ნიკოლოზ II-ის მიერ გამოცემულ მანიფესტზე და იოსებ გიორგობიანიზე. 1917 წლის მუშათა დეპუტატების საბჭოს დაარსების შესახებ. ნიკოლოზ II-ის მთავრობის დამხობისა და რევოლუციური მთავრობის შექმნაზე. 1920 წლის ნოემბერში მთავრობის სახლის წინ კახელ გლეხთან გამართულ საუბარზე და ნოე ჟორდანიას შეხედულებებზე კახური ღვინისა და არყის შესახებ.

გიორგი ერაძე საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის წარმომადგენელია, თუმცა მის შესახებ ბევრი რამ არ არის ცნობილი, ამიტომ მისი როგორც იმ პერიოდისა და პროცესების თანამონაწილის მოგონებები, ჩანაწერები და შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო ისტორიული წყაროა, საყურადღებოა ისტორიის ობიექტური შედარებისათვის და ახლებური გააზრებისათვის. ის უფრო ნათელ სურათს მოგვცემს ამ პერიოდის მოღვაწეებისა და ქვეყნაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

III დარბაზი, III სექცია, II სხდომა

მიხეილ ქართველიშვილი, ანანო ნატროშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის

ხელშეკრულების ასახვა ინგლისურ და ფრანგულენოვანი პრესის ფურცლებზე

საკვლევი თემა: თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პირუთვნელი და მეტ-ნაკლებად ობიექტური შესწავლაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულება. ეს თემა თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში რამდენადმე კარგად არის შესწავლილი, გამოკვეთილია ის წინაპირობები, რომლებიც ამ მოვლენას უძღოდა წინ, გაანალიზებულია ის შედეგებიც, რომლებიც მას მოჰყვა. მიუხედავად ამისა, იკვეთება საკითხები, რომლებიც ასევე კვლევის საინტერესო ობიექტი შეიძლება გახდეს. წინამდებარე მოხსენებაში შევეცდებით განვსაზღვროთ როგორ აისახა აღნიშნული საკითხი თანადროულ ინგლისურ და ფრანგულენოვან პრესაში: როგორ მოხდა ინფორმაციის გავრცელება და რა გამოხმაურებები მოყვა ამ ხელშეკრულებას საერთაშორისო მასშტაბით. საკითხის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებით საგანგებო კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

აქტუალობა: საკითხის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: 1. ჩვენს მიერ არჩეული კვლევითი მიმართულება სამეცნიერო წრეებში დღემდე გაშუქებული არ ყოფილა; 2. ქართული სახელმწიფო, ისევე, როგორც დღეს, ერთი საუკუნის წინაც რუსული აგრესიის საპირწონედ დასავლეთისაკენ მისიწრაფვოდა, საკითხის აქტუალობას ზრდის ის ინტერესი,

რომელიც გვიბიძგებს დავინახოთ, თუ როგორ აფასებდა და რა ინფორმაცია მიეწოდებოდა დასავლურ სამყაროს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 3. ინგლისური და ფრანგულენოვანი პრესის მასალა უნდა შეჯერდეს თანადროულ ქართულენოვან მასალასთან, რაც მოგვცემს შესაძლებლობას საკითხის კომპლექსური და გლობალური გაანალიზებისათვის.

პრობლემა: მოხსენებაში დასმული პრობლემა არის ისტორიის რეტროსპექტული სახით ისე წარმოდგენა, რაც მოახდენს ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური მოვლენის გარე თვალთ დანახვის საშუალებას. ინგლისური და ფრანგულენოვანი პრესა საინტერესო ხედვებს გვთავაზობს ამ საკითხთან დაკავშირებით და მასალის ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში შემოტანა აუცილებლად მიგვაჩნია.

მეთოდი: მეთოდოლოგიურად ჩვენი ნაშრომი დამყარებულია კომპლექსურ-ისტორიულ მეთოდზე, რაც მიზნად ისახავს ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროების მაქსიმალურად ყოვლისმომცველ ანალიზს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევის მთავარი ობიექტი პერიოდული პრესაა, საჭიროა გაანალიზდეს, თუ რა იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმართულების გამოცემასთან გვაქვს შეხება, როგორ ხვდება მის ფურცლებზე საქართველოს შესახებ ცნობები, რა სახის ინფორმაცია ქვეყნდება და სხვა.

დასკვნა: ჩვენს მიერ კვლევის ობიექტად არჩეული საკითხი მნიშვნელოვანია მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და დიპლომატიური მნიშვნელობიდან გამომდინარე და, ამავე დროს, სამეცნიერო სიახლის თვალსაზრისით. საკითხის შესწავლამ გამოამჟღავნა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისი ხელშეკრულების საკითხი გაცდა კავკასიის სინამდვილეს და აქტიური განხილვის საგანი გახდა საერთაშორისო, კერძოდ კი, ევროპულ პრესაში.

ბონდო კუპატაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნაციონალური საკითხი აკაკი ჩხენკელის პოლიტიკურ ნააზრევში

საკვლევი თემა: წელს შესრულდა 150 წელი დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის დაბადებიდან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით განვახორციელეთ მნიშვნელოვანი პროექტი - დავიწყეთ აკაკი ჩხენკელის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. 2024 წლის ბოლოს იბეჭდება პირველი ორი ტომი. პირველ ტომში შესულია 1896-1921 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები. მეორე ტომი მოიცავს აკაკი ჩხენკელის ოთხ წიგნს და 1912-1921 წლებში მის სიტყვით გამოსვლებს საკანონმდებლო ორგანოებში, რომლის დეპუტატიც ის იყო (რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, საქართველოს ეროვნული საბჭო, ამიერკავკასიის სეიმი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს დამფუძნებელი კრება). აღნიშნული მასალის თავმოყრამ შესაძლებელი გახადა აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური აზროვნების ტრანსფორმაციის შესწავლა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნააზრევი ეროვნულ საკითხზე.

აქტუალობა: ქართულ მემარცხენე მოძრაობაში ეროვნული საკითხის გააქტიურება ხდება მხოლოდ რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან და ამ საკითხს ერთეული პოლიტიკოსები ეხებიან. სწორედ ამის საფუძველზე ყალიბდება ქართულ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მემარჯვენე ფრაქცია (დარჩიაშვილი, გომართელი, ჩხენკელი). აკაკი ჩხენკელი ერთ-ერთი წამყვანი პუბლიცისტი, რომელიც აყალიბებდა პარტიულ იდეოლოგიას და ხედვებს. ამდენად მისი ნააზრევის რეტროსპექტული ანალიზი ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს.

პრობლემა: წარმოდგენილ მოხსენებაში დასმული მთავარი საკითხია რა იყო არსებითი სხვაობა აკაკი ჩხენკელის შეხედულებებსა და ქართული მემარცხენე მოძრაობის მენისტრიმულ ხედვებს შორის, რამდენად იმოქმედა ამ განსხვავებამ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და ზოგადად რა ტიპის გავლენა მოახდინა საქართველოს ისტორიაზე.

მეთოდი: სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად კვლევაში გამოყენებულია ემპირიზმის მეთოდი. ნაბეჭდ მასალაზე (პუბლიცისტიკა, სიტყვით გამოსვლები) დაყრდნობით გაანალიზებულია აკაკი ჩხენკელის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე და მისი ტრანსფორმაცია დროში (კულტურული ავტონომია-ადმინისტრაციული ავტონომია-პოლიტიკური ავტონომია-სრული დამოუკიდებლობა). შედარებითი მეთოდის გამოყენებით კი მოვახდინეთ აკაკი ჩხენკელის შეხედულებათა შეპირისპირება სხვა მემარცხენე ავტორებთან (ნოე ჟორდანი, არჩილ ჯორჯაძე...).

დასკვნა: აკაკი ჩხენკელის ნაშრომების სრულად თავმოყრამ შესაძლებელი გახადა ნაციონალურ საკითხზე აკაკი ჩხენკელის შეხედულებათა რეტროსპექტული შესწავლა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით დაზუსტდა აკაკი ჩხენკელის ბიოგრაფიის დეტალები. ეს დასკვნები მნიშვნელოვანია ზოგადად ქართული მემარცხენე მოძრაობის იდეოლოგიის გასააზრებლად.

მანუჩარ გუნცაძე, კავკასიის უნივერსიტეტი

ქართულ პრესაში არსებული ინფორმაციის / პუბლიკაციების დინამიკა 1918-1921 წწ.

1918-1921 წლების პრესა პუბლიკაციების განსხვავებული ხასიათით გამოირჩეოდა. ეს არ იყო მხოლოდ საინფორმაციო შინაარსის წერილები. ამ პუბლიკაციებს ხშირ შემთხვევაში პოლემიკისა და გარკვეული საკითხების გაშლის დატვირთვა ჰქონდა. თანამედროვესაგან განსხვავებით, განსახილველი პერიოდის პრესის მოცულობითი მხარე, ცხადია, გაცილებით მცირე იყო, მაგრამ გამოირჩეოდა აქცენტებით უამრავ საკითხზე.

ამ შემთხვევაში ჩვენი მოხსენების მიზანი, არ არის პრესის გამოყენება გარკვეული ფაქტოლოგიური მასალის დასადგენად. პრესა ამ მხრივ საინტერესო წყაროა და ხშირ შემთხვევაში გვეხმარება თანადროული მოვლენების დაზუსტებაში. ჩვენი კვლევის მიზანია პრესაში არსებული ინფორმაციის დიფერენციაცია და საერთო სურათის შექმნა, რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა 1918-1921 წლების გაზეთებს და როგორ შეიცვალა ეს მახასიათებლები დინამიკაში.

აღნიშნული დინამიკის ანალიზი საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ თუ რა პრიორიტეტები იყო დამოუკიდებლობის 1028 დღის განმავლობაში და როგორ ხდებოდა მათი ცვლილება. ეს ცვლილება კი ასახავს ქვეყნის ყოველდღიურობის ისტორიისა და საჭიროებების ასპექტებს.

**დimitრი სილაქაძე, საქართველოს ეროვნული არქივი / თბილისის თავისუფალი
უნივერსიტეტი
წითელი კავალერია თბილისთან**

საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს 1921 წლის ომი, საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდია; ეპიზოდი, რომელმაც ქვეყნის ოკუპაცია და საბჭოთა სივრცის ნაწილად გადაქცევა განაპირობა. ამ ომის ყველაზე მნიშვნელოვან და სადავო საკითხად კი ქართული არმიის მთავარსარდლის გენერალ გიორგი კვინიტაძის 1921 წლის 24 თებერვლის საღამოს გადაწყვეტილება მიიჩნევა. 24 თებერვალს ქართული ჯარი თბილისის მისადგომებთან მთელი დღის განმავლობაში წარმატებით იგერიებდა მოწინააღმდეგის შეტევას, მაგრამ დღის მეორე ნახევარში განვითარებული მოვლენების ფონზე მთავარსარდალმა ჩათვალა, რომ მოწინააღმდეგის ცხენოსანი ნაწილები, უკიდურეს ფლანგებზე თითქმის დაუცველი სივრცეების გავლით თბილისის დამცველ ნაწილებს ალყაში მოაქცევდნენ, რის გამოც მან ქალაქიდან უკანდახევის გადაწყვეტილება მიიღო. ალყაში მოქცევის ნიშნები კი ნამდვილად არსებობდა. რუსების ცხენოსანმა ნაწილებმა ეს სივრცეები მართლაც აღმოაჩინეს და მეორე დღეს, 25 თებერვალს, აპირებდნენ ქალაქის ალყაში მოქცევას, თუმცა მთავარი კითხვა ისაა თუ რამდენად მოახერხებდნენ ამას ისინი. ამაზე ზუსტი პასუხი ვერ იარსებებს, მაგრამ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რამდენად ძლიერი იყო რუსული კავალერია თბილისთან. ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მაგალითად, სახალხო გვარდიის იმერეთის მეორე ბატალიონის მეთაური, აკაკი კვიციანიშვილი წერდა, რომ მოწინააღმდეგის კავალერია სუსტი იყო და ამას ვერ შეძლებდა. განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ მთავარსარდალს გენერალ გიორგი კვინიტაძესა თუ პოლკოვნიკ (მოგვიანებით პოლონური არმიის გენერალ) ალექსანდრე ჩხეიძეს. თუმცა, მათი მოსაზრებები ეყრდნობოდა იმას, რაც მათ შეზღუდული სახით თავად ნახეს, ან კიდევ სადაზვერვო ინფორმაციას.

ჩემი მოხსენების მიზანია განვსაზღვრო რეალურად რა ძალას წარმოადგენდა თბილისთან მყოფი რუსული კავალერია. ამისთვის ორ გზას გამოვიყენებ: ზოგადად მიმოვიხილავე წითელი კავალერიის ფენომენს, რაც კარგად ნაკვლევია საკითხია და გამომადგება მათი ბრძოლის ზოგადი მეთოდის საჩვენებლად და, ამავდროულად, აქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტების მეშვეობით ზუსტად განვსაზღვრავ ამ ცხენოსანი ნაწილების პირად შემადგენლობ, მათ შეიარაღებას და საბრძოლო შესაძლებლობებს 1921 წლის თებერვლის დღეებში. ეს კი დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რამდენად სწორად ან არასწორად აღიქვა გენერალმა კვინიტაძემ რუსული კავალერიისგან მომდინარე საფრთხე.

მიხეილ ბახტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი ოფიცრების გამოცდა პოლონეთში 1923 წელს (პოლონეთის ცენტრალური სამხედრო არქივის დოკუმენტები)

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და სამხედრო სკოლის მსმენელების ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. მათი უმეტესობა შემდგომში, 1922-1923 წლებში, პოლონეთის არმიაში ჩაირიცხა.

პოლონეთის არმიაში მიღების წინ ქართველი ოფიცრები სამხედრო სასწავლებლებში გაანაწილეს და ხანმოკლე კურსი გაატარეს. ამის შესახებ ძალიან საინტერესო დოკუმენტებია დაცული პოლონეთის ცენტრალურ სამხედრო არქივში.

ოფიცრების ერთი ჯგუფი, 37 კაცი, მოხვდა ბიდგომჰის სამხედრო სასწავლებელში. მათი მეთაური იყო კაპიტანი ვოიცეხოვსკი. გამოცდა ჩატარდა 1923 წლის 12, 13 ივლისს შემდეგ საგნებში: ტაქტიკა, რეკოგნოსტირება, საველე ფორტიფიკაცია, არმიის ორგანიზაცია, მომწამვლელი გაზები, კავშირგაბმულობა, ტანვარჯიში, ხელჩართული ბრძოლა და სხვა.

გამოცდებთან დაკავშირებით საინტერესოა ორი დოკუმენტი.

პირველი დოკუმენტი არის პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე განყოფილების (დაზვერვა, კონტრდაზვერვა) უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაიორ შხატცელის წერილი მაიორ ლუპინსკისადმი, რომელიც იგზავნება დამკვირვებლად გამოცდებზე. ნათლად არის გაცხადებული ქართველი ოფიცრების მომზადების მიზანი - ისინი უნდა გახდნენ მომავალი ქართული არმიის ინსტრუქტორები. ამიტომაც იყო, რომ შემდგომში პოლონელებმა ქართველი ოფიცრები სხვადასხვა სამხედრო სკოლებში გადაანაწილეს და სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში (ქვეითი, არტილერია, ავიაცია, სამხედრო ფლოტი) გაანაწილეს. ამავე დროს მაიორ ლუპინსკის უნდა დაეწერა ქართველ ოფიცერთა დახასიათება.

მეორე დოკუმენტი, ეს უკვე არის მაიორ ლუპინსკის მოხსენებითი ბარათი, დაწერილი გამოცდაზე დასწრების შემდეგ. უმნიშვნელოვანესია მისი შეხედულება ქართველ ოფიცრებზე, რომლებსაც ის ორ კატეგორიად ყოფს, ასაკის მიხედვით. პირველი კატეგორიის უარყოფით თვისებად მაიორი ლუპინსკი თვლის იმას, რომ ისინი გამსჭვალულები არიან რუსული ორიენტაციით და მათი იდეალი ყოფილი რუსეთის იმპერიაა. მეორე კატეგორიაში მაიორმა ლუპინსკიმ მოახვედრა ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც, ასაკით უფროს ოფიცრებთან შედარებით, უკეთ სწავლობენ პოლონურ ენასაც და სამხედრო საქმეს.

პოლონეთის სამხედრო არქივში ინახება ასევე საგამოცდო დავალებები და საგამოცდო კითხვები. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ ქართველი ოფიცრების შეფასებებს ამ გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

III დარბაზი, III სექცია, III სხდომა

გიორგი გოცირიძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნაციონალური მეობისათვის ბრძოლის ისტორიული და
სოციალური კონტექსტები ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობის
მიხედვით**

ნაშრომში განხილულია მეცნიერ-ისტორიკოსთა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ასახული ეროვნული იდენტობისათვის ბრძოლის არსებითი პერიპეტეები მათი ისტორიული და სოციალური კონტექსტების გათვალისწინებით მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. ნაჩვენებია, თუ რა გზებითა და საშუალებებით იცავდნენ ქართველი ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ნაციონალურ მეობას პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების კვალდაკვალ, რა ღონისძიებებს მიმართავდნენ ქართული ენის აღორძინების, ეროვნული განათლების ხელშეწყობისა და კულტურული თუ რელიგიური ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

საანალიზო პერიოდში ჩვენი ქვეყნის ბრძოლას თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად რუსული იმპერიალიზმისა და 1921 წლის შემდეგ მისი მემკვიდრე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სამწუხარო პარალელები ეძებნება თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებასთან. რუსული ექსპანსიონისტური ამბიციები კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის გლობალურ სტაბილურობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს და წარმოადგენს ეგზისტენციალურ საფრთხეს ცივილიზებული სამყაროსთვის მეზობელ ქვეყნებში ჰიბრიდული ომების, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე კიბერშეტევების, მსოფლიო პოლიტიკური სტაბილურობის დარღვევისა და, რაც მთავარია, უკრაინაში წარმოებული ომის გათვალისწინებით.

ასე რომ, ეროვნული იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მცდელობები დღესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მათ შესახებ მიმდინარე დისკუსიები - უაღრესად აქტუალური თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში. რუსულ იმპერიალიზმთან შემხებლობის ჩვენი ისტორიული და ინტელექტუალური გამოცდილება საკმარისად მდიდარია იმისათვის, რომ ის სწორად და გონივრულად გამოვიყენოთ ქვეყნის საგარეო ორიენტირებისა და სტრატეგიული კურსის შენარჩუნებისათვის, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონით გვაქვს განსაზღვრული.

პრობლემის გადასაჭრელად გამოვიყენეთ მულტიდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებს ისტორიულ და ფილოლოგიურ მეთოდებს. პირველადი წყაროები მოიცავს გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების - პლატონ იოსელიანის, ზაქარია ჭიჭინაძის, თევდორე ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა წერილებს, რომლებიც ფარავს მე-19 და მე-20 საუკუნეების სხვადასხვა პერიოდს. ესენია: გვიანი ცარისტული ეპოქა, საბჭოთა პერიოდი და პოსტსაბჭოთა ხანა. მეორადი წყაროები მოიცავს ისტორიოგრაფიულ რესურსებს - საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

საარქივო მასალაში დოკუმენტირებული, გაუფილტრავი და ავთენტური ნარატივები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებში მოქცეული ერის წინაშე არსებული გამოწვევებისა და იმ ყოველდღიური ძალისხმევის შესახებ, რომელსაც ქართველი

მოღვაწეები მიმართავდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების უფლების დამკვიდრებისათვის, ქართული წიგნების გამოცემისათვის, ეროვნული სულიერი და მატერიალური კულტურის ნივთების გადარჩენისათვის, საქართველოს შესახებ უცხოეთში ცნობადობის გაზრდისათვის და სხვა. ემიგრანტული არქივები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს გადმოეცა, გვიყვებიან იმის შესახებ, თუ საბჭოთა რეჟიმს გარიდებული ქართველი ემიგრანტები უცხოეთში როგორ ცდილობდნენ იმ პერიოდში გაბატონებული იმპერიული შეხედულებებისაგან განსხვავებული პატრიოტული ნარატივის დამკვიდრებას. ეს კულტურული დიპლომატია ჯერ კიდევ იმპერიის შემადგენლობაში ქმნიდა პირობებს თავსმოხვეული იმპერიული მემკვიდრეობის უარყოფისა და ჯანსაღ, ავთენტურ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმის აღზევებისათვის.

წერილებში ნათლადაა არეკლილი საზოგადოებრივი განწყობები, ურთიერთობები ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, ძალაუფლებისა და გავლენის დინამიკა პოლიტიკურ სფეროებში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, ადამიანების რეაქცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და სხვა.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი #FR-23-16844, „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა / ფუნდამენტური ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ- ისტორიული კვლევები და აკადემიური გამოცემა (ნაწილი II)“].

თამაზ ფუტყარაძე, აჭარის საარქივო სამმართველო მუსლიმი ქართველი ხოჯები

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თავისი ისტორიიდან, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო მეზობელი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მოსახლეობის სულიერებასა და ტრადიციულ-ყოფით კულტურაზე, მაგრამ ვერ შეძლო ეროვნული ცნობიერების შელახვა. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ოსმალთა მისიონერები, რათა ისლამურ აღმსარებლობაზე დაფუძნებული პროპაგანდისტული მანქანის გამოყენებით მოეხერხებინათ ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული, სოციალური და კულტურული ღირებულებების გადაფასება და კვლავ მოეხდინათ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიების ინკორპორაცია.

იმჟამინდელი მოვლენების ფონზე სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ერთ-ერთ ადვილად მოწყვლად რეგიონს წარმოადგენდა, რადგან მხარის მოსახლეობა სრულად იყო გამუსლიმებული. დასამალი არაა, რომ რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალული ხოჯა-მოლების დიდი და დაწინაურებული ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცა ოსმალთა მისიონერების გავლენის ქვეშ.

იმჟამინდელი ხოჯა-მოლების წარმოდგენებში ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ღირებულებით ორიენტაციებს შორის იყო დიდი სხვაობა, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა

საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვას. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდნენ ოსმალეთში განათლებამიღებული უმაღლესი სასულიერო და საერო თანამდებობის პირების მცირე რაოდენობა (ლომან ქარცივაძე, ახმედ ხალიფაშვილი, სკენდერ ცივაძე, რასიყ ბერიძე...), რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად წინ აღუდგნენ ოსმალური პოლიტიკის გატარებას. მათი ეს ქმედება იმ დროისათვის უდაოდ იყო მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი.

აღნიშნული საკითხების შესწავლა-წარმოჩენა უაღრესად აქტუალური პრობლემათაგანია, რადგან იგი განსხვავებული ფორმებით თანამედროვე პირობებშიც იკვეთება. პრობლემის მიჩუმათება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

საკითხის შესწავლისას ვემყარებოდით **დოკუმენტებზე მუშაობის, ისტორიულ-შედარებით და ბიოგრაფიულ მეთოდებს.**

თენგიზ ვერულავა, კავკასიის უნივერსიტეტი **სოციალური დაზღვევის ისტორიული წინამძღვრები და განვითარების ბარიერები** **საქართველოში**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ჯანდაცვის დაფინანსების ახალი სისტემის შექმნისას არჩევანი შეჩერდა სოციალური დაზღვევის მოდელზე. 1995 წელს დაინერგა ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის სისტემა (ბისმარკის მოდელი). ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის მოდელის არჩევით საქართველო მიყვებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს. ევროპის რეგიონის 28 ქვეყნიდან 22-მა დანერგა ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის სისტემა.

ნაშრომის მიზანია 1995 წელს საქართველოში ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის ისტორიული წინამძღვრების და დანერგვის აუცილებლობის შესწავლა, კერძოდ, თუ რატომ აირჩია საქართველომ ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის (ბისმარკის მოდელი) და არა ზოგადი გადასახადებით დაფინანსების (ბევერიჯი) მოდელი და რა გამოწვევებთან იყო დაკავშირებული მისი განვითარება.

ნაშრომის აქტუალობას წარმოადგენს სოციალური დაზღვევის სისტემის, როგორც ევროპული ღირებულების საქართველოში განვითარების ტენდენციებისა და ბარიერების შესწავლა. კვლევის მეთოდად გამოიყენება საკითხის გარშემო არსებული როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები.

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროს შემოდებულ იქნა სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელიც იმ დროისათვის ევროპის მხოლოდ რამდენიმე მოწინავე ქვეყანას გააჩნდა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ საქართველოს იმ პერიოდში ჰქონდა არამარტო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელშიც მაქსიმალურად იყო დაცული მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, ასევე გააჩნდა სოციალური დაზღვევის პროგრესული სისტემა. 1990-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვებისას თითქმის 75 წელზე მეტი ხნის

პაუზის შემდეგ სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღებით საქართველომ აღადგინა განვითარების გაწყვეტილი ხაზი.

სოციალური დაზღვევის სისტემა უფრო მეტად არის ორიენტირებული საბაზრო მექანიზმების დანერგვისკენ, სადაც პასუხისმგებლობა ჯანმრთელობაზე თანაბრად და სამართლიანად გადანაწილდება სახელმწიფოზე, დამქირავებელსა და დაქირავებულზე. შემოღებულ იქნა ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის შენატანი 3%, რომელშიც 2%-ს იხდიდა დამქირავებელი, ხოლო 1%-ს დაქირავებული. სამედიცინო „გადასახადის“, ხოლო შემდეგ „სადაზღვევო შენატანის“ დაკანონებით შეიქმნა ე. წ. სადაზღვევო რისკი. სადაზღვევო შესატანის აკუმულირება ხდებოდა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო კომპანიაში. გარდა ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანისა, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის შემოსავლის წყაროს შეადგენდა ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერი, რომელიც იქმნებოდა ზოგადი სახელმწიფო შემოსავლებით. ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერი უმთავრესად განკუთვნილი იყო იმ პირთა სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად, რომელნიც არ იყვნენ დასაქმებულები. ჯანდაცვის რეფორმების შედეგად ყოველწლიურად იზრდებოდა სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა და მოცულობა, ანუ ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო ვალდებულებები მოსახლეობის მიმართ და ის მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებზე ვრცელდებოდა.

მიუხედავად მიღწევებისა, ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის დანერგვა მოსალოდნელზე მეტად რთული აღმოჩნდა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის დიდ წილთან, უმუშევრობის მაღალ დონესთან და მძიმე მაკროეკონომიკურ შეზღუდვებთან. ჯანდაცვის სისტემა განიცდიდა დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, რადგან სახელმწიფო ხშირად ვერ ახდენდა დაპირებული ვალდებულებების დაფინანსებას. 2004 წელს ახალმა მთავრობამ უარი თქვა სოციალური დაზღვევის სისტემის ბისმარკის მოდელზე და გადავიდა ზოგადი გადასახადებით დაფინანსების (ბევერიჯი) მოდელზე, რამაც შეიწირა სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარების საწყისი ჩანასახები. ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემა გამორიცხავს დაზღვევის პრინციპს, რადგან სახელმწიფო დომინანტურ როლს ასრულებს, ხოლო დაზღვევის ნაცვლად, ჯანდაცვა მთლიანად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური დაზღვევის სისტემა ყველაზე უკეთ ახდენს ჯანდაცვის სექტორისათვის დამატებითი სახსრების მობილიზებას და შესაბამისად მდგრად დაფინანსებას, მიზანშეწონილია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა. ჯანდაცვის სფერო საჭიროებს რეფორმირების თანმიმდევრულობას, უწყვეტობას და მემკვიდრეობითობას.

მარინე იაშვილი, დამოუკიდებელი მკვლევარი
მევენახეობა-მელვინეობის კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში
(XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პრესის მიხედვით)

კოოპერაციული მოძრაობა, რომელმაც XIX-XX საუკუნეებში მთელი დანარჩენი ევროპა მოიცვა, გარკვეული ვარიაციებით რუსეთის იმპერიაშიც გავრცელდა. ეკონომიკური თვალსაზრისით ამ საკმაოდ საინტერესო მიმართულებამ საქართველოში კარგად მოიკიდა ფეხი და მიუხედავად უამრავი თანმდევი სირთულისა, მაინც მოახერხა განვითარება.

ღვინის სამშობლოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მევენახეობა-მელვინეობის კოოპერატივები. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე ასეთი კოოპერატივების დაფუძნება კიდევ უფრო აქტიურად წარიმართა და მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ახალმა კოოპერატივებმა ისეთ მცირემიწიან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, დარგის საქმიანობა ახლებურ პრინციპებზე გადაიყვანა და ამ მიმართულებით ევროპული ქვეყნების გვერდით დააყენა.

ქართულ გამოცემებში კოოპერატივების საკითხს დიდი ყურადღება ეთმობოდა და მრავალი კვლევა, ნაშრომი, პუბლიკაცია ქვეყნდებოდა. მოხსენების მიზანი ქართული მევენახეობა-მელვინეობის დარგში ძირეული ცვლილებების თავისებურებების მიმოხილვაა სწორედ ამ პუბლიკაციების საყურადღებო ნაწილის საფუძველზე, აღნიშნულ პერიოდში გლეხური ტიპის ღვინის მარნებიდან სრულიად ახალი ეკონომიკური გაერთიანებების, კოოპერატიული მეურნეობებისა და ღვინის ქარხნების ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი.

თემაზე მუშაობისას დამუშავდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1921 წლამდე პერიოდის წერილობითი დოკუმენტები და გამოცემები. საკითხის შესწავლისას მოხდა ინფორმაციის სისტემატიზაცია, ანალიზის მეთოდით მევენახეობა-მელვინეობის კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებების გამოყოფა.

კახაბერ ქებულაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე“

ვაჭრობისა და კომერციული ურთიერთობების ინოვაციურმა განვითარებამ, XVIII საუკუნის მიწურულისთვის მანუფაქტურული წარმოების სწრაფი ზრდა და სოციალური, ტექნიკური და ეკონომიკური ცვლილებები განაპირობა. ინდუსტრიულმა რევოლუციამ ადამიანთა ყოფის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა და ის ძირეულად გარდაქმნა. დღეს ამ ცვლილებათა მატერიალური გამოვლინებები საყოველთაო ფასეულობას წარმოადგენს და შესწავლისა და დაცვის საგანია. ინდუსტრიული მემკვიდრეობის მნიშვნელობა საერთაშორისო დონეზე ფართოდ არის გააზრებული. მათი კვლევა, მოვლა-პატრონობა, ადაპტაცია და კონსერვაცია არაერთი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისა და კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ქვეყნის ინდუსტრიული მემკვიდრეობა, ჯერაც პროფესიული ინტერესების მიღმა რჩება. სამწუხაროდ, ის არქიტექტურული თუ საინჟინრო შენობა-ნაგებობანი და მათთან დაკავშირებული წარმოების ფირმები, რომლებიც მე-19 და მე-20-ე საუკუნეების

საქართველოში ინდუსტრიული დანიშნულებებით იქმნებოდა დღემდე შეუფასებელია და სისტემური შესწავლის საგანს არ წარმოადგენს. თვალსაწიერის მიღმაა დარჩენილი მნიშვნელოვანი ობიექტები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სოციალური ცვლილებების ანარეკლია.

მე-19-ე საუკუნიდან მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა ჭიათურის მარგანეცის შესახებ. მადნის აღმოჩენამ დიდი გავლენა იქონია იმერეთის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ბიძგი მისცა საქართველოში სატრანსპორტო კავშირებისა და სამრეწველო დარგების შექმნას, მანგანუმის მრწველობის განვითარებას. პირველივე წლებში შეიკრა: ჭიათურა-ზესტაფონ-ფოთის ინდუსტრიული წრედი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დღესაც უჭირავს. ინდუსტრიული მემკვიდრეობა აერთიანებს ინდუსტრიული კულტურის იმ მატერიალურ გამოვლინებებს, რომელთაც ისტორიული ტექნოლოგიური, სოციალური, არქიტექტურული და მეცნიერული ღირებულებები აქვთ.

ევროპელმა მეცნიერებმა ქიმიური ელემენტის - მანანუმის მეცნიერული შესწავლა მე-18-ე საუკუნეში დაიწყეს. ექსპერიმენტებმა და კვლევებმა მალევე გამოააშკარავეს მისი თვისება და სარგებლიანობა მეტალურგიულ წარმოებაში. მე-19-ე საუკუნის 70- იან წლებში აქტიურად დაიწყეს მანგანუმის გამოყენება, კერძოდ ლითონების შემადგენლობაში, ასევე ფოლადისა და თუჯის თვისებების გასაუმჯობესებლად. ამ გარემოებამ განაპირობა მანგანუმზე მოთხოვნილების ზრდა და ახალი საბადოების მიძიებას და დამუშავებას შეუწყო ხელი. ჭიათურის მანგანუმის საბადოს აღმოჩენა გერმანელი გეოლოგის, კავკასიის ცნობილი მკვლევარის, ვილჰელმ ჰერმან აბიხის (1806 – 1886 წწ) სახელს უკავშირდება.

XIX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) მსოფლმხედველობა შეიცვალა. მან უკან მოიტოვა თავისი რევოლუციური ზრახვები და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში ჩაება. ამ დროისთვის ის ისევ ჟანდარმერიის მხრიდან ჩუმი თვალთვალის ქვეშ იყო. მოგვიანებით 1899 წლის 2 დეკემბერს გათავისუფლდა თვალთვალისგან, ისიც დროებით. დაახლოებით ასეთი იყო ვითარება ჭიათურაში, როდესაც გ. ზდანოვიჩი, როგორც თავისუფალი მოქალაქე, სათავეში ჩაუდგა ქვეყნისთვის სამეურნეო განვითარების საკითხს. მისი, როგორც ძველი რევოლუციონერის და მებრძოლის, პუბლიცისტის ცხოვრებაში ახალი დრო დაიწყო. მან ფეხი შედგა სრულიად განსხვავებული საქმიანობის სფეროში. 1896 წელს საქართველოში ერთ-ერთ დიდ კაპიტალისტურ დაწესებულებაში „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ ჩაუდგა სათავეში, როგორც საბჭოს თავმჯდომარე. ქართველი საზოგადო მოღვაწეები მიესალმებოდნენ „ყრილობის“ შექმნას. გიორგის ეს გადაწყვეტილება არ იყო შემთხვევითი ნაბიჯი. იგი დარწმუნებული იყო, რომ საქართველო მტკიცედ ადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ქვეყნის ეკონომიკური წარმატება, ხოლო განვითარების პროცესი ისე წარიმართებოდა, რომ თითოეული ქართველის ინტერესი ანუ საქართველოს ეროვნული ინტერესები იქნებოდა დაცული.

ჭიათურის აღმშენებლობასა და მარგანეცის მრეწველობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გიორგი ზდანოვიჩის სახელი. გიორგი ზდანოვიჩს (მაიაშვილს), რომელიც ღრმად იყო დაინტერესებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებით, რაც

ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ქვაკუთხედად მიაჩნდა, კარგად ესმოდა ამ მადნის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისთვის. გ. ზდანოვიჩი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ თეორიული აზროვნებითა და პუბლიცისტური საქმიანობით. იგი იყო ქართულ სინამდვილეში ბურჟუაზიული ეროვნული მიმართულების იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე. როგორც საზოგადო მოღვაწე გ. ზდანოვიჩი სათავეში ედგა წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას და უნარიანად უძღვებოდა მის არც თუ იოლ სამუშაოს. პრაქტიკულ სფეროში კი იგი არჩეული იყო ჭიათურის „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ თავმჯდომარედ და თანამედროვეთა შეფასებით „მისი ენერჯის, გამჭრიახობისა და ნიჭის წყალობით დადგა ფეხზე და გაიზარდა ეს ჩვენი ქვეყნისთვის დიდმნიშვნელოვანი საქმე“. ამ საბჭოს მეშვეობით გ. ზდანოვიჩი ფართო საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი დახმარება, რასაც გამოჩენილი მოღვაწე საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ქალაქში ჩასულ ქართველ სტუდენტებს უწევდა, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერების სხვადასხვა დარგში ეროვნული კადრების აღზრდას, რამაც შემდეგში მყარი საფუძველი შეუქმნა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას.

**რუსუდან თაყაიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი /
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
სვანური ლეგენდის ინტერპრეტაციები თანამედროვე ხელოვნებაში**

მოხსენებაში განხილულია სვანურ კულტურაში XVI-XVII საუკუნიდან ცნობილი ლეგენდა, რომელიც ინსპირაციის წყარო გახდა თანამედროვე ქართველი ხელოვანებისთვის. სიუჟეტს სტუმარი ბავშვის დაფარვისა და საკუთარის გაწირვის შესახებ კინორეჟისორ სოსო ჯაჭვლიანის ფილმში „სვანი“ (2007), მწერალ დავით შემოქმედელის მოთხრობაში „ცოდვის ტირილი“ (2006) და კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძის ამავე სახელწოდების მინიოპერაში (2019) ვხვდებით. კვლევის აქტუალობას განაპირობებს 21-ე საუკუნის პირველ ოცწლეულში ერთი თემის მიმართ სამი ქართველი შემოქმედის მიერ გამოვლენილი ინტერესი. პრობლემად კი დასახულია იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რამაც ლეგენდა, მისი იდეა მიმზიდველი გახდა ხელოვნების დღევანდელი წარმომადგენლებისათვის და როგორ განხორციელდა ის ამ ნაწარმოებებში.

განხილული და შედარებულია ლეგენდის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული, ხალხში გავრცელებული და მხატვრული ნაწარმოებებიდან ცნობილი ვერსიები. ჩატარებულია სიღრმისეული ინტერვიუები მკვლევრებთან, ეთნიკურ სვანებთან, იმ ნაწარმოებების ავტორებთან, რომლებსაც ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად. დახასიათებულია სხვადასხვა ჟანრში, მათ შორის, მუსიკაში ავტორთა ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები.

დასკვნის მიხედვით, ლეგენდის აქტუალობის და მის მიმართ თანამედროვე სამყაროში ინტერესის მთავარი განმსაზღვრელია სტუმარ-მასპინძლობისა და სხვისთვის საკუთარის

გაწირვის იდეა, რაშიც დასახელებული რეგიონის ღირებულებათა სისტემა ცხადდება და ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, „სახარებისეულ ალუზიას წარმოადგენს“. ლეგენდის ინვარიანტულობა, მასში გამოხატული ეროვნული იდენტობა, ეპოქასა და ქანრებში ტრანსფორმაციის პოტენციალი კულტურული მეხსიერების ფენომენს ავლენს, რაც არის - *გარკვეული ჯგუფისათვის სპეციფიკური, მუდმივად გამოყენებადი ტექსტების, გამოსახულებების, რიტუალების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურობას და განსაზღვრავს მის წარმოდგენას საკუთარ თავზე*. განხილული ლეგენდა არღვევს დროისა და სივრცის საზღვრებს და ახალი ინტერპრეტაციით გვევლინება კინოხელოვნებაში, ლიტერატურასა და მუსიკაში.

III დარბაზი, III სექცია, IV სხდომა

ვანო სალუქვაძე, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
ხალხური ლექსი „ალიფაშა“ წარმოქმნიდან საბჭოთა ოკუპაციამდე

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემოგვრჩა ლექსი - „ალიფაშა“, სადაც ასახულია 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთი ეპიზოდი, ალიფაშა თავდგირიძის მიერ ოსმალებისადმი ღალატის ამბავი. ლექსი თავდაპირველად შეიქმნა ქობულეთში, ხოლო შემდეგ გურიაში გავრცელდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომების და თავდგირიძეების საგვარეულოს ისტორიის კვლევა სხვადასხვა ასპექტით დიდი ხანია მიმდინარეობს, ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში გვაქვს არაერთი ნაშრომი, ნარკვევში გათვალისწინებული იქნება წინამორბედი ავტორების, სამეცნიერო კვლევაძიების შედეგები.

წარმოქმნიდან, საბჭოთა მმართველობის დამყარებამდე „ალიფაშამ“ საკმაოდ დიდი გზა განვლო, რა დროსაც დაიკარგა ლექსის ავტორის ვინაობა და მას ხალხური უწოდეს, ასევე პირვანდელი ვარიანტისგან განსხვავებით ლექსი შემოკლდა, რაც მთავარია, საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ ლექსმა ცვლილება განიცადა.

კვლევის მიზანია ვაჩვენოთ: 1. სად და როგორ წარმოიქმნა ქართული ხალხური ლექსი „ალიფაშა“; 2. როგორ შეიცვალა ლექსი მე-19 საუკუნის ბოლოს და რა გახდა ცვილებების მიზეზი; 3. რა გავლენა მოახდინა საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარებამ ზემოხსენებულ ლექსზე.

თეა ქართველიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი
ქვრივი ქალის უფლებები შუა საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების საქართველოში დაქვრივებული ქალის უფლებების დადგენას საგანგებოდ ეხებიან ქართველი კანონმდებლები და მათ მიერ მიღებული ნორმები ქართული სამართლის წიგნების შესაბამის თავებშია ასახული. ქვრივი ქალის უფლებების დასაცავად გაცემულია საერო და საეკლესიო იერარქთა საბუთები. ქვრივის უფლებებს განსაზღვრავდა მისი მდგომარეობა: ქმრის ოჯახში რჩებოდა, მეორედ თხოვდებოდა თუ მშობლების სახლში ბრუნდებოდა, შვილიანი იყო თუ უშვილო. სამართლის ძეგლებში ასახული ქვრივის უფლებები, ძირითადად, მის ქონებრივ მდგომარეობას ეხებოდა.

ქვრივ ქალს უფლება ჰქონდა ხელახლა გათხოვილიყო. ამის შესახებ საუბარია, როგორც სამართლის კრებულებში, ასევე იურიდიული ძალის მქონე სამართლის აქტებშიც.

ქვრივი ქალის მეორედ ქორწინების წესი თანაბრად ვრცელდებოდა როგორც არისტოკრატ ქალბატონებზე, ასევე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებზე. გლეხის ცოლის დაქვრივების შემთხვევაში მებატონეს არ ჰქონდა უფლება ძალით გაეთხოვებინა ქვრივი.

გათხოვილ ქვრივს შეეძლო მეორე ქმრის ოჯახში წაყვანა თავისი ობოლად დარჩენილი შვილი. დაქვრივების შემთხვევაში ქალს შვილი თუ არ დარჩებოდა, მზითევი სრულად უბრუნდება უკან.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქმრის ქონებას ქვრივი ქალი განკარგავდა. ქვრივად დარჩენილი ქალი მეფის ან სამეფო ოჯახის წევრისგან ითხოვდა, რომ თავისი ქმრის კუთვნილი ქონება ოფიციალურად დაემტკიცებინათ. იგივე წესები მოქმედებდა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებსა და საეკლესიო ყმებში. ქვრივად დარჩენილ ქალს მამულები არ უნდა გაეყიდა და თუ მონასტერს შეწირავდა, ამ შემთხვევაში შვილები არ უნდა შედავებოდნენ.

ქვრივი ქალები აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ხშირია მათი საჩივრები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. არზები, ძირითადად, ეხება ქონებრივ დავებს, მევახშეობას, სესხისა და ვალის საქმის მოგვარებასა და გადასახადების შემცირების საკითხს.

შორენა შავრშიანი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ზეზუნებრივი ძალების, საკრალური ნივთების და ირეალური პერსონაჟების როლი სვანურ ზღაპრებში¹

ზღაპარი, რომლის წარმოშობის დრო და ადგილი უცნობია, მუდმივად წარმოადგენს ბავშვთა ინტერესისა და მეცნიერთა კვლევის საგანს თავისი ირეალური სამყაროთი, რომელშიც დაუჯერებელი დასაჯერებელია, მიუღებელი - მიღებული, შეუძლებელი კი - შესაძლებელი ხდება.

¹ კვლევა განხორციელდა 2022 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების პროექტის „სვანური ზღაპრების ქართულ-ინგლისური თარგმანები YS-22-953“ ფარგლებში.

საკვლევ თემა ზებუნებრივი ძალების, საკრალური ნივთებისა და ირეალური პერსონაჟების როლი სვანურ ზღაპრებში საარქივო მასალების, „სვანური ენის ქრესტომათის“, „სვანური პროზაული ტექსტების“ და სხვა პირობებში მოძიებული მასალების მიხედვით. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი ამ თვალსაზრისით არ დამუშავებულა, რაც კვლევას სიახლეს შესძენს და საინტერესოს გახდის ამ დარგით დაინტერესებული მკვლევრებისათვის. ზღაპრებში გმირთა ბედი თუ უბედობა იმთავითვე გადაწყვეტილია: ღარიბი, მშობლებისაგან, ძმისგან თუ დედინაცვლისგან მოკვეთილს მრავალი დაბრკოლების, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადალახვა უწევს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ყველასგან განწირულს გასაჭირში არარეალური პერსონაჟები ეხმარებიან. მათი წყალობით, ბოროტი ძალები (ჯადოქრები, კუდიანები, დევები, ურჩხულები, ქაჯები) მარცხდებიან, გმირის თავგადასავალი კი ბედნიერად სრულდება. ზღაპრულობასაც სწორედ ეს საყოფაცხოვრებო ნივთების საკრალური უნარები და ზეციური ძალების კეთილი ნება განსაზღვრავს. ამ კუთხით, სვანურ ზღაპრებშიც მრავლად იძებნება მაგალითები: ჩვეულებრივი მოკვდავებით მონაწილე ღმერთი, ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი ის ზებუნებრივი ძალებია, რომლებიც მთავარი გმირების წარმატებულ მომავალს განსაზღვრავენ; ყვავი, ჩხიკვი, მტრედი შუამავალი ფრინველებია; დამხმარე ძალაა ცხენი, კატა, კურდღელი, მგელი, ძროხა, მელა, ძაღლი და სხვა. ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებულია ცხენის, რამის სახე, რომელიც ზოგჯერ საჭიტის სახელით, ზოგჯერ უსახელოდ მრავალ ზღაპარში გვხვდება სხვადასხვა ინტერპრეტაციით, თუმცა უმეტესად მთავარი გმირის მცველის, მხსნელის, შემწის როლით; მეზღაპრეები უკვდავების წყლის მოსატანად კურდღლის სირბილის უნარს, ხოლო თვალეზღაპრული პატრონის გადასარჩენად კატის მოხერხებას აძლიერებენ; ოქროს ჯამისა და ჭიქისგან ნაკპურ წყალს მომკვდავი ასულების გადარჩენა, მღვდლის პირსახოცს კი მკვდრის გაცოცხლება შეუძლია; ბეჭედი არა მხოლოდ საყვარელი ადამიანის სამახსოვრო ნივთია, არამედ ჯადოსნური სურვილების შემსრულებელიც; ოქროს ქუდი – ფულის მომცემია; ხალიჩა გმირების ალთასა და ბალთას წამყვანი; ტაბლა საოცარი პურ-მარილის გამშლელი; სარკე - ცისა და დედამიწის ამბების მაცნე; მაკრატელი, ქვასანაყი, ხის სავარცხელი - მტრისგან გასაქცევი დამხმარე ნივთები; ცხენის ტყავი, ცხენის ძვლები - სახლის ასაშენებელი საშუალებები; ხე: წიფლის ხე, არყის ხე, კაკლის ხე, ცაცხვი - მთავარი გმირის დამხმარე მცენარეები და სხვა.

საკითხის აქტუალობა განპირობებულია სვანური ზღაპრებისადმი დიდი ინტერესით, უცნობი მასალის შეგროვებით, დამუშავებით და ხაზგასმით, ახალი რაკურსით წარმოჩენით, კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირებით, მისი მრავალმხრივი ასპექტების თანმიმდევრული, ლოგიკური, არგუმენტირებული და მიზნობრივი ანალიზით.

საკვლევ თემის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გამოყენებულია **კვლევის სხვადასხვა მეთოდი**: **დესკრიფციული** მეთოდი, შლის ფაბულას, აღწერს მოვლენას, ამბავს, მომენტს ფართო რაკურსით და იძლევა საკვლევ საკითხის მრავალმხრივი დამუშავების საშუალებას; **მეცნიერული** მეთოდი იძლევა წამოჭრილი საკითხისა თუ პრობლემის გადაჭრის საშუალებას; **ანალიტიკური**, რომელიც ახდენს მასალის შეგროვებას, ამ მასალის არა უპირობოდ და აპრიორულად მიღებას, ობიექტურ განხილვას და შეფასებას გარკვეული ცოდნის, გამოცდილების და შეხედულების თანახმად;

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სვანური ზღაპრები მრავალპროფილურია. როგორც ზეპირსიტყვიერების ჟანრს, როგორც თაობიდან თაობაში მოგზაურს, ახასიათებს მსოფლიო საზღაპრო სამყაროსთვის დამახასიათებელი და საკუთრივ სვანურისთვის ნიშანდობლივი თვისებები. აქ მთელი სულიერი და უსულო სამყარო ერთიანდება, მოქმედებს მთავარი გმირის საკეთილდღეოდ თუ სამტროდ. ფრინველები და ცხოველები არ წარმოადგენენ ადამიანის ალეგორიულ გამოსახულებას, ისინი დამოუკიდებელი პერსონაჟები არიან, თავიანი უნარების გაძლიერებული მხარეებით; საყოფაცხოვრებო ნივთების სასწაულებრივი თვისებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზღაპრის დაჩაგრული გმირებისთვის. ამ და სხვა ელემენტების სიუხვე დადებითი თუ ნეგატიური დატვირთვით კი ტექსტს აქცევს ზღაპრად.

ლიანა მელიქიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ნათია ჯალაბაძე, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ნინო ღამბაშიძე, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია / საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია

ეთნოლოგია საქართველოში – წარსული, აწმყო, მომავალი

მოხსენება ეხება საქართველოში ეთნოლოგიის განვითარების ისტორიას და დარგის წინაშე წარსულში და თანამედროვე პერიოდში არსებულ გამოწვევებს. ეთნოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოყალიბდა. მის სათავეებთან იდგნენ გ. ჩიტაია (სკოლის ფუძემდებელი), ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, ს. მაკალათია და ა. შ. თუმცა, უფრო ადრე, სხვადასხვა ეპოქის ქართველ ავტორებთან მრავლად ვხვდებით ეთნოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას.

1930-იან წლებში *ეთნოლოგია* „ბურჟუაზიულ მეცნიერებად“ გამოცხადდა და იგი *საბჭოთა ეთნოგრაფიამ* ჩაანაცვლა. ამ მიმართულების სამეცნიერო დისციპლინის სახელწოდებად *ეთნოგრაფია* მხოლოდ საბჭოთა კავშირში და მის სატელიტ ქვეყნებში ფუნქციონირებდა. ეთნოლოგიის აკრძალვით ფაქტობრივად შესუსტდა თეორიული კვლევა, გაძლიერდა ველზე მასალის მოპოვება და დარგი ტრადიციული კულტურისა და ყოფის ემპირიული შესწავლით შემოიფარგლა. შესაბამისად, ეთნოგრაფიამ ვერ შეძლო სოციალური განვითარების პროცესების საფუძვლიანად გამოკვლევა და მისი ტრანსფორმაციის თეორიების შემუშავება. თუმცადა, საქართველოში ეთნოგრაფიამ თავისი დამოუკიდებელი სკოლა შექმნა, რომელიც ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის ფუძემდებლურ, ეთნოლოგიურ კვლევებს ემყარებოდა; ხოლო, საბჭოთა პერიოდის ქართველი ეთნოგრაფები, თეორიული თვალსაზრისით, მსოფლიო ეთნოლოგიური მეცნიერების სტანდარტებთან გათანაბრებულ გამოკვლევებს ქმნიდნენ.

ეთნოლოგიის რეაბილიტაცია და თავისუფალი განვითარება საქართველოში მხოლოდ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ეთნოლოგია ახალ ფაზაში შევიდა და პოსტსაბჭოთა პერიოდში მის წინაშე ძირეული სოციალური, კულტურული და

პოლიტიკური ცვლილებების კვლევის სრულიად ახალი ასპარეზი გადაიშალა. ეთნოლოგებმა შეძლეს ქართული ეთნოლოგიის ახალი მიმართულებით წარმართვა – დაიწყო გარდამავალ პერიოდში წარმოქმნილი, როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე პრობლემების შესწავლა, კრიზისის მიზეზების ძიება და მათი დაძლევის გზების პროგნოზირება.

ამავე პერიოდში წარმოიშვა მნიშვნელოვანი სირთულეები: საჭირო გახდა საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემების ტრანსფორმაცია და საბჭოთა და უცხოურ, ევროპულ, სამეცნიერო სივრცეს შორის არსებული ბარიერის გადალახვა. განათლების სამინისტროს მიერ მეცნიერების დარგში განხორციელებულმა რეფორმებმა სიტუაცია კიდევ უფრო მეტად გაართულა.

თანამედროვე პერიოდში, გლობალიზაციის ტენდენციებმა ქართული ეთნოლოგიის „ანთროპოლოგიზაციის“ პროცესს მისცა ბიძგი, რაც 'ეთნოლოგიის' 'ანთროპოლოგიით' ჩანაცვლებაში მდგომარეობდა. ფაქტობრივად, ეს იყო შედარებით ახალგაზრდა ეთნოლოგთა მცირე ჯგუფის მიერ დარგისთვის სახელწოდების შეცვლის მცდელობა, რაც ქართველ ეთნოლოგთა და ისტორიკოსთა უმრავლესობისათვის არ იყო მისაღები, მით უფრო, როდესაც, ევროპაში ფიზიკურ ან ბიოლოგიურ ანთროპოლოგიად ცნობილი დარგი ჩვენ სამეცნიერო სივრცეში ანთროპოლოგიად იყო აღიარებული. ამავე ჯგუფის ინიციატივით, დაარსდა საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია. ეთნოლოგიის ნიველირების განზრახვა ბოლომდე ვერ განხორციელდა, თუმცა, მის პარალელურად ჰუმანიტარულ დარგებს შორის ანთროპოლოგია დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულებად დამკვიდრდა; ამგვარმა ტერმინოლოგიურმა ჩანაცვლებებმა იმთავითვე გაუგებრობა გამოიწვია, განსაკუთრებით, სტუდენტებსა და ახალგაზრდა თაობაში. ერთი მხრივ, მათ ეთნოლოგია და ანთროპოლოგია სხვადასხვა დარგად მიაჩნიათ, მეორე მხრივ კი, უჭირთ მათი გარჩევა, ვინაიდან ანთროპოლოგია ქართული ეთნოგრაფიული// ეთნოლოგიური სკოლის ტრადიციებს დღემდე ინარჩუნებს. მოხსენებაში, ანთროპოლოგიის სხვადასხვა უცხოურ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, სწორედ ამ რაკურსით იქნება განხილული ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი და საზოგადოდ აღარებული შეხედულებები.

აღნიშნული პროცესების შედეგად, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახ. უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და სხვა) ეთნოლოგია ძირითადად საბაკალავრო და ზოგან სამაგისტრო საფეხურზე ისწავლება. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაუქმდა ეთნოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ეთნოლოგიაში მხოლოდ საბაკალავრო პროგრამა არსებობს, სამაგისტროდ, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ანთროპოლოგიაშია, რაც ამ უკანასკნელის უპირატესობაზე მეტყველებს. შექმნილი ვითარება უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული ეთნოლოგიის ყოფნა-არყოფნის პრობლემას წარმოშობს.

III დარბაზი, III სექცია, V სხდომა

თამარი დიდებაშვილი, ირაკლი ფერაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი თედორობის დღესასწაული ტრანსფორმაციის ეტაპები (ხადას მაგალითზე)

საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ მიწათმოქმედებას, რასაც ადასტურებს არაერთი არქეოლოგიური თუ წერილობითი წყარო. მიწათმოქმედების მრავალფეროვანი დარგების განვითარებამ განაპირობა უძველესი აგრარული დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების არსებობა ჩვენს ქვეყანაში, რაც თავის მხრივ, წარმოაჩენს ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირს. ეს დღესასწაულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული მახასიათებლებით გამოირჩევა. ასევე, პერიოდების მიხედვით განსხვავდება მათი აღნიშვნის წეს-ჩვეულებები და რიტუალები. ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულს განეკუთვნება თევდორობა/თედორობა/თეოდორობა.

თედორობის დღესასწაული დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების ღვთაება თედორესთან, რომელსაც მოსახლეობა შესთხოვდა უხვ მოსავალსა და კეთილდღეობას. ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, თედორობა ცხენების დღესასწაული იყო. ხოლო, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეს დღესასწაული დაუკავშირდა წმ. თევდორე ტირონის ხსენების დღეს. განვითარების ეს ეტაპები კიდევ უფრო ნათელს ხდის დღესასწაულის ტრანსფორმაციის მიზეზებს. სინკრეტიზმის შედეგად, თედორობა ჩამოყალიბლდა ფართო აგრარულ დღესასწაულად ქრისტიანული ელემენტებით.

რაც შეეხება თედორობის დღესასწაულის გავრცელების არეალს, იგი ძირითადად აღინიშნებოდა დასავლეთ საქართველოში. თუმცა, ასევე გვხვდება ხადაშიც, სადაც მთიულები ერთად აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს. სოფელ გომურში დღემდეა შემორჩენილი წმ. თევდორეს ნიშის ნანგრევები. დღესდღეობით, ეს დღესასწაული თითქმის აღარ აღინიშნება საქართველოში. იგი შემოგვრჩა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში. წმიდა თეოდორე ტირონის სახელობის ტაძარში.

მოხსენებაში განხილული იქნება ხადას ხეობაში თედორობის დღესასწაულის აღნიშვნის წეს-ჩვეულებები და რიტუალები. ასევე, პარალელი იქნება გავლებული საქართველოს სხვა კუთხეებში ამ დღესასწაულის შინაარსთან და ნაჩვენები იქნება დღესასწაულის ტრანსფორმაციის ეტაპები დროსა და სივრცეში.

თემის საკვლევად ისტორიული წყაროების გარდა, გამოყენებულია ვერა ბარდაველიძის 1945 წლის ხადას ხეობის ექსპედიციის ჩანაწერები და ჩვენს მიერ ველზე შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა.

ეკატერინე სანიკიძე, ეროვნული არქივი საბჭოთა ცენზურა და პროპაგანდა ქართულ ფოლკლორში

საბჭოთა კავშირმა ქართული ფოლკლორი პოლიტიკურ იდეოლოგიათა მატარებელი და სახელმწიფოს საყრდენი გახადა. 1920-იანი წლებიდან იქმნება ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ ხელოვნების ყველა სფეროს, მათ ეხმარება საგანგებოდ შექმნილი საცენზურო კომიტეტები, რომელთა ნებართვის გარეშე არ ტარდება არც ერთი კონცერტი და ოლიმპიადა,

მტკიცდება რეპერტუარი და გუნდის შემადგენლობა. ჩამოყალიბდა რიგი წესებისა, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა ყველა ლოტბარსა და ხელმძღვანელს. წინააღმდეგობა სიცოცხლისთვის სარისკო იყო.

საბჭოთა ცენზურა ეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და დარგს. ეს იქნებოდა მეცნიერება თუ პრესა, მუსიკა თუ მხატვრობა, თეატრი თუ კინო.

მოხსენებაში შევეცდებით გადმოვცეთ თუ როგორად აქციეს ცენზურამ, იდეოლოგიამ და თანმდევემა მოვლენებმა ხელოვნების ეს დარგი.

ახალი იდეოლოგია ცდილობდა ჩაეკლა მარადიული ღირებულებები, სავალდებულო თემებად იქცა საბჭოთა პატრიოტიზმი, შრომის ჰეროიკა, ახალი გმირების დაპირისპირება წარსულის გმირებთან. ხელოვნებას უნდა გამოეხატა საბჭოთა საქართველოს მშენებლობაში ჩართული ბედნიერი ქართველი ერი.

მიუხედავად გამეფებული ყალბი პათეტიკისა, იდეური წნეხისა, მკაცრი პარტიული ცენზურისა, ქართველმა ხელოვანმა შეძლო მახვილგონივრული ხერხის დახმარებით ამ პერიოდშიც შეექმნა ღირებული სასიმღერო ნიმუშები.

საარქივო მასალაზე დაყრდნობით საისტორიო ც/ა, უახლესი ისტორიის ც/ა, კინოფოტოფონოდოკუმენტების ც/ა) მოხსენებაში განიხილება ცალკეული შემთხვევები, რომლებიც ზედმიწევნით გადმოსცემს ამ ეპოქის მარწუხებს, თუ როგორ დაზარალდა ხელოვნების ესთეტიკური მხარე. დღეს ამას ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წარსულის გასაანალიზებლად და ობიექტურად შესაფასებლად ძალზედ მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგიის აგრესიულობამ აუტანელი პირობები შეუქმნა ხელოვნების ყველა მოღვაწეს, დღევანდელი გადასახედიდან ნათელი ხდება, რომ ქართველმა ერმა ხანგრძლივ ზედამხედველობას გაუძლო, ლოტბარებმა, მომღერლებმა შეძლეს და მკაცრი იდეოლოგიური ზეწოლის მიუხედავად ქართული კულტურული ფასეულობები შეგვინარჩუნეს.

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ალექსანდრე ხახანაშვილის საქველმოქმედო საქმიანობა

მოხსენებაში წარმოვადგენთ ალექსანდრე ხახანაშვილის საქველმოქმედო საქმიანობას. ალექსანდრე ხახანაშვილის მოღვაწეობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაბოლოებამდე მრავალმხრივ იყო გამორჩეული.

საკვლევი თემა აქტუალურია თანამედროვეობასთან მიმართებაში. ალექსანდრე ხახანაშვილი მოღვაწეობდა მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, მისი ინიციატივით და მატერიალური შემწეობით არაერთი სამეცნიერო საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელშიც ჩართული იყვნენ ქართველი სტუდენტები. მან მთელი თავისი სიცოცხლე, საკვლევი-სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციას შეაღწია.

ალექსანდრე ხახანაშვილმა მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში არა მარტო დაარსა ქართული ენის კათედრა, არამედ შემდგომ ამ კათედრისათვის ბიბლიოთეკა და ინვენტარიც კი შეიძინა საკუთარი ხარჯით. მისი ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით მოსკოვში დაარსდა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“. ალექსანდრე ხახანაშვილმა მთელი თავისი ქონება ქართულ საზოგადოებას უანდერძა.

საკითხი შესწავლილია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდებით საარქივო და პრესის მასალებზე დაყრდნობით.

კვლევა მნიშვნელოვანია ალექსანდრე ხახანაშვილის შრომისა და ღვაწლის წარმოსაჩენად და ბევრი საინტერესო მოვლენის დასაზუსტებლად.

ვაჟა შუბითიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ნიკო ნიკოლაძე იაპონიისა და ჩინეთის შესახებ

XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველებს შორის ნიკო ნიკოლაძე ყველაზე კარგად ერკვეოდა პოლიტიკაში, გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებში. მას საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული აშშ-ს, ინგლისის, გერმანიის (პრუსია), ოსმალეთის, რუსეთის, იტალიის, იაპონიის, ჩინეთისა და კორეის შესახებ. ნიკო ნიკოლაძე გამოჰყოფს მაშინდელ (ასევე დღევანდელ) ტენდენციას საერთაშორისო ურთიერთობებში, რასაც „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია ჰქვია და მას სერიოზულად აკრიტიკებს, ასევე გვთავაზობს მისგან თავის დაღწევის გზასაც.

1894 წელს ნიკო ნიკოლაძემ იწინასწარმეტყველა გერმანიის დაწინაურებასთან ერთად მომავალი იაპონური ეკონომიკური სასწაული, ასევე აშშ-ს ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ნიკო ნიკოლაძე დიდად საყურადღებოდ მიიჩნევდა 40 მილიონიანი იაპონიის დაპირისპირებას მასზე 10-ჯერ აღმატებულ ჩინეთთან და 4-ჯერ დიდ რუსეთთან. ნიკო ნიკოლაძე იაპონიის სწრაფი განვითარება და დაწინაურება მოჰყავდა იმის კარგ მაგალითად, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ერი რევოლუციისა და სისხლიანი გადატრიალებების გარეშე;

- ნიკო ნიკოლაძეს ბრწყინვალედ აქვს გაანალიზებული იაპონიის ე. წ. „მეიძის“ მშვიდობიანი რევოლუცია, რამაც მთლიანად შეცვალა იაპონიის შინაგანი წყობა და გატარდა ისეთი რეფორმები, რომლებმაც რეალური შედეგი მისცა ქვეყანას. ნიკოლაძის თქმით, იაპონიის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის კომპლექსურ მეცნიერულ გეგმას საფუძვლად დაედო იაპონელი ხალხის კულტურული მიმკვიდრეობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი;

- იაპონიის მმართველმა მიკადომ ასევე ერთბაშად გადმოიღო ევროპის წესი, კანონი, წყობილება, იარაღი, ჩაცმულობა და პარლამენტიც კი დაარსა, მოსპო დაძიოსების (ფეოდალების) თავნებობა და უფლებები და მათ პენსია დაუნიშნა. ნიკო ნიკოლაძე

დაწვრილებით ანალიზებს იაპონურ რეფორმებს და მათ შედეგებს, რომლებიც ემყარებოდნენ განათლების სისტემის რეფორმას;

- ნიკოლაძე კარგად აჩვენებს რეფორმირებული იაპონიის წარმატების და მის მიერ ჩინეთის ძლევას და ასკვნის, რომ ახალ ვითარებაში სივრცემ და რიცხოვნებამ მნიშვნელობა დაკარგა საერთაშორისო ურთიერთობებში და ახალი ეპოქას დაუდო საფუძველი, ამიერიდან „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას“.

ნატო სონღულაშვილი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ვლასა მგელაძე - მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი

საქართველოს ისტორიის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია ნაკლებად შეფასებული საკითხების ანალიზი და გადააზრება. ამ მიმართულებით საინტერესო ინფორმაციის შემცველია სხვადასხვა პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლების ცხოვრება-მოღვაწეობის შეფასება. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების საფუძვლიანი გააზრებისთვის უნდა განისაზღვროს სხვადასხვა წყაროთა ჯგუფები და ამავდროულად, გამოიკვეთოს იმ მოღვაწეთა ღვაწლი, რომლებმაც განსაზღვრეს და ახალი მიმართულება შესძინეს XIX-XX საუკუნეების მოვლენებს.

ახალი და უახლესი ისტორიის შესაფასებლად მნიშვნელოვანია იმ ფაქტების ანალიზი, რომლებიც ნათლად აჩვენებენ ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლების ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სამი განსხვავებული ქრონოლოგიური მონაკვეთის: მეფის რუსეთის საქართველოს, 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის და საბჭოთა საქართველოს ანალიზი წარმოუდგენელია ვლასა მგელაძის მოღვაწეობის გარეშე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა სამი განსხვავებული დროის ფარგლებში მიმდინარე მოვლენების საქართველოს საკეთილდღეოდ გამოყენებაში.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი და სიღრმისეული ანალიზისთვის სხვადასხვა ფაქტების და მოვლენების შესწავლაა შესაძლებელი, თუმცა საკითხის სრულყოფილად შესაფასებლად მნიშვნელოვანია იმ პირთა ცხოვრება-მოღვაწეობის წარმოჩენა, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის სამომავლო განვითარების პროცესში.

ვლასა მგელაძე წარმოადგენდა ქართული სოციალ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეს, რომლის ბიოგრაფიული ცნობების გადააზრება ბეჭდური მედიის, მემუარული ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტების ერთობლივი დამუშავების საშუალებით საინტერესო შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას მოგცემს. „ვლასა მგელაძე... მარტოდმარტო ეს ფაქტი საკმაოა, რომ ვლასა შვიდეს „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც რაინდი, მზიური

შარავანდედით მოსილი“ - წერდა გრიგოლ რობაქიძე; ვლასა ერთი იყო, მეორე არ გამოჩენილა, არც გამოჩნდება“ - კვერს უკრავდა ნოე ჟორდანიას.²

ვლასა მგელაძის მოღვაწეობა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გარდა პოლიტიკური აქტივობისა, საზოგადოებრივი მიმართულებითაც გარკვეულ ფუნდამენტს ქმნიდა. იგი იმ პირთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება-მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა ახალი და უახლესი ისტორიის საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა სიღრმისეულად მისი ნააზრევი შეფასებული არ არის. ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა, გარდა იმისა, რომ ეპოქის შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს, ასევე ნაკლებად შესწავლილი პოლიტიკური მოღვაწის როლის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ აღწერილობითი მეთოდები. ამ ფონზე, სხვადასხვა პრობლემების შესწავლის და შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ცხოვრება-მოღვაწეობის და ნააზრევის ანალიზი. ვლასა მგელაძის შეხედულებების შესაფასებლად საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია არსებობს. წყაროთა ბაზაში დაცული ინფორმაცია ნათლად მოწმობს მის ღვაწლს და დამოკიდებულებას საქართველოს თავისუფლებისადმი, რაც მისი პოლიტიკური ცხოვრების მთავარ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა.

11 ოქტომბერი

III დარბაზი, III სექცია, I სხდომა

მზია გიგაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ენობრივი ღონისძიებების, როგორც წინააღმდეგობის ფორმის, ერთი კონკრეტული
გამოვლინებისათვის რუსული ლინგვისტური კოლონიალიზმის პირობებში (მე-19 საუკუნის
მაგალითზე)

კოლონიალიზმისა და ენების ურთიერთმიმართების თემა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მე-19 საუკუნის ბოლოდან მოექცა, თუმცა სერიოზული კვლევები ამ მიმართულებით მე-20

² ვ. მგელაძე, 26 მაისი, თბილისი-პარიზი, 1990, გვ. 68

საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და გაგრძელდა მომდევნო ათწლეულებშიც. შრომების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს სოციალურ და ლინგვისტურ უთანასწორობას, რომელიც წარმოიშვებოდა მსოფლიოს ყოფილ კოლონიურ რეგიონებში ევროპული იმპერიალისტური ექსპანსიის შედეგად. მსოფლიო ენების ისტორია იცნობს ყველა შესაძლო შედეგს, რაც შეიძლება დადგეს ამ რეჟიმის დამყარების შემთხვევაში, დაწყებული მარტივი ლექსიკური ნასესხობებით და დამთავრებული ენის სიკვდილითა თუ ახალი ენების დაბადებით.

ენებზე კოლონიალიზმის გავლენის მასშტაბების ასეთი ფართო დიაპაზონი ადასტურებს, რომ კოლონიალიზმისა და ცალკე აღებული ენის ურთიერთმიმართების თითოეული შემთხვევა უნიკალურია თავისი ბუნებით, ისტორიითა თუ განვითარების დინამიკით ისევე, როგორც უნიკალური და განუმეორებელია ნებისმიერი ენა და ის გარემო, რომელშიც ის ფუნქციონირებს. სწორედ ეს ცალკე აღებული შემთხვევები ქმნიან მსოფლიო ენების უმდიდრეს და მრავალფეროვან ისტორიას. კოლონიალიზმისა და ენების ურთიერთობის თითოეული შემთხვევის უნიკალურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადგილობრივი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მისი მოაზროვნე ნაწილის განწყობა კოლონიზატორის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკისადმი, მისი მზადყოფნა, სურვილი და ინტელექტუალური შესაძლებლობები, კოლონიურ რეჟიმს ქმედითი ღონისძიებები დაუპირისპიროს და თავისი გონივრული და გააზრებული საქმიანობით საკუთარი ქვეყანა იხსნას ლინგვისტური და კულტურული ასიმილაციისგან. ასიმილაციის შემაკავებელი აქტივობები წინააღმდეგობის ფორმების სახელით არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ცნობილია სხვადასხვა ასეთი ფორმა, რომელსაც დაპყრობილი ქვეყნის წარმომადგენლები მიმართავენ, ასეთია, მაგალითად, ენის აღორძინების პროგრამები, სტანდარტიზაცია და კოდიფიკაცია, დოკუმენტაცია, კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივები, ლიტერატურისა და მედიის განვითარება და სხვა.

წინამდებარე მოხსენებაში ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს ენობრივი ღონისძიებების ერთი კონკრეტული გამოვლინების - ენის სტანდარტიზაციის, როგორც ასიმილაციის შემაკავებელი (იგივე წინააღმდეგობის) ფორმის, ბუნების წარმოჩენა, რაც რუსული ლინგვისტური კოლონიალიზმის ანატომიის ჩვენებასა და იმპერიული რეჟიმის ქართულ ენაზე გავლენის ხასიათის, მასშტაბებისა და შედეგების ანალიზსაც გულისხმობს.

თუ მე-19 საუკუნეში ქართულსა და სხვა ენებს რუსული ლინგვისტური კოლონიალიზმის სირთულეების დამლევა უხდებოდათ, დღეს ინგლისური ლინგვისტური იმპერიალიზმის გამოწვევების წინაშეა მსოფლიოს არაერთი ენა და, მათ შორის, ქართულიც, რომლებზედაც ინგლისური ლექსიკის, ენობრივი ფორმებისა თუ ესთეტიკის წნეხი ეტაპობრივად იზრდება. შესაბამისად, სტანდარტიზაციის მიმართულებით მე-19 საუკუნის ენობრივი გამოცდილების გააზრება და თანამედროვე პირობებში გამოყენება არასდროს იქნება ინტერესმოკლებული. საკითხი, ძირითადად, შესწავლილია დოკუმენტურ წყაროებსა და მე-19 საუკუნის ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით. დოკუმენტური წყაროები აერთიანებს მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა, ისტორიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლურ მემკვიდრეობას. პრობლემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ლინგვისტური და ფილოლოგიური კვლევების ინტეგრირებული მეთოდები.

პრესის მასალებისა და დოკუმენტური წყაროების ანალიზმა გვიჩვენა, რამდენად გააზრებული, მიზანმიმართული და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხო იყო მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა. ერის ლიდერი ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები კარგად ხვდებოდნენ, რომ ენა იყო ის ძირითადი ბერკეტი, რომელიც რუსულ კოლონიურ რეჟიმს ჰქონდა ამუშავებული თავისი კოლონიური მიზნების მისაღწევად და მათაც ენობრივი ღონისძიებები და, კერძოდ, ენის სტანდარტიზაცია აქციეს ერთ-ერთ სტრატეგიულ იარაღად ენობრივი და კულტურული ასიმილაციის წინააღმდეგ.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი #FR-21-2197, „XIX-XX საუკუნეების ქართელ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (X-XI ტომები)“].

ქეთევან გიგაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მორფოლოგიურ ცვლილებებში შენიშნული ზოგიერთი ენობრივი უნივერსალისთვის

მოხსენება ეხება მორფოლოგიურ ცვლილებებში ენობრივ უნივერსალიათა იდენტიფიცირებასა და ანალიზს. კვლევის ობიექტად შერჩეულია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლები, რომელთა შემცველი ხელნაწერების დროული დიაპაზონი შესაძლებლობას ქმნის, ენის განვითარების დინამიკას დავაკვირდეთ საუკუნეების მანძილზე. ენობრივი ცვლილებები და უნივერსალიები თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების არნახული პროგრესის პირობებში, როცა კომუნიკაციისა და მედიის ტრანსფორმირებული სივრცე - ინტერნეტი, სოციალური მედიის პლატფორმები და ციფრული კომუნიკაციის საშუალებები ყოველდღიურად უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის ენობრივი ცვლილებებისა და ლინგვისტური ინოვაციებისთვის, ენობრივი უნივერსალების გაგება უდიდეს მნიშვნელობას იძენს: მათი იდენტიფიცირება ხელს უწყობს ენის ფუნდამენტური თვისებებისა და დროთა განმავლობაში მისი ევოლუციის გააზრებას, ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ლინგვისტური ტიპოლოგიის შესახებ და საინტერესო მასალას აწვდის როგორც თეორიულ ლინგვისტიკას, ისე ფსიქოლინგვისტიკასა თუ კოგნიტურ მეცნიერებებს და, რაც მთავარია, მათი სწორი შეფასება ენათმეცნიერებს ეხმარება ენის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაში. ნაშრომში განხილულია შიდა ფაქტორებით განპირობებული მორფოლოგიური ცვლილებები და გაანალიზებულია ისეთი ენობრივი უნივერსალიები, როგორცაა დეფონოლოგიზაცია, გამარტივებისაკენ სწრაფვის ტენდენცია და ანალოგია. ამ უკანასკნელის გამოვლინებებია განსხვავებულობისა და გამონაკლისების მოშლის, იგივე ასიმეტრიული სისტემის სიმეტრიულად ქცევის ტენდენციები.

დეფონოლოგიზაციით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილების მიზეზი შეიძლება გახდეს ის ფაქტი, რომ მომდევნო თაობისთვის ფონოლოგიურმა წესმა დაკარგოს გამჭვირვალობა ფონოლოგიური ცვლილების გამო და მან ვეღარ მოახერხოს ამ ცვლილების წყაროს იდენტიფიცირება. ფონოლოგიური ფენომენის გადაქცევა მორფოლოგიურ ფენომენად შედეგია ფონეტიკა-ფონოლოგიასა და მორფოლოგიას შორის საზღვრების გადაკვეთისა. ამისი

თვალსაჩინო მაგალითია ქართულში უწყვეტელსა და წყვეტილში გარკვეული ტიპის ზმნებთან თანხმობანთგამყარის მწკრივის ნიშნად გააზრება.

ენის ცვლილების წყარო შეიძლება იყოს პარადიგმებს შორის განსხვავებები. ენები ხშირად იცვლება, რათა პარადიგმები უფრო თანმიმდევრული გახადოს. ამ მიზნით ენებში ხშირად ხდება არსებული შაბლონების დაკოპირება როგორც პარადიგმის შიგნით, ისე მის გარეთ. პარადიგმის ნიმუშების ამგვარი კოპირება არის ენის ცვლილების ნაწილი, რომლის საფუძველიც არის ანალოგია. ის არის მნიშვნელოვანი გამწვევი ძალა მორფოლოგიური ევოლუციის დროს. ანალოგიის გავლენით იშლება სხვაობები სისტემებს შორის და პარადიგმები უნიფიცირებული ხდება. ამის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ საკუთარ სახელთა ბრუნების გათანაბრება საზოგადო სახელებთან, -ეთ მაწარმოებლიანი და სონორ თანხმობებზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელთა გათანაბრება სხვა თანხმობანთგამყარის სახელებთან ვითარებით ბრუნვაში, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უნიფიცირება სხვა მოქმედებითი გვარის ზმნებთან, -ოდ სავრცობიანი ზმნებისა - -დ სავრცობიანებთან უწყვეტელსა და კავშირებითში მწკრივის მარკირების კუთხით და სხვა მრავალი, რომელთა შესახებაც ვრცლადაა საუბარი მოხსენებაში. აღნიშნული გვაქვს, რომ სისტემებს შორის განსხვავებების მოშლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიხშირის ფაქტორს.

სტრუქტურათა გამარტივებისკენ სწრაფვა არის ენობრივი ცვლილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ მიმართულებით წარიმართა ცვლილებები როგორც ცალკეულ სახელთა ბრუნებაში (მაგ., ხმოვანთგამყარის საზოგადო სახელების სახელობითში მარკირების მოშლა, ხოლო უკვეცელი სახელებისა და ხმოვანთგამყარის საკუთარი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტის დაკარგვა), ისე მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმაში, ბრუნვათა გავრცობაში, თანდებულებსა და ზმნისწინებში. ეს ტენდენცია გამოვლინდა აგრეთვე მწკრივთა რაოდენობის შემცირებაში, ბრძანებითისა და ხოლმეობითის მწკრივების მოშლაში და ა. შ. სისტემის სრულყოფილებისკენ და ნაკლები ფორმების შევსებისკენ მიმართული ცვლილებები ასევე ანგარიშგასაწევი ფაქტორია მორფოლოგიური ევოლუციის ანალიზისას.

პრობლემის შესწავლისას გამოყენებულია ინტერდისციპლინური კვლევების - ისტორიული ლინგვისტიკის, ფილოლოგიური და ხელნაწერი კვლევების ინტეგრირებული მიდგომები.

საკითხის შესწავლამ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში გვიჩვენა, რომ შუა საუკუნეების ნუსხებში ასახული მორფოლოგიური ცვლილებები ქართულ ორიგინალურ ძეგლებში დადასტურებული ცვლილებებისგან განცალკევებით არ დგას და მათთან ერთად ქმნის ქართული ენის ისტორიული განვითარების საერთო სურათს. ის ენობრივი უნივერსალიები კი, რომელთა იდენტიფიცირებაც შევძელით, მთავარი წარმმართველი ძალაა შიდა ფაქტორებით გამოწვეული ენობრივი ცვლილებებისას.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი #FR-21-4884, „ათონის მწიგნობრულ-ლიტერატურული სკოლის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის ელექტრონული აკადემიური გამოცემა (ნაწილი II)“].

ნათია სადღობელაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლებისას ენის ფლობის ექსპლონირანი სისტემის
(A1, A2, B1, B2, C1, C2) სიტყვიერი მარაგის (ლექსიკონის) ზომის შეფასების მნიშვნელობა
საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად

CEFR-ის დოკუმენტზე დაყრდნობით ევროპული ენებისთვის(ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და სხვა.) უკვე დადგენილია რა რაოდენობის ლექსიკის ცოდნა მოეთხოვება ენის შემსწავლელს ენის ფლობის კონკრეტული საფეხურის (A 1, A2, B1, B2. C1, C2) დასაძლევად, ამავე დოკუმენტის დესკრიფტორების გათვალისწინებით შემუშავებულია ენის ფლობის განსაზღვრელი ტექსტები (DELTA-DALF, TOEFL და სხვა.) და საათობრივი ჩარჩო, რომელიც საჭიროა ენის ცოდნის დონის დასაძლევად. სამწუხაროდ, ქართული ენის ლექსიკური ფონდი შესწავლილი არ არის CEFR-ის დესკრიფტორებთან მიმართებით და არსებობს მხოლოდ დესკრიფტორების ქართული თარგმანი, რაც საშუალებას არ იძლევა განისაზღვროს, მაგალითად, ქართული ენის A1 დონის დასაძლევად რა რაოდენობისა და კონკრეტულად რომელ ლექსიკურ ერთეულებს უნდა ფლობდეს ენის შემსწავლელი, ასევე რამდენი საათი უნდა დაეთმოს ამ საფეხურის სრულად დაძლევას, რომელ ლექსიკურ ერთეულებს უნდა შეიცავდეს A1 საფეხურის ლექსიკონი და როგორი შეიძლება იყოს საკითხავი ლიტერატურა ენის ცოდნის ამ საფეხურზე. არაქართულენოვანი სამეცნიერო წყაროები (Benigno, Milton, Volodina) მიუთითებენ, რომ საკითხის გადაჭრა შესაძლებელია კოსპუსლი ანალიზის მეთოდით, რადგან არსებული წყაროები სწორედ კორპუსულ მონაცემებს ემყარება.

შესაბამისად, ქართული ენისთვის A1, A2, B1, B2, C1, C2 დონეების შესაბამისი ლექსიკური მარაგის დასაძგენად საჭიროა არსებული კორპუსების - ქართული ენის კორპუსი(დობორჯგინიძე, ლობჯანიძე 2012) ქართული ენის ეროვნული კორპუსი (გიპერტი, თანდაშვილი 2011) შესწავლა. დაკვირვების ობიექტი -ამოსავალი ლემა უნდა იყოს, რადგანაც ქართულ ენაში - სახელური ძირი შეიძლება აწარმოებდეს 3750 ფორმადე, ხოლო ზმნური - 33,260 სუბიექტური და ობიექტური უღლების პარადიგმებისათვის (ლობჯანიძე, 2022). განსაზღვრული ყურადრება უნდა დაეთმოს სემანტიკურ ანალიზს, რადგან CEFR-ის აღმწერები მხოლოდ თემებსა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას ეყრდნობა. კორპუსის ფარგლებში უნდა გამოვლინდეს ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები და შემდეგ თითოეული მოერგოს ამა თუ იმ აღმწერს, რაც დაადგენს კავშირს ლექსიკურ ერთეულსა და ენის ფლობის ექსპლონირანი სისტემას შორის. შედეგად დადგინდება, საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს (CEFR) აღმწერების შესაბამისად, რა რაოდენობის და რომელ ლექსიკას უნდა ფლობდეს ქართული ენის შემსწავლელი A1-დან C2-საფეხურის ჩათვლით.

მიღებული შედეგი მრავალმხრივ საინტერესო და სასარგებლო იქნება ერთი მხრივ ქართული ენა შეუერთდება დიდ ევროპულ ოჯახს და ევროპული ენების მსგავსად შესწავლილი იქნება CEFR-ის დესკრიფტორებთან მიმართებით, მეორე მხრივ, ქართულის, როგორც მეორე და უცხო ენის კურსები იქნება გაცილებით მაღალი ხარისხის, დაინტერესებულ პირებს(მათ შორის სახელმწიფოს) ექნებათ შესაძლებლობა შეიმუშაონ ქართული ენის ფლობის

განმსაზღვრელი ტესტი, ასევე შეიქმნას საკითხავი ლიტერატურა და ლექსიკონები A1 საფეხურიდან C2 საფეხურის ჩათვლით.

მედეა საღლიანი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ეთნოლინგვისტური ასპექტებისათვის
სვანურში

სამეცნიერო ლიტერატურის განხილვამ აჩვენა, რომ **სამოსელთან** დაკავშირებული ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია და ამ ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური და შემდგომისდაგვარად ეტიმოლოგიური ანალიზი დღემდე არ განხორციელებულა სვანურში. სვანური ლექსიკის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფების თვალსაზრისით შესწავლა კი ძალზე მნიშვნელოვანია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ სერიოზულ საფრთხეს, უმწერლობო ქართველურ ენებთან დაკავშირებით, რაზეც თავის დროზე აკად. ა. შანიძე მიგვანიშნებდა: **"ჯერ კიდევ შეიძლება მივუსწროთ და აღვუსხოთ ხალხური სიტყვიერების მასალები, რომლებიც კილოების კუთვნილებას შეადგენს"**. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ სვანური დარგობრივი ლექსიკის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ჯგუფის – სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების შესწავლა-სისტემატიზაციაა ეთნოლინგვისტური ასპექტებით.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება **სინქრონიულ-დიაქრონიული, დესკრიფციული (აღწერითი), ისტორიულ-შედარებითი, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდები** და ა. შ. საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ ა. შანიძის, მ. ქალდანისა და ზ. ჭუმბურიძის მიერ მრავალი წლის მანძილზე რუდუნებით შეკრებილი უძველესი სვანური ტექსტების საფუძველზე შედგენილ **„სვანური ენის ქრესტომათისა“** და **„სვანური პროზაული ტექსტების (ოთხივე ტომის)“**, გამოსაცემად მომზადებული **„ჩოლურული პროზაული ტექსტების“**, მ. ქალდანისა და ვ. თოფურიას **„სვანური ლექსიკონის“**, ბ. ნიჟარაძის **„ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონის“**, ას. ლიპარტელიანის **„სვანურ-ქართული ლექსიკონის (ჩოლურული კილო)“**, ალ. დავითიანის **„სვანური ანდაზების“**, მ. საღლიანის **„ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში“** და ა. შ. მასალებს.

საილუსტრაციოდ გამოყენებული მასალა, ბუნებრივია, შედარებული იქნება სათანადო ქართულ-ზანურ მასალასთან და ამ შედარება-შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: 1. **სხვა ენათაგან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები**, 2. **საერთოქართველური დონის მასალა**, 3. **საკუთრივ სვანური მასალა**. თითოეულ ჯგუფში კი, საკვანძო სიტყვების გათვალისწინებით, ქვეთავებად იქნება წარმოდგენილი თემატურად სისტემატიზირებული მასალა:

1. **სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები** (მაგ.: **ლერექ** [ზს., ქს.] 1. „ტანსაცმელი; სამოსელი“; 2. ზს. „ქვეშაგები“; **ლერექ** [ლეღდმგ (ბზ.)/ლერექ [ლეღდისგ (ბქ.)/ლერექ [ლეღდმგ (ლშზ., ჩოლ.)/ლერექ [ლეღდესკ/ლექქმ-ლეღდეს (ლნტ.) „ტანსაცმელ-ფეხსაცმელი“...];

2. **სამოსლის სახეობები** (მაგ.: **ბულზა** (ბზ.)/**ბულუზა** (ბქ.)/**ბლუზ** [ლნტ.]/**ბლუზა** (ლშზ., ჩოლ.)/**ბოლოზ** [ჩზხ., ლხმ.) < ქართ. ბლუზა/ბლუზ-ი (< რუს. **Блуза** < ფრანგ. **Blouse** „ბლუზი,

ხალათი“) 1. „თხელი ზედა სამოსი ქალისა“, 2. „მამაკაცის ზედა ხალვათი სამოსი, _ ხალათი“; **სურდუქ** (ბქ.) < ქართ. სერთუკ-ი (< ფრანგ. **surtout** „[განძირი] ზედა სამოსი“) „მამაკაცის ძველებური, ორბორტიანი, წელში გამოყვანილი ზედა ტანსაცმელი, გრძელი...“;

3. **სამოსლის ნაწილები** (მაგ.: **ქმნეუ** (ზს., ქს.)/**ქმნეუ/ქმნაუ** (ზზ.)/**ქმნეუ/ქმნაუ** (ბქ.) 1. „სახელო“, 2. „უბე“; **ჯიბ** (ზს., ლნტ.)/**ჯიბა** (ქს.)/**ჯიბა**(ლზზ., ჩოლ.)/**ჯიბ**(ლნტ.) < ქართ. ჯიბე (< სპარს. **جيب** < არაბ.) „ზედა ტანსაცმელზე მიკერებული პატარა პარკი ფულის, ცხვირსახოცის და მისთ. ჩასადებად“; **ჭიწ**(ლზზ.)/**ჭიწ** (ბქ.)/**ჭიწ** (ლზზ.) „საყელო“...);

4. **სამოსლისათვის გამოყენებული მასალა** (მაგ.:**ამრიკ**(ლზზ., ჩოლ.)/**ამრიკ**(ბქ.)/**ამრიკ**(ლზზ., ჩოლ.)/**ამერიკ**(ლნტ.) < ქართ. ამერიკა „უბეში ქსოვილი ბამბეულისა, – ნარმა“; **სგძრ** (ზს.)/**სგურ** (ლზზ., ჩოლ.) „ხამი ტილო; კანაფის ძაფის ქსოვილი“...).

თემატური თანმიმდევრობით დაჯგუფებული და ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლილ-გაანალიზებული სვანური დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც ეყრდნობა როგორც სვანურ ხალხურ პოეტურ და პროზაულ თხზულებებს, ლექსიკონებს, ასევე ჩვენ მიერ წლების მანძილზე მეტიის, ლენტეხისა და კოდორის ხეობებში სავსე პირობებში მოძიებულ დიდძალ მასალას, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია არა მხოლოდ სვანური ენის ლექსიკური ფონდის შევსებისა და ამ ლექსიკურ ერთეულთა გადარჩენის თვალსაზრისით, არამედ ამგვარად შესრულებული სამუშაო ერთგვარ წვლილს შეიტანს ქართული ტერმინთაზნის პროგრამით გათვალისწინებული ტერმინთაზნის შევსებისა და არაერთი მივიწყებული ძირძველი ქართული სიტყვების გადარჩენის საქმეში.

ნატო შავრემიანი, თსუ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი სასწავლო-საგანმანათლებლო ენის საკითხები სვანეთის სკოლებში (XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იანი წლებში)

მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ამოქმედება და ქართული ენის მიზანმიმართული დევნა XIX საუკუნის დასაწყისში (1801 წლიდან) საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისთანავე დაიწყო. მშობლიური ენისა და კულტურის წინააღმდეგ გამძაფრებული ბრძოლა კი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა, როცა 70-იანი წლების სასწავლებლებში ადგილობრივი ენების მასწავლებელთა შტატები გააუქმეს (მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით ტოვებდნენ) და ქართული ენის სწავლების საჭიროება, მხოლოდ მოსწავლეთა ნება-სურვილს დაუქვემდებარეს. ამას მოჰყვა კ. იანოვსკის ე. წ. ცირკულარი (1881 წ.), რომლის თანახმადაც „ყველა ტიპის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, ხოლო დედაენა არასავალდებულოდ გამოცხადდა. 1885 წელს გამოქვეყნებული მეორე ცირკულარით, ქართული ენა სრულიად განიდევნა სკოლიდან, სასულიერო სემინარიაში აიკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება, ეგზარქოსის განკარგულებით, სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვეს ეროვნებით ქართველი მასწავლებლები“ (წულეისკირი 2020:6-7) და დაინერგა ე. წ. „მუნჯური მეთოდით“, როდესაც მოსწავლეს არ ესმოდა მასწავლებლის ენა და არც მასწავლებელს მოსწავლისა.

არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოსი, ვისაც არ შეეხო გარუსების პოლიტიკა. განსაკუთრებით უტევდნენ სამეგრელოს, სვანეთსა და აფხაზეთს, აღვივებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის ეთნიკურ და ეროვნულ კონფლიქტებს: „უსამართლობა და პედაგოგიური მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოა მეგრელების, სვანების, აფხაზეთისა და ოსებისათვის სალიტერატურო ქართული ენის სწავლება. თუ ერს არა აქვს მწერლობა და ღვთისმსახურების ენა, უნდა ასწავლო რუსული და სლავიანური!“ (იქვე, 2020:16-17).

რუსული ენობრივი პოლიტიკის მიზანი იყო, სვანეთის მოსახლეობისათვის კიდევ უფრო მეტად შეეფერხებინა განათლების ხელმისაწვდომობა ქართულ ენაზე. სწავლა-განათლება ამ რეგიონისათვის, მისი გეოგრაფიული, ასევე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე ისედაც არ იყო ადვილად მისაწვდომი „სვანეთი რომ რუსეთს შუერთდა (1853 წ.), ამ ქვეყანაში არ იყო წერა-კითხვის არცერთი მცოდნე სვანი. შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე იზრდება რამდენიმე სვანი. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში... მთავრობა იწყებს სკოლების გახსნას... ქართულ ენას საშინლად სდევნიდნენ ამ სკოლებიდან... სწავლა-განათლების საქმე წინ ვერ წავიდა. ამისი უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ ადგილობროვით სწავლის გათავების შემდეგ ბავშვის მშობლებს სიღარიბის გამო საშუალება არ ჰქონდათ, რომ თავისი შვილი სვანეთს გარეთ სადმე სწავლის გასაგრძელებლად და დასამთავრებლად გაეგზავნათ“ (გაბლიანი 1925:158).

რუსული ენის განათლების სისტემაში გაბატონებას „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879 წ.) დაუპირისპირდა ინიციატივით, რომ, ყველგან, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, უნდა გახსნილიყო არასახელმწიფო სკოლები, სადაც ქართულ ენაზე ასწავლიდნენ მოსწავლეებს. გამონაკლისი არც სვანეთი ყოფილა და დეკანოზი იოანე მარგიანი 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ წერს: „ამჟამად ზემო სვანეთში სულ სამი სკოლაა: ორი „ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელობაზედ, ივარში და მესტიაში, მესამე კი სახელმწიფო - მუჟალში. ...უკანასკნელში ქართულს ენას არ ასწავლიან და ამიტომ რუსულის ენის სწავლება სვანურის ამარად უძნელდებათ“.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სვანეთის სასწავლო-საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იანი წლებში, სამეცნიერო ლიტერატურისა და საქართველოს ეროვნული არქივის განსახკომის მასალათა განხილვის საფუძველზე, სადაც ყურადღებას გავამახვილებთ სასწავლო ენასა და სახელმძღვანელოებზე.

III დარბაზი, III სექცია, II სხდომა

**გიორგი ჯღარკავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვაზიპარემიათა სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტები ქართულში**

თანამედროვე ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი *პარემია* (ბერძნ. Παροιμία) ხშირად ანდაზის სინონიმად მიიჩნევა, თუმცა აღნიშნულ ცნებაში პარემიოლოგები ზოგჯერ გაცილებით ფართო მნიშვნელობასაც დებენ და, გარდა ანდაზისა, მასში იდიომებს,

იგავებს, აფორიზმებსა და სხვა ენობრივ ერთეულებსაც მოიაზრებენ. ცნობილია, რომ ტრადიციული ანდაზების გვერდით გვხვდება მათი გარდაქმნილი ვარიანტებიც, ე.წ. **კვაზიანდაზები** (სხვა ტერმინოლოგიით – *ანტიანდაზები*), რომლებშიც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სიბრძნე მოდიფიცირებულია და მისადაგებულია თანამედროვე ყოფასთან, კონკრეტულ სიტუაციასთან. ანდაზების ამგვარი ტრანსფორმაცია სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, თუმცა ხალხში გავრცელებული ანდაზების პარალელურად მათი ვარიანტების შექმნის უმთავრესი მოტივაცია კომიკური და ირონიული (resp. სატირული-იუმორისტული) ელფერის შექმნაა (Militz 1999; Shurghaia 2008; Anand 2014; Litovkina 2014; შავლაძე 2015; ქამადაძე 2016; Pavlović 2016; ჯღარკავა 2021, 2023).

ანდაზების მიზანმიმართული ტრანსფორმაციისა და ამ გზით კვაზიანდაზების გაჩენის ანალოგიურად, ქართულში დასტურდება საყოველთაოდ ცნობილი იდიომებისა და აფორიზმების გარდაქმნის შემთხვევებიც. მათი კვლევის აქტუალობას, უპირველესად, განაპირობებს ის ფაქტი, რომ მსგავსად კვაზიანდაზებისა, **კვაზიიდიომებსა** და **კვაზიაფორიზმებსაც** გარკვეული დანიშნულებით ვხვდებით უმეტესად არა ყოველდღიურ მეტყველებაში, არამედ ონლაინსივრცეში (სოციალური ქსელები, მედიადისკურსი, სარეკლამო ტექსტები და სხვ.).

მოხსენებაში ვრცელი ემპირიული მასალის მიხედვით და სათანადო მეთოდოლოგიური ჩარჩოს (დესკრიფციული, სტრუქტურული და კონტრასტული ანალიზის მეთოდები) გამოყენებით გავაანალიზებთ ქართული იდიომების, აფორიზმებისა და ანდაზების **კვაზიიდიომებად**, **კვაზიაფორიზმებად** და **კვაზიანდაზებად** გარდაქმნის გზებს, მექანიზმებსა და მოტივაციას.

მაია ნინიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კომპლექსური ინტერდისციპლინური კვლევები ტექსტის დათარიღებისათვის

ამა თუ იმ მწერლის მეცნიერულად სანდო ბიობიბლიოგრაფიის შესადგენად საჭიროა წყაროებში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება და უთარილო ტექსტებისა და ცხოვრებისეული ფაქტების დათარიღება. წლების განმავლობაში შევიმუშავეთ არაერთი სტრატეგია კონკრეტული მეთოდების გამოყენებით, მაგრამ არ არსებობს ერთი მზა რეცეპტი. ყველა ცალკეული შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. წინამდებარე მოხსენებაში წარმოგიდგენთ, რა სახის კვლევები დაგვჭირდა იმისათვის, რომ გალაკტიონის ერთი ლექსის დაწერის დრო მეცნიერულად დაგვესაბუთებინა. საქმე ეხება მის ლექსს „მერის თვალებით“.

მართალია, მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მეხუთე ტომში ნათქვამია, რომ ლექსი დაწერილია 1936 წელს და არა 1914-ში, როგორც ეს ავტოგრაფზეა მიწერილი, მაგრამ ეს არის მხოლოდ მოსაზრება, რომელიც არ არის განმტკიცებული კვლევით და არგუმენტებით. შესაბამისად, გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიაწეში, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მოვლენების ქრონოლოგიური დალაგებაა, ამ ფაქტს

1936 წლის მოვლენებში გადაუმოწმებლად ვერ შევიტანდით. გალაკტიონის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებში მითითებული თარიღები რომ სანდო არ არის, ეს არაერთმა კვლევამ დაადასტურა, მაგრამ ძნელია ასეთ ფალსიფიკაციაზე საუბარი, როდესაც არსებობს ავტოგრაფი, რომელსაც შემოქმედებითი პროცესის კვალი აშკარად ეტყობა (რაღაცეები გადახაზულია და იმავე მელნთ იქვეა შესწორებული) და ბოლოში იმავე მელნით იმავე სტილში აქვს მიწერილი თარიღი – 1914 (ა-142-1).

ჩვენს წინაშე დადგა ამოცანა, დაგვედგინა ამ ორი თარიღიდან – 1914, 1936 რომელი არის სწორი. ბიობიბლიოგრაფიებზე მუშაობისას ვიყენებთ ტექსტების დათარიღების არაერთ მეთოდს, მათ შორის ტექსტში მოხსენიებული რეალიების მიხედვით დათარიღებას, კალენდარულ მეთოდს, კორპუსულ კვლევას და სხვ. ასე დაგვითარიღებია უამრავი პირადი წერილი და დღიურის ტიპის ჩანაწერი, მაგრამ ლექსის ჟანრობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე მასში ექსპლიციტურად იშვიათად ჩანს პირდაპირი კავშირი ავტორის იმ ბიოგრაფიულ პერიოდთან, რომელშიც იქმნება. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ავტოგრაფის სუბსტრატზე გაკეთებულ მინაწერებს, რომლებიც შეიძლება ლექსის შინაარსთან კავშირში არ იყოს, მაგრამ დროითი თვალსაზრისით მასზე მუშაობის რომელიმე ეტაპს ემთხვეოდეს.

ავტოგრაფის სუბსტრატზე გაკეთებული მინაწერების კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტექსტის მწვანე მელნით რედაქტირების ეტაპზე ავტორს წინ ედო არა მხოლოდ ის ფურცელი, რომელზეც ლექსის სრული ავტოგრაფია და რომლის რედაქტირებასაც აკეთებდა, არამედ ამავე ლექსის ფრაგმენტის ფურცელი (ა-142-3) და ლექსის „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი...“) გვიანდელი ფრაგმენტი (ა-99). კვლევის პროცესში შევისწავლეთ ავტოგრაფთან გაკეთებულ მინაწერები: ვიოლინოს გასაღებიანი ფაქსიმილები, იასინსკის ხელმოწერები, „კუნსტკამერა“ და „კუკრინიქსები“, მაგრამ მთავარ მიზანს ვერ მივაღწიეთ, ვერ განვსაზღვრეთ ჩვენთვის საინტერესო ავტოგრაფის ქვედა შრის თარიღი, შესაბამისად კი ლექსის დაწერის დრო. ამაში საბოლოოდ დაგვეხმარა გრაფემატული კვლევა. გალაკტიონის ხელწერის ქრონოლოგიური ბაზების შესწავლით გავარკვიეთ ალტერნატიული ორი წლიდან თითოეულისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ჩავატარეთ შედარებითი კვლევა და დავადგინეთ, რომ იასამნისფერი მელნით ნაწერი ქვედა შრე რამდენჯერმე მეტ მსგავსებას აქვდა 1936 წელთან და საბოლოოდ დავადგინეთ, რომ ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1936 წლის 11 ნოემბერს ოლია ოკუჯავას დაპატიმრებიდან იმავე წლის 16 ნოემბრამდე – მწერლის თხზულებათა პირველი ტომის (რომელშიც ლექსი პირველად დაიბეჭდა) გამომცემლობისთვის გადაცემამდე.

წინამდებარე კვლევა არგუმენტირებულ პრეცედენტს ქმნის იმისას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ავტორის მიერ არა მხოლოდ პუბლიკაციებთან მიწერილი თარიღები შეიძლება ტყუოდეს, არამედ ფალსიფიცირებული იყოს ავტოგრაფებთან მიწერილებიც. მართალია, ეს დასკვნა უფლებას არ გვაძლევს, რომ ეჭვი შევიტანოთ ყველა ავტოგრაფთან მიწერილ თარიღებში, მაგრამ ამაღლებს ჩვენს მოტივაციას, ასეთი ეჭვის გაჩენის რეალური მიზეზის არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალურად ვიკვლიოთ თითოეული შემთხვევა.

**ნიკოლოზ შამუგია, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რამდენიმე ანტიკური პარალელი ჯოვანი პასკოლის შემოქმედებაში**

საკვლევი თემა: მოხსენება ეხება ძველბერძნულ-რომაულ მწერლობაში დადასტურებულ რამდენსამე მხატვრულ სახესა და მეტაფორას, რომლებიც გვხვდება ჯოვანი პასკოლის პოეზიაშიც.

აქტუალობა: შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურის ამა თუ იმ თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებაში პარალელების დაძებნა ანტიკურ მწერლობასთან.

პრობლემა: აღნიშნული საკითხის კვლევა ზოგადად შეიძლება ორი მიმართულებით წარიმართოს: ა) იმ შემთხვევების შესწავლა, როდესაც მწერალი ლექსში ახსენებს ანტიკურ პერსონაჟებს და გარკვეულ დატვირთვას ანიჭებს მათ სახეს; ბ) იმ შემთხვევების გამოვლენა და შესწავლა, როდესაც მწერალი ლექსში არ ახსენებს ანტიკურ პერსონაჟებს (შესაძლოა, არც ფიქრობდა რაიმე ანტიკურ ნაწარმოებზე) მაგრამ მსგავსება ანტიკურ ლიტერატურულ სახესთან თუ ტროპულ მეტყველებასთან აშკარაა და შედარება გამართლებულია. ჩვენ სწორედ ამგვარი პარალელები გვაინტერესებს.

მეთოდი: შედარება.

დასკვნა: ანტიკურ პოეზიასთან პარალელის გავლება შეიძლება ჯოვანი პასკოლის შემდეგ ლექსებში: „Lo stornello“, „La cucitrice“, „Notte dolorosa“ და „La vite“.

**გიორგი მაჭარაშვილი, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტი)**

როდის გახდა „წვრილი ერი“ დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტორი

ერი მასობრივი ფენომენია. ერის ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასები აქტიურად უნდა იყოს ჩართული. ეს ყოველდღიურ პლებისციტში მონაწილეობას ჰგავს (შდრ. ერნესტ რენანი). მოდერნისტების თანახმად, ასეთი რამ მხოლოდ ახალ დროში გახდა შესაძლებელი. ისინი მიიჩნევენ, რომ ერი როგორც სოციალური ფენომენი, ახალი დროის მოვლენაა, რადგან ფართო მასები ეროვნული იდეალებით გაიმსჭვალნენ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ აქტორებად ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ მხოლოდ ახალ დროში.

ქართველი ეთნოსიმბოლისტები (მე მათ ფსევდოეთნოსიმბოლისტებად მივიჩნევ) მხარს უჭერენ მოდერნისტულ მიდგომებს. ისინი მიიჩნევენ, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, ანუ ქართული ელიტის წარმომადგენლები, რომელთა ცოდნის თვალსაწიერი გაცილებით ფართო იყო, ვიდრე წერა-კითხვის უცოდინარი გლეხების, ეროვნული იდეის მხოლოდ კონტურებს ხედავდნენ. თუ ეს მართალია, მაშინ რამდენად უფრო დიდი უნდა ყოფილიყო უმეცრება დაბალ სოციალურ ფენებში? გამოდის, გლეხოზა არათუ დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტორი არ ყოფილა, მან არც კი იცოდა რისთვის იბრძოდა. ასეთი მიდგომა გვიბიძგებს გადავაფასოთ და რაღაცით დავაკნინოთ კიდეც წინამოდერნული პერიოდის საქართველოს ისტორიის არაერთი ცნობილი ფაქტისა და მოვლენის მნიშვნელობა,

როგორც არის, თუნდაც ბახტრიონისა და სხვა ანტიირანული აჯანყებები, მაგრამ რამდენად მართებული იქნება იგი?

ახ. წ. 555 წელს ლაზიკაში გაიმართა სახალხო კრება. ეს არ იყო მხოლოდ მმართველი ელიტების თათბირი. აგათია სქოლასტიკოსი გვაუწყებს რა ფასეულობების მიხედვით მსჯელობენ იქ შეკრებილი ხალხის წინაშე აიეტი და ფარტაზი. რატომ გახდა ამ კრების ჩატარება საჭირო, თუკი დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ არჩევანის გაკეთება, ვის წინააღმდეგ ებრძოლათ და ვისი მოკავშირეები ყოფილიყვნენ? იქნებ აგათია ამ ყველაფერს შელამაზებული სახით გადმოსცემს? მაგრამ დაბალი სოციალური ფენების როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტორის შესახებ ცნობას ჯუანშერთანაც ვხვდებით - საგდუხტ დედოფლის დროს, როცა ქართლში ბინქარანი ქადაგებდა ცეცხლთაყვანისმცემლობას, „არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა“. ისტორიიდან ვიცით, რომ ქართველი გვირგვინოსნები და წარჩინებულები პრივილეგიების მოპოვებისა თუ შენარჩუნების მიზნით, მოჩვენებით თუ სინამდვილეში ქრისტიანობაზე უარს ამბობდნენ და დამპყრობლის რელიგიას იღებდნენ. ამ შემთხვევაში „წურილი ერი“ იქცევა ასე.

საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს. ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიოს ისტორიაში დაბალი სოციალური ფენებისა და არაჰეგემონური კლასების პოლიტიკური აქტივობის უამრავ შემთხვევას ვხვდებით. ერთ-ერთი კარგად ცნობილი მაგალითია სპარტაკის აჯანყება. მაგრამ მონების აჯანყებებს არ ჰქონდა ნაციონალისტური ხასიათი, რასაც ვერ ვიტყვით იუდეის აჯანყებებზე რომის იმპერიის წინააღმდეგ (ახ.წ. 66 წლიდან). შეუძლებელია არ დავინახოთ იუდეის აჯანყებების მასობრივი, სახალხო ხასიათი და მსგავსება ახალი დროის ევროპაში მომხდარ ნაციონალისტურ ამბოხებებთან.

და მაინც, მაგალითები, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ, ცალკეული იზოლირებული შემთხვევების შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ფართო მასებისთვის ძირითადად დამახასიათებელია ურეზონანსო, ფლეგმატური, პასიური მდგომარეობა. ამის შესახებ ჯერ კიდევ პლატონი წერდა - „პასიური მოქალაქეები შობენ ნამირალა ხელისუფლებას“. სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი, როგორ მანიპულირებენ აქტიური მმართველი ელიტები პასიური ფართო მასებით. ეს წინამოდერნულ ისტორიულ ეპოქებშიც ასე იყო და ახალი დროის დადგომის შემდეგაც ასეა, როცა ყოველგვარი პლუტოკრატია დემოკრატიად სადღება. მაგრამ ფართო მასების გარეგნული პასიურობა და მდუმარება ყოველთვის არ ნიშნავს მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი (თვით)ცნობიერების უმწიფარობას, იმას თითო მათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ნება ან მოქმედების უნარი არ გააჩნიათ. თუკი ისინი აქტიური ბრძოლის უპერსპექტივობას ხედავენ, თავს იმკვდარუნებენ და ბარიკადებზე არ დგანან, ეს მხოლოდ თვითგადარჩენის სტრატეგია შეიძლება იყოს.

ამრიგად, თუკი გამოვიყენებთ შედარების მეთოდს და გავავლებთ პარალელებს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს შორის, დავინახავთ, რომ დაბალი სოციალური ფენები და არაჰეგემონური კლასები წინამოდერნულ ისტორიულ ეპოქებში მუდამ არა, მაგრამ ზოგჯერ მაინც გვევლინებიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ აქტორებად და მათთვის ახალი დროის დადგომამდე გაციებით ადრე ეროვნული

მისწრაფებებიც არ არის უცხო. ასე რომ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მოდერნიზაციის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, თითქოს „წვრილი ერი“ მხოლოდ ახალ დროში ხდება დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტორი.

**კახა ხიმშიაშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემია
კიდევ ერთხელ ტერმინ ავთენტურობის შესახებ**

ავთენტურობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია, როცა საუბარია კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციაზე. ამ ტერმინის მნიშვნელობაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოსახვედრად წარდგენილი ობიექტები ორი ღირებულების მიმართ განიხილება ა) ავთენტურობა და ბ) მთლიანობა/სისრულე (integrity).

უცხო სიტყვათა ლექსიკონი განმარტავს ავთენტურს შენდევნიარად - ნამდვილი, უეჭველი, უტყუარი, სინამდვილის შესაბამისი. მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აბსოლუტურ უმრავლესობას გრძელი და თავგადასავლებით სავსე ისტორია აქვს გამოვლილი. ისინი მრავლგზისაა ხოლმე შეკეთებულ-გადაკეთებული დროის მოთხოვნებისა და მატერიალური შეძლების შესაბამისად, რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ ობიექტების გარშემო და მათთან დაკავშირებით სხვადასხვა არამატერიალური ასპექტების დაგროვებაზე, რომლებიც არანაკლები მნიშვნელობისაა, როგორც წესი. ამდენად, რა არის ნამდვილი, უტყუარი და სინამდვილის შესაბამისი ძალზე ხშირად არც ისე ნათელია და ძნელი მოსახელთებელია.

ხაზგასასმელია, რომ თავიდან ავთენტურობა, როგორც ცნება კი იყო გამოყენებული საერთაშორისო დოკუმენტებში, მაგრამ არ იყო განმარტებული (ვენეციის ქარტია). როგორც ჩანს, ითვლებოდა, რომ თუ რას ნიშნავს ავთენტური, ისედაც ცხადი იყო. მერე და მერე კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში, სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში გაჩნდა ავთენტურობის დეფინიციები. ტერმინი დროთა განმავლობაში იცვლიდა კონოტაციას, ივსებოდა და ტრანსფორმირდებოდა. თუ საერთაშორისო დოკუმენტებს/დეკლარაციებს გავყვებით დავინხავთ, რომ ტერმინი ავთენტურობა განუხრელად ფართოდებოდა მატერიალურიდან არამატერიალურისკენ და ბოლოს სრულიად გაუზომვადი ცნებები მოიცვა, მაგალითად - სულისკვეთება და შეგრძნება, ჩანაფიქრი, ტრადიციები, სურნელიც კი.

ისმის კითხვა - როგორ შეიძლება განვასხვავოთ ავთენტური და არავთენტური. მგონია, რომ პასუხი ამ კითხვას არ აქვს. არ აქვს ისევე, როგორც თეზესის პარადოქს რომელიც ჯერ კიდევ ბერძნებმა ჩამოაყალიბეს - არის თუ არა ნამდვილი თეზესის გემი, რომელსაც ნელ-ნელა ყველა ფიცარი გამოუცვალეს.

ეს კითხვა - თუ რას ნიშნავს ავთენტური მართო მე არ მაწუხებს. ამ საკითხს, რადგან ცნება ერთ-ერთი ცენტრალურია ბევრი მეცნიერი უკირკიტებს და ბევრი ცდილობს პასუხის გაცემას. მაგალითად - მათ შორის ვინც ავთენტურობის საკითხს ჩაუღრმავდა არის ჩვენი დროის გამოჩენილი კონსერვაციის თეორეტიკოსი (და პრაქტიკოსიც) სალვადორ მუნოს ვინასი. მისი

თვალსაზრისით, ნებისმიერი ობიექტი ნებისმიერ დროს არის ავთენტური და ასახავს ამ ობიექტის ისტორიას. შესაბამისად, როდესაც ჩვენ, რესტავრატორები ვიწყებთ „ავთენტურობის“ აღდგენას, რეალურად ვცვლით ობიექტს და ვქმნით ახალ „ავთენტურობას“. შემთხვევითი არაა, რომ ისეთ გამორჩეულ და დიდი მნიშვნელობის დოკუმენტში, როგორცაა „ბურას ქარტია“, ტერმინი ავთენტური საერთოდ არაა გამოყენებული.

მგონია, რომ ტერმინის ბუნდოვანების, მისი მრავალფეროვნებისა და მოუხელთებლობის გამო, ჩვენ, რესტავრატორებმა, უნდა შევწყვიტოთ ამ ტერმინის გამოყენება ბურას ქარტიის მსგავსად. ეს ასევე უნდა მოხდეს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის კრიტერიუმთან მიმართებაში.

III დარბაზი, III სექცია, IV სხდომა

თორნიკე კანდელაკი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

გალაკტიონის ერთი პოემის ტექსტოლოგიური საკითხები

გალაკტიონ ტაბიძის ეპიკური თხზულებები, ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით თუ გავადევნებთ თვალს, ნაკლებად იყო შესწავლისა და ჯეროვანი კვლევის საგანი. პოემები, რომლებიც არც რაოდენობის და არც მოცულობის სიმცირით არ გამოირჩევა, პოეტის ლირიკული შემოქმედებისგან განსხვავებით, მკვლევართაგან ხშირად ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. იგივეს ვერ ვიტყვით პოემაზე „მოგონებები იმ დღეების როცა იელვა“. მძაფრი ანტისაბჭოთა განწყობების გამომხატველი ეს თხზულება 1924 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ გამოქვეყნდა და მალევე აიკრძალა, პოეტი კი მცირე ხნით დააპატიმრეს. არსებობს მოსაზრება, რომ ეს შემოქმედებითი აქტი, მისი შინაარსისა და თემატიკიდან გამომდინარე, არ უნდა ჩაითვალოს საპროტესტო ნაბიჯად და პოემა სრულიად სხვა ისტორიებს მოგვითხრობს, რომლებიც არ უკავშირდება ხსენებულ მოვლენებს. სხვა მოსაზრებით, ფაბულის გაბუნდოვანება ეს მწერლის შერჩეული ხერხია, რომელსაც ის გარემოების კარნახით განზრახ მიმართავს, რათა მისი რეალური ინტენცია მწელად შესამჩნევი გახადოს, ხოლო სინამდვილეში პოეტი ქართული რეალობის გარშემო ტრიალებს. გალაკტიონის არქივზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ნაწილობრივ ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ სრულყოფილი აზრის ჩამოსაყალიბებლად არქივის უფრო ღრმად შესწავლაა საჭირო.

აკრძალული პოემის არსებობა ფართო საზოგადოებისთვის პოეტის გარდაცვალებიდან ათწლეულის შემდეგ გახდა ცნობილი. მასზე თავისუფალი მოსაზრებების გამოთქმა კი შესაძლებელი კიდევ ორი ათწლეულის შემდეგ. პოეტის არქივის შესწავლამ მრავალი სიახლე მოუტანა გალაკტიონის შემოქმედების მკვლევრებს და მისი პოეზიის ბევრ საიდუმლოს მოჰფინა შუქი. პოემაზე მსჯელობა გააადვილა ახალმა წყაროებმა, რაც ფიზიკური არქონის გამო ხელმისაწვდომი არ იყო მათთვის, ვინც იკვლევდა მას. აქედან გამომდინარე,

თანამედროვე მეცნიერების მიღწევები იძლევა საშუალებას სიღრმისეულად და ყოველგვარი მიკერძოების და კლიშეების გარეშე იქნეს საკითხი შესწავლილი. ამასთანავე, წლებანდელ წელს სრულდება ასი წელი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან და შესაბამისად პოემის გამოქვეყნებიდან და სიმბოლურია ამ პოემის წინ წამოწევა.

ნაწარმოებების კვლევის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ავტორის ხელნაწერები. მათზე დაკვირვება ხშირად ცხადყოფს ავტორის პირვანდელ და უკანასკნელ ჩანაფიქრს და გვიჩვენებს კიდევ განვლილ გზას როგორ მივიდა ავტორი თხზულების საბოლოო ვერსიამდე. ამის დასტური ბევრია გალაკტიონის შემოქმედებით ლაბორატორიაში, მაგრამ ხსენებული პოემის ხელნაწერები ძუნწად იძლევა პოემის წერის პროცესზე თვალის მიდევნების საშუალებას. კვლევისთვის ხელჩასაჭიდი ამ მხრივ პოეტის დღიურები აღმოჩნდა. 1920-იანი წლების დღიურებში მოიძებნა ვრცელი პროზაული პასაჟები, რომლებზე დაკვირვების შემდეგ ნათელია, რომ პოეტმა მოგვიანებით ისინი გადაამუშავა და პოემის საფუძვლად გამოიყენა. ბეჭდურ პოემასთან დღიურის მიმართების დადგენამ ბევრი ახალი საგულისხმო დეტალი გამოკვეთა, რამაც პოემის შესწავლას მკვეთრად შეუწყო ხელი და ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

კვლევის მეთოდად ჩვენ მიერ შერჩეული და გამოყენებულ იქნა ძირითადი საკვლევო ტექსტის გაანალიზების, ხელნაწერებთან და დღიურებთან მიმართების, პოეტის სხვა თანადროულ ტექსტებთან შედარების, სამეცნიერო სივრცეში მანამდე არსებული სხვადასხვა მონაცემების ურთიერთმეჯამების და ეპოქის მიმდინარე მოვლენების კონტექსტზე დაყრდნობით გამოტანილი სინთეზური დასკვნის მეთოდი.

კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატების გამოყენების ძირითადი სფერო გალაკტიონოლოგიის კვლევითი დარგია. ამას გარდა, სტატია დამხმარე იქნება სტუდენტებისთვის და ზოგადად გალაკტიონის პოეზიით და პოეზიით დაინტერესებულთათვის. ის საინტერესო შესაძლოა აღმოჩნდეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებით დაინტერესებულ საზოგადოების ნაწილისთვის და მათთვის ვისაც აინტერესებს ამ ისტორიულ მოვლენამ ლიტერატურასა და ხელოვნებაში რა ასახვა ჰპოვა.

ლევან ბებურიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

დაფნა და ეკლები (გალაკტიონი და 30-იანი წლების კრიტიკა)

გალაკტიონოლოგიის ისტორიისათვის 30-იანი წლების მნიშვნელობა უპირველესად იმ ფაქტითაა განსაზღვრული, რომ ამ პერიოდში ხდება გალაკტიონის „სახალხო პოეტად“ კანონიზაცია. ხელოვანის მიერ განვლილი მოქალაქეობრივი და შემოქმედებით გზის გათვალისწინებით აღნიშნული ფაქტი ერთგვარად პარადოქსულად გამოიყურება. საბჭოთა რეჟიმისაგან „სახალხო პოეტის“ დაფნა ერგო „დეკადენტ“ ავტორს, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყოფილ მდივანს, ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ ფაქტობრივ რედაქტორს, ვინც ამავე გამოცემის ფურცლებიდან ქართულ გვარდიას ამხნევებდა ოკუპანტთან ბრძოლაში. ასევე საყოველთაოდ იყო ცნობილი გალაკტიონის მხარდაჭერა 1924

წლის ანტისაბჭოთა აჯანყებისადმი. უცნაურია, რომ 30-იანი წლების დასაწყისში ეს ყველაფერი საგულდაგულოდ იქნა დავიწყებული და გალაკტიონი „სახალხო პოეტის“ დაფნით შეიმოსა.

მოხსენებაში თანმიმდევრულად არის გაანალიზებული, თუ როგორ ამზადებდა 30-იანი წლების საბჭოთა კრიტიკა საფუძველს გალაკტიონის „სახალხო პოეტად“ აღიარებისათვის და ამ პროცესში როგორ უცვლიდა მიზანმიმართულად კონტექსტს გალაკტიონის მოდერნისტულ ლირიკას.

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რამდენადაც ეხება მეოცე საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტთან დაკავშირებულ, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ წყაროებსა და პუბლიკაციებს, რომელთა ნაწილიც საგანგებო კვლევის ობიექტი აქამდე არ გამხდარა.

საკვლევი პრობლემა შესწავლილია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საფუძველზე.

ნაშრომში ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით განხილულია 30-იანი წლების გალაკტიონოლოგიის აქტუალური პრობლემები, გამოკვეთილია ის საერთო და განმასხვავებელი მიდგომები, რომელთაც კრიტიკოსები იყენებდნენ გალაკტიონის შემოქმედების ინტერპრეტაციის დროს. შესაბამისი მასალის ანალიზის გზით ნაჩვენებია, თუ როგორ ჩამოყალიბდა 30-იან წლებში გალაკტიონის შემოქმედებასთან მიმართებით ის სტერეოტიპები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მყარად იყო დამკვიდრებული ქართული ლიტერატურათმცოდნეობაში.

**ნათია სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
/ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
გალაკტიონის საარქივო ჩანაწერების ქრონოლოგიური ლოკალიზაციის საკითხი**

გალაკტიონ ტაბიძის მიერ უბის წიგნაკებში გაკეთებული ჩანაწერების დათარიღება, ასევე, უკვე არსებული თარიღების ქრონოლოგიური ლოკალიზების პროცესი მწერლის „ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეზე“ მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ბუნებრივია, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა ტექსტოლოგიურ კვლევებზე და, მათ შორის, ტექსტის თარიღის დადგენის, აგრეთვე, სავარაუდო თარიღის გადამოწმების პროცესის თავისებურებებზე.

როგორც გალაკტიონის დაუთარიღებელი, მრავალფეროვანი ჩანაწერები ცხადყოფს, პოეტის უბის წიგნაკები არსებულ ტექსტთა უმრავლესობაში არის ისეთი ნიუანსი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გალაკტიონის საარქივო მასალის სრული კონტექსტის გათვალისწინებით თუ გარე რეალობის მოხმობით, დიდი სიზუსტით დავადგინოთ ამა თუ იმ ჩანაწერის თარიღი.

კვლევის მიზანია გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკების მაგალითზე წარმოვადგინოთ, თუ როგორია ჩანაწერების დათარიღების სპეციფიკა „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეზე“ მუშაობისას. ამ პროცესის საილუსტრაციოდ მოხსენებაში ნაჩვენებია

იქნება თუ როგორ გახდა შესაძლებელი ზუსტად დაგვეთარიღებინა პოეტის ორ ათეულამდე ის ჩანაწერი, რომლებიც არც ავტორის და არც მკვლევართა მიერ არ ყოფილა დათარიღებული. მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ის მეთოდები, რომლებსაც ვიყენებთ „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანზე“ მუშაობისას პოეტის დაუთარიღებელი ჩანაწერების ქრონოლოგიური საზღვრების დაზუსტების პროცესში. გარდა ამისა, ცალკეული ჩანაწერების დათარიღების პროცესის განხილვის შედეგად მოხსენებაში განმარტებული იქნება თანამედროვე ტექსტოლოგიაში დამკვიდრებული ამა თუ იმ მეთოდის ეფექტურობა და შედეგიანობა.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ პოეტის მიერ უთარიღოდ დატოვებული ტექსტის თარიღის დაზუსტება შესაძლებელია უშუალოდ ამ ტექსტის შინაარსის, ცალკეული დეტალების შესწავლის, ასევე – კონტექსტური ანალიზის საშუალებით. „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანისათვის“ კი თითოეული უთარიღო ჩანაწერის, დაუთარიღებელი ფაქტის დათარიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან, მატთანე, ბუნებრივია, ქრონოლოგიურ პრინციპს ემყარება და, სასურველია, მასზე მუშაობისას მოხერხდეს პოეტის ყოველი ჩანაწერის ქრონოლოგიური ლოკალიზება. შესაბამისად, ჩემ მიერ ჩატარებული **კვლევის შედეგები** მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც პოეტის კონკრეტული ჩანაწერების რეცეფციისას, ისე „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის“ სრულყოფილად მომზადებისათვის.

გიორგი კალანდაძე, ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია

გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილიების კვლევით დათარიღებული ხელნაწერები

2022 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების გრაფემატული კვლევა, რომლის მიზანია დათარიღდეს მისი დაუთარიღებელი ხელნაწერები, ასევე დაზუსტდეს მცდარი თარიღები. წარმოდგენილი კვლევით გვინდა საზოგადოებას გავაცნოთ გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილიების გრაფემატული კვლევებით მიღწეული შედეგები.

ასევე მიმდინარეობს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანზე მუშაობა. ამგვარი მატთანეების სრულფასოვნად შესწავლისა და შექმნისათვის უნიშვნელოვანესია უთარიღო ავტოგრაფების დათარიღება და მცდარი თარიღების შესწორება. არასწორად დათარიღებული ხელნაწერები არასწორად ასახავს ავტორის განვლილ გზას, ხოლო დაუთარიღებელი ხელნაწერები არასრულფასოვანს ხდის მის ლიტერატურულ პორტრეტს.

სამწუხაროდ, გალაკტიონ ტაბიძის ვრცელ და მრავალფეროვან შემოქმედებით დანატოვარში მრავლად გვხვდება როგორც უთარიღო, ისე საეჭვო თარიღების მქონე ხელნაწერები. ეს მდგომარეობა ხელს უშლის ავტორის ზედმიწევნითი ლიტერატურული პორტრეტის შექმნას. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევაც სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება.

ამჯერად ჩვენ „გრაფემატული კვლევის მეთოდი“ გამოვიყენეთ. გრაფემატულად გამოვიკვლიეთ გალაკტიონ ტაბიძის ავტოგრაფებში არსებული ყველა დათარიღებული და

დაუთარილებელი ფაქსიმილიე, რაც საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა: გალაკტიონ ტაბიძის ვრცელი ციფრული ბაზიდან ამოვკრიბეთ მისი ყველა ხელმოწერა. გავყავით ისინი ორ ნაწილად - თარიღიანებად და უთარილოებად. თარიღიანი ფაქსიმილიეები დავაჯგუფეთ წლების მიხედვით. ავტოგრაფებიდან პროგრამა Paint 3d საშუალებით ამოვჭერით ფაქსიმილიეები იმგვარად, რომ ციფრულად მხოლოდ ისინი ყოფილიყო წარმოჩენილი. ამგვარად, ჩვენს წინ გადაიშალა, კოპაქტურად წარმოჩნდა გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილიეების მრავალწლიანი სპექტრი. ამ პანორამამ საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით და გამოგვეყო ის თავისებურებანი, რომლებიც ამა თუ იმ წლების ფაქსიმილიებს ახასიათებდა. შემდეგ ისინი შევუდარეთ უთარილო ხელნაწერებს, რითაც დადგინდა რამდენიმე უთარილო ხელნაწერის სავარაუდო თარიღი. მაგალითად: მხოლოდ 1908-1915 წლებში გვხვდება



ხელმოწერის ბოლოს ვერტიკალური ხვეულები, რაც ამ წლების თავსაჩინო თავისებურებაა. ასეთივე თავისებურება შეგვხვდა უთარილო ხელნაწერებში, რამაც დაგვარწმუნა, რომ უთარილო ხელნაწერები ამ თავისებურების მქონე ხელნაწერები 1908-1915 წლის დროის მონაკვეთს განეკუთვნება. მოხსენება წარმოაჩენს გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილიეების გრაფიკული მეთოდით განხორციელებულ კვლევას, რომლის მეშვეობით დათარიღდა მისი რამდენიმე დაუთარილებელი ხელნაწერი. კვლევა საინტერესო იქნება გალაკტიონოლოგებისათვის და ზოგადად ფილოლოგიით დაინტერესებულ პირთათვის.

თეა თვალავაძე, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერების დათარიღების კორპუსული კვლევები

ტექსტის შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა დათარიღება, რასაც ზოგადთეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შემდგომი ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვის. ამ პრინციპით ლაგდება ტექსტები და ინფორმაცია როგორც აკადემიურ გამოცემებსა თუ თხზულებათა სამეცნიერო კრებულებში, ისე მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანში. მასალების ქრონოლოგიური პრინციპით განლაგება აიოლებს საკვლევი საკითხის გადაჭრას, ნათელს ჰყენს მრავალ ისტორიულ, კულტურულ თუ საზოგადოებრივ მოვლენას, ხშირ შემთხვევაში კი - შემოქმედებით პროცესსაც.

ლიტერატურის მუზეუმში არსებულ არქივთა შორის მოცულობითა და მრავალფეროვნებით გალაკტიონ ტაბიძის არქივი გამოირჩევა. 2005-2008 წლებში მუზეუმმა გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეული, რომელშიც თავმოყრილია ლექსები და პოემები, დღიურები, ცალკეული ჩანაწერები, პროზაული ტექსტები, ლიტერატურული ესკიზები, პირადი თუ ოფიციალური მიმოწერა. გამოცემაში მთელი რიგი სიძნელეების გამო, დაუთარილებელ ჩანაწერებს მიახლოებითი თარიღები აქვს მიცემული, მაგრამ არ არის მითითებული, რის საფუძველზე დათარიღდა ესა თუ ის ჩანაწერი. უთარილოდაა გამოქვეყნებული დღიურების ჩანაწერების გარკვეული ნაწილი. 2022 წლიდან დავიწყეთ

მუშაობა გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის პროექტზე სხვადასხვა გამოცემის, მუზეუმისა და არქივებში თუ კერძო კოლექციებში დაცული ავტოგრაფებისა და ნაბეჭდი წყაროების გამოყენებით. ფაქტია, რომ მწერლის მატთანეში ვერ განთავსდება მოვლენები ზუსტი ან მიახლოებითი თარიღების მითითების გარეშე, შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ეს საკითხი.

დასათარიღებლად ბევრად მეტი შესაძლებლობა მოგვცა ციფრული ვერსიების კორპუსულმა კვლევებმა. საძიებო სისტემებმა დიდი მოცულობის ტექსტებშიც კი მნიშვნელოვნად გააიოლა ამა თუ იმ სიტყვისა და ციფრის პოვნა. ამ ფაქტორის გამოყენებით ვაწარმოეთ ჩანაწერების შედარებითი ანალიზი და დავადგინეთ მრავალი უთარილო ტექსტის შექმნის დრო. დათარიღების კვლევის მეთოდი და ხასიათი უმეტესად იგივე დარჩა, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები და პროგრამები დაგვეხმარა პროცესის უფრო მარტივად, ზუსტად და ეფექტურად განხორციელებაში. დასათარიღებლად ასევე გამოვიყენეთ, საქართველოში პირველად დანერგილი და შესწავლის პროცესში მყოფი, ავტოგრაფების გრაფიკული კვლევები. ამ მიზნის განსახორციელებლად მოვიშველიეთ გარეშე წყაროებიც: პირადი მიმოწერა, განცხადებები, მოგონებები, ბიბლიოგრაფიები და სხვა დოკუმენტები.

დასახული მიზნის მისაღწევად, კომპლექსურად იქნა გამოყენებული კვლევის სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის, გამორიცხვის, დედუქციური და კორპუსული, როგორცაა: ქალაქის ტიპი და მელანი, შინაარსობრივი მონაცემების შედარება, ჩანაწერში მოყვანილი ისტორიული ან კულტურულ-საზოგადოებრივი ფაქტები, აღნიშნული თვის, რიცხვისა და კვირის დღის მუდმივ კალენდარში ძიება.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კორპუსული კვლევების მიხედვით, დათარიღდა გალაკტიონ ტაბიძის დღიურების არაერთი ჩანაწერი.

დღიურების მნიშვნელობა მრავალგზის იზრდება, როცა მათი ტექსტები მეცნიერულად დაზუსტებული და დათარიღებულია. თარიღის დადგენა ტექსტოლოგიური მეცნიერებისთვის მეტად აქტუალური საკითხია, შემდგომი კვლევების საყრდენია და საშუალებას იძლევა, სათანადოდ იქნას გააზრებული როგორც მწერლის ცხოვრების, ისე მისი შემოქმედების მნიშვნელობა თანადროულ და მომდევნო ლიტერატურულ, კულტურულ-ისტორიულ თუ საზოგადოებრივ გარემოში.

III დარბაზი, III სექცია, IV სხდომა

**ესმა მანია, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილების ერთი ადრესატი და მისი შემოქმედების იმპულსები
ამ ინტერპერსონალური კომუნიკაციიდან**

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გრიგოლ რობაქიძის პირად არქივში, ინახება მისი 44 წერილი ქეთევან ამირეჯიბთან, რომლებიც 1910-1913 წლებშია დაწერილი და სხვადასხვა გეოგრაფიული წერტილიდან – თბილისი, ქუთაისი, გორი, მოსკოვი, პეტერბურგი, ბესლანი, იურიევი – სწორედ ავლევშია გაგზავნილი, სადაც ამ წერილების ადრესატი ამიერკავკასიის

ქალთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა საკუთარი სახსრებით გამართულ ხელსაქმის სკოლას. წერილების ასე მაღალი ინტენსივობა მიუთითებს ამ ორ ადამიანს შორის არსებულ სულიერ და ინტელექტუალურ სიახლოვეზე, ურთიერთგავლენის მაღალ ხარისხზე, საერთო ფასეულობებზე, საერთო ხედვებზე, საერთო მიზანზე, მსგავს ესთეტიკაზე, თითოეული მათგანის მხრიდან პიროვნული განვითარების სურვილის მაღალ ხარისხზე.

რუსულ ენაზე შესრულებული ამ წერილების გაცნობისთანავე ვივარაუდებ, რომ მათ უსათუო კავშირი უნდა ჰქონოდა გრიგოლ რობაქიძის იმ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენების ღრმა და ორიგინალური ანალიზით გამორჩეული ფილოსოფიური, ესთეტიკური, ისტორიული და პოლიტიკური სტატიების ციკლთან, რომელსაც იგი სწორედ იმ პერიოდში, 1910-იან წლებში, რუსულენოვან გამოცემებში აქვეყნებდა და რომელთა კრებულიც 10 წლის წინ, 2014 წელს, „ომისა და კულტურის“ სახელით გამოიცა.

სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით, შევეცადებ, ამოგვეკითხა გრიგოლ რობაქიძის იმ პერიოდის შემოქმედების იმპულსები ამ ორი ადამიანის ინტერპერსონალური კომუნიკაციის ჩვენი საკვლევი ეპიზოდიდან. ქეთევან ამირეჯიბისაგან, ამ ინტელექტუალური, საინტერესო და ღრმა ადრესატისგან, გრიგოლ რობაქიძე, როგორც ჩანს, ამ პერიოდში განსაკუთრებულ ინტელექტუალურ და სულიერ საზრდოს იღებდა. სტატიების ამ დიდი და საინტერესო ციკლის არაერთი სტიმული მოიძიება ამ მიმოწერაში. მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია ქეთევან ამირეჯიბის არც ერთ წერილს, მაგრამ აქ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ჩანს, თუ როგორი გავლენა ჰქონდა მას გრიგოლ რობაქიძეზე, როგორ იყო ის მწერლის შემოქმედებითი პროცესის ფხიზელი მოყურადე, როგორ უზიარებდა გრიგოლ რობაქიძე მას თავის შემოქმედებით გეგმებს, წარუმატებლობებს ნაწარმოებების წერაში.

მოხსენებაში საუბარი შეეხება როგორც ამ მიმოწერაში, ისე გრიგოლ რობაქიძის ესეების კრებულში ყველაზე დიდი ინტენსივობით ნახსენებ იმ პერიოდის ცნობილ მოაზროვნეებს – ფრიდრიხ ნიცშეს, დიმიტრი მერეჟკოვსკის, ზინაიდა გიპიუსს, პეტრე სტრუვეს; ყურადღებას ვამახვილებთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი პროცესის გრადაციებზე – იდეის ჩაფიქრებიდან საბოლოო პროდუქტის აუდიტორიის წინაშე პრეზენტირების ფორმებამდე; შევხებით ავტორის მიერ საკუთარი ნაწარმოებების შესახებ გამოთქმულ თამამ შეფასებით ინტერპრეტაციებს და სხვა.

ჩვენი საკვლევი მასალა ყურადღებას იპყრობს ფორმის თვალსაზრისითაც – ღია ბარათებითაც, რომლებიც ადრესატის დახვეწილი გემოვნებისა და ნატიფი ესთეტიკის ანარეკლია. გრიგოლ რობაქიძე ქეთევან ამირეჯიბს უგზავნის წერილს ღია ბარათზე, რომელზეც ფრანც შტუკის „ეტიუდია“ გამოსახული. აცნობებს, რომ შტუკი დიდ მხატვრად მიაჩნია და ეს „ეტიუდი“ (ქალის დახვეწილი პორტრეტი) შეიძლება მშვენიერ პოემად იქცეს. საგულისხმოა, რომ ფრანც შტუკის, გერმანელი ფერმწერისა და სკულპტორის, შემოქმედებითი აზროვნება ფანტაზიისა და ალეგორიის, სიმბოლური სახეების ზღვარზე გადის. სიმბოლიზმის, ალეგორიის და, ამავე დროს, ეროტიკული ეფექტის ნაზავი გრიგოლ რობაქიძის მიერ ქეთევან ამირეჯიბისთვის გაგზავნილ თითქმის ყველა ღია ბარათს ეტყობა. ეს არტეფაქტები გამორჩეულია საწერი მასალისა და ტექსტის შინაარსის განსაკუთრებით ნატიფი

შეხამებით, გვერდებზე ტექსტების ორგანიზების ორიგინალური სისტემით, დახვეწილი „თქვენობით“ ფორმით და ადრესატისადმი აღმატებული პატივისცემის ინტონაციით. ამ მეტად საგულისხმო კომუნიკაციის ჩვენამდე შემორჩენილი მხოლოდ ერთი მხარე შესანიშნავად იძლევა მეორე მხარის რეკონსტრუქციის საშუალებას – კომუნიკაციის მეორე მხარეს დგას ქალი, რომელიც გრიგოლ რობაქიძის ამ პერიოდის შემოქმედების მთავარი არბიტრია, მისი იდეების, ნაწარმოებების ჩანაფიქრებისა და ესკიზების პირველი გამზიარებელი, შესაბამისად, უსათუოდ, შემფასებელი და გეზის მიმცემი. ვფიქრობთ, ეს დაკვირვება დამატებით შტრიხს შესძენს გრიგოლ რობაქიძის პიროვნულ და შემოქმედებით პორტრეტს.

მაია ჯანგიძე, ინტერბიზნესის აკადემია გურამ რჩეულიშვილის ერთი მოთხრობის შექმნის ისტორიისთვის

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების კვლევა უაღრესად აქტუალურია, რადგან იგი უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ არ შექმნილა არც ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიც განხილული არ იქნებოდა მისი ნაწარმოებები.

გურამ რჩეულიშვილმა ქართულ პროზაში შემოიტანა ახალი - მხატვრულ-დოკუმენტური ჰიბრიდული ჟანრი - დღიურ-ამბები, რომლებიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე დღიურს და ერთ ან რამდენიმე ნოველას. ეს არის მწერლის გარემოცვაში მიმდინარე რეალური ამბებისა და მხატვრული ტექსტების კოლაჟი, რომლებშიც კომბინირებულია მხატვრული და დოკუმენტური ნარატივები. მათ ავტორი “დღიურ-ამბებს” და “ამბავ-დღიურებს” უწოდებს.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების შინაარსი უმეტესად ავტობიოგრაფიულია და, როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, აქაც მოთხრობის „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ შექმნის ისტორია თვითონ ნაწარმოებში უნდა ვეძებოთ. ავტორი სისხლავსე ცხოვრებით ცხოვრობდა და უმეტეს შემთხვევაში, ნაწარმოების თემასაც გარემოს შესაფერისად არჩევდა: იმყოფებოდა: კარპატებში, საქართველოს მთიანეთში, თბილისში, თელავში თუ მივლინებებში მოსკოვში, უფლისციხესა თუ სოხუმში.

1957 წლის შემოდგომაზე მწერალთა კავშირი გურამ რჩეულიშვილს გზავნის სოხუმში მეთევზეთა ცხოვრებაზე მოთხრობათა ციკლის დასაწერად. „სამი დღის თევზაობის შემდეგ ნელა დაიწყო იდეამ ჩასახვა მეთევზეთა ცხოვრებაზე. ჯერ სათაური მომივიდა თავში, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ მერე უცებ დამიდგა თვალწინ ახმედის ცხოვრება. წამოსვლისთვის მოთხრობა უკვე შავად დამთავრებული მქონდა“ - წერს მოთხრობაში.

კორპუსული კვლევის მეთოდით ვიკვლიეთ ჯერ მწერლის მიერ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი მიწერილი ბარათები, რომლებშიც ხშირად წერდა მის მიერ წაკითხულ მსოფლიო ლიტერატურის შედეგების შთაბეჭდილებებზე. მაგრამ მათ შორის კუნძიკი და დოპო არ აღმოჩნდა. მაშინ იმ პერიოდის ყველა რუსული სალიტერატურო ჟურნალი, რომლებშიც კი შეიძლებოდა დაბეჭდილიყო მწერლის მოთხრობა „მია გენი“, გამოწვლილვით

შევამოწმეთ. იაპონელი მწერლის მოთხრობის რუსული თარგმანი მხოლოდ 1958 წელს ჩნდება საბჭოურ სივრცეში ჟურნალში „Иностранная литература“.

კორპუსულმა კვლევამ ცხადყო, რომ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ ორიგინალური ნაწარმოებია და ავტორს იაპონელი მწერლის კუნუკიდა დოჰოს მოთხრობა „ძია გენი“ იმჟამად წაკითხული არ ჰქონია.

**მაია ჯალიაშვილი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი / ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
ჭემმარიტების ძიებაში (ლევან ბერიძის რომანზე „როგორც შენ იტყვი“)**

საკონფერენციო მოხსენებაში გამოკვლეულია თანამედროვე გამორჩეული ქართველი მწერლის, ლევან ბერიძის, ახალი რომანის, „როგორც შენ იტყვი“, ძირითადი ასპექტები. მთავარ თემად გამოკვეთილია ჭემმარიტების ძიება. რომანი ირეკლავს თანამედროვე ქართული პროზის ძირითად ასპექტებსაც, რაც გულისხმობს ბიბლიურ სახე-სიმბოლოთა მოხმობას თანამედროვეობის სულიერი კრიზისის გამოსახატავად. თემა აქტუალურია, რადგან პირველად ვანალიზებთ ამ რომანს ამგვარი რაკურსითა და თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია შედარებითი ლიტმცოდნეობისა და ჰერმენევტიკის მეთოდები, რომელთა საშუალებით წარმოვაჩენთ, ერთი მხრივ, ცალკეულ მხატვრულ სახეთა ინტერპრეტაციებს, მეორე მხრივ, რომანის მხატვრულ სახეთა კავშირს ბიბლიასა და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებთან. რომანის მიხედვით, მწერლის მთავარი მხატვრული ამოცანა სიტყვის არსში წვდომა და ამ გზით საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნებაა. სიტყვა მწერლისთვის საკრალურია, ამიტომაც ცდილობს გაათავისუფლოს იგი ყოფითი შინაარსებისაგან, მატერიალურ სივრცეზე მიჯაჭვულობისაგან და ლოგოსს, პირველსიტყვას, „მემრას“, მიუახლოოს. ამ ეგზისტენციალურ დილემას უტრიალებს იგი. რომანის მთავარი გმირის, მეტეს, გზა სულიერი ფერისცვალებისაკენ არის მიმართული. იგი ბევრს დახეტილობს საკუთარ თავში, რათა საბოლოოდ გამოკვეთოს თავისი არსებობის აზრი და მიზანი - მიჰყვეს ღვთის ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სულიერი სრულყოფა გახდეს მისი სიცოცხლის მთავარი ამოცანა, ჩასწვდეს უფლის ნებას და დაბრუნდეს თავის ნამდვილ სამშობლოში, სულიერ სამყაროში, ღმერთთან. სწორედ ამ ამოცანის გამოსაკვეთად ავტორი მოიხმობს სიმბოლურ-ალეგორიულ სახეებსა და ალუზიებს როგორც ბიბლიიდან, ასევე მხატვრული ლიტერატურიდან თუ ფილოსოფიიდან. ამგვარად სათქმელს სიღრმეს მატებს და მრავალმნიშვნელოვნებას ანიჭებს. რომანში არა მხოლოდ საგნები და მოვლენები, არამედ პერსონაჟთა სახელებიც ერთგვარი მინიშნებებია. მთავარ გმირს უცნაური სახელი, მეტე, ჰქვია, რაც, ერთი მხრივ, იმასთან ასოცირდება, რომ ის იმაზე მეტია, ვიდრე თვითონ ჰგონია, ამიტომ გამუდმებით ცდილობს საკუთარ არსში ჩაწვდომას, თვითშემეცნებას. მეტე მეტასთან, მეტაფიზიკურთან კავშირსაც გულისხმობს, ამიტომაც ცდილობს თავისი ფიქრებით გასცდეს მატერიალურს და სულიერ სამყაროში იპოვოს სიმშვიდე, ჰარმონია და, რაც მთავარია, თავისი არსებობის აზრი და მიზანი. რომანში ის უბრალოდ პერსონაჟი არ არის, არამედ იდეა-ხასიათია, ე.ი. მწერალი მისი სახით გარკვეულ იდეასაც გამოხატავს, რაც გულისხმობს

ხორციელსა და მატერიალურში ღვთიურის აღმოჩენას, საღვთო სიბრძნესთან ზიარებას, განღმრთობას, ინიციაციას. ამიტომაც რომანში ბუნებრივად შემოიჭრება მამის, ღვთის ძიების უნივერსალური თემა.

ამ პოსტმოდერნისტულ რომანში, რომელშიც ჭარბობს ეპისტემოლოგიური დაეჭვება, რომ საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნება ილუზიაა, სხვა სახელებიც ერთგვარი მინიშნებებია. რომანისეული პერსონაჟები, რომლებიც ალუზიების გზით ჩნდებიან თხრობაში, მეტეს სხვადასხვა „მე“ არიან. მისთვისაც მისივე წარმოსახვა ისეთივე „მაგიურ თეატრად“ იქცევა, როგორც ჰარი ჰალერისთვის („ტრამალის მგელი“). ამ თეატრში ის საკუთარ თავს ხედავს უამრავ „მედ“ დაშლილად და ცდილობს ჩასწვდეს სიცოცხლის აზრს. რეფლექსიითა და ასოციაციური ნაკადების სიჭარბით რომანი ენათესავება დასავლურ, ე.წ. ჰერმეტიულ, ინტელექტუალურ, ცენტრისკენულ პროზას, გარეთ აღწერილი მოვლენები მხოლოდ იმისთვისაა, რომ როგორმე სულის უხილავი სივრცეები მოიხელთოს ავტორმა. ამიტომაც რომანი მთავარი გმირის სულის ბიოგრაფიაა. ამ ტიპის რომანები უცხო არ არის თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების წარმოსაჩენად.

ანა გოგილაშვილი, სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

აფხაზეთის კონფლიქტის პარადიგმა გოგა ქობალიას რომანში „ჩემი ყანა გადაიქცა მერცხლად“

ნაშრომის კვლევის საგანია აფხაზეთის კონფლიქტის ასახვა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. საკითხი შესწავლილი იქნება თანამედროვე ქართველი ავტორის, გოგა ქობალიას სადებიუტო რომანის მაგალითით - „ჩემი ყანა გადაიქცა მერცხლად“. საკვლევი თემატიკა ძალიან აქტუალურია, რადგან აფხაზეთი დღემდე ქართული ოკუპირებული ტერიტორიების ნუსხაში შედის. საინტერესოა, როგორია თანამედროვე ქართველ ავტორთა დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი, რომელ ფაქტორებს მიიჩნევენ კონფლიქტის განმაპირობებელ მიზეზად და მისი რეგულირებისათვის რა გონივრული ნაბიჯების გადადგმა მიაჩნიათ საჭიროდ.

ნაწარმოების გამიზნულ კონტექსტში განსახილველად გამოყენებული იქნება ნარატოლოგიისა და ჰერმენევტიკის სინთეზი, ტექსტზე დაკვირვების, ანალიზისა და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის **მეთოდები**.

ნაშრომისათვის **თეორიულ ბაზად** გამოყენებული იქნება სხვადასხვა ქართველი და უცხოელი მკვლევრის, ისტორიკოსისა თუ კონფლიქტოლოგის გამოკვლევა ზოგადად კონფლიქტების რაობისა და კერძოდ აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე. (მანდერსენი ე., „აფხაზეთი და სოჭი, კონფლიქტის ფესვები 1918-1921“ EAGLEHEAD PUBLISHING, 2016; არტი რ., „ჯერვისი რ., „საერთაშორისო პოლიტიკა“, „გლობალური ტენდენციები 2025“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011; ზუჟინსკი ზ., „დიდი საქადრაკო დაფა“ გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2014; გასვიანი გ., „აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში“, გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2004; მენადარიშვილი ი., „კონფლიქტები კავკასიაში საბჭოთა კავშირის შემდეგ“ <https://militarium.org>; mfa.gov.ge;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგარეო პოლიტიკა; გაჩეჩილაძე რ., „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“, მეორე განახლებული გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2017; ლორთქიფანიძე მ., „აფხაზები და აფხაზეთი“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1990; ლორთქიფანიძე მ., „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963; მერშიამერი ჯ., „ანარქია და ბრძოლა ძალაუფლებისთვის“, კრებული „საერთაშორისო პოლიტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011; მორგენტაუ ჰ., „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი“, კრებული „საერთაშორისო პოლიტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011).

კვლევის მნიშვნელობას გაზრდის ის ფაქტი, რომ გოგა ქობალიას ზემოხსენებული რომანი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში ჯერ არ განხილულა, რაც **ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს განაპირობებს.**

ადა ნემსაძე, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მისტიკური რიტუალები თანამედროვე ქართულ და ლათინურამერიკულ რომანში

სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ერთმანეთისგან კულტურულად თუ გეოგრაფიულად ძლიერ დაშორებულ ქვეყნებში იქმნება ტექსტები, რომლებიც აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ. ცნობილი პერუელი ნობელიანტი მწერლის მარიო ვარგას ლიოსას „ლიტუმა ანდებში“ (1993 წელი) და თანამედროვე ქართველი პროზაიკოსის ბექა ქურულის „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეშთი-ყიფჩაღი“ (2020 წელი) ამგვარი კვლევისთვის საინტერესო მასალას გვამძლევს. კერძოდ, საუბარია კანიბალიზმის ტიპის ამბავზე, რომელიც ორივე ტექსტში გვხვდება. კანიბალიზმი უნივერსალური მოტივია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ფოლკლორში და მას ხშირად იყენებენ მწერლებიც გარკვეული მიზანდასახულობით.

რეალისტურად განვითარებული სიუჟეტური ხაზის პარალელურად განსახილველ რომანებში არსებობს მეორე პლანი, სადაც მოქმედების განვითარების არეალად მითოსური დრო-სივრცეა გამოყენებული და რეალური პერსონაჟები ამავდროულად რაღაც საიდუმლო, მისტიკურ-მაგიური რიტუალის მონაწილეები ხდებიან. ქართველ ავტორთან ეს რიტუალი უკავშირდება უდაბნოს ქალღმერთ გულს, რომელიც სათარეშოდ წასულ ყივჩაღებს დამით თავს ესხმის და ჭამს, ხოლო მარიო ვარგას ლიოსასთან - ბოროტ არსება პიშტაკოს, რომელიც იტაცებს ადამიანებს და ცხიმს სწოვს სხეულიდან, რაც ცოტა ხანში მათ სიკვდილს იწვევს.

მოხსენებაში ამ ორ ანალოგიურ ამბავს განვიხილავთ. პასაჟებს გავაანალიზებთ ქართულ და ლათინურამერიკულ ფოლკლორულ მასალასთან კავშირში და გამოვავლენთ მათ ფუნქციურ მიზანდასახულობას ტექსტებში. ამ ორ ტექსტს შორის ლიტერატურულ გავლენებზე საუბარი გადაჭრით შეგვიძლია უარვეყოთ და ვისაუბროთ მხოლოდ ტიპოლოგიური ხასიათის ანალოგიაზე. ავტორები მითს მიმართავენ, როგორც არქეტიპს, რაც თანამედროვე კონტექსტის ასახვას ემსახურება.

კვლევა ეყრდნობა კომპარატივისტულ მეთოდს, ასევე გამოვიყენებთ სემიოტიკას, რის შედეგადაც მხატვრულ ტექსტში გარკვეული ფუნქციური დატვირთვის მქონე ნიშნების, სიმბოლოების, კოდების, სტრუქტურების გაშიფვრა-დეკოდირებითა და ინტერპრეტაციით გამოვკვეთთ და დავასაბუთებთ აღნიშნული ანალოგიის ტიპოლოგიურ ხასიათს დასახელებულ ორ რომანში.

III დარბაზი, III სექცია, V სხდომა

ია ლაღუა, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
როგორ დაიბადა „სიტყვარი“ (ლექსიკონისა და სასკოლო პროგრამების შექმნის უცნობი
დეტალები რუსუდან ნიკოლაძის მოგონებებიდან)

1917 წელს, თებერვლის რევოლუციისა და შემდგომ 1918 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სკოლების "გაეროვნებამ" და საყოველთაო სავალდებულო სწავლების დანერგვამ შეუქცევადი სახე მიიღო. განათლების რეფორმის მესვეურებს კარგად ესმოდათ, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლების „გაქართულებას“, გაეროვნებას. მიუხედავად მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემისა, რომელიც თან ახლდა ამ პროცესს, პირველი რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა ამ კუთხით მიზანმიმართული და შეუქცევადი გახლდათ. თუმცა, „გაეროვნება“ არ ეხებოდა მხოლოდ განათლების სფეროს. ეს იყო პროცესი, რომელსაც უნდა მოეცვა მთელი ქვეყანა და რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული მიმართულების, მსოფლმხედველობისა და პრინციპის დანერგვას ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულსა თუ კულტურულ სფეროებში.

განათლების რეფორმის გამტარებლებს კარგად ესმოდათ, რომ გაეროვნება საკმაოდ რთული პროცესი იყო. შესაბამისად, პროცესს მწვავედაც აკრიტიკებდნენ, რასაც ადასტურებს განათლების მინისტრის, გიორგი ლასხიშვილის, 1918 წლის 1 ივლისის მოხსენება, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ სწავლების მთლიანად ქართულ ენაზე გადასვლის საკითხი იმდროინდელი მთავრობისთვის მხოლოდ სოციალური სახის რეფორმას არ წარმოადგენდა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეროვნული საკითხი, რომელიც ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას უზრუნველყოფდა. ამავე მოხსენებაში მინისტრი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ შემუშავდება ტერმინოლოგია ამა თუ იმ დარგისა. ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, რუსუდან ნიკოლაძე იგონებს, 1919-1925 წლებს ჩვენში „სახელბადობის ეპიდემია“ დაერქვა და ამ პროცესმა ამოავსო ბევრი ხარვეზიო. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ტერმინთმემოქმედების იმ პროცესს, რომელიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გაეროვნების პოლიტიკის ნაწილი იყო.

1920 წელს გამოიცა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. იმავე წელს გამოდის რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი, „სიტყვარი“. ეს უკანასკნელი ბევრად ვრცელია და საგულდაგულო შრომის შედეგადაა

მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ გამოცემის წინასიტყვაობა საკმაოდ ვრცელია და ბევრი რამ დეტალურადაც არის აღწერილი, მაინც ვერ იტყვს სრულად იმ სამუშაო პროცესს, რომელიც ლექსიკონის შექმნას უძღვრდა წინ. ამის შევსება კი შეგვიძლია რუსუდან ნიკოლაძის მოგონებებიდან, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმშია დაცული. მოგონებები უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს როგორც იმდროინდელი განათლების პოლიტიკის, ასევე კონკრეტული პიროვნებებისა და სხვადასხვა წამოწყების შესახებ. ჩანაწერები შესრულებულია მოგრძო, ეგრეთ წოდებულ საკანცელარიო რვეულებში (черновая книга). ერთი რვეული, 178-გვერდიანი, რომელსაც წაწერილი აქვს: „როგორ დაიბადა სიტყვარი?“ ლექსიკონის შექმნის ყოველ ეტაპს დეტალურად აღწერს – როგორ მიმდინარეობდა ერთდროული მუშაობა თბილისსა და ჯიხაიში, რამდენი პრობლემის გადალახვა მოუწიათ „სიტყვარის“ ავტორთა „რვეულს (ოქტეტს)“ (როგორც რ. ნიკოლაძე უწოდებს ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფს). ამავე მოგონებებში აღწერილია სასკოლო პროგრამების შექმნის ამბებიც, განსაკუთრებით კი ქიმიის პროგრამაზე საუბრობს რუსუდან ნიკოლაძე და ეს ბუნებრივია, რადგან თავად ქიმიკოსი გახლდათ.

ამიტომაცაა ეს მოგონებები ღირებული და ავთენტური, რადგან მათი ავტორი არათუ თვითმხილველი, არამედ შემოქმედი და აქტიური მონაწილეა ყველა იმ პროცესისა, რომელზედაც საუბრობს და რომელთა უდიდესი ნაწილი ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. არადა, თუ გვინდა, რომ სკოლების გაეროვნების, ტერმინთშემოქმედებისა და ზოგადად, იმ პერიოდის განათლების პროცესის კომპლექსური კვლევა, აუცილებლად უნდა გავეცნოთ რუსუდან ნიკოლაძის მოგონებებს და ჩვენც ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ მათი წარდგენა.

საბა მეტრეველი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გოდერძი ჩოხელის ბედისწერის თეატრი

ეთიკური წარმოდგენების გარდასახვა ესთეტიკურ ფაქტად, არტეფაქტად განუყოფელია გოდერძი ჩოხელის მხატვრული აზროვნებისთვის. ესთეტიკურისა და ეთიკურის ჰარმონია მისი აზროვნების საფუძველია. მწერლის ეთიკური ფილოსოფია პარადოქსული დამაჯერებლობით გვაოცებს. აქ მხატვრული ეფექტი არ მიიღწევა დახვეწილი სიტყვიერი ორნამენტით, სიმკვეთრითა და სიმძაფრით. წარმმართველი, დომინანტური მაინც ამბავია, რომელსაც ძალდაუტანებლად, თანაგანცდით გვიყვება და უკვე მისი სიტყვა აღძრავს ყოფიერებისა და არსებობის მთლიანობის განცდას. ამ მხრივ გოდერძი ჩოხელის ნარატიულ დისკურსში განსაკუთრებულად საინტერესოა მოთხრობა „ბედისწერის თეატრი“.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის, რომ სიტყვა ჩოხელთან იძენს ბედისწერისა და სიკვდილის მაუწყებელი ნიშნის სტატუსს. სემანტიკური და ფონეტიკური ფონი გვაყენებს სასტიკი და დაუნდობელი რეალობის პირისპირ. ასეთია მისი „ბედისწერის თეატრი“, როგორც თამაშის ხელოვნების აპოთეოზი და პიროვნული ტრაგიზმი. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, ოფელია, თამაშობს ანგელოზის როლს. ის მთელ სოფელს მართავს ანგელოზად მიაჩნია,

სიტყვით ანუგეშებს ყველას და ამ საბედისწერო თამაშს დროებითი შედეგიც მოჰყვა - სარეცელს მიჯაჭვული და თითქმის სასიკვდილოდ განწირული მართა გამოჯანმრთელდა, მას „ანგელოზის“ სიტყვამ სასიცოცხლო ძალები დაუბრუნა.

ამ პატარა მოთხრობაში გოდერძი ჩოხელმა თამაში აქცია სერიოზულ მოვლენად, აქ თამაშდება სიცოცხლის საზრისი. ოფელიამ ტყუილი სიმართლე თქვა და დააჯერა ყველა - ესეც ხომ ნიჭია, ერთდროულად წარმოსახვის ბუნებრივი თამაშიც და გამოსავალიც წარმოსახვაში. მან მიიღო ანგელოზის სახე და წაშალა საკუთარი, მაგრამ ცხოვრება ვერ იქნება მუდმივი თამაში და ამ ვნებით, ამ სტიქიით შეპყრობილი ადამიანი დიდხანს ვერ გაუძლებს მუდმივად თამაშის (ტყუილის, გამონაგონის) მდგომარეობაში ყოფნას. მწარე სიმართლემ, რომ ოფელია ერთი ჩვეულებრივი ადამიანია და არა - ანგელოზი, მართას გარდაცვალება გამოიწვია. გაქრა იმედი. ანგელოზის ნაცვლად ცხოვრებისაგან ზურგშექცეული გურანდუხტი შერჩა სოფელს ხელში. ბედისწერის ამ თეატრში, ამ საბედისწერო თამაშში ოფელია უკანასკნელ გზაზე შედგა - მონასტერი კი არ ელოდა, თავად გაუყვა მის გზას.

კვლევის მეთოდი მულტიდისციპლინურია და ეფუძნება როგორც ლიტერატურათმცოდნეობას, ისე თამაშის ფსიქოლოგიასა და პრაქტიკას.

გოდერძი ჩოხელის „ბედისწერის თეატრში“ თამაშის ვნებით ან დიდი გრძნობით განპირობებული ტანჯვა ერთიან გრძნობადაა განცდილი და წარმოდგენილია როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის დიალექტიკური კანონი. თამაშის ვნების გრძნობას მწერალი ტრაგიკულის არსში ხედავს, თამაშით მიღებული კათარსისი კი ტრაგიკულ განსაცდელზე გადის.

თეა ჭანტურია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტექნოლოგია და კულტურა: გავლენის ბრძოლა, რა აყალიბებს საზოგადოებას?

ჩვენ ვცხოვრობთ და ვვითარდებით არა ინსტინქტებით, არამედ ქცევით, რომელსაც ვსწავლობთ, ვინარჩუნებთ და გადავცემთ. ჩნდება კითხვა, ახდენს თუ არა გავლენას ტექნოლოგია და კულტურა ამ პროცესზე?

ტექნოლოგია, როგორც ადამიანის შემოქმედების და განვითარების პროდუქტი, შეიძლება ჩაითვალოს კულტურის ფორმად. ის მოიცავს ცოდნას, პრაქტიკას და არტეფაქტებს, რომლებსაც ვქმნით და ვიყენებთ სამყაროს გასაგებად. ამ თვალსაზრისით, კულტურა უდავოდ ადამიანური წარმოშობის უდიდესი ტექნოლოგიაა, რადგან ის თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიის ყველა სხვა ფორმას და ფუნდამენტურად აყალიბებს ჩვენს სოციალურ სტრუქტურებს, ღირებულებებს და ქცევებს. კულტურა გაჩნდა და განვითარდა კაცობრიობასთან ერთად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი განასხვავებს ადამიანებს ყველა სხვა ცოცხალი არსებისგან. ადამიანი, კულტურა და საზოგადოება განუყოფლად არის ურთიერთდაკავშირებული.

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე ღრმა და ფართო გავლენას ახდენს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ფუნდამენტურად შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტილი, პროფესიები თუ კომუნიკაციის რეჟიმები - სმარტფონები, ინტერნეტი, ვირტუალური რეალობა, ხელოვნური ინტელექტი, უახლესი სამედიცინო ინოვაციები და სხვ. ფილოსოფიური თვალსაზრისით, ტექნოლოგია ისტორიულად ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარების და რეალიზაციის პირველი ფორმაა. სხვა კულტურული ფენომენების მსგავსად, ტექნოლოგია ისტორიულად ცვალებადია. დღევანდელი ტექნოლოგია არის ადამიანის უნარებისა და ტექნიკის ნაზავი. იგი ფუნქციონირებს როგორც სოციალური აქტივობის ხელოვნური გაფართოების სისტემა და წარმოადგენს პროდუქტიული ძალების ძირითად კომპონენტს. დიახ, კულტურა მართლაც არის სოციალურად აგებული ჩარჩო, რომელიც გავლენას ახდენს ქცევებსა და ნორმებზე, ხოლო ტექნოლოგიამ, განსაკუთრებით მისი ციფრული ფორმით, სწრაფად გარდაქმნა გლობალური საზოგადოება. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, რთულია ცალსახად განისაზღვროს, რომელი აყალიბებს საზოგადოებას - კულტურა თუ ტექნოლოგია. თუმცა ამ დილემის გათვალისწინებით ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით ამ საკითხის განხილვას.

საკვლევი თემა: ჩვენს საკვლევ თემას წარმოადგენს ტექნოლოგიური დეტერმინიზმის და კულტურული დეტერმინიზმის დინამიკური ურთიერთქმედება თანამედროვე საზოგადოების ფორმირების პროცესში. **აქტუალობა:** არსებითად, ტექნოლოგიის და კულტურის გადაჯაჭვულობა დინამიკური და ტრანსფორმაციულია, რაც აყალიბებს არა მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებას და სახავს მისი განვითარების გზებს, არამედ, სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმოაჩენს თუ როგორ აღიქვამენ, ინარჩუნებენ თავიანთ იდენტობას სოციუმები. ამ ურთიერთქმედების გააზრება აუცილებელია მომავალი ტექნოლოგიური და კულტურული ლანდშაფტების სირთულეებში ნავიგაციისთვის. **პრობლემა:** ტექნოლოგიას და კულტურას შორის ურთიერთქმედება ბადებს ეთიკურ კითხვებს კონტროლის, გავლენის და პასუხისმგებლობის შესახებ. **მეთოდი:** ტექნოლოგიური მიღწევების და მათი კულტურული გავლენის ისტორიული და თანამედროვე მაგალითების ანალიზი, ფილოსოფიური ხედვების და მედიის თეორიების ინტეგრირება.

დასკვნა: ჰომო საპიენსის გარიჟრაჟიდან მოყოლებული, ტექნოლოგია კულტურის ყველა ასპექტში იყო ინტეგრირებული და კულტურამ, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებაზე. ბოლო წლებში მიმდინარე დიჯიტალიზაციის სწრაფმა ტემპმა გააძლიერა ეს ურთიერთქმედება, ძირეულად შეცვალა საზოგადოებების ფუნქციონირება და ადამიანების მიერ სამყაროს აღქმა. ამ დილემის შესწავლა ცხადყოფს, რამდენად არის ტექნოლოგია და კულტურა ურთიერთდამოკიდებული და მათი განვითარება კი - დინამიკური და ორმხრივი პროცესი. შესაბამისად ამ ორ ძალას შორის ურთიერთობის აღიარება გადამწყვეტია საზოგადოების პროგრესის გასაგებად. დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ - როგორც ტექნოლოგიური ინოვაციები ახდენენ გავლენას კულტურულ პრაქტიკაზე, რწმენაზე და შეუძლიათ ცვლილებების სტიმულირება, ასევე

კულტურული ღირებულებები და ნორმები ახდენენ გავლენას ტექნოლოგიების მიმდებლობასა და გამოყენებაზე; სწორედ კულტურული ფაქტორები საზღვრავენ ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებებს. ამდენად, ტექნოლოგიური და კულტურული დეტერმინიზმის და საზოგადოებაზე მათი გავლენის შესწავლა რჩება კვლევის მნიშვნელოვან სფეროდ სხვადასხვა დისციპლინაში.

ლანა ქარაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუზეუმები, როგორც სოციალური ცვლილების აგენტები: მდგრადობის ინტერდისციპლინური მიდგომები

ბოლო წლების განმავლობაში, მუზეუმები სულ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც საზოგადოებრივი ჩართულობისა და სოციალური ქმედებების პლატფორმები, სადაც მდგრადობა სცდება მხოლოდ ეკოლოგიურ საზღვრებს და მოიცავს სოციალურ სამართლიანობას, ინკლუზიურობას, ხელმისაწვდომობასა და განათლებას. კვლევების თანახმად, მუზეუმების როლი საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როდესაც მუზეუმები იყენებენ ინტერდისციპლინურ და საზოგადოების თანამონაწილეობის მიდგომებს. მუზეუმის ახალი განმარტება ხაზს უსვამს ამ მიდგომების აუცილებლობას და მუზეუმებს ავალდებულებს გაააქტიურონ თავიანთი სოციალური როლი, საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით და აქტიური ჩართულობის გზით. „სოციალური მუზეუმების“ კონცეფცია ასევე გამოხატავს ამ პროცესის მნიშვნელობას. თანამედროვე სამყაროში მუზეუმი უკვე აღარ წარმოადგენს მემკვიდრეობის მხოლოდ სტატიკურ საცავს და თანდათანობით სოციალური ცვლილებების დინამიური აგენტის როლს ირგებს. მოხსენება იკვლევს, თუ როგორ შეუძლია ინტერდისციპლინურ მიდგომებს გააძლიეროს მუზეუმების როლი მდგრადობის ხელშეწყობაში და სოციალური ცვლილებების განვითარებაში. გარემოსდაცვითი საკითხების, სოციალური სამართლიანობისა და კულტურის კვლევების იდეების ინტეგრირებით, მუზეუმს, განსაკუთრებით სწრაფ და ცვალებად ეპოქაში, გააჩნია დიდი უპირატესობა მიმდინარე რთული საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

თანამედროვე სოციალური საკითხების ასახვითა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობით, მუზეუმებს აქვთ პოტენციალი გააძლიერონ თავიანთი გავლენა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით. საქართველოს კონტექსტში მუზეუმების წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას, მათ შორის შეზღუდული რესურსები, ინფრასტრუქტურული პრობლემები, სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთქმედების საჭიროება და სხვ. მოხსენების დისკურსი იკვლევს საქართველოს მუზეუმების პოტენციალს და შეზღუდვებს მდგრადი პრაქტიკის განვითარების პროცესში. ამავდროულად, განხილული იქნება პრაქტიკული სტრატეგიები და რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ საქართველოს მუზეუმებს წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში, მდგრადობასა და სოციალურ სამართლიანობაში.

თამილა აფაქიძე, საქართველოს ეროვნული არქივი
ეროვნული არქივის სარესტავრაციო ლაბორატორია - 80

2024 წელს საქართველოს ეროვნული არქივის სარესტავრაციო ლაბორატორია 80 წლის გახდა. რვა ათეული წლის მანძილზე ლაბორატორიაში უამრავ ხელნაწერს, საარქივო დოკუმენტსა თუ ფოტომასალას მიეცა ახალი სიცოცხლე. რესტავრატორების მთელი თაობების უანგარო შრომის შედეგად ქალაქში, ეტრატზე, ფოტოქალაქში დატანილი ტექსტები თუ გამოსახულებები მომავალი თაობებისთვის შემონახულია და მხოლოდ შესწავლას მოითხოვს. მოხსენების მიზანია საიუბილეო წლის აღსანიშნავად განვლილი გზის ერთგვარი გაცოცხლება და შესრულებული სამუშაოების შეფასება.

ირინა გოგონაია, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სამკურნალო სპირტიანი ნაყენები XIX საუკუნის წერილობით წყაროებში
(საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერების მიხედვით)

საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრსა და სიძველეთსაცავში დაცულია ქართული ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ლიქიორების, არყებისა და ნაყენების შესახებ, ინგრედიენტების, მათი თანაფარდობების, გამოყენებული ჭურჭლისა და დამზადების ხერხების მითითებით. ჩვენს მიერ შერჩეული მასალა მოიცავს XVIII ს. და XIX-ის პირველ ნახევარს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული შინაარსის ხელნაწერების სისტემატიზაცია, მათში მოცემული ცოდნისა და წარმოდგენების ანალიზი, ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ეტაპების, გამოყენებული წყაროების, ასევე, კულტურული გავლენების გათვალისწინებით, რომლებიც კონკრეტული ეპოქის ისტორიული ორიენტაციებით იყო განპირობებული.

მოხსენებაში განხილულია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სამი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი: №1446/89 („დარიგება ელიქსირის შემზადებისათვის“), № 1446/90 (ნუსხა წამლების ელექსირიასი) და №1446/822 (კრებული). კვლევის საწყის ეტაპზე ხელნაწერების არქეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე (ზომა, მასალა, მელანი, ფურცლების რაოდენობა და ა.შ.) შემუშავდა ბარათები გარკვეული პარამეტრების მიხედვით, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შესატანად (ფილტრი: ქიმიურ-ტექნოლოგიური ცოდნა ქართულ ხელნაწერებში), მომდევნო ეტაპზე განხორციელდა შინაარსობრივი ანალიზი ფოკუსით რეცეპტების შედგენილობაზე, მყარი და თხევადი ინგრედიენტების საზომ - წონით და მოცულობით - ერთეულებსა (ლოტი, ფუნტი, ვედრა და ა.შ.) და დანიშნულებაზე.

ჩატარებული ინტერდისციპლინარული კვლევა წარმოადგენს ლიქიორებისა და ნაყენების შესახებ ცოდნის პროფესიულ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ხელნაწერებში ასახული

კულტურულ-ისტორიული გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით. კვლევის პროცესში განხორციელდა მასალის დამუშავება შესაბამისი განმარტებითი ლექსიკონის შესადგენად.

მოხსენება მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „საბუნებისმეტყველო (ქიმიურ-ტექნოლოგიური და მინერალოგიურ-გემოლოგიური) ცოდნა ქართულ და აღმოსავლურ ხელნაწერებში საქართველოს სიძველეთსაცავებში“ (საგრანტო ხელშეკრულება FR-21-620) ფარგლებში.